

ნუნუ გელდიაშვილი
ნინო ვეზიშვილი მანანა ლარიშვილი
გაბა ზუიშვილი შორენა ნიგნაძე
ნინო გიორგაძე ნინო გომიაშვილი

ვანი და ღვინო

ვანი და ღვინო

ქართული მენტალოგის გამომხატველი კონცეპტები

(ლინგვოკულტუროლოგიური ძიებები)



ნუნუ გელდიაშვილი
ნინო ვეფხიშვილი მანანა ღარიბაშვილი
გაგა ბუიშვილი შორენა ტიგნაძე
ნინო გიორგაძე ნინო გოგიაშვილი

NUNU GELDIASHVILI
NINO VEPKHISHVILI MANANA GARIBASHVILI
GAGA BUISHVILI SHORENA TSIGNADZE
NINO GIORGADZE NINO GOGIASHVILI

ვანი და ღვინო – ქართული მენტალობის
გამომხატველი კონცეპტები

(ლინგვოკულტუროლოგიური ძიებები)

VINE AND WINE: EXPRESSIVE CONCEPTS IN GEORGIAN
MENTALITY

(Linguistic and Cultural Research)

თბილისი
2024



მონოგრაფია მომზადებულია სსიპ იაკობ გოგებაშვილის
სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამეცნიერო-კვლევითი გრანტით დაფინანსებული პროექტის
ფარგლებში

პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი და
წიგნის იდეის ავტორი: პროფესორი **ნუნუ გელდიაშვილი**

რედაქტორი: ასოც. პროფესორი **შორენა ლაზვიაშვილი**
ენობრივი რედაქტორი: ასოც. პროფესორი **ელენე ფილაშვილი**
მთარგმნელი: პროფესორი **მანანა ლარიბაშვილი**

რეცენზენტები: პროფესორი **მაია ბარამიძე**
პროფესორი **ნინო კოჭლოშვილი**
პროფესორი **ირმა შიოშვილი**

© ნუნუ გელდიაშვილი, 2024

გამომცემლობა „მერიდიანი“, 2024
Publishing House "MERIDIANI", 2024
E-mail: meridiani777@gmail.com

ISBN 978-9941-34-554-8

UDC (უაკ) 634.8+663.25

გ-298

შინაარსი

წინათქმა

თავი I

ვაზისა და ღვინის ფენომენი საქართველოში	12
1.1. ვაზი ქართულ მენტალობაში	12
1.2. ღვინო ქართულ მენტალობაში	39

თავი II

ლექსიკა-ფრაზეოლოგია და ეთიკურ-ზნეობრივი პარამეტრები (ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა)	62
---	----

თავი III

ფოლკლორული საგანძურის მორალი და დიდაქტიკა	114
---	-----

თავი IV

„ვაზისა“ და „ღვინის“ კონცეპტები ქართულ ლიტერატურაში (ისტორიული შტრიხები და ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები).....	151
---	-----

თავი V

ვაზისა და ღვინის კონცეპტური გამოხატულება ქართულ ხელოვნებაში	167
--	-----

თავი VI

ქართული გასტრონომიული სივრცის ეროვნული მენტალობა .	191
--	-----

თავი VII

ვაზითა და ღვინით წარმოჩენილი ეროვნული მენტალობა
მედიცინაში210

ბოლოთქმა222

ბიბლიოგრაფია225

SUMMARY 234

წინათქმა

ლინგვოკულტუროლოგია მეცნიერების ახალ დარგს წარმოადგენს და, ცხადია, მას ახალი ცნებები და კატეგორიები დასჭირდა, სადაც ადეკვატურად აისახა როგორც ლინგვისტური, ასევე კულტუროლოგიური სანყისი. ამგვარი ტერმინოლოგიური აპარატის საფუძველი გახდა კონცეპტის ცნება: „კონცეპტი არის ის, რისი საშუალებითაც კულტურა შემოდის ადამიანის მენტალურ სამყაროში და, ამავდროულად, კონცეპტი არის ის, რისი საშუალებითაც ადამიანი თავად შედის კულტურაში (ამირეჯიბი, 2005).

მონოგრაფიული გამოკვლევით გვაქვს მოკრძალებული მდებარეობა, მკითხველი ვამოგზაუროთ ენისა და კულტურის იმ ჯადოსნურ წიაღში, იმ ჯადოსნურ სამყაროში, რომელსაც ქმნის ვაზისა და ღვინის კონცეპტოსფერო თავისი ლექსიკა-ფრაზეოლოგიით და იმ ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმით, საიდანაც შესაშურად წარმოჩინდება ქართული მენტალობა.

ჩვენს შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ლინგვოკულტუროლოგიური კონცეპტის გაგება არ ემთხვევა ცნების კლასიკურ (ტრადიციულ) დეფინიციას, რომელიც საგნის არსებით ნიშანთა ერთობლიობას გულისხმობს. ჩვენ მათ განვიხილავთ, როგორც **სულიერი ღირებულების ცნებებს**, კონცეპტებს, როგორც მენტალურ ერთეულებს, რომლებიც არამარტო გაიაზრებიან, არამედ განიცდებიან კიდევ, მათ მიმართ ვლინდება „სიმპათიისა და ანტიპათიის ემოციური მიმართება“. ესაა ზუსტად თანამედროვე კულტუროლოგიური და ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომა კონცეპტისადმი, რომელიც გამოხატულების რანგში წარმოადგენილია მთელი რიგი ენობრივი სინონიმებით, თემატური ველებით, ანდაზებით, ფოლკლორული და ლიტერატურული სიუჟეტებით, ქცევის სტერეოტიპებით, მატერიალური კულტურის საგნებითა და სხვა, რაც მიუთითებს შესაბამისი

კონცეპტების მნიშვნელოვნებაზე ადამიანის ცხოვრებაში.

ამა თუ იმ ენის მატარებელთა მსოფლალქმის სპეციფიკას ნომინაციური ფორმით ასახავს კონკრეტული კონცეპტების, როგორც საკვანძო ლექსიკური ერთეულების, ერთობლიობა, რაც საბოლოოდ ქმნის კონცეპტუალურ სფეროს, სადაც კონცენტრირებულია ერის მატერიალური და სოციალური კულტურა და წარმოადგენს ენობრივ-კულტურულ ცოდნათა ერთობლიობას, რომელიც შეესაბამება ეროვნულ მენტალობას, როგორც მისი მატარებლების მიერ სამყაროს ხედვის/გაგების საშუალებას. ჩვენს შემთხვევაშიც სწორედ ეს გვანტერესებს...

ამდენად, ჩვენი კვლევის მიზანია ვაზისა და ღვინის, როგორც ქართული მენტალობის გამომხატველი კონცეპტების, ლინგვოკულტუროლოგიური ძიებები და ამის საფუძველზე, ინტერდისციპლინურად, ფილოლოგიისა და აგრარული სფეროების ურთიერთკავშირზე დაყრდნობით, მათი როლისა თუ ფუნქციის განსაზღვრა-წარმოჩენა ქართული ენისა და ქართული კულტურის განვითარებაში. კერძოდ, ვაზთან და ღვინოსთან დაკავშირებული ქართული ენობრივი შესაძლებლობების, ქართული დისკურსის ეროვნულ-სპეციფიკური კომპონენტების გამოვლენა და კლასიფიკაცია, მათი სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი და ფუნქციონირების კვლევა სინქრონულ და დიაქრონიულ ჭრილში; ამ მიმართებით ქართული ლინგვოკულტურული სივრცის აღწერა/დახასიათება; ყურადღების გამახვილება იმ კულტურულ სივრცეზე, რომელსაც ასახავს და რომელშიც მოქმედებს ქართული ენა, როგორც გარკვეული ეროვნულ-ლინგვოკულტურული ერთობის ენა.

მიუხედავად იმისა, რომ რომ ქართული ენის ისტორიის, სტრუქტურისა თუ სემანტიკის საკითხებს მრავალი ნაშრომი ეძღვნება, მიგვაჩნია, რომ იგი თითქმის შეუსწავლელია ლინგვოკულტუროლოგიური (ენისა და კულტურის

ურთიერთ მიმართების, ეროვნული მენტალობის გამომხატველი კონცეპტების შესწავლის) თვალსაზრისით და ვალშია მასთან. წინამდებარე მონოგრაფიული გამოკვლევა, ვფიქრობთ, ნაწილობრივ მაინც შეავსებს ამ ხარვეზს.

ზოგადად, ეროვნული მენტალობის გამომხატველი კონცეპტები, მათთვის დამახასიათებელი მხატვრული და სხვა ენობრივი თავისებურების წარმოჩენით, საგანგებო ყურადღებას მოითხოვს. ერთ-ერთი უმთავარესი კი, რაც კვლევის აუცილებლობაში მდგომარეობს, ჩვენი აზრით, მისი ინტერდისციპლინურობა და კომპლექსურობაა. ჰუმანიტარული და აგრარული მეცნიერებების ინტეგრირებით საკითხის ერთიანობაში შესწავლა დარგის სპეციალისტებს შესაძლებლობას მისცემს, სრულყოფილი წარმოდგენა შეექმნათ იმ საერთო მოვლენებზე, რაც ასე განსაკუთრებულს, საინტერესოსა და მიმზიდველს ხდის საკითხს, სხვადასხვა მიმართულების კავშირს და წვლილი შეაქვს ფილოლოგიისა და აგრარული დარგების წინსვლა-განვითარებაში.

მიდგომა, გარკვეულწილად, ინოვაციურია და, ვფიქრობთ, შემდგომ სხვა მსგავსი, მიმართულებათაშორისი (ლინგვოკულტუროლოგიური) კვლევების დაგეგმვა-განხორციელების განმსაზღვრელი ფაქტორიც გახდება.

ამოცანების სპექტრი საკმაოდ ფართო აღმოჩნდა, თუმცა ამ ეტაპზე კვლევაში თავმოყრილია ჩვენს ინტერესში შემავალი შემდეგი მნიშვნელოვანი თემები:

- ▶ ვაზისა და ღვინის ფენომენი საქართველოში (ვაზი და ღვინო, როგორც ქართული ეროვნული მენტალობის შემადგენელი და ქვაკუთხედი);
- ▶ ვაზთან და ღვინოსთან დაკავშირებული ლექსიკა-ფრაზეოლოგია და მათ საფუძველზე ეთიკურ-ზნეობრივი პარამეტრების წარმოჩენა-განსაზღვრა (ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის ჩამოყალიბება);

- ▶ ფოლკლორული საგანძურის მორალი და დიდაქტიკა (ვაზით და ღვინით გამოხატული ეროვნული მენტალობა; ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის ჩამოყალიბება);
- ▶ „ვაზისა“ და „ღვინის“ კონცეპტები ქართულ ლიტერატურაში (ისტორიული შტრიხები და ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები);
- ▶ ვაზისა და ღვინის კონცეპტური გამოხატულება ქართულ ხელოვნებაში;
- ▶ ქართული გასტრონომიული სივრცის ეროვნული მენტალობა (ლინგვოკულტუროლოგიური ხედვა);
- ▶ მედიცინაში ვაზითა და ღვინით წარმოჩენილი ეროვნული მენტალობა.

კვლევის სტრატეგია ძირითადად დაეყრდნო მასალის დიაქრონულ და სინქრონულ ანალიზს, ასევე: წყაროების დამუშავებას; სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვას; არგუმენტირებულ მსჯელობასა და დასაბუთებას; არსებული კვლევების გათვალისწინებას...

საბოლოო მიზნის მისაღწევად და დასახული ამოცანების გადამწყვეტისათვის ვიხელმძღვანელებთ კვლევის რამდენიმე მეთოდითა და პრინციპით. უპირველეს ყოვლისა, აღწერთი და ისტორიულ-შედარებითი მეთოდით – ნიმუშების კლასიფიცირებით აღვწერეთ, შევადარეთ და დავადგინეთ მათი განვითარების კანონზომიერებები; თვისებრივი, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები კი დაგვეხმარა განხილვაში, სათანადო, მართებული დასკვნების შემუშავებაში.

მიმოხილული მასალის საფუძველზე, ნაშრომში ჩვენ მიერ ხაზი ესმება იმ ფაქტს, რომ საქართველოში ოდითგან არსებობს ვაზისა და ღვინის ფენომენი, რომ ვაზიც და ღვინოც, უდავოდ, ქართული მენტალობის შემადგენელი და ქვაკუთხედი:

„ქართული ვაზის თითოეული ჯიში ისტორიული ძეგ-

ლია. რქანიტელის, საფერავის, თავკვერის, ცოლიკოურის, ოჯალეშის, ჩხავერის, ალექსანდროულის და სხვათა შექმნაზე იმდენი შრომაა გაწეული, რამდენიც სვეტიცხოველის, გელათის, გრემის, იყალთოს და სხვა ისტორიული ქმნილებების აღმშენებლობაზე. ჩვენი ვალია დავიცვათ, განვაფართოოთ და მომავალ თაობებს შევუწახოთ (რამიშვილი მ. 1968).

ასე, შესისხლხორცებულნი მოდიან ათასეული წლების მანძილზე ვაზი და ქართველი – ურთიერთს კვებავენ, ერთმანეთს მხარში უდგანან და ერთი ნუხილითა და სიხარულით ცხოვრობენ; ვაზი წარმართი ქართველისთვის – საკულტო მცენარე, ხოლო ქრისტიანი ქართველისთვის ქრისტიანობის შემოტანა-დამკვიდრებასთან ასოცირებული სიმბოლოა – ჩვ. წ. აღ.-ის IV საუკუნეში საქართველო ქრისტიანობას წმინდა ნინოს თმებით შეკრული, სწორედ, ვაზის ჯვრით ეზიარა. ასე რომ,

- ▶ **ვაზის ამჩეხი და კაცის მკვლელი ქართველისათვის ერთია!**
- ▶ **აშკარაა, რომ ვაზზე ქართველი უარს არასდროს იტყვის, ვიდრე პირში სული უდგას!**

მსგავსი დამოკიდებულება იკვეთება ღვინის მიმართაც. ღვინის, მინიმუმ, 8000-წლიანი უწყვეტი წარმოება, უდავოდ, ადასტურებს, რომ საქართველოში ვაზთან ერთად ღვინის ფენომენიცაა; იგი ყველაზე ტრადიციული და ათასწლეულების მანძილზე ხელოვნების დონეზე აყვანილი დარგია, ეს კი უცილობლად ერის მენტალობას, ღვინის, როგორც ლინგვოკულტუროლოგიურ კონცეპტობას, უსვამს ხაზს.

„...მოყვარესაც და მტერსაც ღვინით გაუძღვება ქართველი, სიცოცხლესაც და სიკვდილსაც ღვინით შეეგებება!

დაცემულ მოძმეს გაამხნევენ: ჯამს იქით მხარეს წაიღებს, სადაც ბეჩავი ზისაო!...

ქართველი კაცი, როდესაც ღვინით უმასპინძლებს მეგობარს, უსურვებს ტკბილ ძმობას, დღეგრძელობას, სიხარულს, ხოლო ქვეყნიერებას – კეთილდღეობას, მშვიდობას“!

დიახ, კვლევს ცხადყოფს, რომ ვაზი და ღვინო ქართული ეროვნული მენტალობის გამოხატულება, მისი ორგანული ნაწილია; აშკარად იკვეთება, არც ერთ მათგანზე ქართველი უარს არასდროს იტყვის, ვიდრე პირში სული უდგას და რადგან სულიერი ღირებულების ცნებებად მიიჩნევს მათ, პირიქით, თაობიდან თაობებს გადასცემს მათი მოვლა-პატრონობის ვალდებულებას. სწორედ ესაა კონცეპტი, როგორც მენტალური ერთეული, რომელიც არამარტო გაიაზრება, არამედ განიცდება კიდევ; მათ მიმართ ვლინდება ემოცია, დადებითი ემოცია... ვაზი და ღვინო რომ, მართლაც, კონცეპტებია და არა მხოლოდ საგნები, ადასტურებს მათი გამოხატულების რანგიც, წარმოდგენილი მთელი რიგი ენობრივი სინონიმებით, ანდაზებით, ფოლკლორული თუ ლიტერატურული სიუჟეტებით, ქცევების სტერეოტიპებით და სხვა, ეს კი მიუთითებს მათ მნიშვნელოვნებაზე ადამიანის ცხოვრებაში. მათში, უდავოდ, კონცენტრირებულია ქართველი ერის მატერიალური და სოციალური კულტურა და წარმოადგენს ენობრივ-კულტურულ ცოდნათა ერთობლიობას, რომელიც შეესაბამება ეროვნულ მენტალობას, როგორც მისი მატარებლების მიერ სამყაროს ხედვის საშუალებას.

აგრარული მეცნიერებების მიმართულების წარმომადგენელთათვის კვლევის შედეგები იქნება ახალი თეორიული ინფორმაციის შემცველი იმის შესახებ, თუ რა ენობრივი შესაძლებლობები გააჩნია ქართულს ეროვნული მენტალობის ამ კონცეპტების გამოსახატავად, რა ეროვნულ მახასიათებლებს აღნიშნავს და მოიაზრებს მათი საშუალებით. თავის მხრივ, გამდიდრდება და გაფართოვდება ფილოლოგიის მიმართულებისათვის დასაკვირვებელი, შესასწავლი საანალ-

იზო მასალა, რაც თანამედროვე კულტურულმა ურთიერთობებმა მოიტანა/გააჩინა გლობალიზაციის ფონზე და რაც თანდათან ქართული ხასიათის კუთვნილება და ორგანული შემადგენელი ნაწილი ხდება.

კვლევის შედეგები პრაქტიკულადაც ღირებული იქნება; იგი ნაადგება ენათმეცნიერებას, ლექსიკოლოგიას, ლინგვოკულტუროლოგიას; ქართული ლიტერატურის ისტორიას და აგრარული მიმართულების დისციპლინებს; შესაბამისად, ნაშრომი აქტიურად იქნება გამოყენებული სასწავლო-სამეცნიერო რესურსად და ასევე სხვა საკითხების შემდგომ სიღრმისეულად შესწავლის პროცესში.

გარდა ამისა, ვფიქრობთ, კვლევის შედეგები, გამოყენების პერსპექტივებით, მნიშვნელოვანი იქნება თავისი ფუნდამენტური ხასიათითა და საზოგადოებრივი თუ კულტურული პროგრესის თვალსაზრისით; იგი, თავისი საყოველთაო ხასიათითა და მრავალმხრივობით, დაინტერესებს საკითხით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს.

თავი I

ვაზისა და ღვინის ფენომენი საქართველოში



საქართველო, როგორც მევენახეობა-მელვინეობის სამშობლო, მთელი მსოფლიოსთვისაა ცნობილი. არქეოლოგიური აღმოჩენები და არტეფაქტები (ღვინის მუავის ნაშთები თიხის ჭურჭლის ზედაპირზე, ნიპნები და ვაზის ყვავილის მტვერი) ადასტურებს, რომ მევენახეობა-მელვინეობა სწორედ საქართველოში დაიწყო და შემდეგ გავრცელდა წინა აზიასა და ევროპის ქვეყნებში.

1.1. ვაზი ქართულ მენტალობაში

უძველესი აღმოსავლური ლეგენდის თანახმად, ყურძნის ნიპნა კაცობრიობას პირველად ლომისტანიანმა ფრინველმა ფასკუნჯმა მოუტანა ამიერკავკასიაში, სავარაუდოდ, დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე, საიდანაც შემდეგ მთელ დედამიწას მოედო ვაზის კულტურა. მასში ცალსახა მინიშნებაა ვაზის კავკასიონის მთების არეალიდან გავრცელების შესახებ.

ლეგენდის თანახმად, „ეს ამბავი დიდი ხნის წინ მოხდა. ერთი უფლისწული სანადიროდ იყო წასული. მინდორში რომ გავიდა, საზარელი წივილის ხმა მოესმა. უფლისწულმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და უცნაურ სურათს წაანყდა: ფასკუნჯს უზარმაზარი გველი შემოხვეოდა და ახრჩობდა. ფრინველი საზარლად წიოდა და ფრთებს უღონოდ იქნევდა. უფლისწულს შეებრაღა ფასკუნჯი. გველი შუბით განგმირა და გაათავისუფლა. ფასკუნჯი კავკასიონის მთებისკენ გაფრინდა. რამდენიმე დღის შემდეგ უკანვე დაბრუნდა და უფლისწულს პანანინა მარცვლები მოუტანა. მეფემ მარცვლები მსახურებს დაათესინა. იმ ადგილას უცნაურად დაგრეხილი მცენარე ამოვიდა და ნაყოფიც მოისხა. უფლისწულმა გასინჯა იგი და ძალიან მოეწონა.

- დაკრიფეთ ნაყოფი, შეაგროვეთ მარცვლები და დათესეთ მთელ ქვეყანაში! იგი ჩემს ხალხს ბედნიერებას მოუტანს! – ბრძანა მეფემ. ეს მცენარე იყო ვაზი“ (მოძიებუ-
ლია:

<https://www.storyjumper.com/book/read/83717635/%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%95%E1%83%90%E1%83%96%E1%83%96%E1%83%94#page/1>).

ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია – ათასეული წლების მანძილზე შესისხლხორცებულნი მოდიან ვაზი და ქართველი – ურთიერთს კვებავენ, ერთმანეთს მხარში უდგანან და ერთი წუხილითა და სიხარულით ცხოვრობენ: „ვაზი საკულტო მცენარეა წარმართი ქართველისთვის, ვაზი წმინდა მცენარეა ქრისტიანი ქართველისთვის“, ქრისტიანობის შემოტანა-დამკვიდრებასთან ასოცირებული სიმბოლოა – ჩვ. წ. აღ.-ის IV საუკუნეში საქართველო ქრისტიანობას სწორედ წმინდა ნინოს თმებით შეკრული ვაზის ჯვრით ეზიარა, მონასტრებში ბერები დღემდე ძირითადად პურსა და ღვინოს იყენებენ საკვებად.

„ქართული ვაზის თითოეული ჯიში ისტორიული ძეგლია. რქანითელის, საფერავის, თავკვერის, ცოლიკოურის, ოჯალეშის, ჩხავერის, ალექსანდროულის და სხვათა შექმნაზე იმდენი შრომაა განეული, რამდენიც სვეტიცხოველის, გელათის, გრემის, იყალთოს და სხვა ისტორიული ქმნილებების აღმშენებლობაზე. ჩვენი ვალია დავიცვათ, განვაავითაროთ და მომავალ თაობებს შევუნახოთ ისინი“ (რამიშვილი მ. 1968.)

აღბათ ამიტომაც, ქართველი კაცის გამნარებასა და გადაშენებას, ქვეყნის დაუძღურებასა და მოოხრებას მტერი, უპირველესად, ვაზის აჩეხვითა და ამოძირკვით ცდილობდა, რითაც დიდ სულიერ, ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ დარტყმას აყენებდა ქვეყანას (მირველაშვილი, მალრაძე, 2015).

გიორგი ლეონიძეს 1962 წელს გამოუქვეყნებია სტატია „ქართული ვაზი, ქართული ღვინო“, სადაც ვკითხულობთ: „ქართველი ხალხის რწმენით, ღმერთმა ჯერ ვაზი გააჩინა უწინარეს ყოვლისა“:

„დედავაზები აკურთხა,
ბალახს დასდო თავის ფერი“...

გიორგი ლეონიძე წერს: „ჩვენი ვაზის ნაყოფიერებით ჯერ კიდევ ლეგენდარული არგონავტები გაჰკვირდნენ. სულ ახლა, გასულ საუკუნეში უნახავთ ჩვენში ძველი ვაზები, რომელსაც ორი კაცი ძლივს შემოაწვდენდა მკლავს. მე თვითონ მინახავს ერთი ვაზიდან გათლილი ვეება კარი! ქართველი კაცი და ქართული ვაზი ერთმანეთის მოჭინახულენი არიან. ქართულმა ვაზმა ქართველ კაცთან ერთად ზიდა ისტორიის სიმძიმე. გარემომდგომი მტერი – თურქი, ხაზარი, არაბი, მონღოლი, სპარსი, ლეკი უმონყალოდ ჩეხდა, ბუგავდა, სრესდა, თქერავდა ვაზს, – როგორც ჩვენი

ცხოვრების მთავარ წყაროს, – მაგრამ ნახანძრევ ნაცარში მაინც ღონეს იკრებდა დაბუგული, გასრესილი ქართული ვაზის ფესვი. **ქართულ ვაზს არასდროს არ დაუძინია.** ტყუილი ნათქვამი როდია, – „ჯაგრცხილა, რქანითელი და გლეხი კაცი ყველაფერს გაუძლებსო“. აკი, კიდევაც გაუძლო ისტორიის ქარტეხილს ქართულმა ვაზმა! **ქართველ კაცს არც შეეძლო ცხოვრება უვაზოდ.** მისი ეკონომიური მნიშვნელობა დიდი იყო და არის დღესაც...

ამავე სტატიაში იგი ასევე აღნიშნავს, რომ ქართველი კაცი ვაზს „შვილიდარს“ უწოდებს, რადგან მასზე შვილივით ზრუნავს და შვილივით უყვარს. ვენახი ქართველი კაცის საფიცარიცაა, იგი შვილივით იფიცავს ვენახს: „ისე არ გამინყრეს ჩემი ვენახის მადლი!“, „ისე შემემნიოს ვაზის დედა“!..

...ქართველი კაცი გამალებით აშენებდა ვაზს, სადაც კი შესაძლო იყო. მე-19 საუკუნის დასაწყისში, თბილისის ნახევარი ვენახებს ეკავა: დღევანდელი რუსთაველის პროსპექტი ხომ ერთ გაბმულ ზვარს წარმოადგენდა ძველ საუკუნეებში! თელავს და გორს კაცი ვერ გაარჩევდა – ვენახი იყო თუ ქალაქი!

სტატიაში ასევე ვკითხულობთ: „ყურძენში თვალი შევიდა!“ – რა ამაყად, რა ღიმილით იტყვის სახემზიანი ქართველი, რომელსაც ამდენი ამაგი და კეთილმზრუნველობა გამოუჩენია ვაზისადმი! და როცა სანნახლის პირად დადგება და სამაჭრე ღარის ჩქეფას უყურებს, მაშინ აღარც ერთი ნაოჭი აღარ ემჩნევა სახეზე!..

ვენახი დიდი მეჯილდოვეა!

ვაზის ამჩეხი და კაცის მკვლელი ქართველი კაცისათვის ერთია!

(მოძიებულია: <http://vinoge.com/istoria/qarTuli-vazi-qarTuli-Rvino>).

ვაზის ფენომენის არსს დიდებულად გამოხატავს ილია ჭავჭავაძის სიტყვებიც: **„ვენახი ხომ ერთის დღისა და წლის**

საქმე არ არის. იგია ნაყოფი დიდის ხნის ჯაფისა და შრომისა, იგია თავნი, ნელ-ნელა მოგროვილი მამა-პაპის ოფლის ღვრი-თა და თითქმის უტყვი ისტორიაა მთელის ოჯახის ეკონომიურ ყოფა-ცხოვრებისა და ნაშრომ-ნაღვანისა. აქაური გლახკაცი შეჰხარის ვენახს ჯერ როგორც თავისთავად ძვირად ღირე-ბულს ქონებას და მერე როგორც მამა-პაპის ნაშრომ-ნაღვან-ის სახსოვარს და ნაშთს. ეს ქონებრივი და ზნეობრივი ღირსე-ბა ვენახისა, ერთად შეერთებული, უეჭველია კარგად უნდა ზემოქმედებდეს აქაურ გლახკაცობის ავ-კარგიანობაზე, მისი ხორცისა და სულის მოძრაობაზე“ (ილია ჭავჭავაძე, 1887: რჩ. თხზ. ტ. VII. 1956).

ქართული ენდემური ვაზის ჯიშები საქართველოს ძირ-ითად გეოგრაფიულ ცენტრებშია განლაგებული, ყველაზე მეტი კახეთში, შემდეგ იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აჭარაში, მესხეთსა და აფხაზეთში.

კულტურული ვაზის ჯიშთა ქართულ გენოფონდში ფართო მასშტაბის სამრეწველო და ეკონომიკური მნიშვნე-ლობა მხოლოდ რამდენიმე ათეულ ჯიშს აქვს მინიჭებული. განსაკუთრებით ამ მხრივ კახეთი გამოირჩევა ვენახების ფართობების და ჯიშთა სიმრავლით, ამიტომ მნიშვნელო-ვანია იმ ჯიშების სტანდარტულ სორტიმენტში შემოტანა და დამკვიდრება, რომლებიც იმ ცარიელ სივრცეს შეავსე-ბენ ქართულ ტრადიციულ ღვინოებს შორის, რასაც უცნო-ბი ან ნაკლებად ცნობილი ყურძნის ჯიშებიდან დაყენებუ-ლი ღვინოები ჰქვია. ყოველივე ეს კი ემსახურება მიზანს, რაღაც ახალი, განსხვავებული და უცხო შეიქმნას ახალი პერსპექტივებით. ამასთანავე, ხელი შევუწყობთ იმ ვაზის ჯიშების გადარჩენას და შენარჩუნებას, რომელიც გაქრო-ბის საფრთხის წინაშეა და შემდგომში მისი აღდგენა ფაქ-ტობრივად შეუძლებელი იქნება.

ადგილობრივი ვაზის ჯიშთა გენოფონდი მოიცავს 500-ზე მეტ (დაახლოებით 525) ვაზის ჯიშს და უმდიდრესია მსოფლიოში. ისინი გარკვეული თავისებურებებით განირჩევა ერთმანეთისაგან, თუმცა ჯიშების თვისებებში მსგავსებაც ბევრი შეიძლება მოვძებნოთ.

ისმის კითხვა: **რა უდევს საფუძვლად ვაზის ამა თუ იმ ჯიშის სახელწოდებას?** შემთხვევითი სიტყვებია (ბგერების შემთხვევითი კომბინაციით), თუ შეგნებულად, გამიზნულად შერჩეული? რა მიზანი ჰქონდა ადამიანს ვაზის ჯიშისთვის ამა თუ იმ სახელწოდების შერქმევას? ხშირად ჯიშის ერთსა და იმავე სახელწოდებაზე სხვადასხვა მეცნიერს სხვადასხვა აზრი გააჩნია, რასაც შესაბამისი არგუმენტებით ამტკიცებს, თუმცა, განმარტების ყველაზე მყარ საფუძველს უმეტესად სახელწოდების ლინგვისტური (ენობრივი) ანალიზი იძლევა.

ქართული აბორიგენული ვაზის სახელწოდებების კლასიფიცირებას ვნახავთ, რომ არცერთი სახელწოდება შემთხვევითი არ არის. უფრო მეტიც: **სახელწოდებად შერჩეული ან შექმნილია გააზრებულად ისეთი სიტყვა, რომელიც მარადიულად დარჩება და გადავა თაობიდან თაობაში.** კვლევა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ვაზის სახელს განაპირობებს სხვადასხვა ფაქტორი, რის საფუძველზეც დგინდება რამდენიმე ჯგუფი, საიდანაც ნათლად მოჩანს, რომ ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა ქართულ ენაში ძალზედ საინტერესო და მრავალფეროვანია, მაგალითად:

- **გეოგრაფიული/ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი, უმეტეს შემთხვევაში, ფერის გათვალისწინებით შერქმეული** (ანმეტის წითელი; გორული მწვანე; იმერული შავი; ვაზისუბნის წითელი, მწვანე კახური, უსახელოური, ზაქათალის შავი, ზაქათალის თეთრი, ინგილოური, კახური თითა, მალრანულა, მირზაანული, მირზანული თეთრი, ქისტაუ-

რული ნითელი, ქისტაურული შავი, კახური ღრუბელა, წნორის თეთრი, ცხენის ძუძუ კახური, ჭროლა კახური, მცვივანი კახური, ასურეთული შავი, კლდის ნითელი, მეჯვრისხეული, საფარული თეთრი, რაბათის ნითელი, ბაზალეთური, ავშილური, თითა ქართლური, კლარჯული; დანახარული, ავასირხვა, ხიხვი, აფხაზუა, ტატანაური, ნობენურა, ბუდეშური, ბუდეშური ნითელი, უბაკლური, ქისი, ნითლანი, ოფოურა, ქიშური შავი, კახის ყურძენი, კახის თეთრა, კახის ნითელი, ხიდისთაური ნითელი, ვაზისუბნის მუსკატი, ვაზისუბნის საადრეო, მთის ვაზი...)

- **გამავრცელებლის / ქართული სახელის ან გვარის სახელობის აღმნიშვნელი** (ბაჟანა/ ბეჟანაური, სიმონასეული, ალექსანდროული, სამადაშვილისეული, ჯაჭვადისეული, კუპრაშვილისეული, შალვასეული ქარვისფერი, მამუკას საფერე, ბეგლარის ყურძენი, ანდრიული ვარდსიფერი, საფერავი ბეჟაშვილის, წულუკიძის თეთრა, ხიხვი ლოლადის, თეთრა ლაბილადის, ბესტიაშვილის თეთრა, თავკვერი პატალაანთეული, მცვივანი პატალაანთეული, კაიკაციშვილისეული თეთრა...)
- **დანიშნულების / ჯიშის შინაარსის / თვისების / მნიშვნის გამომხატველი** (საწურავი / საწური-როგორც ნვენის უხვგამოსავლიანი ჯიში, დასაწურად გამოყენებული; საღვინე, საყურძნე, საბადაგო, სამაჭრე, საფერე, საჩურჩხელე; დედათყურძენი, საფერავი საბატონო, ქიშური საადრეო, საფენა, ჟღია საგვიანო, ღვინის თეთრი, ღვინის ნითელი, საკმიელა, სამარხი; საკნატუნა, სირგულა...)
- **ყურძნის ან ვაზის გარეგნული ფორმის / მოყვანილობის / გემოს მიმანიშნებელი** (რქაწითელი, მცვივანი, მწვანე, ჩინური/„ჩინებული“; გრძელმტევანა, ვარდისფერა, თავკვერი დიდმარცვალა, თავკვერი საფერავისებრი, კუმსი თეთრი, კუმსი შავი, მცვივანი ადრეულა, მკვრივი ყურძენი, მსხვილთვალა თეთრი, რქაწითელი, საფერავი ბუდე-

შურისებური, საფერავი ფაჩხა, შავი ყურძენი, ჩიტისთვალა, ჩიტისთვალა თეთრი, ჩიტისთვალა შავი, მწვანე ყვითელი, ჟღია, მკვრივი ყურძენი, მცვივანი თეთრი, კლერტმაგარა, ბროლა, ღარიბა შავი, მხარგრძელი, მწკლარტა, კაჭიჭი, თქვლაფა, ჭუმუტა, შავკაპიტო, ბუზა, თავცეცხლა, კურკენა, ძაღლიარჭამა, ძუვანი, კაპიტა, მწვანე ავრეხი, მუხა მწვანე, ხუშია, ორონა, თეთრი მაური, დონდღლაბი...)

- **ქართველისათვის საამაყო ვისიმე ან რისიმე სახელი** (თამარის ვაზი, ანა, ლაზარე, თბილისური, კაპისტონი შავი, კაპისტონი თეთრი, კამური თეთრი, ვარძია, ივერია, საქართველო...)
- **სავარაუდოდ, უბრალოდ, ლამაზი ქართული სიტყვებია** შერჩეული ზოგიერთი ჯიშის აღმნიშვნელად, მაგალითად: ალადასტური, კრახუნა, ხარისთვალა, დაისი, საამო, კოლხური, ქართული პირველი, ჩემპიონი, ჩინებული, ... ხარისთვალა თეთრი, ხარისთვალა შავი, ოქროულა, ბუერა, შავთხილა, ნყობილა, მელიკულა...

ჯერ კიდევ 1934 წელს მიაქცია ყურადღება აღნიშნულ საკითხს ივანე ჯავახიშვილმა (ჯავახიშვილი ივ. 1934.) და განმარტა, რომ ვაზის სახელწოდებას ზოგჯერ ყურძნის **ფერი** მიუთითებს (ჭროლა, შავყურძენა, ვარდისფერა, ჭვარტლა...), ზოგჯერ მათი **ფორმა და მოყვანილობა** (კუმსა, გრძელმტევანა, მოკლემტევანა, კუნძა, თავკვერი, კვირისტავა, აკიდო, ხარისთვალა, ჩიტისთვალა, მტრედისფეხა...); ზოგიერთი ჯიში **რქის ფერით** გამოირჩევა (რქანითელი, ძელშავი, ხემხუ...); ზოგიერთი ჯიშის სახელში **ყურძნის თვისებებია** გადმოცემული (კვანახურა, შაბია, კრახუნა, ყუნწმაგარა, მცვივანი, საკმიელა...); ზოგიერთი ყურძნის **მნიფობის დროზე** გვანჯდის ინფორმაციას: საადრეო, სადადეგო („დადეგი“ ნელინადის დასაწყისს ნიშნავს. კალენდრის მიხედვით ახალი წელი პირველ სექტემ-

ბერს იწყებოდა, ე.ი. ყურძენი პირველ სექტემბერს მნიფ-
დება), თიბათვის ყურძენი...; უმრავლეს შემთხვევაში ჯიშის
სახელი **სამეურნეო დანიშნულებას** გამოხატავს (სამაჭრია,
საწური, საფერავი, ბადაგი, სამარხი...), ზოგიც **სადაურო-
ბას** მიუთითებს: გორულა, კლარჯული, დიღმური, ცოლიკ-
ოური (ცორიხაული სოფელია არგვეთის ხეობაში), ციცქა
(ციცქოური სოფელია ძირულის ხეობაში), არაგვისპირული
(დუშეთის რაიონში) (მირველაშვილი, მალრაძე, 2015).

ივანე ჯავახიშვილი, ზოგადად, ქართული ვაზის ჯიშე-
ბის სახელწოდებების დაჯგუფებისას, გამოყოფს ორ ძირით-
ად ჯგუფს: პირველ ჯგუფს, რომლის წევრთა რაოდენობაც
ჭარბობს, სახელში აქვს ბოლოსართი „ურ“ (ალადასტური,
ჯავახეთურა, შავშურა, ხოფათური, ღვანურა, ჩხინკილოუ-
რი, ადანასური, ბენოურა, ბზვანურა, ოცხანური საფერე,
ძელშავი ობჩური, ხარისთვალა კოლხური, ცოლიკოური,
ორბელური, უსახელოური და სხვა), ხოლო მეორე ჯგუფის
წარმომადგენელთა სახელწოდებას კი აწარმოებს „სა“ თავ-
სართი (საწური, საფერავი, საკმიელა, საკნატუნა, სამარხი,
სამაჭრე, სამარიობო, საფარული და სხვა). მისი აზრით, სი-
ტყვა „ყურძენი“ შავი ფერის ვაზის აღმნიშვნელი უძველესი
ტიტრია. სიტყვა „ყურ“ და „ძენი“ პირვანდელი ფორ-
მით „ყურ“ – „ძელი“ უნდა ყოფილიყო: „ყურ“ მიღებულია
ყურჭიდან, „ყურჭი“ კი „ძლიერ შავს“ აღნიშნავს. აღდგე-
ნილი ფორმა იქნება „ყურჭძელი“. დროთა განმავლობაში
„ჭ“-ს ამოვარდნით და „ლ“-ს „ნ“-თი ჩანაცვლებით მივიღეთ
„ყურძენი“, რაც „შავ ძელს“ ნიშნავს, ე. ი. „ძელშავის“ სი-
ნონიმია, რომელიც ნედლი ხის აღმნიშვნელი უნდა იყოს
(ჯავახიშვილი ივ. 1934).

აღსანიშნავია ისიც, რომ „ურძენი“ ამიერკავკასიელების
უძველესი წინაპრების, ურარტუელების, ენაზე ვენახს ნიშ-
ნავდა (<http://aladasturi.blogspot.com/2008/12/blog-post.ht>)

ხაზგასასმელია, რომ საქართველოს სხვადასხვა რაიონ-

ში მოპოვებული მევენახეობა-მელვინეობის ტერმინოლოგია, რომელიც ფართოდაა წარმოდგენილი სხვადასხვა ენათმეცნიერულ, ისტორიულ, ეთნოგრაფიულ თუ აგრონომიულ ლიტერატურაში, რაოდენობრივად 250-ს უახლოვდება, ხოლო მათი სინონიმური ვარიანტები 1200-მდე აღწევს (ასათიანი, 1978).

ქართულ ენაში ვენახის, ვაზისა და ყურძნის აღმნიშვნელი ტერმინები დიფერენცირებულია: ვენახი, ზვარი, ვაზი, ყურძენი, მტევანი, აკიდო. მაგალითად, ვენახს ქართულ ენაში რვა სინონიმი აქვს, ვაზს – შვიდი, გარეულ ვაზს – ოცდათერთმეტი, მათ შორის „კრიკინა“, „უსურვაზი“, „ძღუამლი“, „ბუნძღუმი“, „მორცხულა“, „ბურეხი“, „შხურიჩი“ და ასე შემდეგ (ასათიანი, 1978).

„ვაზი-ი“ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, მცოცავლეროიანი მცენარეა, რომელიც ყურძენს იხამს. აქვეა განმარტებული ქართველებისაგან შექმნილი, საკმაოდ ლამაზი და სენტიმენტალური დამოკიდებულების, სულიერის თვისების გამომხატველი, შესიტყვება **„ვაზის ტირილი“** – ახლად გასხლული ვაზის წვენის დენა წვეთწვეთობით (გაზაფხულზე) (ქეგლ, 1990, ორტომეული, I ტომი, გვ.493).

საინტერესოა მოსაზრება, რომ სიტყვა **„ვენახი“** ძველ საქართველოში თავიდან აღნიშნავდა არა ვაზებით დარგულ ბაღს, არამედ მხოლოდ ერთ ვაზს – ყურძნის მომსხმელ ხეს, რომლის ნაყოფისგანაც ღვინის მიღება იყო შესაძლებელი. შემდეგ პერიოდში „ვენახმა“ ბაღის მნიშვნელობა მიიღო, ხოლო „ყურძენი“ ნაყოფის აღმნიშვნელ სახელად დარჩა და ძველად ამ ნაყოფის მომსხმელ ხესაც აღნიშნავდა, ხოლო დიდი ვენახის განმსაზღვრელ ტერმინად **„ზუარი“** დამკვიდრდა (გაბუნია, 2010); **ზვარი** – დიდი ვენახი (ქეგლ, 1990, ორტომეული, I ტომი, გვ.504).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ასევე ვკითხ-

ულობთ: „ვენახ-ი – მიწის ნაკვეთი, სადაც გაშენებულია ვაზი,- ვაზის ბაღი; იგივე, რაც ვაზი, **მალლარი** – მაღალ ხეზე ასული ვაზი“ (ქეგლ, 1990, ორტომეული, I ტომი, გვ.496; II ტომი, გვ.624).

ერთმანეთის სინონიმურ ვარიანტებს წარმოადგენს: **ვენახი, ზვარი, ბაგა, ახალშენი, პარტახტი, აბეჩხარი** (ალ. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ.,1951; გვ.138);

ბაგა – ახალი ვენახი (ქეგლ, 1990, ორტომეული, I ტომი, გვ.117);

ახალშენი – ახლად ჩაყრილი ვაზი, ვენახი (ქეგლ, 1990, ორტომეული, I ტომი, გვ.112);

აბეჩხარი – მოუვლელით შიგადაშიგ გამხმარი, გამეჩხერებული ვენახი/ბაღი (ქეგლ, 1990, ორტომეული, I ტომი, გვ.24);

პარტახტი – უპატრონოდ მიგდებული, აოხრებული, განადგურებული, გავერანებული ადგილ-მამული (ქეგლ, 1990, ორტომეული, II ტომი, გვ.803).

არსებობს კიდევ ერთი საინტერესო თვალსაზრისი (ლომსიანიძე, 2013), რომლის თანახმადაც, მევენახეობას უკავშირდება სიტყვა „ქართველი“, რაც ჩვენი ეთნოსის განმსაზღვრელობას მიანიშნებს; სიტყვა „რთველი“ ყურძნის კრეფის, მოსავლის აღების პროცესს გამოხატავს. მრავალფეროვანი ტერმინოლოგია საუკუნეთა განმავლობაში იცვლებოდა, ერთი ტერმინი ძველდებოდა, მის ადგილს ახალი იკავებდა. მაგალითად, „განგება“ ძველ ქართულში ვაზისათვის სარის შედგმას ნიშნავს, ახალ ქართულში კი ამის შესატყვისია „მოსარვა“ და „მოხარდნვა“ (ასათიანი, 1978).

ქართველი მეურნე დეტალურად აღნუსხავს მცენარის თითოეული ორგანოს ფუნქციასაც, მაგალითად: „**ნაბუშარა**“ უადგილო ადგილას გამოსული ვაზის ყლორტია. „**დედავაზი**“ ისეთ ვაზს ჰქვია, რომლისაგანაც სხვა ვაზებს

წინდავენ, ამრავლებენ. „**მუშა ვაზი**“ კი მსხმოიარე ვაზია (ასათიანი, 1978). ძველ ქართულ ენაში სანნახელს „ჭა – ჯურღმული“, „ორმო“, იგივე „სანნახელი“, ანუ „ნბერი“ ჰქვია (სულხან-საბა, 1993).

ეს ყველაფერი კი შორეულ წარსულში, ველური ვაზის – **კრიკინას** – სელექციით იწყება. დღეს კრიკინას მრავალი სახეობაა ჯერ კიდევ გავრცელებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელით: გარეული ვაზი, ტყის ვაზი, ტყისყურძენა, მორცხულა, უსურვაზი, ბინეხი, კაჭიჭი, ბაბილო...

ვაზის კონცეპტთან დაკავშირებული ქართული სივრცის ერთიანობაში წარმოსადგენად აღვწერთ ზოგიერთ ნიმუშს:

❖ **ადგილმდებარეობის (ქართული გეოგრაფიული ადგილ-
დასახელების) აღმნიშვნელი ვაზის სახეობები**

- **ავასირხვა** – აფხაზური ჯიში, თუმცა, მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშნებით, რქანითელს უახლოვდება. არის ინალიფების კუთვნილი ადგილი, რომელსაც ეწოდება „ვასა“. აქედან ავასირხვაში ნიშნავს ვაზს, რომელიც მოჰყავთ მთა ვასაზე; სხვა განმარტებით, „ავასა“ ნიშნავს ცხვარს, ხოლო ახუა მთის მწვერვალი, ანუ ადგილი. როგორც ჩანს, ავასირხვა წამოღებულია მთის საძოვრებიდან, სადაც იგი, ალბათ, ველურად ხარობდა.
- **ოცხანური საფერე** – სახელწოდება ამჟღავნებს მის წარმოშობას სოფ. ოცხანადან (გურია), ხოლო საფერე – მის დანიშნულებას – ე.ი. მის ვარგისობას სხვა, სუსტად შეფერილი ჯიშების ფერის გასაძლიერებლად (შესაფერად).
- **ოჯალეში** – ერ. ნაკაშიძის აზრით, „ოჯალეში“ ნაწარმოები უნდა იყოს ვენახის ნაკვეთის ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი მეგრული სიტყვისგან „ბჟა“ (მზე). აქედან,

ობჟალეში“ ანუ სამზეური ადგილმდებარეობა, მზვარე ადგილი. ამ სიტყვის დამახინჯებით წარმოიშვა „ოჯალეში“. უფრო სანდოა ივ. ჯავახიშვილის ვერსია. მისი განმარტებით, ოჯალეში ვაზის მალლობის გამომხატველი მეგრული ტერმინია „ჯა“ ნიშნავს ხეს, ხოლო ოჯა-ლეში“ – ხეზე ასაშვებ ვაზს, ანუ სახეივნოს.

- ▶ **ახმეტის ნითელი** – ეს ჯიში კახეთის მეღვინეობის მხარეში, კერძოდ, ახმეტის ზონაში გვხვდება.
- ▶ **გორული მწვანე** (სინ.: მწვანე, ჯიშიანი, ლურჯი მწვანე, თეთრფოთოლა, ქვიშური, სურამულა) – ქართული თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშია. მისი სახელწოდება მიანიშნებს გავრცელების ადგილმდებარეობაზე.
- ▶ **იმერული შავი** – ნითელყურძნიანი ვაზის ჯიშია, იმერეთში გავრცელებული.
- ▶ **ჩიტისთვალა აჭარული** – აჭარის მეღვინეობის რაიონშია გავრცელებული. აქვს მცირე ზომის, მომრგვალო, ან ოდნავ ოვალური, შავი ფერის მარცვალი.
- ▶ **ხოფათური** – აკად. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ქვაფათური, უნდა წარმოადგენდეს ხოფათურის ფონეტიკურ სახეცვლილებას. ეს ჯიში გავრცელებული უნდა ყოფილიყო სოფ.ხოფეს მიდამოებში (ჭანეთი) და მისი სახელწოდება სოფლის სახელისგან უნდა იყოს წარმომდგარი.
- ▶ **ხიხვი/ჯანანურა** – ადგილობრივი მცირედ გავრცელებული სტანდარტული ვაზის ჯიშია. თელავისა და ახმეტის რაიონებში ჯიში ატარებს „ჯანანურას“ სახელწოდებას, რომელიც მიღებული აქვს მას ახმეტის რაიონის სოფელ ჯანანიდან. ხიხვი საქართველოში სხვადასხვა სახელწოდებითაა ცნობილი: კახეთში – ხიხვი, რაჭაში – ხიხვა, ლეჩხუმში – ხიხვი, სამეგრელოში – ხემხუ და გურიაში – ხემხო.
- ▶ **უსახელოური** – ერთ-ერთ ქართულ აბორიგენულ, ნითელყურძნიან საღვინე ვაზის ჯიშს წარმოადგენს უსახელოუ-

რი, რომლის წარმოშობის ადგილია რაჭა-ლეჩხუმი. ვაზის სახელწოდება დაკავშირებულია სოფელ „უსახელოსთან“, რომელიც ცაგერის მუნიციპალიტეტში მდინარე ლაჯანურას ხეობაში მდებარეობს, რაც, უდავოდ, ადასტურებს ჯიშის ადგილობრივ წარმოშობას. ონისა და ამბროლაურის რაიონში ხშირად შეხვდებით მოსახლეობას, რომელიც მას „ოყურეშულის“ სახელწოდებით მოიხსენიებს.

❖ გამავრცელების სახელობის (სახელის ან გვარის)

- ▶ **ალექსანდროული** – ივ. ჯავახიშვილის და ს. ჩოლოყაშვილის აზრით, შორეულ წარსულში მეფე ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ მისი საბერძნეთიდან შემოტანა არ შეეფერება სინამდვილეს, რადგან ძველად „ალექსანდროული“ „კაბისტონის“ ან „კაბისტონას“ სახელით იყო ცნობილი. შემდეგ ალექსანდროული შეარქვეს მას იმ ალექსანდრეს საპატივსაცემოდ, ვინც პირველად მიაქცია ყურადღება და ფართოდ გამოიყენა თავისებური მოტკბო ღვინის დასამზადებლად. ძველად მემამულე ყიფიანი მას „ყიფიანის ღვინოდ“ ასაღებდა.

მსგავსი წარმოშობის სახელწოდებებია ასევე: სიმონასეული, მამუკას საფერე, საფერავი ბეჟაშვილის, წულუკიძის თეთრა, ხიხვი ლოლაძის, თეთრა ლაბილაძის, ბაჟანა, კაიკაციშვილისეული თეთრა, ჯაჭვადისეული, სამადაშვილისეული, კუპრაშვილისეული და სხვა.

აღსანიშნავია, რომ, შესწავლის საფუძველზე, საუკეთესო საღვინე პოტენციალის მქონე ჯიშადაა მიჩნეული, მაგალითად, სიმონასეული, რომლის ზვრები „შუმის“ კომპანიამ თავის ნაკვეთებში გაამენა ინდუსტრიალიზაციის მიზნით.

❖ დანიშნულების გამომხატველი სახელწოდებები

- ▶ **სანურავი/სანური** – აღნიშნული ტერმინი ნათლად ასახავს ჯიშის შინაარსს, რადგან იგი, როგორც წვენის

უხვგამოსავლიანი ჯიში, დასაწურად შეიძლება იქნას გამოყენებული. სახელწოდებანი „საწურავი“, „საღვინე“, რომელიც ჯიშის სამეურნეო მიმართულების მაჩვენებელია, ქართველ მეურნეს მხოლოდ სანგრძლივი და შეგნებული მუშაობის შედეგად შეიძლებოდა შეექმნა და იმ აურაცხელი ვაზის ჯიშებიდან, რომლითაც მდიდარია ჩვენი ქვეყანა, შეეძლო გამოეყო საღვინე, საყურძნე, საბადაგო, სამაჭრე, საფერე, საწურჩხელე და მრავალი სხვა დანიშნულების ვაზი.

- **საფერავი** – მოსავლიანობის, შაქრის დიდი შემცველობისა და საღებავის სიუხვით ძვირფას ვაზის ჯიშად ითვლება. საჭმელად ნაკლებად იხმარება, უპირატესად საღვინე ჯიშია. საფერავისგან დაყენებული წითელი ღვინო გამოირჩევა სურნელით, ფერითა და სიმაგრით. იყენებენ სხვა ღვინოების გაუმჯობესებისა და შეფერადებისთვის. დაძველების მიხედვით მისგან დაყენებული ღვინის მარკებია „**საფერავი**“ (ერთ წლიანი), „**ქინძმარაული**“ (ორ წლიანი) და „**მუკუზანი**“ (სამი და ზევით).

ცნობილია, რომ ჯიში მით უფრო ძველია, რაც უფრო მეტი ვარიანტის სახით არსებობს და მეტი სახელწოდებითაა ცნობილი. ამ თვალსაზრისით, საფერავი უძველეს ჯიშად უნდა ჩაითვალოს. მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურულ წყაროებში და ადგილობრივ მევენახეთა შორის საფერავი ცნობილია ბევრი სხვადასხვა დამატებითი სახელწოდებითაც. ეს აიხსნება იმით, რომ საფერავი მეტად ძველი ჯიშია, შავშვეთის პროვინციიდან შემოსული, თანდათან აღმოსავლეთისკენ გადმონაცვლებული და ყველაზე მეტად კახეთში დამკვიდრებული, რის გამოც იგი მდიდარია სახეცვლილი ფორმებით – ვარიაციებით (ლ.ჯორჯაძე, ს. ქვარიანი, პ. ავერკინი). განასხვავებდნენ ნამდვილ საფერავს, მამალ საფერავს, დედალ საფერავს, ბუდეშურის-მაგვარ საფერავს, მსხვილმარცვალა საფერავს და წვრილ-

მარცვალა საფერავს. არსებობს კიდევ: ვაიოს საფერავი, საფერავი გურიის, საფერავი დიდთანაყვავილიანი, საფერავი მარცვალმცვენი, საფერავი მოკლემტევანა, საფერავი უხვმოსავლიანი, საფერავი ფაჩხა, საფერავი ყვავილმცვენი, საფერავი ატენის, საფერავი მეჯვრისხევის, საფერავი ქართლის და სხვა.

ვარიაციების ასეთი სიმდიდრე, საფერავის გარდა, არც ერთ ქართულ ჯიშს არ ახასიათებს. ასეთი სიმდიდრე შეიძლება აიხსნას საფერავის ძლიერ ხანგრძლივი კულტურის განმავლობაში გარემოპირობების ხშირი და მკვეთრი ცვალებადობით, რასაც შეეძლო გამოეწვია ამ განსხვავებული ფორმების წარმოქმნა. ივ.ჯავახიშვილის ცნობით, თავდაპირველად საფერავი ძველ ქართულ პროვინციაში – შავშეთ-კლარჯეთში ყოფილა გავრცელებული. აქ იგი რამდენიმე საუკუნით უფრო ადრე ყოფილა გავრცელებული, ვიდრე ქართლში. ქართლში საფერავი მხოლოდ მე-17 საუკუნის დასაწყისშია ნახსენები. ამის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ საფერავი ფორმათა წარმოქმნის შავი ზღვის არმოსავლეთ სანაპიროს – ძველი კოლხეთის – კერიდან უნდა იყოს წარმოშობილი, შემდეგ აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გადმონაცვლებით, ქართლზე გავლით, იგი საბოლოოდ დამკვიდრებულა კახეთში უკვე მე-17 საუკუნის ბოლოს. საინგილოში საფერავი და რქანთელი დღესაც ბლომად მოიპოვება საკუთარ ძირზე.

❖ გარეგნული ფორმის მიმანიშნებელი

- **რქანთელი** – ამ ჯგუფში, პირველ რიგში, უნდა მოვიხსენიოთ რქანთელი, რომლის რქა, ნაყოფის მნიფობიასა, წითელია; შორეულ წარსულში რქანთელს კუკურას უწოდებდნენ. არჩევდნენ მამალ და დედალ რქანთელს (ლ. ჯორჯაძე), ყვითელ და წითელ რქანთელს (ს. ჩოლოყაშვილი), საინგილოში – კუკურას სახელწოდებით

(გეევსკი და შარერი), საზღვარგარეთ – ტოპოლიოკის, გრუზინსკის, კოროლიოკის და ბუდეშურის, რქანიტელი გელბ, რქანიტელი გიალოს სახელწოდებებითაა ცნობილი.

რაც შეეხება წარმოშობის დროს, მე-13 საუკუნეზე უფრო ადრინდელი სამეურნეო ისტორიის ძეგლები დაცული არაა. ამის გამოა, რომ აკად. ივ. ჯავახიშვილს ქართული ვაზის ხნიერების დადგენისას, ჯიშის სახელწოდების ენობრივი ანალიზის საფუძველზე, რქანიტელის წარმოშობა ნავარაუდევია აქვს პირველ ხუთ და მომდევნო საუკუნეებში. სხვა, მცენარის მორფოლოგიური, ნიშნების მიხედვითაც რქანიტელი, საფერავთან შედარებით, გაცილებით უფრო ახალგაზრდა ჯიშად უნდა იქნეს მიჩნეული.

- ▶ **ვარდისფერი რქანიტელი** – არის ვაზის ერთ-ერთი იშვიათი ქართული ჯიში, რომლის დაბადების ზუსტი თარიღი და ადგილი ცნობილია – 1948 წლის შემოდგომა, სოფ. მუკუზანი (ქანთარია, ვ., რამიშვილი, მ., 1948). ეს ვარიაცია ჩვეულებრივი რქანიტელისგან, გარდა ფერისა, უფრო კუმსი მტევნებითა და მაღალი შაქრიანობით განსხვავდება.“

სპეციალისტების განმარტებით, ვარდისფერი რქანიტელი წარმოშობილია ვარიაციის გზით. ამ შემთხვევაში, ვარდისფერი რქანიტელი არის კვირტული მუტაციით – კვირტში მომხდარი სპონტანური ცვალებადობით, ვარიაციით – წარმოშობილი ჯიში. იგი, იმთავითვე, სრულიად განსაკუთრებული და გამორჩეული იყო „მშობელი“ რქანიტელისგან“.

- ▶ **რქანიტელი წითელი** – რქანიტელის ძირითადი ფორმისგან განსხვავდება მარცვლების მუქი ლურჯი შეფერილობით და შედარებით უფრო დაკბილული ფოთლებით. ხოლო რქანიტელის ვარდისფერი ვარიაციისაგან მარცვლების ფერითა და ღვინით. კერძოდ, ვარდისფერი რქანიტელის

ღვინო უფრო თეთრია ან ღია ვარდისფერი, ხოლო წითელი რქანითელისა – ინტენსიური შეფერილობის, მუქი ბროწეულისფერი და მაღალი ხარისხისაა.

- ▶ **მცვივანი** – სახელწოდება მიღებული უნდა ჰქონდეს არა იმის გამო, რომ მისი მარცვლები სუსტადაა მიმაგრებული ყუნწზე და ადვილად სცვივა, არამედ იმის გამო, რომ ჯიში ზედმეტი ყვავილცვენით ხასიათდება, განსაკუთრებით, ნვიამიან ამინდში. ამიტომ ცუდად იმტვერება და თხელ, მეჩხერ მტევნებს ივითარებს.
- ▶ **მწვანე** – სახელწოდება მიღებული აქვს მწიფე მარცვლების მოყვითალო-მწვანე ფერის გამო.
- ▶ **ჩინური** – ივ. ჯავახიშვილი წერს: მისი სახელი „ყურძნის ამ ჯიშის მარცვლების ფერის მაუწყებელი უნდა იყოს“. სრული მწიფობის პერიოდში ჩინური ყურძენი იღებს რა მომწვანო-მოქარვისფრო ლამაზ შეფერვას, იგი ამ ფერით წააგავს „ზეთის ხილის ფოთლის ფერს“, რომელიც ძველ ქართლში „ჩინის სახელწოდებით იყო ცნობილი. ყურძენს მარცვლის ფერის აღმნიშვნელი სახელი „ჩინი“ უღევს საფუძვლად. ქართლის მოსახლეობა მას „ჩინებულსაც“ უწოდებს, რადგან დასახელებულ ჯიშს ახასიათებს მთელი რიგი დადებითი ნიშნები (ძლიერი ზრდა, უხვი მოსავალი, ლამაზი აღნაგობის მტევანი და მარცვალი, ყურძნის შენახვისა და ტრანსპორტირების კარგი უნარი), სოკოვან დაავადებათა და ფილოქსერას მიმართ საკმაო გამძლეობა, ხოლო მისგან დამზადებულ ღვინოს კი მაღალი ხარისხი – ცნობილია „ატენური ღვინის სახელწოდებით. ყველა ამ თვისებათა გამო შეარქვეს მას, როგორც ჩინებულ ჯიშს – ჩინური (გამოჩინებული). იგი საუკეთესო ადგილობრივი ჯიშია, ჩინურის სახელი, მისი ფერიდან უნდა მომდინარეობდეს – „ჩინი“ ზეთისხილის ფოთლის ფერია მომწვანო-მოქარვისფერო (სულხან-საბა, 1993).
- ▶ **სხილათუბანი** – რცხილათუბანი, სხილათობანი, ცხი-

ლათობანი. ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, აღნიშნული სახელწოდება ჯიშს მიკუთვნებული უნდა (ნაკლებად დასაჯერებელი, მაგრამ მაინც) ჰქონდეს მის კუმს მტევნებში პანანინა მწერების დაბუდების გამო. ამ მწერს გურიაში: სხილს“ ეძახიან. ივ. ჯავახიშვილი სხილათუბანს თვლის სოფლის რცხილათუბანის ფონეტიკურ სახესხვაობად, მაგრამ რადგან გურიაში ასეთი სოფელი არ არის, დასაშვებად თვლის ამ ჯიშის არგვეთში მდებარე სოფ. რცხიაეთიდან წარმოშობას. ამ ჯიშს ადარებს აგრეთვე, რაჭულ წითელყურძნიან ჯიშს „რცხილას“, რომელიც უნდა იყოს რცხიათუბანის ბოლოშეკვეცილი ფორმა.

- ▶ **კრახუნა** – თეთრყურძნიანი საღვინე ჯიში. აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, „კრახუნა მარცვლის თვისების გამომხატველი იმერული წარმოშობის სიტყვაა. დასავლეთ საქართველოში ამბობენ: „მარცვალი პირში სკდება, კრახუნობს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში კრახუნა – კნატა-კნუტს, კნატუნს“ ნიშნავსო. ცხადია, ჯიში აღმოსავლეთ საქართველოდან რომ იყოს წარმოშობილი მას ალბათ ან „კნატუნა“ ერქმეოდა, ამ სხვა ამის მაგვარი და მორფოლოგიური ნიშან-თვისებებითაც მათი მსგავსი იქნებოდაო“.
- ▶ **ჩიტისთვალა** – სახელწოდება „ჩიტისთვალა ჯიშს შერქმეული აქვს თავისი მარცვლის ფორმისა და სიმსხოს გამო, რომელიც სხვა ჯიშების მარცვალთან შედარებით, მართლაც, ჩიტის თვალივით მრგვალი და წვრილია. იგი ადგილობრივი, ნაკლებად გავრცელებული ვაზის ჯიშია, იძლევა ხარისხოვან სუფრის თეთრ და სადესერტო ღვინოს. ამჟამად ჩიტისთვალა გავრცელებულია კახეთში, ძირითადად, გურჯაანის, თელავისა და სიღნაღის რაიონებში.

❖ **ქართველისათვის საამაყო ვისიმე ან რისიმე სახელი
საპატივსაცემოდ**

- ▶ **თამარის ვაზის** შესახებ წერილობითი ცნობები არ მოგვეპოვება, თუმცა, აღნიშნული ვაზი, **თამარის ყურძნის სახელწოდებით, არის შპს „ღვინის კომპანია შუმის“ საკოლექციო ვაზის ჯიშებს შორის**, თამარის ვაზი აგრეთვე გვხვდება მესხური ვაზის ჯიშების ჩამონათვალში.

❖ **ლამაზი ქართული სიტყვა**

- ▶ სავარაუდოდ, უბრალოდ, ლამაზი ქართული სიტყვებია შერჩეული ზოგიერთი ჯიშის აღმნიშვნელად, მაგალითად: ალადასტური, კრახუნა, ხარისთვალა, დაისი, ჩემპიონი, ვაშლიჯვარი, თბილისური, ივერია, კოლხური, მთის ვაზი, საამო, საქართველო, ქართული პირველი, ჩინებული..., თუმცა, ჩვენი აზრით, გარკვეული მინიშნება მაინც იგრძნობა თითოეულ მათგანში....

უცხოეთიდან შემოტანილი ჯიშები

დარგის საკუთარ თავში ჩაკეტვა მისი მოსპობის მომასწავებელია. სწორედ ამ თვალთახედვას ემსახურება ის, რომ უცხოური ვაზის ჯიშები შემოტანილი და დანერგულ იქნა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მევენახეობა-მელვინეობის დარგის განვითარებისათვის მათ ადგილობრივზე არანაკლები ყურადღება მიექცა.

ორსაუკუნემდე გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოში ადგილობრივ აბორიგენულ ვაზის ჯიშებთან ერთად, წინასწარი შესწავლის საფუძველზე, უცხოური ვაზის ჯიშებიც გააშენეს. ამ ჯიშების უმეტესობა საქართველოში მე-19 საუკუნეში შემოიტანეს. თუმცა, უცხოური ვაზის ჯიშების მასობრივი გაშენება ჩვენთან გასულ საუკუნეში

დაიწყო. ეს ჯიშები სხვადასხვა ადგილზე იყო შესწავლილი. აკვირდებოდნენ ისეთ ჯიშებს, რომლებიც ხარისხობრივად არ ჩამორჩებოდა ქართულს. ჩვენს ქვეყანაში შემოტანილი ევროპული ვაზის დიდი უმრავლესობა ისეთ ჯიშებს წარმოადგენს, რომელთაგან საუკეთესო და ცნობილი ცქრიალა ღვინოები დგება.

საქართველოს ევროპასთან დაახლოების ერთ-ერთი ნიშანი სწორედ ქართულ მიწაზე პირველი ევროპული ვაზის ჯიშების გაშენება იყო. ეს ინოვაციური წამონყება უკავშირდება ალექსანდრე ჭავჭავაძის სახელს, რომელმაც კახეთში, წინანდალში, თელიანის ზონაში, ფრანგული ვაზის ჯიშები გააშენა.

კაბერნე პრინცი მიურატის მიერ საქართველოში უცხოეთიდან (საფრანგეთი) შემოტანილი ყველაზე მნიშვნელოვანი ჯიშია. ადგილწარმოშობის პოპულარული ღვინო „თელიანი“ სწორედ სახელგანთქმული ფრანგული ჯიშის – კაბერნე სოვინიონისგან – მზადდება.

ცნობილი ამპელოგრაფები საქართველოში კაბერნეს გავრცელებასთან დაკავშირებით წერდნენ: „მხოლოდ კახეთში, სუფრის ღვინოების ამ საუკეთესო რაიონში, მოგვცა კაბერნემ შედარების საშუალება ბორდოს კარგ სამარკო ღვინოებთან. კაბერნეს ღვინომ თელიანისა და ნაფარეულის მესამეული პერიოდის ქვიან დანალექებზე გამოამყლავნა მაღალი ღირსება: მდიდარი შეფერვა, ნაზი ბუკეტი და გამშვენიერება ხანგრძლივი შენახვისას“.

კაბერნემ კახეთში დადებითი თვისებები გამოამყლავნა და წინანდალში, თელიანის ველზე, განსაკუთრებულად კარგი შედეგები ჰქონდა, მაგრამ იმერეთში ამ ჯიშმა ვერ გაამართლა. ეს ფაქტი, ერთი მხრივ, საქართველოს სხვადასხვა კუთხის აგროკლიმატურ მრავალფეროვნებაზე მიუთითებს და ხსნის საქართველოში ადგილობრივი ყურძნის ჯიშების მრავალრიცხოვნებას, მეორე მხრივ, ამართლებს

უცხოური ჯიშების ინტროდუცირების შესახებ აკადემიკოს ჩხარტიშვილის მეცნიერულ მიდგომას, რომ ბრმად კი არ უნდა მოხდეს შემოტანილი ამა თუ იმ ჯიშის გაშენება, არამედ, მათ გახარებამდე მნიშვნელოვანია ამ ჯიშების შესწავლა, ხელსაყრელი ნიადაგისა და კლიმატური პირობების შერჩევა... სწორედ ამიტომ, მაგალითად, კომპანია „შუმში“ ბოლო დროს შემოტანილი 2000-ზე მეტი უცხოური ჯიში ჯერ მხოლოდ მეცნიერული შესწავლის საფეხურზეა, რათა მასობრივად გაშენებისათვის სწორად იქნეს შერჩეული ქართულ ნიადაგსა და აგროკლიმატზე მორგებული, მაღალხარისხოვანი პროდუქციის მომცემი ვაზის სახეობები, რომლებიც დროთა განმავლობაში, უდავოდ, იქცევა ქართული კულტურის შემადგენელ, ორგანულ ნაწილად.

შავი პინო – ფრანგული წითელყურძნიანი საღვინე ვაზის ჯიში, სასუფრე და საშამპანურე ღვინისთვისაა. მისი სამშობლო ბურგუნდია. საქართველოში შავი პინო შემოტანილ იქნა XX საუკუნის დასაწყისში საუფლისწულო უწყების მიერ და დაინერგა მცირე ნარგავების სახით კახეთის, ქართლისა და იმერეთის რაიონებში. პინომ საქართველოში გაამართლა. განსაკუთრებით პინოს ჯგუფის ვაზმა, სახელად **პინო შავმა**, რომელსაც ფრანგულადაც იგივე სახელი – **პინო ნუარი** (ფრანგულად) ჰქვია.

შარდონე – ერთ-ერთი პირველი უცხოური თეთრყურძნიანი ჯიშია, რომელიც საქართველოში შემოიტანეს. მან შიდა ქართლსა და იმერეთში კარგად გაიხარა და საუკეთესო აღმოჩნდა ცქრიალა ღვინის დასაყენებლად. დღეისათვის შარდონეს დიდი ზვრები აღმოსავლეთ საქართველოშიცაა. ნაფარეულის მიკროზონაში გაშენებული შარდონეს ყურძნიდან კომპანია „შუხმან-ვაინს-ჯორჯია“ ამზადებს არამარტო საუკეთესო ცქრიალა ღვინოს, არამედ ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ბუნებრივი ნივთიერებებით გამდიდრებულ, პოპულარულ შემაგრებულ ღვინოს

– „კავკასიონი“.

ალიგოტე – (ფრანგული), მე-20 საუკუნეში შემოიტანეს მუხრანში, ქსნის ხეობაში. აქ მან საინტერესო თვისებები აჩვენა და იმდენად კარგად შეერწყა ქართულ მევენახეობას, რომ ადგილობრივებმა ჯიშს სახელი „**მუხრანულა**“ დაარქვეს და ამავე სახელწოდების ღვინის ჩამოსხმა დაიწყეს.

გარდა ამისა, უცხოეთიდან ისეთი ჯიშებიც შემოიტანეს, რომელთაგან ზოგიერთის სახელს ქართული შესატყვისი აქვს. მაგალითად, **მუსკატს**. ქართულად ამ სახელწოდებას „**ბუზა**“ შეესატყვისება. ის ქართული ვაზის გენოფონდში არსებული ჯიშია, თუმცა, ფრანგული თუ იტალიური მუსკატური ჯიშის ყურძნები და ქართული ბუზა ფრიად განსხვავებულია მორფოლოგიური, გენეტიკური თუ სპეციფიკური თვისებებით.

უცხოეთიდან, საღვინე ჯიშების გარდა, სასუფრე ჯიშები შემოაქვთ, რადგან ამ მხრივ გარკვეული დეფიციტია საქართველოში. მაგრამ ძალიან დიდი სიფრთხილით, რათა არ მოხდეს ჯიშების აღრევა, ამა თუ იმ ჯიშმა არა დაკარგოს თავისი თავდაპირველი ღირსებები და საუკეთესო ჯიშები კიდევ უფრო მეტი პოტენციის გამომჟღავნების უნარიანი გახდეს საქართველოს მიწა-წყალზე.

უცხოური ვაზის ჯიშები ძირითადად თავისი სახელწოდებებით დამკვიდრდა საქართველოში. ხშირ შემთხვევაში მათგან წარმოებულ პროდუქციასაც ჯიშის სახელწოდება აქვს შერჩენილი. მაგალითად: „**კაბერნე**“, „**საფერავი-კაბერნე**“, „**მარდონე**“, „**მერლო**“, ზოგჯერ კი მათგან წარმოებული ღვინო ლამაზ ქართულ სახელს ატარებს („**კავკასიონი**“).

ეს არის ფაქტები, რომელიც დღეს ქართული მევენახეობა-მეღვინეობის ახლო წარსულია, ხვალ და შორეულ მომავალში კი ამ დარგის ისტორიის ნაწილი გახდება.

ქართული ჯიშების უცხოეთში გატანა

საქართველოში უცხოური ჯიშების შემოტანა გვიან, მე-19 საუკუნის პირველი ნახევრიდან, დაიწყო. მანამდე კი, საუკუნეებით ადრე, ქართული აბორიგენული ვაზის ჯიშები საზღვარგარეთ გადიოდა და მეზობელ ქვეყნებში ვრცელდებოდა.

მეცნიერთათვის ცნობილია კულტურული ვაზის გავრცელების ორი გზა: სამხრეთ კავკასიიდან კულტურული ვაზი გავრცელდა ევრაზიის დასავლეთ, აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ნაწილებისაკენ, ასევე ჩრდილოეთ აფრიკისკენ, ხოლო პალესტინიდან, სირიიდან და ეგვიპტიდან კი მან ხმელთაშუაზღვისპირეთში გადაინაცვლა. შემდგომ პერიოდში ევროპული კოლონიზაციის გავლენით მევენახეობა-მელვინეობა მსოფლიოს ზომიერი კლიმატის მქონე რეგიონების უმრავლესობაში დამკვიდრდა და თანდათან განვითარდა.

მოგვიანებით, ამ პროცესს განსაკუთრებით ხელი შეუწყო უცხოეთში დაარსებულმა ქართულმა მონასტრებმა. როგორც ცნობილია, მე-11 საუკუნიდან დაწყებული, ქართველ ბერთა სავანეები შეიქმნა ბიზანტიაში (ათონის ივერთა მონასტერი), ბულგარეთში (პეტრიწონის მონასტერი), პალესტინაში (ბეთლემის ჯვრის მონასტერი) (მირველაშვილი მ., მალრაძე დ., 2015), სადაც სამონასტრო მარნებში საუკეთესო ღვინოები მზადდებოდა.

სხვადასხვა მეცნიერის მიერ აღმოჩენილია არაერთი ქართული ვაზის ჯიში, რომლებიც სხვადასხვა დროსაა გატანილი საზღვარგარეთ და დღემდე არსებობს პირდაპირ თარგმნილი ან ქართულთან მიმსგავსებული სახელწოდებით.

ასეთია, მაგალითად, **თითა** – უძველესი ქართული ჯიში, რომელიც რამდენიმე ვარიაციის სახით არსებობს საქართველოში: **თითა ქართლული, რბილთითა...** ივანე ჯა-

ვახიშვილის აზრით, საქართველოდანაა გატანილი და იქ, უცხოეთში, ქართულიდან თარგმნილი სახელწოდებები აქვს მინიჭებული. საბერძნეთში მას „დაქტილად“ მოიხსენიებენ, იტალიაში „დიგიტელად“, არაბები – „ქალწულის თითებს“ უწოდებენ, აზერბაიჯანელები – „ქალბატონის თითებს“.

ანალოგიური შემთხვევაა ჯიმ „მელაკუდასთან“ დაკავშირებით. აზერბაიჯანში, თურქეთსა და სომხეთში „მელინკუტი“ ჰქვია. ძველ ბერძნებს ამ ჯიშისთვის „ალოპეტი“ (ბერძ. მელია) დაურქმევიათ, იტალიელებს – „ალოპეცი“ (იტალ. მელია). იტალიურ ისტორიულ წყაროებში „ჩაუდე ვოლპე“ ჰქვია, დღეს კი – „ჩოდუდუ ვოლპე“, რაც ქართულად „მელიის კუდს“ ნიშნავს.

ხარისთვალა (ხოჯის თოლი) ერთ-ერთი უძველესი მებრული ჯიშია, რომელიც მეზობელ ქვეყნებში – სომხეთში, აზერბაიჯანში, ასევე, საბერძნეთში, იტალიაში, საფრანგეთში, ავსტრიაში, გერმანიაში, ბელგიაში, ინგლისში, ავსტრალიაშია გავრცელებული. გერმანიასა და ავსტრიაში პირდაპირ ნათარგმნი მნიშვნელობით მოიხსენიება. ასევე, ჩეხეთში – „ვოლოვკა“, რაც სლავური სიტყვისაგან „ვოლოვოკო“ არის წარმომდგარი.

დონდლლაბი საფრანგეთში **დოდრელაბის** სახელწოდებითაა.

ზოგიერთ შემთხვევაში ისინი ამ ნათარგმნი, მიმსგავსებული ან მინიჭებული სახელწოდებით უკან უბრუნდებოდა საქართველოს, როგორც ახალი, უცნობი ჯიშის. ასე დაუბრუნდა „დონდლლაბი“, „ხარისთვალა“ და სხვა.

სელექციის გზით მიღებული

გასულ საუკუნეში, მნიშვნელოვანი სელექციისა და ქართული და ქართული, ან ქართული და უცხოური ჯიშების შეჯვარების გზით, მიღებულ იქნა ყურძნის ახალი სახეობები, რომელთაც სელექციონერების სახელი, ან ადგილმდებარეობის გამომხატველი, ან მნიშვნელოვანი ისტორიული და სხვა ლამაზი ქართული სახელწოდებები ეწოდა ნიშნად იმისა, რომ ისინი საქართველოში იქნა გამოყვანილი: **დაისი, კახური შავი, ჩემპიონი, ხიდისთაური წითელი, ქართული მუსკატი, აგუნა, ანა, ბესტიაშვილის თეთრა, ვაზისუბნის მუსკატი, ვაზისუბნის საადრეო, ვარძია, ვაშლიჯვარი, თბილისური, ივერია, კახური თეთრი, კოლხური, მთის ვაზი, რქანთიქლი მუსკატური, საამო, საქართველო, ქართული თითა N5-4, ქართული პირველი, ჩინებული, შალვასეული ქარვისფერი და სხვა.**

მეცნიერ-ამპელოგრაფების აზრით, ჯიში გადაშენებას გადაურჩება, თუ სულ მცირე სამ კოლექციაში მაინც არის დაცული. სწორედ ამ საქმეს ემსახურება საქართველოში არსებული სახელმწიფო და კერძო ამპელოგრაფიული კოლექციები.

მათ შორის, „მელვინეობა შუმმა“, ქართული გენოფონდის გადასარჩენად და საქართველოში ვაზის ჯიშების მრავალფეროვნებისათვის, 2005 წელს წინანდალში, კომპანიის ტერიტორიაზე, კარდაკარ მოძიებული, გადაშენების პირას მდგარი ჯიშებისაგან შექმნა მსოფლიოში ყველაზე დიდი კერძო ამპელოგრაფიული კოლექცია, რომელსაც „**ლაზარე**“ უწოდა და ამ მამულიშვილური აქტით რამდენიმე ათეული ჯიში გადაშენებას გადაარჩინა. აქ 450-მდე ქართული (მათ შორის, იშვიათი ავტოქტონური) და 47 ქვეყნიდან ჩამოტანილი 2000-მდე უცხოური ვაზის ჯიშია კულტივირებული (კოლექცია საერთაშორისო ორგანიზაცია FAO-ს

კოლექციათა ნუსხაშია აღრიცხული და უნიკალური კოდი GEO 036 აქვს მინიჭებული).

ამგვარად, დღეს საქართველოში ვაზის უძველესი, იშვიათი ავტოქტონური, ველური, ველურად მოზარდი, სელექციით გამოყვანილი, უცხოეთიდან შემოტანილი სახეობებია გავრცელებული, რომლებიც ვაზთა სახელწოდებების სიმრავლეს ქმნის და, ძირითადად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართული ეტიმოლოგიისაა.

1.2. ღვინო ქართულ მენტალობაში

ქართველის მიერ ვაზის მსგავსი დამოკიდებულება იკვეთება ღვინის მიმართაც – ღვინის, მინიმუმ 8000-წლიანი უწყვეტი წარმოება, უდავოდ, ადასტურებს, რომ საქართველოში ვაზთან ერთად ღვინის ფენომენიცაა; იგი ყველაზე ტრადიციული და ათასწლეულების მანძილზე ხელოვნების დონეზე აყვანილი დარგია, ეს კი უცილობლად ერის მენტალობას, ღვინის, როგორც ლინგვოკულტუროლოგიურ კონცეპტობას, უსვამს ხაზს:

„...მოყვარესაც და მტერსაც ღვინით გაუძღვება ქართველი, სიცოცხლესაც და სიკვდილსაც ღვინით შეეგებება!

დაცემულ მოძმეს გაამხნევენ: ჯამს იქით მხარეს წაიღებს, სადაც ბეჩავი ზისაო!

ქართველი კაცი, როდესაც ღვინით უმასპინძლდება მეგობარს, უსურვებს ტკბილ ძმობას, დღეგრძელობას, სიხარულს, ხოლო ქვეყნიერებას – კეთილდღეობას, მშვიდობას“!

ქართველი ერი ღვინით იშორებდა დამპყრობელთა მიერ დადებულ მძიმე ხარკს. „ღვინო ქართველი კაცის ხმალიაო“, – იტყოდნენ ძველად და, მართლაც, ლხინში, ჭირში, ომში, შრომაში, სიკვდილზე უღვინობა საქართველოში შეუძლებელია“! – წერდა გიორგი ლეონიძე თავის სტატიაში „ქართული ვაზი, ქართული ღვინო!“ (მოდებულისა: <http://vinoge.com/istoria/qarTuli-vazi-qarTuli-Rvino>).

შულავერის არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებულმა „განძმა“ დაადგინა, რომ იმ დროისათვის, ჩვ.წ. აღ-მდე 6000 წლის წინ, მტკვრის ხეობაში, ქართულ ტერიტორიებზე მეღვინეობის უკვე კარგად განვითარებული კულტურა არსებობდა. იმავე შულავერის არქეოლოგიურმა გათხრებმა, კულტურული ვაზის ნიპნის პარალელურ შრეზე, ღვინისათვის განკუთვნილი თიხის ჭურჭლის ნატეხები და მის კედლებზე დარჩენილი ღვინისმუყავას ნაშთები აღმოაჩინა.

ნამდვილ ბიოღვინოს, რომლის დამზადებაზეც დღეს

დიდი გამოწვევების წინაშე დგას მსოფლიო მელვინეობა, კოლხები უძველეს დროში ამზადებდნენ. ძველი ბერძნული წერილობითი ძეგლების მიხედვით, კოლხეთი ღვინისა და მელვინეობის ქვეყანა იყო. ბერძენი ფილოსოფოსი ჰომეროსი ჩვ.წ. აღ-მდე მე-10 საუკუნეში თავის „ილიადაში“ წერდა, რომ კოლხები ამზადებენ ცქრიალა და სურნელოვან ღვინოებს.

მისსავე „ოდისეაშიცაა“ ინფორმაცია კოლხური ღვინოების შესახებ. პოემის მთავარ გმირს – ოდისევსს და მის მეგობრებს კოლხეთში „ლალისფერი ცქრიალა ღვინით“ უმსაპინძლდებოდნენ. აპოლონიოს როდოსელი კი თავის პოემაში „არგონავტიკა“ აღწერს კოლხთა მეფე აიეტთან აიაში (იგივე ქუთაისში) ნანახ მრავალ საოცრებას, რომელთა შორის, პირველ რიგში, ხიბლავს ვაზის ტალავრები ქვეშ მომდინარე ღვინის შადრევნებით.

ღვინის არსებობის უძველესობაზე მეტყველებს ვარძიის (მე-12 საუკუნე) ერთ-ერთ გამოქვაბულში ნაპოვნი ორტონიანი ქვევრი-თერმოსიცი, რომლის ორმაგი კედლების საშუალებით შესაძლებელი ყოფილა ალკოჰოლური დუდილის ტემპერატურის რეგულირება და მალალხარისხიანი ღვინის დაყენება.

ყველასათვის ცნობილია ქართული მელვინეობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის პროდუქტები: პირველი – ღვინის დაყენების ადგილობრივი მეთოდები: კახური და იმერული და მეორე – ღვინის დაყენების ორიგინალური ჭურჭელი ქვევრი.

ძალზე საამაყოა, რომ ქვევრში ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციულ უნიკალურ მეთოდს 2013 წელს (UNESCO) იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა, რაც გზავნილია მთელი მსოფლიოსათვის, რომ ღვინო უძველესი ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილია.

გარდა ქვევრისა, მრავალფეროვანია ძველი ქართული საღვინე ჭურჭელი, რაც ასევე მოწმობს, რომ ქართველი ღვინოს, როგორც ეროვნულ პროდუქტს (და მის წარმოებას), ფენომენალურ (სასიცოცხლო) მნიშვნელობას ანიჭებდა ოდითგანვე.

დავასახელებთ რამდენიმე ნიმუშს:

ლევან სეფისკვერაძე გვამცნობს, კარგი ღვინის დაყენება სწორად შერჩეული და ხარისხიანი საღვინე ჭურჭლის გარეშე შეუძლებელია. საქართველოში ადრეული პერიოდიდან გამოიყენებოდა ისეთი ძველი საღვინე ჭურჭელი, როგორცაა: **ტიკი, რუმბი, ქვევრი, კასრი და სხვა**. მათ საკუთარი მსაზღვრელებიც კი გააჩნდათ: **გაბერილი ტიკი, გასიებული რუმბი, დაგორებული კასრი**, თუმცა, როდესაც მინის ჭურჭელი შემოვიდა, ძველი საღვინე ჭურჭლის დამზადების ტრადიცია თანდათან მოიშალა და ბევრი ადამიანის ხსოვნაში მხოლოდ ადრეულ ლექსებსა და მოთხრობებში შემორჩა.



ტიკი და თულუხჩი

საღვინე ტიკს ძველ საქართველოში ამზადებდნენ ხარის, თხის, ან კამეჩის ტყავისგან, რომელსაც ქვემოდან სახელოსავით ჰქონდა მიკერებული ღვინის ჩამოსასხმელი. იტევდა 4-5 ფუთ ღვინოს ან წყალს და ყულფებით იყო დამაგრებული ცხენის ან სახედრის კეზზე. ღვინოს ტიკში პირიდან ასხამდნენ, იქიდან ჩამოსხმა კი “სახელოდან” ხდებოდა. 1893 წლიდან ქალაქის თვითმმართველობამ თბილისში დიდი ტიკები ხის კასრებით შეცვალა. კასრებით წყლის ან ღვინის მზიდავს კი მაინც თულუხჩი ან მეთულუხჩე ერქვა.

ძალზე საინტერესოა ის ფაქტი, რომ ტიკი თავისი არსით იყო წყლის გადასაზიდი და არა შესანახი ჭურჭელი. ერთ კვირაზე მეტ ხანს ტიკში გაჩერებული ღვინო კარგავ-

და თავის საუკეთესო თვისებებს და დამმარებას იწყებდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ტიკებს შიგნიდან შავი გუდრონით (იგივე ფისით) გლესდნენ, ამიტომ კარგი მელვინე ტიკში ღვინოს 1-2 დღეზე მეტ ხანს არასოდეს აჩერებდა – ან ქვევრში ასხამდა, ან კასრში და, ანდაც, რუმბში. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს იმას, რომ ლინგოკულტუროლოგიის პარადიგმაში ერთ-ერთი პირველი ადგილი ღვინის მოფრთხილების, შენახვისა და გამოყენების წესების ცოდნის აუცილებლობას უკავია.



რა იყო რუმბი, ეს უფორმო, უზარმაზარი ჭურჭელი?

ეთნოგრაფი გიორგი ბერიძე წერს: „რუმბი იყო მრავალნაირი და ბევრნაირი დანიშნულების. იგი კეთდებოდა სპილენძისაგან, კამეჩის ტყავისგან ან ალუმინისაგან. თბილისში ყველაზე დიდი რუმბები სომხებს ჰქონდათ, რომლებიც შემოდგომაზე ნაყიდ ღვინოს ინახავდნენ და გაზაფხულზე და ზაფხულში კარგ ფასად ყიდდნენ. არსე-

ბობდა ერთტონიანი, ორტონიანი და ხშირად სამტონიანი რუმბებიც კი. ასეთ ჭურჭელს გადასატანად ხარ-კამეჩები სჭირდებოდა. რუმბების ფორმებიც განსხვავებული იყო. არსებობდა დიდმუცელა, ვინროყელიანი რუმბები, რომელსაც თავზე სველი თიხით შელესილ ხეს აფარებდნენ. ასევე იყო მოგრძო დიდყელიანი რუმბებიც. საერთოდ უნდა ითქვას, რომ რუმბებს, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ყველაზე კარგად სპარსელი ხელოსნები აკეთებდნენ. მოგეხსენებათ, სპარსელებს ღვინის დაღევას რელიგია უკრძალავთ, მაგრამ, როგორც ჩანს, თბილისელი სპარსელები განსაკუთრებულად ღრმადმორწმუნე მუსლიმანები არ იყვნენ“.

ჭაბუა ამირეჯიბი „დათა თუთაშხიაში“ ძალზე კარგად აღწერს ყანდურის მიერ რუმბების მოტაცების ამბავს:

„– ვინ მოგპარა ტიკები, კაცო?... ყანდურმა?

– ყანდურმა. ეხლა ანაფორა ჩაუცვამს, გრძელი წვერი მოუშვია და ხალხს სინდის-ნამუსს ასწავლის... მაგრამ ეგეთი ხასიათის კაცი ვარ! განა სულ ტიკი იყო? ორი რუმბი იყო და ოთხიც ტიკი – კამეჩის რუმბები იყო. აბა, რომელმა იცით, სულ დიდი რუმბი იყოს, კამეჩისა.

– ღვინო რამდენი ჩავა შიგ?... არ იცით, არა?... გეტყოდით, მაგრამ დამავიწყდა. მას აქეთ კამეჩის რუმბი აღარა მქონია. თხუთმეტი წელიწადია, რაც მომპარა. არ დამვიწყებოდა, რათა გკითხავდით, რა!.. დამიჭით, დამიჭით ყანბები!”

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძველი ქართული საღვინე ჭურჭელი, განსაკუთრებით – რუმბები, დღესდღეობით ძირითადად ქართულ ლიტერატურაშია შემონახული. გავიხსენებთ ტიცვიან ტაბიძის ცნობილი ლექსს „ცხენი ანგელოსით“:

„გადმოფრენილი
ჰოლანდიელი,
თუჯის მხედარი,
ხანა პეტერბურგის.

შაბიამანში გატყდება ცხენი
და როგორც რუმბი,
გასივდება თუჯის მხედარი.
ახალ ევგენის წინ გაიგდებს ცხენი ანგელოსით.
შორი გზა არ ღლის,
ვეშაპი ვერ მოჰკლავს,
ღვენი უფრთხიან”.

რუმბს სულხან-საბა ორბელიანიც ახსენებს ერთ-ერთ იგავ-არაკში: „რა მთას ავედით, ორნი დიდნი კაცნი შულ-ლობდენ. ჩემსა უფრო იყვნენ, თვარა მისოდენი არ იყვნენ. ამაზე შეცილებულიყვნენ. ერთს კაცს ზურგს ერთი რუმბი ღვინო ჰკიდებოდა და აღმართში დამძიმებოდა, მეორე მოსწეოდა და ეთქვა: თუ გემძიმება, მე ამკიდე, მთამდის ავიტან და მუნ ერთი ხლაპი მაქნევინეო“.

მიუხედავად იმისა, რომ რუმბი ფაქტობრივად გაქრა ქართული მეღვინეობიდან, სამეტყველო ენაში დღესაც ხშირად გვესმის ფრაზები: „რუმბივით გასიებული“, „მუცელი რუმბივით მქონდა“ და სხვა.

კასრი, დიოგენე და შარდენი

კასრი მარცვლეულისა და ღვინის სანყაო ჭურჭელი იყო ჯერ კიდევ XVI-XVII საუკუნეების იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქართლ-კახეთში. XVIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოში, ღვინის ჭურჭელთან ერთად, კასრი იყო მარცვლეულის სანყაო (ასანონი) ერთეული და კოდის 1/2 ან 16,5-ს (17 კგ) უდრიდა. ხოლო დასავლეთ საქართველოში ღვინის სანყაო კასრი საშუალოდ 46 ლიტრის მოცულობისა იყო. კასრი კეთდებოდა: მუხის, ნაძვის და კოპიტის ხისაგან, თუმცა სხვა ჯიშის ხეებსაც ხშირად იყენებდნენ. მაგალითად, მე-18 საუკუნის ერთ-ერთ ისტორიულ წყაროში აღწერილია ამბავი, როგორ დაუგორდათ გორში ვაჭრებს მთიდან კაკლის ხის კასრები და ამ კასრებმა რამდენიმე სახლიც

დააზიანა. ვაჭრები პატიოსანი ადამიანები აღმოჩნდნენ და დაზიანებული სახლის პატრონებს უნებურად მიყენებული ზარალი აუნაზღაურეს.

საინტერესოა, ვიცოდეთ, რომ სიტყვა „კასრი“ სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ ორგვარადაა განმარტებული: „სახლი მომცრო სათავისწინაო“ და „ჩასასხამი ღვინისა“. სულხან-საბას მიერ კასრის სახლად წარმოდგენისას, რა თქმა უნდა, ყველას ძველი ბერძენი ფილოსოფოსი დიოგენე გაახსენდება, რომელმაც თითქმის მთელი ცხოვრება კასრში გაატარა.

ღვინოზე, საღვინე ჭურჭელზე და, საერთოდ, ქართული სუფრის, ქეიფისა და ღვინის სმის ტრადიციაზე მეტად საინტერესოა XVII საუკუნის 70-იანი წლების ფრანგი მოგზაურის ჟან-პოლ შარდენის ჩანაწერი: „სამგვარი საჭმელი მოვიდა სუფრაზე. ყველა სამოცამდე ვეება ლანგრით; მოვიდა ყველა ჯურის ფლავი, ბრინჯი ხორცთან ერთად მოხარშული. აკეთებდნენ სხვადასხვა ფერისას და გემოვნებისას; ყვითელ ფლავს შაქრით, დარიჩინით და ზაფრანით აზავებდნენ; წითელს ბრონეულის წვენიტ. თეთრი ფლავი კარგი და გემრიელი საჭმელია... აზიზი და შემრგე... მერე თავად შემოიტანეს კუპატები, ყაურმა, მშვენიერი მომჟავო, მოხრაკული ხორცი და სხვა ამგვარი საჭმელები... საკვირველი წესიერებით და სიჩუმით მიმოჰქონდათ საჭმელები. ყველა უთქმელად აკეთებდა თავის საქმეს. სუფრაზე სამი ევროპელი ვიყავით და ჩვენ უფრო მეტს ვხმაურობდით, ვინემ ეს 150 კაცი, რომელიც სეფაში იყო... მეტად საკვირველი იყო სუფრის იარაღი და ავეჯეულობა. **120-მდე ღვინის სასმელი ჭურჭელი იყო სუფრაზე: ბადიები, თასები, ყანწები, კულები, 12 აზარფეშა და სხვანი...**“

დღეისათვის ღვინო და მეღვინეობა სხვადასხვა ქვეყნის და სხვადასხვა დარგის მეცნიერთა დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენს და უამრავი კვლევა ეძღვნება განსხვავებულ ჭრილში. სწორედ ამიტომაც, ცალკე მიმართულებად ჩამოყალიბდა მეცნიერება/მოძღვრება ღვინოზე, რომელსაც გამოხატავს ტერმინი **ენოლოგია**, მან მყარად დაიმკვიდრა თავი ქართულ ტერმინთსისტემაშიც. იგი წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან „οἶνος“- ღვინო და *lógos* – მეცნიერება, მოძღვრება. ე.ი. ენოლოგია- მეცნიერება ღვინის შესახებ.

განსაკუთრებულად საინტერესოა თავად სიტყვა **„ღვინო“** და მისი წარმოშობის საკითხი. არსებობს მოსაზრება, რომ სახელწოდებას შეიძლება საფუძვლად ედოს ძველკავკასიური – პონტოური, დღეს გამქრალი სიტყვა – **ოინო**, რაც ნიშნავს ყურძნისაგან მიღებულ მათრობელა სასმელს, რომელიც ვაზის კულტურასთან ერთად სხვა ენებში შევიდა და სახე იცვალა (ჭყონია, 1985).

სხვა მოსაზრებით, „ღვინო“ ნაწარმოებია სახელთა ჯგუფიდან, რომელიც წითელ ფერთანაა დაკავშირებული: **„ღვინა“** აღნიშნავს ღვინისფრად შეღებილ მცენარეს, **„ღვინია“** – ღვინისფერ საქონელს (მირველაშვილი მ., მალრაძე დ., 2015).

„ღვინიო“ არის ღვინისფერი სოკო. მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ „ღვ“-იო ძირისაგან ნაწარმოები სახელები აღნიშნავენ „წითელ ფერს“ (ჯავახიშვილი, 1934).

მთავარი ისაა, რომ უძველესი დროიდან ქართველი ხალხი ამ სასმელს **„ღვინოს“** უწოდებდა და ქართულ ტომებში მას სხვა სახელი არ ჰქონია. ქართულად **„ღვინო“**, მეგრულ-ჭანურად **„ღვინი“**, სვანურად **„ღვინალ“** ჩვენი წინაპრების მიერ შერქმეული სახელებია (მირველაშვილი მ., მალრაძე დ., 2015).

პროფესორ ა.ი. ტომსონის (Tomson, 1910) განმარტებით,

სიტყვა „ღვინო“, გერმანულად „wein“, ლათინურად „vinum“, ბერძნულად „oinos“, რუსულად „вино“, ძველ ინდო-ევროპულ ენებში არ არსებობდა. მისი აზრით, თრაკიელ ბერძნებს ვაზის კულტურა და ღვინის სახელწოდება ძველი მესხებისაგან წაუღიათ და შემდგომ სხვა ხალხებშიც გაუვრცელებიათ. ტომსონზე ადრე ღვინის სახელწოდების ეტიმოლოგიას ყურადღება მიაქცია ქართველმა მეცნიერმა დიმიტრი ბაქრაძემ (სიჭინავა, 1960), რომელიც მიიჩნევდა, რომ სიტყვა „ღვინო“ სხვა ენებში ქართულიდან უნდა იყოს ნასესხები. ამავე აზრს იზიარებს აკადემიკოსი გიორგი წერეთელი, რომელიც ქართული, სომხური და სემიტური ენების ანალიზის შედეგად ასკვნის, რომ თვით ტერმინი „ღვინო“ ქართული წარმოშობისაა: თუ მოვიგონებთ ძველ ებრაულ გადმოცემას, რომელიც დაბადებაშია შენახული და რომელიც ვენახისა და ღვინის სამშობლოდ ამიერკავკასიას თვლის (ჩიტაია, 1968), სერიოზული საფუძველი გვექნება, გამორიცხულად არ ჩავთვალოთ შესაძლებლობა, რომ მაღალი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მაჩვენებელი ისეთი სიტყვა, როგორიც არის ღვინო და თვით საგანი, მითი აღნიშნული, ქართულიდან იყოს მსოფლიოში გავრცელებული“ (წერეთელი, 1947).

ჩვენთვის ანგარიშგასანევია გ. წერეთლის აზრი, რომ სიტყვა „ღვინო“ ბევრი ევროპელი და აზიელი ხალხის ენებში წარმომდგარია ერთი და იმავე ფუძიდან და მონათესავე ფესვის უქონლობის გამო არც ინდოევროპული წარმოშობისაა და არც სემიტური; თუ ამ მოსაზრებათა საპირისპირო ვარაუდს განვიხილავთ, მსოფლიო ლიტერატურაში არ მოიპოვება არავითარი მასალა, რომელიც დაამტკიცებს, რომ საქართველოში ან საერთოდ ამიერკავკასიაში მევენახეობა-მეღვინეობა ეგვიპტიდან, საბერძნეთიდან, რომიდან ან სხვა რომელიმე ძველი ცივილიზაციის მქონე ქვეყნიდან იყოს შემოტანილი. შესაბამისად, ვერც სიტყვა „ღვინო“

იქნება შემოტანილი უცხო ქვეყნებიდან (წერეთელი, 1947; მირველაშვილი მ., მალრაძე დ., 2015).

ამავე მოსაზრებას ეყრდნობა და ავითარებს შემდეგი სიტყვებიც: „მრავალ ენაში „ღვინო“ რომ შესულია ერთი საერთო ძირით: ბერძნული-ოინოს, ლათინური-ვინუმ, ხეთური-ვიანა, სომხური-გინი, რუსული-ბინო, გერმანული-ვაინ; სემიტურ ენებში: არაბული-ვაინუმ, ებრაული-იაინ, ასურული-ინუ და ა.შ. აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა ქართველური, სომხური და სემიტური ენების მონაცემთა შედარების საფუძველზე დაასაბუთა, რომ მთელ მსოფლიოში ქართულიდან გავრცელდა: „მაღალი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მაჩვენებელი ისეთი სიტყვა, როგორიც არის ღვინო“ (კოლუაშვილი, 2013).

მიმოიხილავს რა, ლექსემა „ღვინის“ ეტიმოლოგიას ნანა მაჭავარიანი, აცხადებს, რომ: „აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, სიტყვა „ღვინო“ იბერიულ-კავკასიური ენების ერთობის დროინდელი ისეთი ძველთაძველი კუთვნილებაა, რომ ამ ენათა შორის ლექსემის ნასესხობაზე მსჯელობა ფრიად გაძნელებულია“ (მაჭავარიანი, 2015).

აღსანიშნავია, რომ სიტყვა „ღვინის“ გარდა, სხვა ენებში უთარგმნელად გადატანილია, მაგალითად, სიტყვა „თამადაც“, რომლის ფუნქციასაც სწორედაც ღვინოსთან დამოკიდებულება განსაზღვრავს (ლომსიანიძე, 2013).

„ვაზისა და ღვინის შესახებ საქართველოს კანონის“ თანახმად, ღვინო მხოლოდ და მხოლოდ ყურძნისგან უნდა იყოს დამზადებული, განსხვავებით უცხოეთის კანონმდებლობებისაგან, რომელთა მიხედვით, ღვინო შესაძლებელია ხილისგანაც დამზადდეს.

საქართველოს რელიგიურ-კლიმატურმა პირობებმა და

სამეურნე-ეკონომიკური განვითარების თავისებურებებმა განაპირობა ისტორიულ—გეოგრაფიული რეგიონების ჩამოყალიბება: ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუმი, აჭარა, აფხაზეთი და სვანეთი. საქართველოს ცალკეულ ადგილთა ღვინოების მკვეთრი განსხვავება გამონჭვეულია სწორედ ბუნებრივი გარემოს, მოსავლის ხარისხისა და ადგილობრივი ტექნოლოგიური წესის თავისებურებით. აღმოსავლეთ საქართველოს ღვინოებისათვის დამახასიათებელია სიმაგრე, ექსტრაქტულობა, მუქი შეფერვა. დასავლეთ საქართველოში წარმოებული პროდუქცია კი მეტწილად ხასიათდება სიმსუბუქით, სინაზით, სიხალისით, სირბილითა და შემადგენელ ნაწილთა ჰარმონიული შეთანაწყობით. საერთო ჯამში, ქართული ღვინის მაღალი ღირსება უძველესი დროიდან იყო აღიარებული. (მირველაშვილი მ., მალრაძე დ., 2015).

ქართული კანონდებლობა ღვინის სხვადასხვაგვარ კლასიფიცირებას იძლევა, სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით და თითოეულ კატეგორიას თავის სახელს ანიჭებს.

მეცნიერების ყველა დარგს თავისი შესაფერისი ტერმინოლოგია გააჩნია. მეღვინეობა სოფლის მეურნეობის დარგია, რომელიც თავისი შესაფერის ტერმინთა მდიდარი სისტემითაა წარმოდგენილი. ეს ბუნებრივად მიგვაჩნია, რადგან ღვინის დამუშავების მთელი პროცესი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ხანგრძლივი ჯაჭვური რეაქცია, რომელიც თვეების განმავლობაში გრძელდება და სჭირდება: ადამიანური რესურსი, ღვინის მისაღებად საჭირო მასალა (ყურძენი), ღვინის საწარმოებლად შესაფერისი ადგილი, ჭურჭელი, ღვინის მიღება-დამუშავებისათვის საჭირო იარაღები, დამუშავება-წარმოების პროცესი, დეგუსტაცია, დალევა, რეკლამა, გაყიდვა... ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ნივთს, მთელ ამ პროცესში მომუშავე ადამიანებს თუ თვითონ პროცედურებს, ბუნებრივია, მისი გამომხატველი შეს-

აფერისი ტერმინი უნდა ჰქონდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ სრულ ქაოსს, რომლიდან გამოსვლაც ადვილი არ იქნება.

ზოგადად, თუ განვიხილავთ ტერმინთა წარმომშობ ფაქტორებს და ტერმინოლოგიას, შესაძლებელი იქნება, გამოვყოთ: ა) ეროვნული – ტრადიციული და ბ) ნასესხები – სხვა ენებიდან (ძირითადად ფრანგული ენიდან) შემოსული ტერმინები (მაგალითად, ფრანგული წარმომავლობის თანხმოვანფუძიან სიტყვებს დართული აქვთ სახელობითი ბრუნვის ნიშანი: L'œnologue – ენოლოგი...)

ტერმინთა გასაოცარი სიუხვითაა გამორჩეული **მელვინობა**. ვაზის ჯიშების მსგავსად, სახელწოდებები არც ღვინის სახეობებისათვისაა შემთხვევითი. კლასიფიკაცია გვიჩვენებს, რომ მათი სახელდება რამდენიმე ფაქტორითაა განპირობებული, რაც ქმნის შემდეგ ძირითადად ჯგუფებს:

- **გეოგრაფიული (ადგილის) სახელწოდებების გათვალისწინებით შექმნილი:** ნაფარეული, წინანდალი, მუკუზანი, ყვარელი, გურჯაანი...
- **ვაზის ჯიშისაგან გამომდინარე:** საფერავი, რქაწითელი, ცოლიკოური, ციცქა...
- **ისეთი, რომელშიც ეს ორივე ცნებაა გაერთიანებული:** მანავის მწვანე...
- **ვისიმე ან რისიმე საპატივსაცემოდ:** ფიროსმანი, ბაგრატიონი, სალომე, ბარბაღე, ალაზნის ველი, თბილისური, ქართული ნადიმი, კავკასიონი...
- **მწარმოებელთა ფანტაზიით დამკვიდრებული:** ვაზის ცრემლები, ვაზის ნაჟური, ხობის ცრემლები, შობილი, გენეზისი, ოჯალეში...

❖ **გამოიკვეთა, რომ ღვინის სახელწოდებები იქმნება სხვა ნიშნების მიხედვითაც:**

- **ფერის:** თეთრი, ვარდისფერი, წითელი ღვინოები
- **შაქრის შემცველობის:** მშრალი, ნახევრად მშრალი, ნახევრად ტკბილი და ტკბილი ღვინოები
- **ხარისხის:**
 - **ხარისხიანი:** სუფრის ღვინო, თავი ღვინო, თავანკარი ღვინო, დამდგარი ღვინო, შუმი ღვინო, საძველო/დაძველებული/ძველი ღვინო...,
 - **უხარისხო ან ნაკლებად ხარისხიანი:** სახარჯო ღვინო, შუა ღვინო, ნაქაჩი ღვინო, მოჭანგული (მოჭვანგული) ღვინო, გალა ღვინო, ბჟუქურა ღვინო...,
 - **წყალნარევი:** შამანი/პეტიო, გუმურა, საუდიერო ღვინო და შუა ღვინო)
- **ღვინის ტიპების/დამზადების/დანიშნულების/სპეციალური მეთოდის:** ცქრიალა, შუშხუნა, შემაგრებული, ქვევრის, ლიქიორული, სადესერტო, აისვანი, შემეჭვნარი ყურძნისგან დამზადებული, არომატიზებული ღვინოები
- **ასაკის (ახალგაზრდა, დაუდულარი):** მაჭარი, ამბოხი, პრიმერა ღვინო.

საინტერესოდ მივიჩნიეთ ზოგიერთი მათგანის სემანტიკის წარმოჩენა:

- **თავი ღვინო** – საუკეთესო ხარისხის, რჩეული ღვინო
- **თავანკარი ღვინო** – წმინდა, შეურეველი ღვინო
- **შუმი ღვინო** – ნამდვილი, სუფთა ღვინო
- **დაძველებული ღვინო (ძველი ღვინო)** – საგანგებოდ დიდხანს შენახული ღვინო. „არც არავის ყმა ვყოფილვარ, არც არავინ ყმად მყოლია, ძველი პური, ძველი ღვინო წლით-წლობამდე გამყოლია (ხალხ.)
- **დამდგარი ღვინო (ღვინოდ ქცეული)** – დაღვინებული,

დადუღებული, დანმენდილი ღვინო

- **საძველო ღვინო კუთხ. (რაჭ.)** – შესანახად ვარგისი ღვინო
- **შუა ღვინო** კუთხ. (ქვ.-იმერ. გურ. რაჭ.) – იგივეა, რაც სახარჯო ღვინო. || კუთხ. (ქართლ. ზ.-იმერ. კახ.) საშუალო ძალის მქონე მდარე ღვინო
- **სახარჯო ღვინო** -კუთხ. (იმერ.) ჭაჭაზე წყლით დაყენებული წყალწყალა ღვინო
- **აძაფებული ღვინო** – გაფუჭებული, ამღვრეული (ღვინო), „ღვინო რო გაფუჭდება, რო ჩამაასხამ, როგორც თაფლი აიძაფება, ეგრე აიძაფება ისიცა“ მიღებულია არსებითი სახელისაგან „ძაფი“ (<http://www.ice.ge/liv/liv/kartlur.php>)
- **ნაქაჩი ღვინო** (კუთხ.ზ.-იმერ.) – წყალდასხმული ჭაჭისაგან დაყენებული ღვინო.
- **შამანი ღვინო** – იგივეა, რაც ნაქაჩი ღვინო.
- **გაგალებული ღვინო** – (გურულ.) სიმაგრედაკარგული/გარბილებული ღვინო
- **პრიმერა ღვინო** – ასაკის მიხედვით განარჩევენ ე.წ. „პრიმერა ღვინოს“, რომელიც არის ღვინის სახეობა და რომელსაც ქსელში უშვებენ დანურვიდან დაახლოებით ორ თვეში, ალკოჰოლური დუღილის დამთავრებისთანავე. მას ასევე ეძახიან: „vin nouveau“ (**ახალი ღვინო**), „vin jeune“ (**ახალგაზრდა ღვინო**) ან „vin de l'année“ (**ამ წლის ღვინო**). იგი სრულიად განსხვავებულია საძველო (შესანახი) ღვინოებისგან.

ხშირ შემთხვევაში სახელწოდებაშივეა მოაზრებული ღვინის შინაარსი და წარმომავლობა. კომპანია „შუმის“ ექსკლუზიურ ღვინოს – „**ილერკო**“, უძველესი ქართული სახელწოდება მინიჭებული აქვს მუკუზნის იმ ტერიტორიაზე ნაპოვნი ღვინის სასმისი თასის – ილერკოს – მიხედვით, სადაც „შუმის“ ნაკვეთებია განთავსებული. ამ, უძვირფასესი ლითონისაგან დამზადებული, თასის ორიგინალი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება, ხოლო ასლი

– „შუმის“ ღვინისა და ვაზის მუზეუმის ექსპონატია.

„შუმში“ მზის გულზე გაშენებული ვენახის „ლაზარეს“ 350-ზე მეტი ჯიშისგანაა დამზადებული შემაგრებული ღვინო „ზიგუ“ – პორტუგალიური და ქართული ქვევრის ღვინოს ტექნოლოგიის შერწყმით.

ამავე ნაკვეთში, ზედ ვაზზე შეყინული და 7-8 გრადუსზე დაკრეფილი მტევნების ფრთხილი გამონნეხით და ქვევრში დადუღებითაა დამზადებული ტკბილი ღვინო **აისვანი „ბარბალე“**. „ყინულოვანი ღვინის“ დამზადების გერმანული ტექნოლოგია ორიგინალურადაა შერწყმული ქართული ქვევრის ღვინის ტექნოლოგიასთან. პროდუქცია არის იმპიათი ორგანოლეპტიკით მდიდარი.

„შობილი“ თეთრი და „შობილი“ ვარდისფერი ცქრიალა ღვინოებია, რომელთა საბაზისო ღვინოები ქვევრშია დაყენებული, ეს ტექნოლოგია ფრანგული შამპანურის 400-წლიანი და ქართული ქვევრის ღვინის 8000-წლიანი ისტორიის ტანდემს წარმოადგენს. ამასთან, ვარდისფერი „შობილისთვისაც“ ნედლეულად „შუმის“ კოლექციის იმპიათი ჯიშებია გამოყენებული.

„გენეზისი“ უიშვიათესი ღვინოა, რომელიც ერთი ვაზის ყურძნისგანაა დამზადებული. ეს უზარმაზარი გარშემოწერილობის ვაზი კახეთში, წინანდალში, ნიკოლიშვილების ეზოში დგას და მეცნიერთა გამოკვლევით 300-ზე მეტ წელს ითვლის. ვაზს, რომლის ჯიში დაუდგენელია, 150-200 კილოგრამი ყურძნის მოსხმა შეუძლია, მისგან ღვინის კომპანის „შუმი“ კახური ტექნოლოგიით ღვინო „გენეზისს“ ამზადებს – სულ რამდენიმე ბოთლს, მაგრამ უძვირფასეს სასმელს.

საინტერესოდ გვესახება ის ფაქტი, რომ თანამედროვე ტერმინოლოგიაში ფართოდ გამოიყენება ტერმინები, რომლებსაც მწარმოებლები **თავიანთი ფანტაზიის მიხედვით ამკვიდრებენ** და ამ გზით ამდიდრებენ არა მხოლოდ ქართული

ღვინოების სახეობებს, არამედ ქართული ენის ლექსიკას, რითაც ხაზი ესმება ქართული ენობრივი შესაძლებლობების ზღვარდაუდებლობას: ვაზის ცრემლები, ვაზის ნაჟური, ხობზის ცრემლები, გენეზისი, ოჯალეში – მეგრულია, ნიშნავს **ხეზე გაზრდილს, ქვევრის მზეს** (ამ ტერმინით მწარმოებელი ამჟამად ცდილობს, ერთდროულად ორი ცნება გამოხატოს: ერთი რომ ქვევრის ღვინოა და მეორე – მაღალი ხარისხისაა, რადგან მზესთან არის შედარებული)...

ამჟამად, ქართული ღვინის სახელწოდებები ქვეშეცნეულად ქართული ენისა და ქართული მენტალობის პოპულარიზაციას ემსახურება. ღვინოების ქართული გეოგრაფიული სახელები (წინანდალი, მუკუზანი, წარაფები, ზეგაანი...), ვისიმე ან რისიმე საპატივცემულო სახელწოდებები (თბილისური, ფიროსმანი, ალაზნის ველი, კავკასიონი, ბაგრატიონი, სალომე, ბარბალე, შობილი, გენეზისი, ქართული ნადიმი...), ღვინის კომპანიებისათვის მინიჭებული ძველი ქართული სახელები: შუმი, ხარება, ასკანელი, მუხრანი, ღვინის მარანი, თბილღვინო, კახური ტრადიციული მეღვინეობა... ასევე ღვინოსთან ასოცირებული უცხოური სახელწოდებები: აგუნა, ბადაგონი, ვაინმენი, შუხმან-ვაინს-ჯორჯია, მოსმიერი, ტიფლისკი ვინნი პოგრებ, ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია GWS..., მარკეტინგული ხაზებისა და სავაჭრო ნიშნების სახელწოდებები: ვინობიზა, იბერიული, თამადა, სატრაპეზო, ადათი, დიდებული, ძველი თბილისი, ვისმინო... ყველა ერთად, ცალსახად, მრავალფეროვანს ხდის მეღვინეობასთან დაკავშირებულ ქართულ ტერმინოლოგიას.

დიდი ხანი არაა, რაც საქართველოში ევროპული ღვინის წარმოება დაიწყო. საფუძველი მასაც დიდმა ქართველმა

მეურნემ, ალექსანდრე ჭავჭავაძემ, მე-19 საუკუნის დასაწყისში ჩაუყარა. მას შემდეგ ისე მოიკიდა ფეხი ღვინის წარმოების ამ მეთოდმა, რომ ამ წესით დამზადებული ღვინოები არაფრით ჩამოუვარდება თავად ევროპაში დამზადებულ ღვინოებს, ხშირ შემთხვევაში, ხარისხით ჯობს კიდევ მათ. ამის დასტურია მე-19 საუკუნის ბოლოდან დღემდე საქართველოში დამზადებული ამ სტილის ღვინოების – წინანდალი, ვაზისუბანი, გურჯაანი და სხვა – დიდი წარმატებები საერთაშორისო კონკურსებსა და გამოფენებზე. მათ ფეხს უწყობს ღვინოები, რომლებიც წითელი წესით – კლერტგაცლილ დურდოზეა – დადუღებული. ტრადიციული მუკუზანი, ნაფარეული, ქინძმარაული, ახაშენი, ხვანჭკარა – ეს ის არასრული ჩამონათვალია, რომლებმაც არაერთგზის აიძულა საერთაშორისო ჟიური ქართული დასახელებების ეს ღვინოები გამარჯვებულად გამოეცხადებინა მსოფლიო დონის კონკურსებზე.

ქართველები რომ უკვე XIX საუკუნეში იცნობდნენ ღვინის დაყენების ზოგიერთ ფრანგულ მეთოდს, ილია ჭავჭავაძის ჩანაწერიც კარგად წარმოაჩენს: „ფრანგმა მეცნიერმა პეტიომ შეიმუშავა მეთოდი, რომლის მიხედვითაც გამონურულ ჭაჭაზე ასხავდნენ შაქრიან წყალს, ადუღებდნენ და იღებდნენ ფალსიფიცირებულ ღვინოს ე.წ. „პიკეტს“ (piquette). მოგვიანებით ჩვენში, წყალნარევ-შაქრიან ღვინოს **პეტიო** უწოდეს და დღესაც ასე მოიხსენიებენ. პიკეტის შექმნამდე დიდი ხნით ადრე, ჩვენთან ანალოგიურ ღვინოს **შამანს** უწოდებდნენ. განსხვავება ის იყო, რომ პიკეტი წყლითა და შაქრით მიიღებოდა – შამანი კი მხოლოდ წყლით“.

დიახ, ამ მრავალი წლის შედეგია, რომ დღეისათვის არა მხოლოდ ადგილობრივი ავტოქტონური, არამედ უცხოეთიდან შემოტანილი და დამკვიდრებული ჯიშებისაგან (კაბერნე, ალიგოტე, მერლო, პინო...) დამზადებული ღვინოები იპყრობს ყურადღებას და დასამახსოვრებელია

მომხმარებლისათვის თავისი უმაღლესი გემოვნური თვისებებით. **კაბერნემ** მეორე სამშობლო წინანდალში, თელიანის ტერიტორიაზე, იპოვა, რადგან აქ, მესამეული პერიოდის ქვიან დანალექებზე, მას ისეთივე მაღალხარისხიანი, წითელი სამარკო ღვინის მოცემა შეუძლია, როგორც ბორდოში, მდიდარი შეფერვით, ნაზი არომატებითა და შენახვისას კიდევ უფრო გაკეთილშობილებით

(მოძიებულია: <http://vinoge.com/mevenaxeoba/>).

„შუხმან-ვანის-ჯორჯია“ შემოტანილ ჯიშ **შარდონესაგან** ამზადებს უმაღლესი ხარისხის შემაგრებულ ღვინოს „**კავკასიონი**“, რომლის ტექნოლოგია საქართველოშია ამ ბოლო წლებშია შემუშავებული და რომელიც თავისივე წიპნის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებითაა გამდიდრებული.

ასე რომ, უცხოური ჯიშების საქართველოში დამკვიდრებას დიდი პერსპექტივა გააჩნია, იმდენად საინტერესო პროდუქცია იქმნება მათგან, გამორჩეული სამახსოვრო გემოვნური თვისებებითა და ორიგინალური სახელწოდებებით.

დაკვირვებამ ცხადყო, რომ ასევე სიუხვით გამოირჩევა მეღვინეობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის ისეთი ჯგუფები, როგორიცაა:

- ▶ **ღვინის დამუშავებისას გამოყენებული ტერმინები**
- ▶ **მეღვინეობის სფეროში მომუშავე ადამიანთა თანამდებობების გამომხატველი ტერმინები**

შთამბეჭდავია მეღვინეობაში მიმდინარე პროცესების, ღვინის დამუშავების ამსახველი ტერმინები, რომელთა ნაწილი უცხოურიდანაა გადმოტანილი: აერაცია, ასამბლაჟი, არევა (ბარბოტაჟი), გადაღება, შევსება, გამოყინვა, გამოწნეხვა, გამოხდა, განებვა, დავარგება, დაძველება, არომატიზება, დასპირტვა, ნაყელვა (დეგორჟაჟი), დაჭამნიკება (დეგუსტაცია), გაულითონობა, გაუგოგირდობა

(დესულფიტაცია), დუღილი, კუპაჟი, ფილტრაცია, ტირაჟი, დაგოგირდოვანება (სულფიტაცია), გამოწვლილვა (ექსტრაგირება), განშრევენება (ცენტრიფუგირება), გაულითონოება (დემეტალიზაცია) (მასალა მოძიებულია ოფიციალური დოკუმენტის „ღვინის კანონმდებლობა /საქართველოს კანონი ვაზისა და ღვინის შესახებ“ – 2008 წელს გამოცემული კანონის მიხედვით)

(<http://vinoge.com/Rvinis-kanonmdebloba/saqarTve-los-kanoni-vazisa-da-Rvinis-Sesaxeб>).

თუმცა, ანგარიშგასანევია ლინგვისტების განმარტება, რომლის თანახმადაც, იმ შემთხვევაში, თუ მშობლიურ ენაზე არ არსებობს რომელიმე ტერმინი (შესატყვისი), მიზანშეწონილია მისი პირდაპირი გადმოღება (მაგ. **სულფიტაცია-დაგოგირდოვანების** ნაცვლად ან **დესულფიტაცია – გაუგოგირდოების** ნაცვლად), ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ქართულ ენაზე მოგვეპოვება მშვენიერი, ზუსტად შესატყვისი ტერმინი, მაგალითად, „**დაჭაშნიკება**“, მისი ფრანგული ანალოგით – „**დეგუსტაცია**“ – შეცვლა არასწორი და დაუშვებელია.

ღვინის ფენომენზე მიუთითებს ის უამრავი სხვა ტერმინიც, რომლებსაც ჩვენი წინაპრები იყენებდნენ ღვინის დამუშავებისას: **ღვინის გადაღება** – ღვინის გადასხმა ერთი ჭურჭლიდან მეორეში (ნალექის მოცილების მიზნით). „ამოვივლი და **ღვინის გადაღება** მიშველე! (კ. კობ.). ბერიკაცს **ღვინის გადაღება** უყვარს (თ. ბიბილ.);

ღვინის ამოღება – ქვევრიდან ღვინის ამოღება, **ღვინის კლიშვა** – კუთხ. (გურ.) „ჭურის პირველად მოხდა და ღვინის ამოღება“ (გ. შარაშ.);

ღვინის ჩაკობულვა (კუთხ.გურ.) – საწნახელში ჩაჭყლეთა ყურძნისა ან ჩაზელა ჭაჭისა კობულით (საგანგებოდ გამოთლილი ძირფართო ხით) <http://www.ena.ge/explanatory-online>;

თხლეზე (ლექზე) ღვინის დაყენება, დარევა (სახელი **დაურევს** ზმნის მოქმედებისა) – არევა, ჭაჭის ჩაძირვა ქვევრში, ქვევრის დარევა – „სამ საათში ერთხელ დურდოს დარევა საფუვრის მოქმედებას აძლიერებს („მარანი“), ხოლო **ქვევრის ქული** იგივე **მაჭრის ქული-დულილის** დროს მაჭრის თავზე მოგდებული და გამაგრებული ჭაჭა და ჩენჩო (ვ.ბერიძე);

ღვინის ქულის გატეხვა-მაჭრის თავზე მოგდებული და გამაგრებული ჭაჭის ჩატეხვა ქვევრის დარევის დროს. ილია ჭავჭავაძე (1956:91), **ქვევრის თავის გატეხვა**-სარქველი მოხადა ქვევრს, ღვინო დახარჯა. „ერთი შენ ქვევრს გაუტეხოთ თავი (კოშორიძე, 2005); **ქვევრის (ღვინის) დახარჯვა** – ქვევრიდან ღვინის მოკლება, **ღვინის განარვა** – ქვევრიდან ღვინის ამოღების დროს ამოსაღები ჭურჭლით ღვინის ზედაპირის შენძრევა, რომ ბრკემ გვერდებზე მოიყაროს თავი და ღვინო სუფთად ამოიღონ.

ტკბილის დულილი – ქვევრი ძალიან სავსე არ უნდა იყოს, რომ დულილში ბევრი არ დაიღვაროს.

ისტორიულად ნაირგვარი აღმოჩნდა მეღვინეობის სფეროში მომუშავე ადამიანთა თანამდებობებიც, რომელთაც სათავეში ედგათ **მეღვინეთუხუცესი** (დღეს მას სომელი ენაცვლება და ძირითადად ევალება მომხმარებელს ურჩიოს რომელ კერძს რომელი ღვინო მოუხდება...) – **მეღვინეთა უფროსი**; მასვე ექვემდებარებოდა განსაკუთრებული დანესებულება „**საღვინე სახლი**“ (**მარნით**, სადაც ხდებოდა ღვინის შენახვა, დავარგება, განკარგვა) მთელი თავისი მოხელეებით; მათ **საღვინის ხელისუფალნი ერქვათ: საღვინის მუქიფი, საღვინის მოლარე, მეღვინენი, მეულუფენი, ანუ ღვინის გადასახადის მკრეფელნი, მეხელადენი, მეხელადეთუხუცესი**. მეღვინეთუხუცესს ემორჩილებოდნენ ცალკე მოხელეებიც: **პირის მეღვინე**, იგივე მეფის მეღვინე

და პირის მხედ/მნე, რომლებიც ღვინის გემოზე იყვნენ პასუხისმგებლები, მემარნე და ქვევრის (ჭურის) მრეცხელნი.

ივანე ჯავახიშვილის თქმით, სიტყვა „მელვინეთუხუცესი“ ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაშია მოხსენიებული „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და შემდეგ კი „ხელმწიფის კარის გარიგებაში“, რომლის შექმნის თარიღად ივ. ჯავახიშვილი და ექვთიმე თაყაიშვილი XIV საუკუნის პირველ ნახევარს თვლიან (ი.ჯავახიშვილი, 1982:74).

რაც შეეხება „მარანს“, ი. ჯავახიშვილის განმარტებით, ამ ტერმინის ქვეშ იგულისხმება ნაგებობა, სადაც ღვინის დასაყენებლად საჭირო ყოველგვარი მოწყობილობა და ჭურჭელი იყო მოთავსებული. იგი ამ სახელწოდებით მოიხსენიებოდა მთელ საქართველოში და შედიოდა საღვინეს შემადგენლობაში, უფრო ზუსტად კი მის დაქვემდებარებაში. ყველაფრისათვის, რაც მარანში ხდებოდა ან ინახებოდა, პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მემარნეს. დღეს მემარნე გადაიქცა ფრანგულ კავისტად. მარნის როლზე და მამუტაბებზე მოწმობს ის ფაქტიც, რომ ცალკე იყვნენ გამოყოფილნი ადამიანები, რომელთაც ქვევრის (ჭურის) მრეცხელნი ეწოდებოდათ. მათი არსებობა დასტურდება ჯერ კიდევ XII საუკუნეში, ი.ჯავახიშვილი ციტირებას ახდენს მეფე გიორგი III-ის მიერ შიომღვიმის 1170 წლის სიგელის: „ოთხთა ჭურის მრეცხელთა სხალტებელთა მარანსა ჩუენსაო“ (ი.ჯავახიშვილი, 1982:658).

ამდენად, ასე, ჩვენ თვალწინ იქმნება მელვინეობის უახლესი ისტორია მომრავლებულ ღვინის კომპანიებსა და მარნებში. ასე იბადება ღვინის კომპანიებისა თუ მათი პროდუქციის ახალი სახელები, რომელთა შინაარსი დღევანდელ ქართულ მენტალობასთანაა დაკავშირებული, რომლებშიც ერთმანეთთან მჭიდროდაა გადაჯაჭვული ჩვენი ქვეყნის ის-

ტორია და დღევანდელიობა, ტრადიცია და თანამედროვეობა.

დიახ, კვლევა უდავოდ ცხადყოფს, რომ **ვაზი და ღვინო** ქართული ეროვნული მენტალობის გამოხატულება, მისი ორგანული ნაწილია; ცალსახად იკვეთება, რომ არც ერთ მათგანზე ქართველი უარს არასდროს იტყვის, ვიდრე პირში სული უდგას და რადგან სულიერი ღირებულების ცნებებად მიიჩნევს მათ, პირიქით, თაობიდან თაობებს გადასცემს მათი მოვლა-პატრონობის ვალდებულებას. სწორედ ესაა ჩვენთვის ეროვნული კონცეპტი, როგორც მენტალური ერთეული, რომელიც არამარტო გაიაზრება, არამედ განიცდება კიდევ; მათ მიმართ ვლინდება ემოცია, დადებითი ემოცია...

ვაზი და ღვინო რომ, მართლაც, კონცეპტებია და არა მხოლოდ საგნები, ამას ადასტურებს მათი გამოხატულების რანგიც, წარმოდგენილი მთელი რიგი ენობრივი სინონიმებით, ანდაზებით, ფოლკლორული თუ ლიტერატურული სიუჟეტებით, ქცევის სტერეოტიპებით და სხვა, რაც მიუთითებს მათ მნიშვნელოვნებაზე ქართველის ცხოვრებაში. მათში, უდავოდ, კონცენტრირებულია ერის მატერიალური, სოციალური კულტურა და წარმოადგენს ენობრივ-კულტურულ ცოდნათა ერთობლიობას, რომელიც შეესაბამება ქართულ ეროვნულ მენტალობას, როგორც მისი მატარებლების მიერ სამყაროს ხედვის საშუალებას.

თავი II

ლექსიკა-ფრაზეოლოგია და ეთიკურ-ზნეობრივი პარამეტრები (ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა)

მოცემული თავი ეძღვნება ვაზთან და ღვინოსთან დაკავშირებულ ლექსიკა-ფრაზეოლოგიის საკითხებს, მათში ეთიკურ-ზნეობრივი პარამეტრების წარმოჩენას და ყოველივე ამის საფუძველზე, ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის ჩამოყალიბებას.

ყველასათვის ცნობილია ქართული ენის უაღრესად მდიდარი და ნაირსახოვანი ლექსიკის შესახებ, რომელიც შექმნილა დროთა განმავლობაში ხალხის ყოფა-ცხოვრების, ეკონომიკური თუ კულტურული, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პროცესში სხვადასხვა ეტაპზე. იგი ყველზე მოქნილი და ცვალებადი ნაწილია ენისა და ფეხდაფეხ მისდევს ცხოვრებას – ივსება და მდიდრდება ახალ-ახალი მასალით.

დროთა განმავლობაში აზრის სამოსელად ქცეულა და სხვადასხვა ხერხით (წარმოქმნა, თხზვა) დაბადებულა უამრავი ახალი სიტყვა, რომელშიც ვხედავთ სამი კომპონენტის ერთობლიობას: ბგერითი ელემენტის, ანუ ფონემის, ფორმალური ელემენტის, ე.ი. მორფემის და სემანტიემის, ანუ მატერიალური (მნიშვნელობის მქონე) ნაწილის. ლექსიკოლოგია სიტყვას სწორედაც, როგორც ამ სამი კომპონენტის ერთობლიობას, ისე სწავლობს და თავისი ინტერესის ფოკუსში აქცევს მას.

ზემოთქმული განაპირობებს, რომ უმდიდრეს ლექსიკურ ფონდში გამოიყოს სხვადასხვა სემანტიკური ჯგუფი ანუ თემატური რკალი (ღლონტი, 1988), რომლებიც სემანტიკურად ერთიანდებიან რაღაც ნიშნის მიხედვით (თანდაყოლილი, გენეზისური, შექმნილი ან ლოკალური...); ერთი გარკვეული დარგის საგნებისა და მოვლენების სახელწოდე-

ბები, სხვადასხვა წარმოშობისა და სტრუქტურის სიტყვები, ერთიანობაში ავსებენ ენის საგანძურს, ე.ი. მათი თავმოყრა თემატურ რკალში შეპირობებულია თემატიკით და არა სხვა რაიმე ფაქტორით.

დაახლოებით 22 თემატიკური რკალიდან ერთ-ერთ უმდიდრეს ჯგუფს ქმნის ნივთიერებათა თემატიკური რკალი (თაფლი, ოქრო, ვერცხლი, კარაქი, ერბო...), მათ შორისაა ღვინო, რომელზეც მივაპყრობთ ყურადღებას და შევეხებით მის ნიშანდობლიობებს, რაც კიდევ ერთხელ, ცალსახად და მკაფიოდ დაადასტურებს, რომ:

- ▶ **საქართველოში ოდითგან არსებობს ღვინის ფენომენი!**
- ▶ **ღვინო ქართული მენტალობის შემადგენელი და ქვაკუთხე-
დია!**

ლექსემა „ღვინო“ გრამატიკული თვალსაზრისით არსებითი სახელია და ისევე როგორც სხვა სახელებს, გააჩნია გრამატიკული კატეგორიები ბრუნვისა და რიცხვის სახით. დაირთავს აფიქსებს და შესაბამისად ქმნის როგორც ფლექსიურ, ისე დერივაციულ პარადიგმებს. ივანე იმნაიშვილი ნაშრომში – „სახელთა ბრუნება და ბრუნვის ფუნქციები ძველ ქართულში“ (1957), ამ ლექსიკურ ერთეულს ასე ახასიათებს: „ო-სა უ-ზე დაბოლოებული მარტივი (ძირეული) სახელები ქართულში მცირეა და, ამავდროულად, ფუძეუკვეცელია. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს „ღვნო“, რომლის ბოლოკიდური ხმოვანიც იკვეცება მხოლოდითი რიცხვის ნათესაობითსა და მოქმედებითში. დავიმონმოთ ორიოდე მაგალითი: ღვნის-მსუმელთა და მემთვრალეთათჳს, ისტ. ქრესტ. 302,1; ნუ დაითრვები ღვნითა, რომლისაგან არს სიბილწე, იქვე, 302,5; აღნიშნული ლექსემა აწარმოებს როგორც ებ-იან, ასევე ნართანიანი მრავლობითის ფორმას: ებ-იან მრავლობითში ის შვიდივე ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი, ხოლო ნართანიან მრავლობითში – სამი ფორმა გააჩნია: ღვინო-ნ-ი, ღვინო-თ(ა), ღვინო-(ნ)-ო. ამ ფორმებ-

მა არქაიზმების სიაში გადაინაცვლეს და თანამედროვე ქართულში აღარც გვხვდებიან: „**ღვინონცა** განიყოფებიან“ (ორბელიანი, 1949:383).

ასე რომ, **ღვნო, ღვნის, ღვნითა, ღვნისასა, ღვნონი, ღვნოთა, ღვნონო** – გრამატიკული ფორმებია, რომლებიც ქმნიან ფლექსიურ პარადიგმას. ღვნო არის ფუძე, ღვნ-ძირი, ხოლო **-ის, -ითა, -ისასა, -ნი, -თა, -ნო** – ფლექსიური მორფები ანუ ბმული მორფებია.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით „**ღვინო**“ არის ყურძნის ნაწური, თავისით დადუღებული, მათრობელა სასმელი (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი II ტ., 1990).

ქართულ სალიტერატურო ენაში **ღვინის** სინონიმად გამოიყენება ლექსემა **ბახუსი**. ქეგლ-ის მიხედვით: 1. ბახუსი ღვინის ღმერთის დიონისეს ერთ-ერთი სახელია რომაულ მითოლოგიაში. „ამ წუთში იგი თავად გავდა თრობის ღმერთს ბახუსს (კ.გამსახ.). 2. გადატ. ღვინო. „თავი მინდა დავივიწყო მე ბახუსში ცოტა ხანი“ (ი.ევდოშ.), „აუვარდათ ნაკაშიძესა და ამილახვარს თავში ბახუსი“ (ნ.დუმბ.).

ბახუსს უკავშირდება არეულობის და ქაოსის გამომხატველი სიტყვა „ვაკქანალია“ (ვაკხანალია), რომელიც მომდინარეობს ბაკქანალიიდან და არის „ბერძნულ-რომაული ღვინის ღვთაების, ბახუსის იდუმალი კულტის მისტერიულ-ორგინალური დღესასწაული“ (ნანა ტონია, ზურაბ კიკნაძე, მითოლოგიური ენციკლოპედია); ბაკქანალიებზე თავდაპირველად მხოლოდ ქალები იყრიდნენ თავს, თუმცა იმდენად ზღვარგადასული იყო მათი თავაშვებულობა, რომ ძვ.წ. 186 წელს, სენატმა შეზღუდა მონაწილეთა უფლებები. თუმცა, ბაკქანალიები არ აკრძალულა. **ბაკქოსი** ბერძნული ღვინის ღვთაება დიონისეს სახელია, რომელიც რომში „**ბახუსის**“ სახელით გავრცელდა და დამკვიდრდა. სწორედ ამგვარად დამკვიდრდა ის თანამედროვე სამყაროში. „ნაბ-

ახუსევი“ქართველების მეტყველებაში ნაქეიფარს ნიშნავს, ხოლო სიტყვა „ბახუსი“ ღვინის სინონიმს წარმოადგენს.

მსგავსი ვარიანტია – **ღვეის სისხლი**, რომელიც მხოლოდ წითელი ღვინის მნიშვნელობით გამოიყენება: „ხოლო კახელ-მან ყოველის მხრით კაცურმა კაცმა გახარებულმა რუსის, ფრანგის ზანგის სტუმრობით, სახელდახელოდ ღვეის სისხლის ინება დასხმა“ (მ. ლებან.).

მართალია, საბა სიტყვა „ღვინის“ რამდენიმე შესატყვისს გვაძლევს, მაგრამ ესენი უფრო ღვინის სახეობებია და არა მათი სინონიმები: „ღვინონიცა განიყოფებიან რამეთუ რა დაინწინა ყურძენი, ეწოდებიან **ტყბილ(ი)**; უკეთუ ტყბილსა აღაზავებს წყალი, **დგვიფინას** უწოდენ და ურწყოსა ტყბილსა – **შუმ(ა)სა**, ვიეთნი **არმუნჯს(ა)** უჭმობენ; უკეთუ ნანწეხსა ჭაჭასა წყალი დაასხა (ნანწეხი ჭაჭა წყლით დაალტვნა) და გამოქანჩა, უწოდენ **შამანს(ა)**; უკეთუ ტყბილს(ა) ძლიერად არ დაედულოს – **ამბოხი (აძბოხსა)**; ახალსა ღვინოსა **მაჭარი** ეწოდების და შემ(ო)დგომად – **ღვინო**; და განწყალებულს(ა) ღვინოსა **ყოქო** ეწოდების.

ამდენად, **ტყბილი, დგვიფინა/დგვიფი, შუმი-უჭაჭო ღვინო, არმუ(ნ)ჯი-წყალნარევი, შამანი-ჭაჭის მეორედ ნანური; ამბოხი, მაჭარი, ყოქო** – სხვადასხვა წესით მიღებულ ღვინის სახეობებს წარმოადგენენ. საბას ლექსიკონში არ გვხვდება, თუმცა ღვინის სახეობებს გამოხატავენ და მისი მნიშვნელობით იხმარებიან: **ახტაშირა/ახტაშური** – **შუმხუნა ღვინო**; მახალი, ბადაგი, კახური, **ზედაშე** – **ზედაშე** – **საეკლესიო ღვინო**, ქართველი მევენახეების სინდისად მიჩნეული საეკლესიო ღვინო; **წყალკვინტელა** – **უნყო ღვინო**; **ნანრეტი, კუნდიტი, ჩიხირი, გუმურა, პილატეს ცრემლები**.

ქართველთა მეტყველებაში ღვინის სინონიმებად მოი-აზრება ასევე: **თხელა** – წყალ-წყალა ღვინო; **შალამურა**; **შუ-აღვინო**; **ბოლინო** – ღვინოში ჩაბუჟბუჟებული პური; **ნუნუა** – ღვინო ბავშვების ენაზე. იგი, შესაძლოა, ჩაითვალოს აბ-

სოლუტურ სინონიმად, თუმცა ღვინო წარმოადგენს ლიტერატურულ ფორმას, ხოლო ნუნუა – სასაუბროს (ნეიმანი, ალ. ქართულ სინონიმთა ლექსიკონი).

ღვინის, უფრო ზუსტად კი არყის, ერთ-ერთი ყველაზე ძველი და ჩვენს დროში თითქმის უკვე დავინწყებული სინონიმია „**პილატეს ცრემლები**“, რომელიც მომდინარეობს გალოთებული პილატეს ტრაგიკული დასასრულის ერთ-ერთი ვერსიიდან. **პილატეს ცრემლ(ებ)ი – არაყი, ალკოჰოლიანი სასმელი.** თევდორემ შეიპატიჟა გზირი დუქანში, თანაც ორი ჭიქა პილატეს ცრემლი გადააცეცხლა... (ვ. ბარნ.). როგორც ცნობილია, ქრისტეს ჯვარზე გაკვრის შემდეგ რომის პროკურატორი პილატე ღვინოს მიეძალა და ერთ-ერთი ვერსიით სიცოცხლე მან ლოთობაში დაასრულა.

დასახელებული სახელწოდებებიდან **ტკბილი** („აგერ ტკბილმაც მოიმატა, ძლივსლა იტევს მოკლე ღარი, ჩქაფა-ჩქაფით მოჩქრიალებს, ქვევრი დახვდა უმაძღარი“! (რ. ერისთ.), **ბადაგი** („შენი ტუჩებიც ისე ტკბილია, როგორც ბადაგი დადულებისას“! ლეონ.), კახური („ნუ მისხამ, აღარ მესმევა კახური ვაზის ნაჟური“! (ვაჟა) და **მაჭარი-ახლად დადულებული** (დაიკრიფა ვენახებიც, დაინურა ყურძენი, დადუღდა მაჭრები (ილია) დღესაც ენის ლექსიკის აქტიურ მარაგს მიეკუთვნებიან, ხოლო დანარჩენებმა ენის პასიური ლექსიკის მარაგში გადაინაცვლეს.

სინონიმთა განხილვის შემდეგ, მორფოლოგიური კლასიფიკაციის თვალსაზრისით თუ წარმოვადგენთ სურათს, ამ შემთხვევაშიც ვითარება შთამბეჭდავია – ძირეული სიტყვიდან „**ღვინო**“ დერივაციის გზით მიღებული გვაქვს: არსებითი და ზედსართავი სახელები, სახელზმნები (საწყისი, მიმღეობა) თუ ზმნის პირიანი ფორმები: ღვინო -> ღვინა -> ღვინო -> ღვინია -> საღვინე -> მეღვინე -> მეღვინეობა -> ღვინიანი -> ნაღვინარი -> დაღვინება -> შეღვინება -> შეღვინიანება -> დაღვინებული -> შეღვინიანებული ->

ღვინ-ღებ-ა -> და-ღვინ-ღებ-ა -> შე-ღვინ-ღებ-ა -> შე-ღვინ-იან -ღებ-ა... (ბერიაშვილი, 2016).

რაც შეეხება სინტაქსურ შესიტყვებებს, მათ უმრავლესობაში ლექსემა „ღვინო“ საზღვრულია, რომელსაც მსაზღვრელ სიტყვებად ახლავს: გაადიექტივებული სუბსტანტივი (სუფრის, თავი...); ზედსართავი სახელი (გალა, ძველი, დაბალი...); განკუთვნილების ან დანიშნულების სახელი (სახარჯო, საძველო, საუდიერო...); მიმღეობა (დაღლილი, ნასვენები, გალახული, ნარწყული...). ასეთი ლინგვისტური მრავალფერობნება, თავისთავად, სემანტიკურ ნაირსახეობას განაპირობებს: **ფერის მიხედვით** – წითელი ღვინო, თეთრი ღვინო, ვარდისფერი ღვინო... **ხარისხისა და დამზადების მიხედვით**: თვითნადენი ღვინო, ნაქაჩი ღვინო, სახარჯო ღვინო, სუფრის ღვინო, ნარწყული ღვინო, მოჭვანგული ღვინო, ბჟუქურა ღვინო, ჭყაპურტა ღვინო (ჩიხირი), თავი ღვინო, თავანკარი ღვინო, შუა ღვინო (გუმურა), დამდგარი ღვინო, საძველო ღვინო, დაძველებული ღვინო, ძველი ღვინო, გალა ღვინო, შუმი ღვინო, ელიტური ღვინო, ძელგი ღვინო, მომბალი ღვინო, ზედაშე ღვინო, დაღლილი ღვინო, გალახული ღვინო, გადაბრუნებული ღვინო, ნასვენები ღვინო, ორთა-შუა ღვინო, დაბალი ღვინო, საუდიერო ღვინო, სატალახო ღვინო და საბანე ღვინო (შემღერება ღვინო), დადაღული ღვინო...

თუმცა, საზგასამელია, რომ ლექსიკური ერთეულების ასევე დიდ ნაწილში ლექსემა „ღვინო“ თავად ირგებს ადიექტივის ფუნქციას და გვევლინება გენეტივში მდგომ მსაზღვრელად, აფიქსაციის საშუალებით წარმოქმნის განკუთვნილების სახელს, და მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებს:

ღვინის ტური, ღვინის ტურიზმი, ღვინის კლუბი, ღვინის ფესტივალი, ღვინის კონკურსი, ღვინის გზა, ღვინის ბაზარი, ღვინის ეტიკეტი, ღვინის ღალა, ღვინოთერაპია (ენოთერაპია), ღვინის ქვა, ღვინის მჟავა, ღვინის ჭურჭელი...

რთულ ნომინაციურ ერთეულებში (კომპოზიტები და მყარი სიტყვათმეხამებანი) საინტერესო ნიმუშები გვაქვს: **ღვინობისთვე, ღვინისფერი, ღვინითბილი, ღვინომასალა, ღვინოგადაკრული, ღვინონასვამი, ღვინომოსმული, ღვინომორეული, ღვინოავარდნილი, ღვინოთერაპია, ღვინისფერი, ღვინო-არაყი.** აღნიშნულ კომპოზიტებში ლექსემა „ღვინო“ თავკიდურ სიტყვას წარმოადგენს, ხოლო სიტყვებში: ბიოღვინო, ბიომეღვინე, წყალღვინო – **ბოლოკიდურს...**

რედუქციაციითაა მიღებული – **ღვინაღვინა.**

„ღვინო“ ფიგურირებს ასევე გვარებში: **ღვინიაშვილი, ღვინაძე, ღვინიანიძე, ღვინეფაძე, მეღვინეთუხუცესი, ღვინჯილია...**

ქართული ენის ლექსიკურ ფონდში გამორჩეულად მრავალფეროვანი აღმოჩნდა ღვინის მოხმარებასთან დაკავშირებული ქმედების გამომხატველი ზმნები და სახელზმნები, რომლებშიც კარგად მოჩანს ქართველი ხალხის მენტალური დამოკიდებულება ღვინის სმის პროცესთან: **გასინჯვა, დაგემოვნება, გემება, დაჭაშნიკება, სმა, შესმა, დალევა, ჩაცეცხვლა, ჩახეთქება...**

წარმოვადგენთ ზოგიერთი მათგანის სემანტიკურ განმარტებას:

გასინჯვა – ქეგლ გვაძლევს მის რამდენიმე განსაზღვრებას: 1. დაათვალიერებს, შეამოწმებს, 2. რისამე (საჭმლის, სასმლის) ხარისხს გაარკვევს, გემოს გაუგებს ღვინოს.

დაგემოვნება – დააგემოვნებს. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული სიტყვები ამ ფორმით არ გვხვდება არც ერთ ლექსიკონში, მაგრამ აქტიურად იხმარება მეტყველებაში: „მსოფლიოში აღიარებულმა სომელიემ ჟერარდ ბასემ „თამადას“ ბრენდის ქვეშ წარმოებული ღვინოები დააგემოვნა“. ქეგლი გვაძლევს მის ასეთ ინტერპრეტაციას: **გემება**

(გემებისა) – გემოს გასინჯვა ან გასიჯვინება, გემოს ნახვა. „ნოემ რა ერთხელ ინება ყურძნის წვენიცა გემება, თვითონ ნუნუას მიუჯდა, წყალი პირუტყვით დაანება“ (ა.ჭავჭავ.), ასევე გვაქვს კომპოზიტი – **გემონაკრავი** (გემონაკრავისა) იმ უსიამოვნო გემოს მქონე, რომელსაც ჭურჭელი მისცემს ხოლმე საჭმელსა: „ღვინოს ზოგჯერ ძალიან იშვიათი და უცნაური „რალაცეების“ სუნი და გემო ახასიათებს... რა გვიკვირს, როდესაც არსებობს **თავის გემონაკრავი [ღვინო]**“ („მარანი“).

დაჭაშნიკება – ულამაზესი სიტყვაა. ჭაშნიკი – სასმლის (ღვინის) ნიმუში გემოს გასასინჯად: „სირაჯებმა სამჩაფიანი ტიკი ღვინო „ჭაშნიკად“ წაიღეს“ (რაფიელ ერისთავი). „გემო ბარძიმიმ გასინჯა, ჭაშნიკი უნახა ატენურ თეთრას“ (ბ.ჩხ.) კიდევ ორი სიტყვა, რომლებიც დასტურდება ლექსიკონებში, არის **ჭაშაკი-ი (ჭაშაკისა)** ძვ. „სასმისი ჭურჭელი“ (საბა) და **ჭაშნიკობა** (ჭაშნიკობისა) ჭაშნიკის გასინჯვა. „ამ დღეს მთელი სოფელი... ცაცხვქვეშ შლის სუფრას, ...ერთი ოჯახი მეორეს მიართმევს და მისთავაზებს ძღვენს და ჭაშნიკს; ეს ძღვნობა და ჭაშნიკობა მთელ სუფრას შემოივლის“ (ს. მგალოზ.) ლექსიკონი ქართული ლექსიკონები www.nplg.gov.ge.

სმა – სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „სმად ითქმის ყოვლისავე სასმელისა სმა, არამედ უფროსად ღვინისა“. აღნიშნული სიტყვების დიდი ნაწილი (მსმელი, სასმელი, სასმისი, სვა, სვი, სვამ) განმარტებას არ საჭიროებს და აქტიურად იხმარება სალიტერატურო ენაში, ნაწილმა შეინარჩუნა სემანტიკა, მაგრამ ფორმა შეიცვალა (**ვსუამ-ვსვამ**, **ნასუამი-ნასვამი**, **სმული-ნასვამი**), ნაწილმა კი – უკვე არქაიზმების ნუსხაში გადაინაცვლა (**მოსმურნი-მსმელნი**, **სამოსმურო-ადგილი**, სადაც ღვინო ისმებოდა, **სასუამადი-სასმელეები**, სუამ-სვამ).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ლექსემა **სმა** სახელია, რომლისგანაც მოქმედების გამოძ-

ატველი არაერთი ზმნაა მიღებული **ღვინის სმა, წყლის სმა, ხშირი სმა, გახურებული სმა**. გარდა აღნიშნული მნიშვნელობისა, იგი გვხვდება როგორც კომპოზიტის შემადგენელი ნევრიც, თუმცა განსხვავებული სემანტიკით: სმა-ჭამა – 1. სმა და ჭამა, 2. პურობა, ქეიფი, ნადიმი. მაგ.: სმა-ჭამა გაჩაღდა (ქეგლი). აღნიშვნის ღირსია ამ სახელზმნის პარადიგმის კიდევ ერთი ნევრი **ნასვამი** – 1. ვინც (საკმაო რაოდენობის) ღვინო ან არაყი დალია. **მთვრალი, დალეული**. „ეტყობოდა კარგა ნასვამი იყო“. 2. რაც დალიეს-შესმული. „ნასვამი ღვინო“, 3. **ნასვამზე** – როდესაც ნასვამი არის ან იყო ვინმე. სიმთვრალეში, ნასვამზე, **ნასვამობა**-ნასვამის მდგომარეობა (ქეგლ).

ცნობილია, რომ ზმნისწინის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა, აწარმოოს ახალი ზმნა. **მო** ზმნისწინის დამატებით სახელ **სმაზე**, მიღებულია **მოსმა** (მცირე რაოდენობის სასმლის მიღება) – სახელი **მოსვამს** ზმნის მოქმედებისა. **ღვინოს მოსვამს** (ქეგლ). **მო**-ზმნისწინმა სიტყვას მცირედ, მაგრამ მნიშვნელობა შეუცვალა. რაც შეეხება **შე**- ზმნისწინს, რომელიც ასევე დაერთვის აღნიშნულ ფუძეს (**შე-სმა**), გვაძლევს სემანტიკურად იდენტურ, მაგრამ ფორმით განსხვავებულ, სახელს. **შესვამს** – სადღეგრძელოს (სამადლობელს) წარმოთქვამს და სასმელს დალევს (ქეგლ). შეუსვამს, შეისმება, შესმა, შესმული, შესასმელი...

დალევა (დალევს, დაილევა) – რაიმე სითხეს მიიღებს, შესვამს. ღვინოს შესვამს, ღვინით იქეიფებს.

ნათელია, რომ ლექსემები: **სმა, შესმა, მოსმა და დალევა** ქმნიან სინონიმურ რიგს; თამაზ გამყრელიძის განმარტებით, ასეთ შემთხვევაში „ერთ-ერთ ლექსემას რიგში დომინანტის სტატუსი აქვს: იგი გამოირჩევა ტექსტში ყველაზე უფრო მაღალი სიხშირით, ყველაზე უფრო ფართო მნიშვნელობით“ (გამყრელიძე, 2008, გვ.33).

გადაყლაპვა (გადაყლაპავს) – „ლუარსაბმა სამი ჭიქა

ერთად ჯერ არ-დაბადებულის შვილის სადღეგრძელო გადაწყლაპა“ (ილია ჭავჭავაძე). კახეთში, სუფრაზე ხშირად გაიგონებთ: „გადაყლაპე ჩემო ხახა, ვის უნახავს ღვინის მარხვა“. აღნიშნული სიტყვა წარმოდგება არსებითი სახელისაგან ყლაპი. ქეგლ-ის მიხედვით, ეს ლექსემა ყელში სასმლის ერთგზის ჩაშვებას, ჩაყლაპვას ნიშნავს. შეიძლება შეგვხვდეს ასევე მცირე რაოდენობის სასმელის აღმნიშვნელადაც: „ყლაპადაც არ ეყოფა“ (საუბ)-ძალიან ცოტაა მისთვის (ღვინო). ყლაპს უზამს-უცხად გადაყლაპავს, ჩაყლაპავს. იმავე მნიშვნელობისაა ლექსემა ყლუპი (ჭიქები შეივსეს და პირველ ყლუპზედვე... დაიმანჭნენ (შ.არაგვ.) <http://ena.ge/explanatory-online> აქ უკვე სუბსტიტუციასთან გვაქვს საქმე: **ყლაპი-ყლუპი**. შედეგად ასეთი პარადიგმას ვიღებთ: **ყლაპი, ყლაპავს (გადაყლაპავს), მყლაპავი, საყლაპავი, ყლაპი-ყლუპი, ყლაპანი, ყლაპია. მყლაპავი და ყლაპია** (არს.სახ.) გამოხატავენ ჭამა-სმის მოყვარულ ადამიანებს, **სა-ყლაპავი**, რაც უნდა ყლაპონ, რისი ყლაპვაც შეიძლება, **ყლაპანი** – გადაყლაპავს.

ყლურწვა, გადაყლურწვა (იმერ.) – სასმელის ერთბაშად ხარბად დაღევა. იმავე მნიშვნელობისაა: **ყლურჭვა, გადაყლურჭვა** (ქეგლ). „დაიბობორიყა დევმა და ღვინო გადაყლურწა“ (სპილენძის თუნგის ზღაპარი). ან კიდევ „[ანჯიქოს] ვენახში ფეხის გადადგმა ეზარებოდა, თუმცა ღვინოს მადიანად ყლურწავდა“ (ს.შანშ.). ყლურწუნი (**ყლურწუნისა**) კუთხ. (ფშ.კახ.იმერ.) – ჩაყლაპის დროს ხმაური ყელში. „ბიჭო ვერვინ მაჯობებდა შავი ღვინის ყლურწუნშიო“ (ხალხ). **ყლურტუნი (ყლურტუნისა)-(ქიზ.)**, იგივეა, რაც **ყლურწუნი. ყლურტი**-ერთ შესმად ჩანთქმა(საბა). ხოლო ქეგლ-ის მიხედვით **ყლურტი**-იგივეა რაც **ყლაპი, ყლუპი**.

ყლაპი და ყლუპი სასმელის მცირე რაოდენობას აღნიშნავენ, ხოლო მათგან ნაწარმოები ზმნები კი სასმელის ხარბად, ხმაურით დაღევას.

გადაკვრა – სწრაფად დალევის კიდევ ერთი გამომხატველია. „მე მაშინვე მივხვდი, რომ კნენინა უამისოდაც გადაკრულია. ჩამოართო და გადაჰკრა“ (ილია ჭავჭავაძე). „თაგუნამ დაიწვიპა, დაიჭიმა ყელის ძაფები, შეებრძოლა ღვინოს და გადაჰკრა“ (ვაჟა ფშაველა). გადაკრულშია – ნასვამია, მთვრალია. „გადაკრულში გახლდით და ეს ნათქვამი იმავე ნუთში გადამავინყდა“ (ნ.ლომ.).

გამოცლა – სასმისის ბოლომდე დაცლას, ჭურჭლის დაცარიელებას გამოხატავს. **გამოცლის** – მთლიანად დალევს (ჭურჭელში ჩასხმულს), გამოაცარიელებს, დაცლის. ყანნი გამოცალა (ქეგლი). „ამას ყანნისთვის სუკი არ მოსდევდა, მაგრამ მაინც უარი არა სთქვა, გამოცალა ყანნი. გამოცალა, მაგრამ იქვე კი კინნი წააწყდა“ (იაკობ მანსვეტაშვილი, ფრაგმენტი წიგნიდან „მოგონებანი“). ცარიელი – რაშიც არაფერია მოთავსებული, გამოცარიელება, გამოცლილი, დავლილი.

დაგნატვა – „მეტისმეტად დასუფთავება, ღვინის ისე დალევა, რომ სასასმოში წვეთი არ ჩარჩეს“ – (ვ. ბერიძე. რაჭ.იმერ.).

გამოჟურვა (გამოჟურავს) (ქიზიყ.) – ამონჟურვა, დალევა, გათავება, ნურვით წვეთ-წვეთად გამოადენს. „ერთი ბენო ღვინო იყო და სუ გამოჟურა მაგ მუცელგასახეთქმა“ (ს. მენთემ). თუ გვინდა წარმოვაჩინოთ ამ ზმნის (სახელზმნის) წარმომავლობა, უნდა განვიხილოთ ორი ლექსემა: **ნაჟონი** (ნაჟონისა) – რაც ჟონავდა, რამაც გამოჟონა და **ნაჟური** – (ძვ.) ღვინის ნანრეტი, ნანური (დ.ჩუბინ.). **ნაჟონი-ნაჟური-გამოჟურვა-გამოჟურავს.**

გამონრუტვა (გამონრუტავს) (ქიზიყ.) – გამონრუტვა, პირში განურვით სულ დალევა წყლისა ან ღვინის. „ხელადა გამონრუტა“ (ს. მენთემ). საინტერესო ფაქტია შემდეგი – **ნრუტი (ნრუტისა)** კუთხ. (იმერ.) – ძალზე მცირე რაოდენობისა სითხე: „ერთი ნრუტი წყალი არ არი თუნ-

გულაში“ (დიალ). **წრუტო** კი არყის სასმელ პატარა ჭიქას ნიშნავს. **წრუტი (წრუტისა) – გამონწრუტვა (გამონწრუტავს)**. განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ყლაპი **ყლუპი** და **წრუტი** – სამივე სასმელის მცირე რაოდენობას აღნიშნავს და სინონიმებად შეიძლება ჩაითვალოს.

ღვინო დაღვეისას სხვადასხვა ხმას გამოსცემს, მეტადრე, თუ მისი დაღვევა ხდება ვინროყელიანი ჭურჭლით, გვესმის:

ჩარაკრაკება (ჩაარაკრაკებს), ჩარუკრუკება (ჩაარუკრუკებს) – ღვინოს ჩაარაკრაკებს კულით (ქეგლი). მოცემული ლექსემების ძირია არსებითი სახელი რაკრაკი (რაკრაკისა) და რუკრუკი (რუკრუკისა) ხმაბაძვ. ვინროყელიანი ჭურჭლიდან სითხის გადმოდინების ხმა: „მასპინძელმა მოიყუდა კულა და წითელ ღვინოს საამური **რაკრაკი** დაანყებინა“ (ი.გოგებ.). „მედუქნემ ხელადას **რუკრუკი** დაანყებინა“ (ს.შანშ.). ორივე მათგანი დადებითი კონოტაციის მატარებელია.

ყლუჭუნ-ყლუჭუნი – ღვინის სმის დროს ყელში „ყლუჭუნ-ყლუჭუნი გაისმისო“ (სახოკია, თ., 1979).

ჩაცეცხლება – უპატივცემულობის გამომხატველი ჭმევა, ან დაღვევინება რისამე. „ქვევრში რალაც წუმპე ნაძირალა დამრჩა, მაინც გადასაღვრელია და ბარემ შენ ჩაცეცხლო! (ილია ნაფეტვარიძე). ორი აბაზის ღვინოს ჩაცეცხლავს და ორი მანეთის დასაყოლებელს ჩაატანს.., ბრაზობდა პირტახია (კ.ლორთქიფანიძე). უპატივცემულო გამოთქმების რიცხვს ეკუთვნის ასევე **ჩახეთქვა** – ჩახეთქავს, ჩაცეცხვლა და ჩახეთქვა სინონიმური გამოთქმებია. „დალიე, ჩახეთქე, ოღონდ ფული ამოყაჭე!“ (ი.მაჭავ.). გარდა მიმღეობებისა, „ჩახეთქილი“ და „ჩასახეთქი“, აღნიშნული სიტყვით მიიღება უარყოფითი კონოტაციის მატარებელი შესანიშნავი კომპოზიტი „**მუცელჩასახეთქი**“.

განხილულ ლექსემებს თუ დავაჯგუფებთ, აღმოჩნდება,

რომ განირჩევა ღვინის სმის პროცესის აღმნიშვნელ ზმნათა რამდენიმე სემანტიკური ჯგუფი:

- ▶ სასმისის სწრაფად დაღევა (**გადაყლაპვა, ყლურწვა, ყლურჭვა, გადაკვრა**)
- ▶ სასმისის ბოლომდე შესმა (**გამოცლა, დაგნატვა, გამოჟურვა, გამოწრუტვა**)
- ▶ უპატივცემულობის/უზრდელობისგამოხატვა (**ჩაცეცხლება, ჩახეთქება, მუცელჩასახეთქი**)
- ▶ დაღევის მანერა (**დაღევისას გამოცემული ხმების გათვალისწინებით**):
 - ▶ სასმელის უმნოდ დაღევა (**ყლუჭუნ-ყლუჭუნი**)
 - ▶ სასმელის სასიამოვნო ხმოვანება (**ჩარაკრაკრება, ჩარუკრუკება**)

ამკარაა, ღვინის გადაჭარბებული სმის აღმნიშვნელ ზმნებში ქართველში მენტალურად გამოსჭვივის მკვეთრად გამოსატული უარყოფითი დამოკიდებულება მსგავსი ქმედებისადმი.

საკითხის სრულად წარმოსაჩენად გარკვეული მონაკვეთი დავუთმეთ იმ პოლისემიურ ანუ მრავალმნიშვნელობიან სიტყვებს, რომლებიც ღვინოსთანაა დაკავშირებული. მაგალითად:

დაღვინდება (დაღვინდა, დაღვინებულა). ილია ჭავჭავაძესთან ვხვდებით „**დაღვინოვდა**“. „შემდეგ ამისა, ღვინოს სიმჟავე აკლდება, ეძლევა სუნი და მაშინ იტყვიან, ღვინო დადგა, მაჭარი დაღვინოვდაო“. ზმნას გააჩნია როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობა: 1. დაიდულებს მაჭარი და ღვინოდ იქცევა, ღვინო დადგება; 2. (გადატ.) დადინჯდება, დაჭკვიანდება. „ჯერ კიდევ ბავშვ-

ვი ხარ, დამაჭრდები, დაღვინდები“ (ლიტ.საქ.). იმავე სემანტიკისაა **დაღვინებული**, 1. რაც დაღვინდა, ღვინოდ დამდგარი. „თევდორიამ დაღვინებული მაჭრით სავსე დოქიც არ დაივინყა“ (ს.კლდ.). „შემოდგომის დაღვინებული მზე აცხუნებდა იაკობის ეზოსა“ (ო.ჩხ.); „რა ხელ-მკლავი, რა უბე-კალთა, რა ტურ-კბილის შუქი ჰქონდა იმ დაღვინებულ ქალს!“ (რ.ინან.). განხილული მაგალითები ცხადყოფს, რომ ქართულ ენაში აღნიშნული ლექსიკური ერთეული გამოიყენება მხოლოდ დადებითი კონოტაციით და ახასიათებს პოლისემია. გარდა ფუძით განპირობებული პირდაპირი მნიშვნელობისა (ღვინოდ გადაქცევა), გამოიყენება ასევე დადინჯება, დაბრძენება, დაქალებული, ნაკლებად მცხუნვარეს მნიშვნელობით.

დადულდება – თითქმის იმავე სემანტიკის მატარებელია – 1. რაიმეს დუღილი მოთავდება, 2. დაღვინდება „დაინურა ყურძენი, დადულდა მაჭრები“ (ილია), „...ისე ტკბილია, როგორც მაჭარი დადულებისას“ (გ.ლევონ.). 3. გამოიცდება, ჭკუაში ჩავარდება, დადინჯდება, დადარბაისდება. „დადულდება ახალ განურულ მაჭარივით, ცოტა რომ დავაცადოთ“ (ილია). „ხუთიოდე წელი გაივლის, ბიჭი დადულდება, დაღვინდება“ (კ.კობ.). გარდა აღნიშნულისა, მას მოეძებნება კიდევ ორი განსხვავებული მნიშვნელობა: შედულდება და განადგურდება (ცეცხლით, სროლით), „მათი წასვლის შემდეგ თუნდაც ქვა ქვაზე დადულებულა“ (ახ.თაობა) <http://ena.ge/explanatory-online>.

ღვინოსთანაა დაკავშირებული ასევე **დაძმარება-დაძმარდება-დაძმარებული**. სამივე მათგანი ნაწარმოებ სიტყვათა ჯგუფს მიეკუთვნება და მათი ძირია **ძმარი**. აღნიშნული ლექსემა ქართულ ენაში დამყავებული ღვინის და ზოგადად მყავე გემოს მქონე სითხის აღმნიშვნელად გამოიყენება „კახელისთვის ღვინის გაფუჭება დაძმარებას ნიშნავს“ (შ.არაგვ.), თუმცა მას სხვა მნიშვნელობითაც ხმარობენ:

დანალვლიანება, დაღონება, შენუხება; ქეგლის მიხედვით მისი შესატყვისია: „თავს შევაბრალებ... ჩემს დაძმარებას ვუამბობ“ (ვაჟა) <http://ena.ge/explanatory-online>.

მონათვლა (რელიგ.) – აღნიშნავს ქრისტიანულ წესს, რომელსაც ასრულებენ ეკლესიის წევრად ბავშვის ან დიდის ჩარიცხვისათვის, მაგრამ იგივე სიტყვა ღვინოსთან კავშირში სხვა მნიშვნელობას იძენს. თ. სახოკიას მიხედვით **მონათვლა** – ითქმის ღვინოზე, როცა შიგ წყალს გაურევენ (თ. სახოკია, „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“). შესაბამისად, **მონათლულ ღვინოს** უწოდებენ წყალგარეულ ღვინოს.

გწყურებიათ! – იტყვიან, როცა „ჭიქებს პირთამდე მოჰყრიან ღვინით ისე, რომ გადმოედინოს“ (თ.სახოკია, „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი გვ.124). ამ სიტყვით ღვინის დამსხმელს თავი უხერხული მდგომარეობიდან გამოჰყავს, ხოლო პირამდე სავსე ჭიქაზე რაჭულ დიალექტში ამბობენ: **აპიპინება-სითხით თავამდე ავსება რაიმე ჭურჭლის: ჭიქა პირამდე ააპიპინა (რაჭული დიალექტი).**

გაჯეჯილდა – გაიჯეჯილებს. ჯეჯილი არის ძირი ამ ორი ლექსემის. ქეგლ-ის მიხედვით ჯეჯილი პურეულის (ხორბლის, ქერის) აღმონაცენია. „იზარდე მწვანე ჯეჯილო, დაპურდი, გახდი ყანაო“ (ი.დავით.). **გაიჯეჯილებს** – ზმნური ფორმაა აღნიშნული სიტყვის და ნიშნავს – გათამამდება, თავის ნებაზე გაინავარდება. **გაჯეჯილდა** – ამბობენ კახეთში, შემთვრალ სტუმარზე, რომელიც სახლში ნასვლას ველარ ახერხებს „იმ გრილ ჰაერზე და მათამებელ გარემოში ქეიფი გაუტკბათ და თითქმის შუალამემდე გაიჯეჯილეს“ (გ.ხორგ.) <http://ena.ge/explanatory-online>

საინტერესო ლექსიკური ერთეულია **დასველება** – მისი განსაზღვრება განმარტებით ლექსიკონში შემდეგი სახითაა გადმოცემული: 1. სველად ქცევა, სველად გახდომა, დაღობობა. მაგრამ აღნიშნულ სახელზმნას გადატანითი მნიშვნელობებიც გააჩნია: 2. რაიმე საქმის სასიკეთოდ დამთავრე-

ბის აღნიშვნა „[ბუცუს] გაუხარდა, ბინის მიღება მომილოცა და შემახსენა, – მაგ ბინას დასველება მოუხდებო“ (ვ.ჩეკურ.) <http://ena.ge/explanatory-online> იმავე გამოთქმაზე, თედო სახოკიას „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ ასეთ სიტყვა-სტატიას გვთავაზობს: **დასველება** – ღვინით გამასპინძლება მეგობრებისა, რომელთაც უნდა უთხრან: მშვიდობაში დაცვითეახალი ტანისამოსიო: „გუშინ ახალი ტანისამოსი ჩავიცვი და მეგობრებმა დამასველებინეს“. როცა ახალ ტანისამოსს ჩაიცვამენ, მეგობრებს ღვინით უნდა გაუმასპინძლდეს ახალი ტანისამოსის პატრონი, უნდა დაასველოს ტანისამოსი. აქედან: წარმოებული-დასველებული (სახოკია, თ., 1979).

შეჭიჭინება-შეჭუჭყუება-შეჭიკჭიკება (შეჭიკჭიკა, შეჭიკჭიკებულა) – შეთვრება და ალაპარაკდება, ენას ამოიდგამს სალაპარაკოდ. „ხელადა გამოცალეს, ორივე შეჭიკჭიკა“ (შ.არაგვ.). აღნიშნული ზმნა წამდვილად დადებითი კონოტაციის შემცველია. შემთვრალი ადამიანის თვისება, ზედმეტად ალაპარაკება, შედარებულია მერცხლის ჭიკჭიკთან. ჭიკჭიკი, შეჭიკჭიკებული (მიმღ.), შეჭიკჭიკება – **ჭიკჭიკის** სემანტიკურ ბუდეს ქმნის. **ჭუჭყუკი** (ჭუჭყუკებს), ასევე პოლისემიური მნიშვნელობისაა და აღნიშნავს 1. მწყრის ხმიანობას და 2. ტკბილი საუბარი დაბალი ხმით. „მეგობრულმა პურის ჭამამ და ტკბილმა ჭუჭყუკმა თბილი შთაბეჭდილება მოახდინეს დიმიტრიზე და წაახალისეს“ (ვ. ბარნ.). კახეთში ხშირად გაიგონებთ დაპატიჟებას: „წამო, ვიჭუჭყუკოთ“.

ჭიჭინ-ი (ჭიჭინისა) 1. ჭრიჭინი, ჭრიალი. ისმოდა... ჭიჭინობლების გაბმული ჭიჭინი (**რ. გვეტ.**). 2. იგივეა, რაც ჭიჭყინი. [გიორგას] შემოესმა ზურნის ჭიჭინი (**ს. შანშ.**). 2. კუთხ. (რაჭ.) მაჭრის ხმაური კოლოტში. 3. მთვრალი ადამიანის მომაბეზრებელი ლაპარაკი თედო სახოკიას შედარებული აქვს ჭრიჭინის ხმიანობასთან: „შეჭიჭინებული

ღვინითა“. ე.ი. ღვინით შემთვრალმა ადამიანებმა შესაძლოა **იჭიკჭიკონ, იჭუკჭუკონ** (დადებითი კონოტაცია), ან **იჭიჭინონ** (უარყოფითი კონოტაცია).

სიტყვები, რომლებმაც უკვე გადაინაცვლეს პასიური ლექსიკის რიგში: **საკართანო** და **საკარგემო**. ორივე მათგანი სადღეგრძელოს მნიშვნელობით იხმარებოდა. ორივე მათგანი ნაწარმოებია სა- და -ო აფიქსების დართვით. ამასთან ერთად, **საკარგემო** არის თხზული სიტყვა ანუ კომპოზიტი. **საკართანო** – სადღეგრძელო კართან დასალევი. ფშავ-ხევსურეთში, როდესაც ჭამა-სამას მორჩებიან და სტუმარი მასპინძელს უნდა გამოეთხოვოს, უკანასკნელი დასალევი სადღეგრძელო – საკართანოა, ე.ი. კარში გასასვლელი მშვიდობით მოგზაურობისა და მშვიდობით დარჩენისათვის (თ. სახოკია „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“). „ქალო ძიძილავ, საკართანოს რად არ მიართმევ ჩვენს ძვირფას სტუმარს?“ (ვ.ბარნ.). **საკარგემო** – პოლისემიური მნიშვნელობისაა. შესაძლოა იყოს: ა) კარგი ყმისთვის განკუთვნილი სადღეგრძელო ან ბ) საბოძვარი. „საკარგემო დაალევინეთ, თუ მაღლი გწყალობთ ღვთისაო“ (ვაჟა). „ერთი სამეფო საკარგემო, უბოძა ამირბარობა!“ (რუსთაველი). კიდევ ერთი პოლისემიური ლექსიკური ერთეული, რომელიც სადღეგრძელოს მნიშვნელობითაც იხმარება, არის **შესანდობარი**; მისი ლექსიკური ბუდე წარმოდგენილია კიდევ რამდენიმე ლექსიკური ერთეულით: შენდობა, შეუნდობს, შენდობილი. **შესანდობარი**, მისი სემანტიკა ასე გამოიყურება: 1. რისი შენდობაც შეიძლება „ზოგისათვის ამისთანა საქციელი პრესისა თუ მთლად არ არის შესანდობარი, ცოტად თუ ბევრად შესაწყნარებელია (ილია), 2. ძვ. რელიგ. სულის მოსახსენებელი (სადღეგრძელო). „ვადღეგრძელებდეთ ცოცხალსა, მკვდრისა ვსვათ შესანდობარი“ (ვაჟა).

ცალკე ჯგუფებს ქმნიან თავისი მდიდარი სინონიმური რიგებით ის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც გრადაციულად გამოხატავენ დალევის შემდგომი პროცესებს: **მცირე ნასვამობა/ნასმურობა, დათრობა, ლოთობა.**

1. ნასმურობა/მცირე ნასვამობა

ღვინის დალევის შემდგომი პროცესია **ნასმურობა. ნასვამი** – 1. ვინც საკმაო რაოდენობით ღვინო (ან სხვა რამ მაგარი სასმელი) დალია,- მთვრალი, დალეული. „[მარინეს] არ უნდოდა ნასვამ კაცს შელაპარაკებოდა“ (ვ.ბარნ.). 2. რაც დალიეს, შესმული „სწორედ რომ მოგახსენოთ ამომშხამდა ნასვამი ღვინო“ (ვაჟა). 3. **ნასვამზე, ნასვამ გუნებაზე** – როდესაც ნასვამი იყო, სიმთვრალეში „შენ რომ არ ყოფილიყავი იმ დღეს, გადვირეოდი იმ ნასვამზე“ (ნ.ლორთქ). 3. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი-**ღვინონასვამი**. ასევე **ნასვამნაჭამი** – ნასვამი და ნაჭამი. **ნასვამობა** (ნასვამობისა) – ნასვამის მდგომარეობა, სიმთვრალე. „კამკამიძეს ეტყობოდა ნასვამობა, ცეკვისა და ღვინოსაგან კეხურასავით ულაჟლაჟებდა სახე“(ბ.ჩხ.).<http://ena.ge/explanatory-online>.

ნასვამი-ნასვამობა-ნასმურობა-ნასვამზე-ნასვამ გუნებაზე-ღვინონასვამი-ნასვამნაჭამი. ასეთ პარადიგმას გვაძლევს აღნიშნული სიტყვა. ზემოთ მოყვანილ მაგალითშიც გამოჩნდა, რომ ნასვამი და მთვრალი სინონიმებია, მაგრამ ნასვამი იხმარება უფრო დადებითი კონოტაციით. ის ასევე შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ევფემიზმი ლექსემისა „მთვრალი“.

ფრაზეოლოგიზმი, რომელიც გრადაციულად შემდეგ ადგილს იკავებს **შელვინებაა**. იგი საბასთან ასეა განმარტებული: „მცირე სიმთვრალე“. მისი განმარტების

ფართო სპექტრს ვხვდებით ასევე სხვა ლექსიკონებშიც: შეღვინიანება-სახელი შეღვინიანდება ზმნის მოქმედებისა (ქეგლი). **შეღვინიანებული** -ვინაც შეღვინიანდა, ოდნავ შემთვრალი. **შეღვინიანდება** (შეღვინიანდა) – ოდნავ დაათრობს, შეაზარხოშებს. „სტუმრები შეღვინიანდნენ; დიდი ჯიხვის ყანნები ჩამოატარეს“ (გ.წერეთ.) <http://ena.ge/explanatory-online>.

შეღვინების სინონიმური პროცესის გამომხატველია **შეჭიკჭიკება** (შეჭიკჭიკდა, შეჭიკჭიკებულა) – შეთვრება და ალაპარაკდება, ენას ამოიდგამს სალაპარაკოდ. „ხელადა გამოცალეს, ორივე შეჭიკჭიკდა“ (შ.არაგვ.). აღნიშნული ზმნა ნამდვილად დადებითი კონოტაციის შემცველია. შემთვრალი ადამიანის თვისება, ზედმეტად ალაპარაკება, შედარებულია მერცხლის ჭიკჭიკთან. ჭიკჭიკი, შეჭიკჭიკებული (მიმღ.), შეჭიკჭიკება – ჭიკჭიკის სემანტიკურ ბუდეს ქმნის.

შეზარხოშება. მისი ძირი **ზარხოშ**-ი სპარსული წარმომავლობის სიტყვაა (სარ ხუშ). იგი ქართულად ღვინის სმისგან გამხიარებული, შექეიფიანებული, შემთვრალი, შეზარხოშებულის აღმნიშვნელად გამოიყენება. „ლამაზმა ქალმა დამწყველა, ხელშეღებილმა ინითა, ნეტავი იმას შემყარა, ზარხოშად ვიყვე ღვინითა“ (ხალხ.). <http://ena.ge/explanatory-online>. ქართულმა ენამ იმდენად კარგად შეითვისა ეს სიტყვა, რომ მოარგო ენაში დამკვიდრებულ ნესებს და გააფორმა თავისი საკუთარი მორფოლოგიური სისტემის მიხედვით. ამ სიტყვითაა ნაწარმოები: სახელზმნები-**ზარხოშობა, შეზარხოშება** „ღვინის ამოღების დროს მარანში ყოფნამ, ბევრი ბოლღინოს ჭამამ, ხრიალ-ხრულმა და საერთო შეზარხოშებამ ბავშვი დაათრო და დაქანცა“ (ნ.ლორთქ.), ზმნა – **შეზარხოშდება** (შეზარხოშდა, შეზარხოშებულა). „სტუმრები და მასპინძელი კარგად შეზარხოშდნენ“ (ვაჟა) და ასევე მიმღეობა – **შეზარხოშებული** „შეზარხოშე-

ბული ყმანვილი მარდად გადმოხტა ცხენიდან“ (ნ.ლორთქ.). როგორც განხილვამ გვიჩვენა, **შელვინება** და **შეზარხოშება** ერთი და იმავე მოვლენის, ერთი და იმავე ფაქტის ამსახველი სხვადასხვა სახელწოდებებია, ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია მათი განხილვა როგორც ლექსიკური სინონიმებისა. ამავე სინონიმური რიგის წარმომადგენელია ლექსემა „**შებრუყება**“, რომელიც შელვინება, შეთრობა, შებრუყებას ნიშნავს. დანარჩენი სიტყვების მსგავსად, ლექსიკონებში მოცემულია მისი ფართო პარადიგმა: **ბრუყი-ბრუყვა-ბრუყება-ბრუყავს-შებრუყებული-შეიბრუყა**. აქვე უნდა გაესვას ხაზი ზმნისწინის ფუნქციას. **შე**-ზმნისწინით იწყება განხილული სიტყვები. ცნობილია, რომ **შე**-გამოხატავს მოქმედებას, რომელიც ნაკლები ზომითა თუ ხარისხითაა წარმოდგენილი. **შე**-ზარხოშდა, **შე**-თვრა. ამ სიტყვებში სიმთვრალე ნაკლები ზომითაა წარმოდგენილი, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ გამო-ზმნისწინი მოქმედების დასრულებას გამოხატავს, **გამო**-იბრუყა და გამოთვრა, ადამიანის აბსოლუტურ სიმთვრალეს გამოხატავენ: „მოხუცებული მოსულიყო ქორწილში ძალზე გამობრუყული“ (ა.ფურც.), „კაი სანახავი კია დარაჯი ისლამისა ღვინით გამომთვრალი!“ (გ.ყიფშ.) <http://ena.ge/explanatory-online>.

შეზარხოშების კიდევ ერთი სინონიმი იძებნება გურულ დიალექტში-**შეხონჩოლება, შეხონჩება, შეხონჩოლებული...**

1. დათრობა

მცირე სიმთვრალის შემდგომი მდგომარეობაა **დათრობა**, რომელიც ირონიულ დამოკიდებულებას იწვევს. მცირე დადებითი კონოტაციის მატარებელია **შეპერანგება-შეპერანგებულა-შეპერანგებული**. **შეპერანგებულა** – დამთვრალა, ზომაზე მეტი ღვინო დაუღევია და აჭიკჭიკებულა (სახოკია, 1979). აღნიშნული ფრაზეოლოგიზმის ფუძეა პერანგი. ადამიანის პერანგით შემოსვა და ღვინის ჭარბად

დალევა შედარებულია ერთმანეთთან.

საინტერესო სურათი მოგვცა ლექსემა „ჩაჭყაპეს“ განხილვამ. ქეგლ-ის მიხედვით: **ჭყაპი** – გამდნარი თოვლისაგან ან წვიმისაგან დაყენებული ტბორებია. **ჭყეპს-გაჭყეპს** (გრძმ.) – ძალიან ბევრს დააღვეინებს წყალს, სუსტ ღვინოს, ბერავს სასმელით. **გაიჭყიპება, გაჭყეპილი** (მიმღ.) „თევდორე და მარინე გაჭყეპილ სტუმრებს კალთებს უვსებდნენ“ (მ.ჯავახ.). **ჩა-ზმნისწინის** დამატებით **ჭყაპ** ფუძეზე, მივიღეთ **ჩაჭყაპე**. ჩა-ზმნისწინი ორმაგ მიმართულებას გამოხატავს: გარედან შიგნით და ზევიდან ქვევით. თედო სახოკიას ლექსიკონში ეს ლექსემა ასეა განმარტებული: **ჩაჭყაპე**-ქალაქურად დაცინვით უთქვიათ მეტისმეტი მსმელი, ლოთი კაცისათვის. როგორც ვხვდებით, აქაც ირონიული დამოკიდებულება გამოიხატება მსმელის მიმართ. **ჩაჭყაპე**-იხმარება როგორც 1. პირიანი გარდამავალი ზმნა: ჩაჭყაპავს, ჩაუჭყაპავს. ასევე იხმარება, როგორც 2. მსმელი, ლოთი კაცის მეტსახელი. **დალბობა** – ნასვამობა, ტანში გაჯდომა სასმელისა (ღვინის, არაყის), უგრძნობლად დათრობა. **დამბალი** – (მიმღ.ირონ.) გამოხატავს ადამიანს, რომელიც ძალიან მთვრალია, ღვინითაა გაჟღენთილი. „რას ვერ ვაკისრებთ ღვინისაგან დამბალ დარაჯებს“ (ი.მაჩაბ.) და **გაბრინცვა** (ლერჩხ)-დათრობა, გაბრუება, გამოჩერჩეტება. „გაბრინცულია, ღვინო არ დეეღვევა!“ (მ. ალავ), (ალ. ლლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ.104.) ამ ორი უკანასკნელი სახელზმნის (დალბობა, გაბრინცვა) ზმნური ხმარების მაგალითები არ დაიძებნა.

ხაპი – დიალექტურ ლექსიკას მიეკუთვნება. გურიასა და აჭარაში მას ორი მნიშვნელობით ხმარებენ: **1. გოგრა**, **2. ორშიმო** „ხელოსანი მარანშია, ღვინოს იღებს ხაპითაო“ (აკაკი), ხოლო ზმნა **ხაპავს** – ხაპით ან სხვა რაიმე ჭურჭლით სითხის მთლიანად ამოღებას ნიშნავს. აქედან გამომ-

დინარეობს ხაპიას სემანტიკაც-ადამიანი, რომელიც ბევრს სვამს, ბევრ სასმელს „ხაპავს“.

2. ლოთობა

შემდეგი ლექსემა, რომელიც ასევე ფართო სპექტრითაა წარმოდგენილი, არის ლოთი. ეს სიტყვა ქეგლ-ში ასეთი განმარტებით გვხვდება: ვინც ხშირად თვრება, ვინც ჭარბად სვამს მაგარ სასმელებს „ლოთმა კი არ იცის, რომ ღვინით გალახულს ჯოხით გალახული სჯობია“ (დ.მაჩხ.). **ლოთობა**-სახელმზმნაა, ხოლო **ლოთობს**, ამ პროცესის (ლოთობის) გამომხატველი ზმნა. ალექსანდრე ნეიმანის ლექსიკონში უხვად გვხვდება მისი სინონიმები: **ლოთიბაში**, **ლოთბაზარა**, **ლოთმანიჟა**, **მსმელი**, **მონხური**, **მებრუ**, **მებრუვე** (მარადის მთვრალი), ქეგლ კიდევ ორ სინონიმს ამატებს: **ლოთი-ფოთი** (ქეიფის მოყვარული ლოთი), **ლოთი-შფოთი** (ჩხუბის, აურზაურის მოყვარული ლოთი). **ლოთიანი** (ვულგ. ძველი თბილისის მოქალაქეების მეტყველებაში) – შნოიანი, ლაზათიანი, ვაჟკაცური. **ლოთიანად** – ვაჟკაცურად (ჩართული სიტყვა): აბა, მოდი ერთი! ლოთიანად! უნდა აღინიშნოს, რომ ეს სიტყვა ყოველთვის დადებითი კონოტაციის მატარებელია. **ლოთიბაში**, **ლოთბაზარა**, **ლოთმანიჟა**, **ლოთი-ფოთი** და **ლოთი-შფოთი**.

მსმელი – ვინც სვამს, დამლევია. „მსმელები ლუარს-აბს შემოუსხდნენ“ (ეკ.გაბ.). აღნიშნული სიტყვა შესაძლოა შეგვხვდეს ასევე, როგორც რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი – სისხლისმსმელი, **ღვინისმსმელი**.

კიდევ ერთი კომპოზიტი, რომელიც ლოთი ადამიანის აღმნიშვნელად გამოიყენება, არის **ტიკსუსუნე** – ანუ ვისაც ხშირად აქვს ღვინოსთან საქმე, ვინც ხშირად სუნავს ღვინოს ტიკს და სვამს იქიდან ღვინოს.

აღნიშნულ თავს ორგანულად ერწყმის დიდი გერმანელი ლინგვისტის ჰუმბოლდტის სიტყვები: „**ენა არის ერის სული და ერის სული არის მისი ენა**“. ერის მატერიალური და სულიერი კულტურის შესასწავლად და გამოსავლენად კი უცილობლად საჭიროა, გამოვიკვლიოთ ენის ფრაზეოლოგიური დონე, რომელიც ამ თვისებების საუკეთესო ამსახველია.

ფრაზეოლოგიზმების ზედაპირული გადახედვაც საკმარისია იმისათვის, რომ მოვხვდეთ ადამიანთა სამყაროში, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ღვინის წარმოება-მოხმარებასთან; ჩანს მათი დამოკიდებულება ღვინისადმი, გამოცდილება თუ ქცევა სხვადასხვა სიტუაციაში; ისინი არ შემოიფარგლებიან ღვინის, როგორც მხოლოდ სასმელის, აღწერით, არამედ გადმოგვცემენ იმ განცდას, რომელიც დაკავშირებულია მათ სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობასთან ღვინოსთან მიმართებით; აშკარაა, ქართულ ლექსიკას ლეიტმოტივად მიჰყვება – ღვინო კარგია, სამარგებლოა, მაგრამ არა მოჭარბებული. მათი შესწავლა საშურად მიგვაჩნია, თუნდაც იმიტომ, რომ ისინი ხშირად სიცოცხლეს უნარჩუნებენ ისეთ სიტყვებს, რომლებიც მივიწყებულია და სალიტერატურო ენაში აღარ გამოიყენება აქტიურად.

ცნობილია, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულების წარმოშობას სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს და ცარიელ ნიადაგზე არ ჩნდებიან. მათი შექმნის მიზეზი თუ სათავე სოციალურ ან კულტურულ გარემოში უნდა ვეძიოთ. ზოგ მათგანს ტრადიცია წარმოშობს, ზოგს რაიმე კონკრეტული ფაქტი. გასათვალისწინებელია სხვა გარემოებაც – ღვინო ისეთი პროდუქტია, რომლის დაყენება-დავარგებას ხანგრძლივი დრო სჭირდება. ამავე დროს, ის ერთობლივ შრომას საჭიროებს და დაღევაც ძირითადად ფართო წრეში ხდება. ასე რომ, ადამიანები აკვირდებიან ღვინოს, აკვირდ-

ეზიან ერთმანეთს და ახალ-ახალი გამოთქმებიც იბადება. ასეთ შემთხვევაში თავისუფალი შესიტყვება გადაიქცევა გაქვავებულ სინტაგმად და ფიგურალურ მნიშვნელობას იღებს. მაგ.: „ყური შეახურე“! დაკვირვებულმა ადამიანმა იცის, რომ ბევრი სასმელის დაღვეით, მსმელს ყური უნითლდება, ამიტომ ეუბნება: „ყური შეახურე“ ანუ ბევრი დალიეო. ან კიდევ „ფრჩხილზე ღვინის კოკობის დასმა“. ტრადიციის მიხედვით, ღვინით სავსე ყანწი ბოლომდე უნდა შეისვას, ცარიელ ყანწს დამღვევი ამაყად ამოატრიალებს და ცერი თითის ფრჩხილზე დაიდებს. ღვინის ერთი ან ორი წვეთი მაინც გადმოვა ყანწიდან და ფრჩხილზე გაჩერდება. სწორედ ამას ჰქვია ფიგურალურად „ღვინის კოკობი“, ხოლო „ფრჩხილზე ღვინის კოკობის დასმა“ – სასმისის ბოლომდე დაცლას გამოხატავს. ფრაზეოლოგიზმისათვის მნიშვნელობა არა აქვს ის ერთი წევრისგან შედგება თუ რამდენიმესგან. მისთვის მთავარია მისი ლექსიკური შემადგენლობა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლექსიკალიზაცია არის სოციალური ფენომენი და მისი საშუალებით ხდება კავშირი ენასა და მის მომხმარებელს შორის. ფრაზეოლოგიური გამოთქმის შექმნის მიზანი, შესაძლოა, იყოს: აზრის, მოქმედების ხატოვნად გამოთქმა, ან რამდენიმე სიტყვით გადმოცემული მოქმედების მხოლოდ ორი ან სამ სიტყვიანი გამოთქმით გადმოცემა. მაგ. ღვინის უხვად ქონა, დიდი რაოდენობის ღვინო – შედარებულია წყალუხვ მდინარე მტკვართან, როდესაც ამბობენ: **ღვინო მტკვრის ტოტად გადმოშვებული**, ხოლო **ღობურად სმა** – ამოკლებს წინადადებას (სუფრასთან ღვინოს უფროს-უმცროსობის კვალობაზე კი არ სვამენ, არამედ ერთმანეთის მიყოლებით ბევრს სვამენ). უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ფრაზეოლოგიური სისტემა არა მარტო თვითონ ვითარდება ახალი ფრაზეოლოგიური ერთეულების წარმოქმნით, არამედ ლექსიკასაც ამდიდრებს ახალი სიტყვებით. ახალი მნიშვნელობა შეიძინა

ერთმა სიტყვამ, მაგრამ შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ახალი მნიშვნელობით წარმოგვიდგეს სინტაგმა ან ფრაზეოლოგიზმი. მაგ: **ქუდმობდილი ღვინო** (დანმენდილი ღვინო) სინტაგმა – **ქუდმობდილი ღვინის სმა** (დანმენდილი ღვინის სმა)- **ქუდმობდილი სმა** – გაჭიანურებული სმა.

კვლევაში გვიჩვენა, რომ შედგენილობითა თუ სემანტიკით ნაირგვარია ღვინოსთან დაკავშირებული იდიომები:

- ▶ ღვინის კოკობი, ღვინის ჭუმპა, ღვინის ბურნა; ღვინის ნათლული, ღვინის აღმური, ღვინის ხუხვა, ბახუსის სტუმარი, ქვევრის ქუდი, მაჭრის ქუდი...
- ▶ ქუდმობდილი სმა, ლობურად სმა, ბახუსთან მუსაიფი, ღვინოში ბანაობა, ყელის ჩასველება, უღვინოდ დათრობა, მოუკუპრავში ჩაშვება, ღვინო მოეკიდა, ღვინოში ბანაობს, ჭიქას წაუქცევს, ყური შეახურე, ღვინო დარუვდა...
- ▶ თავში ამხანაგი უზის, ღვინოს ხელი აქვს; ლართხი გამოუჩინე ჭიქას, ჭურჭელს ძირი მოუმშრალა, ქვევრში თავის ჩახრჩობა; ღვინის ქუდის გატეხვა; ღვინის აღმური ასლიოდა“; თავში ასვლა ღვინისა / ღვინის შეჯდომა თავში ...
- ▶ ერთი შემღერება ღვინო თუ მომივა მთელ ვენახში; ღვინის მიერ თავის მოტაცება; ღვინო ისეთია, რომ კაჭკაჭს (ყვავს) დააჩხავლებს; ღვინო მტკვრის ტოტად გადმოშვებული; ღვინის მიერ თავის მოტაცება – ძალიან დათრობა, ძლიერი სიმთვრალის გამომხატველია; ფრჩხილზე ღვინის კოკობის დასმა – ყანწის დაცლისას ერთი წვეთი ღვინის ფრჩხილზე დასმა ...

დასტურდება გავრცობილი ფორმებიც მაგ: ღვინის კოკობი – **ღვინის ლამაზი კოკობი**, ბახუსის სტუმარი – **ბახუსის ხშირი სტუმარი**.

საინტერესოა უარყოფით ფორმაში ჩაყენებული იდიომები:

- **არც ღვინოა, არც წყალი**
- **მინავ, ნუ გასტყდები და ღვინოვ, ნუ დაიღვრები**
- **ყლაპადაც არ ეყოფა**
- **ქვევრში ჩაყვირებად არა ღირდაო**

აღნიშნულ ფრაზეოლოგიზმებში უარყოფით ნაწილაკებს (არც, ნუ, არ, არა) პრაგმატული დატვირთვა გააჩნიათ. მათი ჩამოშორებით რადიკალურად შეიცვლება სემანტიკა და შეუძლებელი გახდება მათი დემონსტრირება ფიგურალური გამოთქმების რანგში.

არც ღვინოა, არც წყალი – უხეირო, უგერგილო. აღნიშნული ფრაზეოლოგიზმი ორი ასპექტითაა საინტერესო: ა) როგორც აღვნიშნეთ შეიცავს უარყოფით ნაწილაკებს და ბ) მისი ხმარება საილუსტრაციო მასალაში დადასტურებულია როგორც მხოლოდითი, ასევე მრავლობითი რიცხვის ფორმით: „ქალი რომ გამაცანი, არც ღვინოა, არც წყალი, ღმერთმა პატრონს მოახმაროს“ (თ.სახოკია), „უმცროსი რძლები ხომ არც წყალი იყვნენ და არც ღვინო (ბანოვანი).“

ერთმანეთთან შედარებულია ორი რადიკალურად განსხვავებული სიტხე: ღვინო და წყალი, მაგრამ ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობაში არც ერთი მათგანი არ ფიგურირებს.

მინავ, ნუ გასტყდები და ღვინოვ, ნუ დაიღვრები – ერთმანეთთან სიამტკობილობით არიან. „ამის შემდეგ ნათლია და ნათლიმამა ისეთ განწყობილებაში იყვნენ, რომ მინავ, ნუ გასტყდები და ღვინოვ, ნუ დაიღვრები“. საინტერესოა მისი სემანტიკა: მინის ჭურჭელშია ჩასხმული ღვინო და არც ჭურჭელი გასტყდება, არც ღვინო დაიღვრება. მიუხედავად კომპონენტთა სიმრავლისა, არც ერთი მათგანი

არ ფიგურირებს ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობაში, ხოლო მისი ფიგურალურობა განპირობებულია „არც“ უარყოფითი ნაწილაკით მის შემადგენლობაში.

ცალკე გამოვყავით კითხვითი ფორმით წარმოდგენილი იდიომები: **საით დაუდო? საითკენ წვიმდაო?** მათში აშკარად ირონიული დამოკიდებულებაა გამოსატული მთვრალი ადამიანის მიმართ. მის მიერ შესმული ღვინო შედარებულია ტვირთს და წვიმას, ხოლო კითხვით ფორმაში ჩაყენება იდიომებს ექსპრესიულობას მატებს.

საინტერესოა იდიომთა ის ჯგუფი, რომელშიც ღვინო ნახსენები არაა, თუმცა მას უკავშირდება:

- **ქვევრში ჯდომა / ჭურში ჯდომა** – ჩამორჩენილობა, უვიცობა, უმეცრება, კარჩაკეტილობა
- **ცას უცქირე** – სულ გამოსცალე ღვინით სავსე ჭიქა, შიგნვეთიც არ ჩასტოვო
- **თავში ამხანაგი უზის** – მთვრალია/შემთვრალია
- **ძირის აკვრა თასისა** – ძირის გამოჩენა ჭურჭლისათვის
- **ყელის გაშრობა/ყელი გაგვიშრა** – მოწყურება/ღვინის დალევის სურვილი
- **ყელის ჩასველება** – ცოტა ღვინის დალევა
- **ლართხი გამოუჩინე ჭიქას** – ბოლომდე დალევა
- **გოლვა ჩაგვიდგა ყელში** – დალევა გვინდა, გვწყურია
- **ჭურჭელს ძირი მოუშრალა** – გამოცალა
- **ჭიქას ნაუქცევს** – ცოტას დალევს
- **გაჯდა ძარღვებში** – დათვრა
- **საითკენ წვიმდაო?** – სად დალიეო
- **საით დაუდო?** – სად დალიეო
- **ჭიქის ჭიქაზე დაცლა** – ბევრი ღვინის დალევა
- **შეპერანგება** – შეთრობა
- **ცხვირიდან ძმარი აღინა / ცხვირში ძმარი ჩაანურა** –

გამწარა, შავი დღე აყარა; ცხვირიდამ უნდა ვადინოთ ზვიადაურსა ძმარია (ვაჟა); ძმარს მანურებს ცხვირში! სხვა არა იყოს-რა, უფროსი ძმა ვარ! (ილია).

ღვინო ნახსენებია, მაგრამ კავშირი არა აქვს ღვინოსთან:

- არც ღვინოა, არც წყალი
- პურ-ღვინოსათვის ფეხი დამიდგა
- უღვინოდ დათრობა
- ცხრილით ღვინის დაღევა
- მინავ, ნუ გასტყდები და ღვინოვ, ნუ დაიღვრები

იმის მაგალითიც ვნახოთ, თუ როგორ იძენს სიტყვა ახალ მნიშვნელობას ფრაზეოლოგიზმის გავლით. ანუ, სიტყვას აქვს პირდაპირი მნიშვნელობა, შემდეგ მიღებულია ფრაზეოლოგიზმი წარმოქმნილი ახალი მნიშვნელობით:

ლობე – სარებზე წნელით მოწნული ან მწკრივად ჩარჭობილი სარებით და სხვ. შემოვლებული ზღუდე – **ლობურად სმა** – სუფრაზე ერთმანეთის მიყოლებით დაღევა/სმა;

რუ – სარწყავად გაყვანილი პატარა არხი – ღვინო დარუვდა – ღვინო ბევრია, რუსავით მოედინება

ფრაზეოლოგიური ერთეულების სტილისტურმა კლასიფიკაციამ ასეთი სურათიც მოგვცა – შეგვიძლია, განვასხვაოთ:

- **ლიტერატურული: ღვინო დარუვდა** – ე.ი. სმა გაჩაღდა, სადღეგრძელოს სადღეგრძელო მოჰყვა (კოშორიძე, 2005), **ღვინის ნათლული, ბახუსთან მუსაიფი...**
- **სალაპარაკო** – ფამილიარული – **მოუკუპრავში ჩაშვება; ნუნუასა სწყალობს; ღვინო გამონელდა** (გამოფხიზლება, ალკოჰოლის გამოსვლა ორგანიზმიდან)...
- **ჟარგონული** (პროფესიული, სოციალური) – **ქვევრის დახარჯვა, ღვინის გადაღება, ქვევრის ქუდი / მაჭრის ქუდი...**
- **პოეტური** – **ღვეის სისხლი** – წითელი ღვინო. „ხოლო

კახელმან-ყოველის მხრით კაცურმა კაცმა – გახარებულ-მა რუსის, ფრანგის ზანგის სტუმრობით, სახელდახელოდ დევის სისხლის ინება დასხმა“ (მ. ლებან.).

- **ირონიული შეფერილობის მქონე (ხუმრობის, დამამცირებელი) – ღვინის ბურნა, ყური შეახურე, ღვინო ჩაცეცხლა-არ უნდა დაელია, მაგრამ მაინც დალია; საითკენ წვიმდაო?**
– დაცინვით: სად დაგიღევია ღვინო, სად გისვამს, სად დამთვრალხარო? ამ თქმით ღვინო, როგორც სითხე მიმს-გავსებულობა წვიმას, რომელიც უხვად მოდის, მსგავსად ნასვამის მიერ უხვად დაღეული ღვინისა (სახოკია, 1979).
- **მაღალი სტილის – ღვინო მტკვრის ტოტად გადმოშვებული.**

ხოლო თემატური კლასიფიკაციის მიხედვით კი დავა-ჯგუფოთ:

- ღვინის რაოდენობის გამომხატველი: **საბანე ღვინო, შემ-ღერება ღვინო, ღვინოში ბანაობს, ფირფიტადღაა ღვინო ჭიქაში; ღვინო მტკვრის ტოტად გადმოშვებული...**
- ღვინის ხარისხის: **ზედაშე ღვინო; მირონივით ღვინო; დე-ვის სისხლი; მონათლული ღვინო; ღვინოს ნაკბენი აქვს...**
- ღვინის სმის: **ქუდმოხდილი სმა; ღობურად სმა; ჭიქის ჭიქა-ზე დაცლა; ძირის აკვრა თასისა; უქობოდ დაცლა ჭიქისა; ღვინის გადაკვრა (სულმოუთქმელად დაღევა); ღვინოს კარგად იტანს (ბევრს სვამს და არ ეტყობა); ღვინით შეხ-ურება (შეთრობა, შეზარხოშება)...**
- გადაჭარბებული სმის (ლოთობის): **ღვინოში ჩაბუჭბუჭებული; ღვინისგან ნაშლილია; ქვევრში თავის ჩახრჩობა; ღვი-ნოში სული ამოსდის; თავში ამხანაგი უზის...**

ყოველი ზემოაღნიშნული გვაძლევს უფლებას დავას-კვნათ, რომ ქართველებისათვის ღვინის ხარისხი და მისი

სწორად მოხმარება სენსიტიურ თემას წარმოადგენს. რომ ქართველები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ღვინის ზომიერ დაღევას/მიღებას, ხოლო შემდგომ თავის ღირსეულად დაჭერას, რაც ხშირად უძნელდებათ მსმელებს; ირონია და დაცინვა კი ყოველივე ამის თანამდევია პროცესია...

ქართული ენის ლექსიკა-ფრაზეოლოგიის თემატურ კლასიფიკაციაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან სეგმენტს ღვინის ხარისხთან დაკავშირებული ჯგუფი ქმნის, რაც, უდავოდ, მიგვანიშნებს, რომ ქართველებისათვის მენტალურად ეს საკითხი ძალზე საყურადღებოა. მაგალითად, გამონათქვამები: ზედაშე ღვინო, მირონივით ღვინო, დევის სისხლი, მონათლული ღვინო, ქუდმოხდილი ღვინო, ხატის ღვინო, ნოეს ვაზის ღვინო, ღირსების ღვინო, ღვინოს ნაკბენი აქვს, ღვინოს ხელი აქვს... ქმნის განცდას და ზოგად სურათს იმისას, რომ ამ ადამიანთა სამყარო ორგანულადაა დაკავშირებული ღვინის წარმოება-მოხმარებასთან; ისინი ასახავენ რა თავიანთ სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობას ღვინოსთან მიმართებით, ამავდროულად, ნათლად გამოხატავენ განსაკუთრებულ, ემოციურ დამოკიდებულებას ღვინის ხარისხისადმი და არ შემოიფარგლებიან მისი, როგორც მხოლოდ სასმელის აღწერით.

ცნობილია, რომ ღვინის მიღება-დაყენება-დავარგება ხანგრძლივი და უწყვეტი პროცესია. საუკეთესო ხარისხის მისაღწევად კი მას დროდადრო სჭირდება შემონახვა/დაჭაშნიკება, ანუ ორგანოლეპტიკური ანალიზი, ე. ი. დეგუსტაცია. ქვეყანა, სადაც ღვინოს აწარმოებენ, უბრალოდ წარმოუდგენელია დეგუსტატორთა ინსტიტუტის გარეშე. ჩვენს ინტერესს წარმოადგენს, გამოვიკვლიოთ ღვინის დაყენება-დავარგების პროცესში რა პარამეტრებით ხდე-

ბოდა ღვინის შეფასება და რომელი ლექსიკური ერთეულები/ფრაზეოლოგიური გამონათქვამები გამოიყენებოდა ამ დროს; რამდენად მდიდარია ამ მხრივ ქართული ენა, რა ენობრივი შესაძლებლობა გააჩნია და ქართველი ერის რა მენტალური თვისებებია თავმოყრილი/მოაზრებული მათში; რა ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა ყალიბდება ამ მიმართებით.

ქართველისათვის „ღვინის ღირსების“ მნიშვნელოვნებას ადასტურებს თედო სახოკიას ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, „გურიელს ერთი მეღვინეთ-უხუცესი ჰყოლია გვარად ანთაძე. კაცი მეტად დახელოვნებული ღვინის ღირსების გამოცნობაში, რითაც თავი დიდად მოჰქონდა თურმე გურიელსა. ერთხელ სასახლეში უცხო სტუმრებთან ჩამოვარდნილა მის შესახებ ლაპარაკი და გადაუწყვეტიათ, გამოვცადოთო. აურევიათ ერთმანეთში სამნაირი ღვინო: 2/5 ფერსათული (სოფელია), 2/5 ოსეთური (სოფელია) და 1/5 ჩაქვური. მოუხმიათ მეღვინეთუხუცესი ანთაძე და უთქვამთ – გამოიცანო. იმასაც გემო უნახავს თუ არა, შემდეგი პასუხი მოუხსენებია მთავრისათვის: „ფერად ფერსათულიო, გემოდ ოსეთურიო, ცოტას მოიჩაქურებსო“ (თ. სახოკია, 1950:90.).

აღნიშნული მაგალითი არ იძლევა ღვინის სრულ დახასიათებას. როგორც ვხედავთ, არაფერია ნათქვამი ღვინის სურნელზე. შეფასებისას გათვალისწინებულია **მხოლოდ ღვინის ფერი და გემო**, მისი წარმომავლობის მიხედვით, მაგრამ მოცემული ისტორია გვაძლევს იმის განაცხადის შესაძლებლობას, რომ ჩვენშიც ნამდვილად არსებობდნენ **ჭაშნაგირები**.

დეგუსტაცია/დაჭაშნიკება საფეხურებრივი პროცესია და მოიცავს: **ღვინის მხედველობით**, ფერის მიხედვით შეფასებას; **ყნოსვით** (ღვინის სურნელის) შეფასებას და, უმთავრესად, **გემოვნებით შეფასებას**. აგრეთვე, ხაზგასასმელი

აღმოჩნდა ის ფაქტიც, რომ ქართველები დიდ ყურადღებას აქცევდნენ ღვინოში **ალკოჰოლის შემცველობას და სისქეს** (ღვინის აღნაგობას). **ღვინის სიმაგრე თრობის სიძლიერით** გაიზომებოდა და მის გამოსახატავად არაერთი ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ერთეული დასტურდება.

დეგუსტაციის პირველი საფეხური მხედველობითი შეფასებაა. ფერის მიხედვით არჩევენ სამი სახის ღვინოს: **წითელ, თეთრ და ვარდისფერ ღვინოებს**. აღიარებულია, რომ არ არსებობს მეორე ისეთი სასმელი, რომელსაც შეუძლია წარმოდგეს ამდენი განსხვავებული ფერით. თითოეულმა მათგანმა კი, შესაძლოა, ასევე, მიიღოს სხვადასხვა ფერთა გამა, რომელთა აღსანიშნავად ქართულ ენას ნაირგვარი შესაძლებლობა გააჩნია – ქართველს შეუქმნია, როგორც მარტივი, ისე თხზული ფუძეებით წარმოებული უამრავი ლექსიკური ერთეული, რაც, სწორედაც, მისი მენტალური ხასიათის ერთ-ერთ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ.

ა) წითელი ღვინო შეიძლება იყოს: წითელი, მენამული, ლალისფერი, წითელიხისფერი, აგურისფერი, ბრონეულისფერი, მოიისფრო, მოყავისფრო, მონარინჯისფრო.

ბ) თეთრი ღვინო შეიძლება იყოს: უფერო, ღია ყვითელი, ჩალისფერი, ოქროსფერი, ქარვისფერი, მუქი ქარვისფერი, მოყავისფრო, დაჟანგული, მოოქროსფრო ყვითელი, მომწვანო ყვითელი.

გ) ვარდისფერი ღვინო შეიძლება იყოს: რუხი, ვარდისფერი, ენდროსფერი, დაჟანგული.

ცალკე გამოყოფენ ასევე ე.წ. **ნაცრისფერი ღვინოს** (vin gris), თუმცა ეს ფერი გამოიყენება მხოლოდ კონკრეტული, კერძოდ, შავი პინო (pinot noir) ჯიშის ყურძნიდან მიღებული ვარდისფერი ღვინის აღმნიშვნელად. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, არსებობს ასევე **ცისფერი ღვინო** (vin bleu), მაგრამ იგი უარყოფითი კონოტაციის მატარებელია, რადგან

აღნიშნავს ცუდი ხარისხის მქონე წითელ ღვინოს. ღვინო, შესაძლოა, წარმოდგენილი იყოს ასევე მწვანე ფერით (vin vert), ეს მაშინ, როდესაც სურთ, ხაზი გაუსვან იმას, რომ იგი არ არის საკმაოდ დაძველებული და ჯერ კიდევ ახალგაზრდაა.

თავის მხრივ, უკვე დაწმენდილი და დავარგებული ღვინო ფერის ხარისხის შეფასებით, შესაძლოა იყოს: **ანკარა, კრიალა, წათელი, შებურული, შემღვრეული, მღვრიე...** საბა ასეთ განმარტებას იძლევა: „შეუმღვრეველთა ღვინოსა, არა ვიტყვით წმიდად, არამედ დაწმედილად და კამკამად და მოვარაყულად (ორბელიანი, 1949: 432). „კუპრსავით სქელი, ლალისფერი კახური ავსებდა ჯიხვებს“ (ა.ყაზბეგი); შევეცადეთ, შეგვეკრიბა ყველა ტერმინი თუ გამოთქმა, რომელსაც ხმარობდნენ ჩვენი წინაპრები ღვინის გარეგნული იერის (ფერის) აღწერისას: „ფერით **ლალივით, ოქროსავით ყურჭი უნდა ყოფილიყო**“; „აღექსანდრეულის ბიმბილსავით **გიშრისფრად** უნდა იყურებოდეს“; მწვანის ღვინო – მწვანედ “კამკამობს”; „წულუკიძის თეთრისა – ყვითლად „ჭვივა“ (შდრ. „ჭვივა ლივლივებს, კრიალებს, გამჭვირვალეა. „მარანში ჭიქა დგას და ღვინო ჭვივა“ (ძიძიგური, 1954); მცვივანისა „**კრიალა თეთრია** ან „**ნაღმა თეთრია**“, ჭურში „ფარაზე“ დაყენებული შავი კაბისტონის ღვინო „**ალისფერი**“ ანუ „**ნაღმა წითელი**“ დგება.

მეტად საინტერესო ერთეულები გვხვდება ილია ჭავჭავაძის ნარკვევში „ღვინის ქართულად დაყენება“; მასში ვკითხულობთ: „**თეთრი მოჭირებული ფერი** ღვინისა მოსწონს ჩვენს ხალხსა და დღევანდელს ბაზარსა, ისე როგორც **შავი მოჭირებული ფერი** წითელის ღვინისა; ან კიდევ „შავი ყურძნის წვენი ისე ფრთხილად გამოწურული, რომ ტყავი მარცვლისა არ გაისრისოს, **თეთრია**, ანუ უკეთ ვთქვათ **წყლისფერია**, „**თეთრი**, მაგრამ **მცქრალი ღვინო**“ (ი.ჭავჭავაძე, 1956:100).

დასტურდება აგრეთვე სიტყვა **გალა**, რომელიც პოლისე-მიურია და იხმარება ბაცი, სუსტი, ნელი, რბილი ღვინის მნიშვნელობით. ჩხავერი გალა ნითელია (ბაცი ნითელი).

აღექსი ჭინჭარაული წერს: „თავანკარა იმერული, როგორც ბატონი კონსტანტინე გამსახურდია იტყოდა: **ბატის ჭუკისფერი ღვინო** მუგუზალივით აფრქვევდა ნაპერწკლებს“ (აღექსი ჭინჭარაული, <http://marani2.blogspot.com/2008/01>); გვაქვს ასევე: „**ლალისფერია** თუ **ქარვისფერი**, კახურსა ღვინოს მე ვსვამ და ვმღერი“ (ს. შანშ.).

რაც შეეხება დეგუსტაციის **მეორე ეტაპს, ეს ყნოსვითი შეგრძნებაა**. ზოგადად, ღვინო შესაძლოა შეიცავდეს ათასობით არომატულ მოლეკულას, რომლებიც ნელ-ნელა იჩენენ თავს დროთა განმავლობაში და ამა თუ იმ ღვინის არომატული ბუკეტს ქმნიან. სწორედ ღვინის შემადგენლების ურთიერთქმედების შედეგად იქმნება **ღვინის სურნელის საინტერესო კლასიფიკაცია, რომელიც საკმაოდ მდიდარი ლექსიკური ვარიაციით წარმოგვიდგება, ესაა: ყვავილების** – აკაციის, ვარდის, გამომშრალი ვარდის, გვირილის, იის, ცაცხვის ყვავილის; **ხილის** – ციტრუსების-ფორთოხლის, ლიმონის, გრეიპფრუტის, ლიმონის ცედრის, ფორთოხლის ცედრის; **ნითელი ხილის** – ალუბლის, მარწყვის, მოცხარის, ჟოლოს; **შავი ფერის ხილის** – შავი მოცხარის; **ველური ხილის** – მაყვლის, მოცვის; **კურკიანი ხილის** – გარგარის, ატმის, მირაბელის; **თესლიანი ხილის** – კომშის ვაშლის, მსხლის, ლეღვის, ნესვის; **მონარშული ხილის** – კომპოტის, მურაბის; ხმელი ხილის-თხილის, ნუშის, კაკლის, გარგარის; **ჩირის** – ჩამიჩის, ლეღვის ჩირის, გამომშრალი ბანანის, შავქლიავის ჩირის; **ეგზოტიკური ხილის** – მანგოს, ანანასის, ბანანის, ლიჩის; **კულტურული ბალახების** – ოხრახუმის, სალბის, ქინძის, ანისულის; **მწვანე მცენარეების** – სუროს, მოთიბული ბალახის, ქონდრის, როზმარინის; **ველური ბალახების** – პიტნის, ევკალიპტის, ბარამბოს, ცოცხანას (ვერვენას);

გამხმარი ბალახების – თამბაქოს, ჩაის, თივის; **ხის** – ხმელი ხის, ნედლი ხის, ნახერხის, მუხის, ნაძვის, კედარის. **სოკოების** – საფუარის, ქორფა სოკოს, თირკმელა სოკოს; **მწვანე ბოსტნეულის** – მწვანე წინაკის, სატაცურის.

საინტერესო ფაქტი გამოვლინდა ღვინის სუნთან დაკავშირებით – ილიასთან ვხვდებით: „ღვინო მოჭირებულის ფერისა, **ძლიერის სუნითა**, გემრიელი და გამძლე“, ან კიდევ: „კირიან მინაში ღვინო ტკბილია და **სუნით არ არის გამოჩინებული**“ (ი.ჭავჭავაძე, 1956:89).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **მესამე და ძირითადი კომპონენტი ღვინის შეფასებისას, გემოვნებითი შეგრძნებაა**. უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენთვის, ქართველებისთვის, მნიშვნელოვანი ფაქტორი სწორედ გემოა, რადგან მასზე საკმაოდ ბევრი ოდენობის მასალა, ენობრივი შესაძლებლობა დადასტურდა. ჩვენი წინაპრების შეფასებები ღვინის გემოზე ასე გამოიყურება: **ღვინოს ხელი აქვს** – არასასიამოვნო გემო ახლავს, ხელი – ცუდი გემო, რომელსაც ჭურჭელი მისცემს ხოლმე ღვინოს. „ქვევრს ღვინისთვის ხელი მიუცია“ (ქეგელი, 1986:577). **პირის მბლანდველი** – „კლერტზედ დადუღებული ღვინო **პირსა ჰბლანდავს**“; ჭაჭა-თხლეზედ ღვინო უფრო გემოიანი, სუნნელოვანი და წმინდაა; **ჭყაპურტა ღვინო** – ჩიხირად ცნობილი; **კუპრის გემო** – ბოჭკაში ძალიან დიდხანს ნადგომს ღვინოს, რაღაც კუპრის მსგავსი გემო ეძლევა; **ღვინო პირს შუშხავს** (ი.ჭავჭავაძე, 1956:92,107,109). მაგალითად, ქიზიყში ნაწილობრივ დამუყავებულ ღვინოზე იტყოდნენ: „**შეიჭანკაო**“, ბრკემოკიდებულ ღვინოს კი „**ყაბყემოკიდებულსაც**“ უწოდებდნენ; ცოტა შემუყავებულ ღვინოს კი „**მარახოშს**“ ეძახდნენ (ანანოზაშვილი, 1960).

გვხვდება ასეთი ტერმინებიც: **ძელგი** – მომყავო მომწარო გემოსი, მწკლარტე. ძელგი ღვინო (<http://www.ena.ge/explanatory-onlin>); **დაჭანგდება** (ჭანგს მოიკიდებს, – დამ-

ჟავებას დაინყებს (ღვინო), **დაჭანგებული** – რაც დააჭანგეს ან დაჭანგდა; **ჭანგმოკიდებული ღვინო მჟავე** (მჟავისა); სპეციფიკური მწვავე გემო – **ჭმახი** (როგორც აქვს, მაგ., ტყემალს, ძმარს, ლიმონს და სხვ. (<http://www.ena.ge/explanatory-online>); **აღეში** – მდარე ხარისხის, სუსტი, ძაბუნი. **აღეში ღვინო**. **აღეში ყურძნის ღვინო საძველოდ არ ვარგა** (ვ.ბერიძე), **შვლიპი** – (რაჭ.) ნყალღვინო (ვ.ბერ); მწკლარტე-მომჟავო-მომწარო გემოსი. **მწკლარტე ღვინო; ღვინოს ნაკბენი აქვს** - ოდნავ დამჟავებული, შემჭახებული (ღვინო). „უფრო ნაკლებ ფასს დაინყებენ ძღვევას იმ საფუძველზე, ვითომც რომ ღვინო „ნაკბენია“ (რ. ერისთ.); **დაძმარებულ-ი** (დაძმარებულისა) რაც დააძმარეს ან დაძმარდა, – ძმარად ქცეული, დამჟავებული(ღვინო)“, ჩვენში შარშანდელი დაძმარებული ღვინო ჯერ კიდევ არ გამოლეულა“ (გ. გოგიჩ.); **თავის გემო** – არასასიამოვნო გემო, რომელიც შესაძლოა მიიღოს ღვინომ, თუ ქვევრი კარგად არ არის გარეცხილი; **ბჟუქურა ღვინო კუთხ.** (გურ.) „მომჟავო, უღონო ღვინო“ (გ. შარაშ.); **ღვინის მონაყვა** კუთხ. (გურ.) ღვინის ნახდომა, ფერისა და გემოს დაკარგვა, განყალბება და დამჟავება. **ღვინოს ბუნგი მისცა** - ღვინო აირია (ვ. ბერ.); **ღვინო ისეთია, რომ კაჭკაჭს (ყვავს)დააჩხავლებს** – მეტად მჟავეა (თ.სახოკია, 1979:702)... **ჩადის გემო აქვს(ღვინოს)** – ვითომ არ ვარგა. ჩადი (ჩადა) მცენარეა, რომლის ფოთოლს ყურძნის წურვის დროს ნავში უფენენ ყურძენს. ამ თქმაში სიტყვათა თამაშია: ჩადი-მცენარეა და იგივე ჩადი ზმნა-ჩასვლასაგან, ე.ი. ჩადის (ღვინო) მუცელშიო, ხმარობენ ამ ფრაზას ღვინის სმის დროს ირონიულად: ღვინის სმა უნდათ, მაგრამ ვითომ სწუნობენო (თ.სახოკია, 1979:768). **ყვავთან მწყრალად არის** – მომჟავოა (ღვინო). „პური არ მინდა და ღვინოს კი ვიყიდი, თუ ყვავთან მწყრალად არ არის“ (რ. ერისთავი). ამას იტყვიან, როცა უნდათ ირონიულად გამოხატონ ღვინის ნაკლებეანება, მისი ღირსება დაამცირონ, განსაკუთრებით-თუ ნაკბენია,

დაჭანგებულია (სახოკია, 1979: 720). **აიძაფება – აიძაფება გაფუჭდება, აიმღვრევა (ღვინო), ღვინო რო გაფუჭდება, რო ჩამაასხამ, როგორც თაფლი აიძაფება, ეგრე აიძაფება ისიცა (ტირძნ)...**

მაღალი ხარისხის ღვინოებში გაერთიანდნენ: **ქუდმოხ-დილი ღვინო** – დაწმენდილი ღვინო, **ნოეს ვაზის ღვინო** – საუკეთესო ღირსების ღვინო. **ხატის ღვინო** – ღვინო, რომელსაც ინახავდნენ ეკლესიაში წასაღებად, **ზედაშე** (ღვინო), რომლის საილუსტრაციო მასალა „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“, რამდენიმე მნიშვნელობითაა: ა) ეკლ. წითელი ღვინო, რომელსაც ხმარობენ ზიარების დროს ან ჯვარის წერის წესის შესრულებისას „ზედაშის შესმის დროს [ჯვარისწერისას] კესოს წითელი ღვინის წვეთი გულზე დაუცურდა, და კაბის გაფუჭება ეწყინა“ (რ. გვეტ.). 2. ძვ. ეთნ. საეკლესიო დღენაულისათვის საგანგებოდ შემონახული საუკეთესო ღვინო. „ბელელი მქონდა პირსავსე, ღვინოც საკმაოდ დავწურე, ერთი ზედაშეც დავბეჭდე, „შეუთქვი“, დავადასტურე!“ (ი. ევდ.). 3. ძვ. გადატ. საერთოდ, საუკეთესო ხარისხის ღვინო. „მასპინძელს გაუხარდა სტუმრის მოსვლა, მაშინვე მოხადა ორჩაფიან ქოცოს, ზედაშეს, და იმ დილითვე შეაყოლეს“ (ვაჟა). **რელიგიური ლიტერატურის მონაცემებით, ვენახი და ღვინო ღვთის საკუთრებას წარმოადგენს.** განსაკუთრებით მხედველობაშია მისაღები ზედაშესთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები. **ზედაშე საღვთოდ შესანიშნავი პირველნაწური, ანუ თავღვინოა, წლიური მოსავლიდან.** ის განთავსებულია მარნის მარჯვენა კუთხეში ან ღია ცის ქვეშ. ასეთი საკრალური დანიშნულების ქვევრებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განსხვავებული სახელი აქვს. ქართლ-კახეთში „ზედაშე“, იმერეთსა და რაჭაში „სალოცვილი“, სამეგრელოში „ოხვამერი“, ანუ „სალოცავი ქვევრი“. ვ. ბარდაველიძის მოსაზრებით, ღვინო შეენირებოდა სოფლისა და საგვარეულოს

პატრონებს, სათემო და სახევო მმართველებს, მფარველ სულს – სახლთანგელოზს, ღმერთს, ღვთისმშობელს, წმინდანებს. გარეკახეთში ცნობილია სამების, წმინდა გიორგის, წმინდა მარიამის, წმინდა ნინოს, წმინდა ნიკოლოზისა და სხვა სახელობითი ზედაშეები. ჩვეულების თანახმად, ყოველ წელიწადს, ღვთაების სახელობის დღეს, ოჯახის უფროსი სანთელს დაანთებდა, დაილოცებოდა და პირველ ამოღებულ ღვინოს სალოცავში წაიღებდა. ზედაშე ქვევრის მოხდა მხოლოდ დღესასწაულებზე შეიძლება. ზედაშის გაყიდვა ან გასესხება აღკვეთილია (ბარდაველიძე, 1951).

მირონივით ღვინოა – ამბობდნენ და ახლაც იმეორებენ ქართველები მაღალი ხარისხის მქონე ღვინის დაღვევისას.

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ ღვინის გემოს ჩვენი წინაპრები, თუმცა, ეს პროცესი ამით არ სრულდებოდა, მოკვლეულმა მასალის თანახმად, გამოიკვეთა ისიც, რომ ისინი დიდ ყურადღებას აქცევდნენ ასევე **ღვინის აღნაგობას** (ღვინოში ალკოჰოლის შემცველობას და სისქეს). ლ. ფრუიძე წერს: „**ღვინის სიმაგრე** თრობის სიძლიერით გაიზომებოდა. ჭაშნაგირიც სასმელს ამის მიხედვით აფასებდა: **მაგარ ღვინოზე იტყოდა „ფინთიხივითაა**, ერთ ლიტრას კაცი ვერ გაექცევაო“, ხოლო სუსტზე – „**ძაბუნია**, საქალებო სასმელიაო“. ღვინის გამჭრიახობა ღვინის გაჭრა, თრობის ძალა, ფხა. იტყვიან: „ამ **ღვინოს გამჭრიახობა** აკლია“, ან პირიქით: „გამჭრიახი ღვინოაო“ (ფრუიძე, ლ. 1968)... სხეულიანი ძლიერი, სქელი ღვინის სინონიმებად შეგვიძლია ჩავთვალოთ: „**ხორციანი**“ „**წიალიანი**“ და „**ძარღვიანი**“.

ფუცხუნა (ფიცხი) ღვინო – (კუთ.იმერ.რაჭ.ლექს.) – ახლად აღუღებული (მაჭარი); შუშხუნა (ღვინო, მაჭარი): „სამწყურვალოდ შენი **ფუცხუნა** ქართლული სჯობს“ (შ.დად.)...

შესწავლილი საკითხი გვაძლევს გარკვეული ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის შექმნის შესაძლებლობას, რომელიც დაახლოებით ასე გამოიყურება:

1. ქართველისათვის მენტალურად „ღვინის ღირსება“ უმნიშვნელოვანესია (ღვინო აუცილებლად უნდა იყოს ხარისხიანი);

2. „ღვინის ღირსებით“ (ხარისხით) თავს უნდა იწონებდეს ყველა ქართველი;

3. ღვინის ხარისხის შემოწმება განსაკუთრებულ ცოდნას (პროფესიულ ცოდნას) საჭიროებს, ეს ყველას არ შეუძლია/ამას ყველა ვერ შეძლებს;

4. ღვინის ხარისხიანობას დადასტურება სჭირდება და იგი მრავალკომპონენტია, ქმნის საფეხურებრივ სისტემას: **ღვინის ფერი, ღვინის სურნელი, ღვინის გემო, ღვინის აღნაგობა**, რომელთა აღსანიშნავადაც გამოყენებული ტერმინებით/ლექსიკა-ფრაზეოლოგიის სიუხვით, ქართველი ერი, უდავოდ, წარმოაჩენს ქართული ენის განსაკუთრებულ ლექსიკურ სიმდიდრესა და ზღვარდაუდებელ ენობრივ შესაძლებლობას.

ამდენად, ანალიზი ადასტურებს, რომ ქართველები უდიდეს მნიშვნელობას ყოველთვის ანიჭებდნენ ღვინის ხარისხს („ღვინის ღირსებას“), რაც გამოკვეთილად აისახა კიდევ ენის ლექსიკურ ფონდში, განსაკუთრებით კი ფრაზეოლოგიაში, რამეთუ, სწორედაც მათშია საუკეთესოდ ასახული ერის მენტალობა, მატერიალური თუ სულიერი კულტურა. მართლაც, კიდევ ერთხელ ესმება ხაზი ჭეშმარიტებას, რომ „ენა არის ერის სული და ერის სული არის მისი ენა“ (ჰუმბოლდტი).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ენა ერის კულტურის პროდუქტიცაა და მისი შემდგომი განვითარების საფუძველიც. იგი, ამავედროულად, პიროვნების სოციალური და ეროვნული ვინაობის გამომხატველია და, საერთოდაც: „ენა

არის ის, რაც ადამიანს ქმნის ადამიანად“ (ბესარიონ ჯორბენაძე).

ადამიანი იმ კულტურას აკუთვნებს თავს, რომელთანაც დაკავშირებულია წარმოშობით, საცხოვრებელი ადგილით, გარემოთი, აღზრდით, ტრადიციით, ენით, რომელზეც ლაპარაკობს და აზროვნებს. თუმცა, ისიც ნათელია, რომ პერიოდულად ხდება მასში ბევრი რამის „გადააზრება“, ხელახლა შექმნა ან სხვა ხალხთაგან სესხება. ეს რომ ასეა, ამას ყველაზე თვალსაჩინოდ ენა გვიდასტურებს და ეს პროცესი უთუოდ კვლევას საჭიროებს. სწორედ ამიტომ, დღითი დღე აქტიუალური ხდება ენისა და ეროვნული კულტურის, ენისა და ხალხის მენტალიტეტის ურთიერთმიმართებათა აღწერა და ანალიზი, რის შესაძლებლობასაც იძლევა ლინგვოკულტუროლოგია ანუ კულტურის შესწავლა ენის საშუალებით, რომელიც, როგორც აღნიშნავენ, „ბენვენისტის პროგნოზით აიგო: ენა, კულტურა, პიროვნება – ტრიადის საფუძველზე (ომიაძე, 2009).

ეროვნებად/ეთნოსად ენა ადამიანებს კრავს იმ ეროვნულ-კულტურული კონცეპტების მეშვეობით, რომლებიც იძლევიან გარკვეულ სულიერ ღირებულებით პარადიგმას და ქცევის იმ მოდელებს, რომელთა მიზანძვა რეკომენდებული ან აკრძალულია. კონცეპტი გამოიხატება მთელი რიგი ენობრივი შესაძლებლობებით: სინონიმებით, თემატური ველებით, ანდაზებით, ფოლკლორული და ლიტერატურული სიუჟეტებით, ქცევის სტერეოტიპებით და სხვა, რაც მიუთითებს მათ მნიშვნელოვნებაზე ადამიანის ცხოვრებაში და რაც ქმნის კონცეპტუალურ სფეროს, სადაც კონცენტრირებულია ერის მატერიალური და სოციალური კულტურა და წარმოადგენს ენობრივ-კულტურულ ცოდნათა ერთობლიობას, პარამეტრებს, რომელიც შეესაბამება ეროვნულ მენტალობას, როგორც მისი მატარებლების მიერ სამყაროს ხედვის საშუალება (ომიაძე, 2009).

ვაზისა და ღვინის, როგორც ქართული მენტალობის გამომხატველი კონცეპტების და მათთან დაკავშირებული ეროვნული სურათის წარმომჩენი ეთიკურ-ზნეობრივი პარამეტრების შესწავლა ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის საფუძველზე ანდაზებსა და გამოცანებში, ერის მატერიალური და სულიერი კულტურის გამოსავლენად, საუკეთესო, შეიძლება ითქვას, გამორჩეულად მსუყე მასალას იძლევა.

ანდაზები ქვეყნის ლინგვისტური სიმდიდრეა, წარმოიშვა ხალხის წიაღში და წარმოადგენს მათი შემქნელი ხალხის ფსიქოლოგიისა და სოციალური ჩვეულებების ანარეკლს, ისინი ფორმირდება ენის წიაღშივე და შეიცავენ ისეთ ნიშანდობლიობებს, როგორცაა: ენაში მზა ფორმით არსებობა, წინადადების ფორმისაა, ა) ტრადიციების ამსახველობა; ბ) დამრიგებლობა/დიდაქტიკურია; გ) საყოველთაოდ აღიარება; დ) სისხარტე, რომ ვინც მოისმენს, ადვილად დაიხსომოს და შემდეგ გაიმეოროს. გარდა ამისა, ა) ანდაზას ახასიათებს ვარიანტულობა; ბ) ბევრ ანდაზას რიტმული წყობაც აქვს (კვაჭაძე, 1981).

ისმის კითხვა: რომელ ერს მივაკუთვნოთ ამ მხრივ პრიორიტეტი, არსებობს კი მეცნიერულად დასაბუთებული ანალიზი იმისა, რომ პატიოსნება, გულწრფელობა, სიმამაცე, უქნარობა ან მოტყუება – ანდაზებში გამოხატული ეს და კიდევ სხვა მრავალი თვისება, დამახასიათებელია ერთი, რომელიმე ერისთვის და უცხოა მეორისათვის? რა თქმა უნდა, არა, თუმცა ისტორია გვიჩვენებს, რომ ყველა ერს აქვს რაღაც განსაკუთრებული, მისთვის დამახასიათებელი და მკვეთრად გამოხატული რომელიმე თვისება.

ჩვენი ინტერესის ფარგლებში განხილულმა ვაზისა და ღვინის შემცველმა ანდაზებმა და გამოცანებმა შესაძლებლობა მოგვცა, გაგვერკვია:

ა) რას წარმოადგენს ქართველი ხალხისათვის მენტალ-

ურად ღვინო, როგორც სასმელი და, ასევე, ზოგადად, ვაზი და ყურძენი;

ბ) რა ეთიკურ-ზნეობრივი პარამეტრები იკვეთება ღვინოს მოხმარებაზე/მიღებაზე;

გ) რა დამოკიდებულება აქვთ ქართველებს ვაზთან, ღვინოსთან მიმართებით – რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის ისინი და რა ლინგვოკულტუროლოგიურ პარადიგმას ქმნიან ამ მხრივ ეროვნული სურათის წარმოსაჩენად.

საკითხის შესწავლა, უპირველეს ყოვლისა, მკაფიოდ წარმოაჩენს ქართველი ერის მენტალობას და ტრადიციას თაობებებისათვის გადასაცემად, რომ ღვინო უნდა იყოს ხარისხიანი – სუფთა და არა წყალწყალა (ზედმეტი მინარევების გარეშე), დაძველებული და არა მაჭარი; სამარგებლო და არა მანყენარი; დასაღვევად გემრიელი/სასიამოვნო; ღვინო უკეთესია ბარის, ვიდრე მთის; ვაზსა და ღვინოს განსაკუთრებული მოვლა და გაფრთხილება სჭირდება, თუ არ მიხედვ, გაფუჭდება:

- არც წყალია, არც ღვინო
- მაჭარი უნდა დაღვინდესო
- პური და ღვინო ძველი სჯობია, ბატონი კი ახალიო
- პური და ღვინო ძველი სჯობს ტანისამოსი – ახალიო
- ღვინოს დავლევ მარგულსა, არც წელს მატკენს, არც

გულსა

- თივა მთისა სჯობს რეგვენო, პური და ღვინო ბარისა
- კარგი ღვინის ნაძირალი, კარგი კაცის ნაცოლარი
- ვაზს უთქვამს: ნეტავი მე რომ ყვავილში შევალ, ჩემი პატრონი ავად გახდეს: ვერც თვითონ შემოვიდეს ვენახში და ვერც სხვა შემოიყვანოსო

- ვენახში შეხვალ – შეგყვება, გამოხვალ და გამოგყვებაო

- ძველი ქვევრი კარგ ღვინოს ინახავსო
- ერთმა თაგვმა ცხრა ქვევრი წაბილწაო.

დაკვირვებამ ცხადყო, რომ **ლვინის მოხმარებასთან** დაკავშირებით ქართველ ერს არაერთი ეთიკურ-ზნეობრივი პარამეტრი აქვს დასამახსოვრებელი, დასაცავი თუ გასათვალისწინებელი, კერძოდ:

ვალდებულება სტუმარ-მასპინძლობისა და უფროს-უმცროსობის ტრადიციის პატივისცემისა:

- პური და ღვინო სტუმარსა, ნავა შინ მოაგონდებო
- ჩვენსას მოხვალ ღვინოს ყლურჭავ, თქვენსას მოვალ – თვალებს ხუჭავ
- ჩემი პურ-ღვინით გამაძლარი, ცას მევე მატეხს თავზედაო
- ღვინო უფროსისაო, წყალი- უმცროსისაო
- დიაკვანს რომ ღვინო მოსწყურდება მღვდელს მიაწოდებს, შემდეგ ჯერი ჩემზედ მოვაო.

ღვინის დაღვევას ცოდნა/შნო სჭირდება (ყველას არ შეუძლია); რომ ღვინო ზომიერად უნდა დალიო, ჭიქის ბოლოწვეთამდე გამოცლა უხერხულია... მის გადამეტებულ მოხმარებას, შესაძლოა, ბევრი უარყოფითი შედეგი მოჰყვეს – ყველაფერი: გონება, ნამუსი, ქონებაც კი დაგაკარგვინოს:

- კაი სიტყვა – კაი მთქმელი, კაი ღვინო – კაი მსმელი
- შიგ (ჭიქაში) ჩასტოვე ღვინო, რომ ანგელოზმა ფეხები დაიბანოსო

- ღვინით გალახულს, ჯოხით გალახული ჯობიაო
- ღვინომ კასრი გახეთქა და კაცს რაღას უზამსო
- ღვინომ ხე გახეთქა და კაცს რაღას უზამსო
- ღვინო ქვევრსაც ხეთქავსო
- ღვინო გართმევს გონებასაც და ქონებასაცო
- ღვინოს დაუმეგობრდები და ნამუსს დაემშვიდობებო
- შავ ლუდსა, წითელ ღვინოსა/განა სუყველას სმა უნდა, პირზე მომდგარსა სიტყვასა / განა ყველასა თქმა უნდა!

სემანტიკურად მნიშვნელოვანია ნათლად გამოხატული ბრძნული ეროვნულ-დიდაქტიკური პათოსი – ღვინო ზომ-

იერად მოხმარებული ჯანმრთელობისათვის სამარგებლოა, ადამიანს ალაღებს, ამხიარულებს, აალაპარაკებს, სიმართლეს ათქმევინებს, ხოლო გადამეტებული კი – საზიანოა, მავნებელი:

- ღვინოსაც ვსვამ, მაყრულსაც ვმღერიო
- ქორნილში წავალ, ღვინოსაც დავლეგო
- ღვინო ადამიანს აალაპარაკებსო
- ღვინო კაცს სწორეს ათქმევინებსო
- რაც ფხიზელს გულში აქვს, ის მთვრალს ენაზე აკერიო

მაგრამ მუდამ უნდა გვახსოვდეს:

- ღვინოში მეტი ხალხი იხრჩობა, ვიდრე წყალშიო
- ჭირით მთვრალმა და ღვინით მთვრალმა ერთმანეთი დახოცესო

- ღვინომ თქვა ჭიჭინაურმა: უცეცხლოდ წამოვდუღდე-ბი, ჭკვიანსა კაცთან ბრძენი ვარ, გიჟ კაცთან წამოვგიჟდე-ბი

- ღვინომ თქვა: ჭკვიან კაცთან ბრძენი ვარ, რეგვენთან წამოვჩოქდე-ბიო

- ღვინო მუნჯს ენას ამოადგმევინებს და ბრძენს დაამუნჯებს

- ვინც სვამდა, ისევ იმას სწყუროდაო

- ღვინო დავლიე, მან მომკლა, არა და – მისმა სურვილმა

- ღვინოს დაუმეგობრდები და ნამუსს დაემშვიდობებიო

განსაკუთრებულად აღსანიშნავი და ხაზგასასმელია, თუ რა დამოკიდებულება აქვთ ქართველებს ვაზთან და ღვინოსთან მიმართებით – რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის ისინი და რა ლინგვოკულტუროლოგიურ პარადიგმას ქმნის ეროვნული ზოგადი სურათის წარმოსაჩენად.

ამ მხრივ საბოლოოდ დგინდება, რომ ღვინოს, როგორც სასმელს, გამორჩეულად აღმატებული ადგილი უკავია ქა-

რთველი ადამიანის ცხოვრებაში. **ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა შემდეგი სახეს ლეზულობს:**

- ▶ ღვინოს არ ეღალატება
- ▶ ღვინის/ყურძნის მოპარვა დაუშვებელია, არავის ეპატიება
- ▶ ღვინო შემრიგებელი სასმელია
- ▶ ღვინის გაყიდვა არასახარბიელოა, უკეთესს ვერაფერს შეიძენ
- ▶ ღვინო არასოდესაა დამნაშავე
- ▶ ღვინო მარგებელია, კაცს არ ავნებს, ამხიარულებს
- ▶ ღვინო ვერ/არ უნდა მოგერიოს/არ უნდა დაგჯაბნოს
- ▶ ზომიერი ღვინო შეუძლებელსაც კი შესაძლებელად აქცევს
- ▶ ღვინო ქართველი კაცის ოჯახში გამოუღვევლად უნდა იყოს...
 - ღვინოსა და პურს არ ეღალატებდნენ
 - პარკით პურს ნუ მომპარავ და გოგრით ღვინოსაო
 - სიმინდის ქურდს ტომარა აუწიე, ღვინის ქურდს – თავი წააგდებინეო
 - ღვინის ქურდი თხლეზე დაიჭირესო
 - ყურძნის ქურდი იანვარში გამოტყდებო
 - ჭიქა ღვინომ ამოღებული ხმალი ჩააგოო
 - აღებულმა ჭიქამ ამოღებული ხმალი შეაჩერაო
 - გლენმა კაცმა რა გაყიდაო? პური და ღვინოო; რა იყიდაო?- ისევ ისაო
 - ღვინო კი არა, მსმელი აშავებსო
 - ღვინომ ქვევრი გახეთქა, კაცი ვერაო
 - ყვავმა დალიოს და ბულბულად იქცესო
 - მუსულმანმა ერთი ჭიქა ღვინო ნეხვს დაასხა – ააყვავოსო

- ღვინო თხლეზე რომ დავა, მაშინ გაგემრიელდებაო
- ბაბე ცხონდეს სხვის პურ-ღვინოზეო

ვაი ჩემო ტიკჭორაო, რა ცუდ საქმეს მიჭორაო, შენ თუ ღვინოს გამომიღევ, ვიცი კარგად მიგტორავო.

აქვე მნიშვნელოვანი გაფრთხილებაც ისმის, ვენახის გამჩების დღეგრძელობა მიუღებელია, ვაზის მრგველი კი აუცილებლად ქებას იმსახურებს:

- ვაზის მრგველთან ის არ აქო, ვინც მის ნაცვლად ძეძვი დარგო.

ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით, ცალკე გამოყვავით ანდაზები, რომლებშიც კონცეპტ „ღვინოს“ ალეგორიული, მეტაფორულად სიბრძნის შემცველი დატვირთვა აქვს და სხვადასხვა, ზოგადი მნიშვნელობითაა გამოყენებული, ასეთ დროს მთლიანად ანდაზას აქვს არა ინდივიდუალურად ვინმესთან მიმართული, არამედ საერთო მნიშვნელობის მქონე აზრი, რითაც იზრდება ტექსტში მისი გამოყენების ეფექტურობა – **დაგმობილია უარყოფითი თვისებები და ღვინო ზოგადი მნიშვნელობითაა, არგუმენტების გასამყარებლად.** მაგალითად:

▶ **შეუცვლელი არავინაა:**

ვაი, ბატონო, მეღვინე მოგიკვდაო და – ვაი მეღვინის ბრალი, თორემ ბატონი მეღვინეს კიდევ იშოვისო.

▶ **ვალის აღება კარგი არ არის:**

ნისიად ნაყიდი ღვინო ორჯერ ათრობსო.

▶ **საქმის დაბოლოებამდე არ უნდა იზეიმო/წინამასწარობა არ ვარგა:**

ღვინო არსად იყო და ეშმაკები ტიკებს ალბობდნენო.

▶ **ღვინო, როგორც ქრთამი, მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალება:**

„ნისქვილს ჩემი ეყაროს და ვინც რა უნდა თქვასო,
ხაჭაპურები და ღვინო ხომ თავისას ფქვავსო,
ვინც რა უნდა თქვას, ჩვენ კი ჩვენი ვთქვათო“.

► **სიძუნწე საძრახისი თვისებაა:**

წუნწურაქა კაცის ღვინო, კაჭკაჭს დააჩხავლებსო.

► **ზოგიერთი სასულიერო პირის სიხარბე და ირონიული ტონით გამოხატული დამოკიდებულება:**

- მღვდელო, რა გირჩევნია: ქალი, ქადა, ქათამი თუ ღვინოო.

- ქალმა ქადა და ქათამი მარანში წამოიღოსო.

ანდაზები სტრუქტურულად პრედიკატული შეერთებაა ჩაკეტილი სტრუქტურით და სინტაქსურად ორგანიზებული, როგორც წინადადება (მარტივი, ელიფსური-აკლიათ შემასმენელი, რთული); მათში ხშირად გვხვდება სხვადასხვა სტილისტიკური და ფონეტიკური საშუალება (გამეორება, ალიტერაცია) და ძირითადად რითმულია; ისინი, გამონაკლისის გარდა, როგორც წესი, არ გვხვდება კითხვით ფორმაში, ხოლო მტკიცებითი და უარყოფითი ფორმები მათთვის ჩვეულებრივია. ეს ყოველივე კარგად ჩანს შემდეგ მაგალითებში:

- „ნისქვილს ჩემი ეყაროს და ვინც რა უნდა თქვასო,
ხაჭაპურები და ღვინო ხომ თავისას ფქვავსო,
ვინც რა უნდა თქვას, ჩვენ კი ჩვენი ვთქვათო“.

„ვაი ჩემო ტიკჭორაო, რა ცუდ საქმეს მიჭორაო,
შენ თუ ღვინოს გამომიღევ, ვიცი კარგად მიგტორაო“.

„ბაბე ცხონდეს სხვის პურ-ღვინოზე“.

„ჭიქა ღვინომ ამოღებული ხმალი ჩააგოო“.

„კაი სიტყვა-კაი მთქმელი
კაი ღვინო-კაი მსმელი“

- „ჩვენსას მოხვალ ღვინოს ყლურჭავ,
თქვენსას მოვალ, თვალებს ხუჭავ“.
- „ღვინო თხლეზე რომ დავა, მაშინ გაგემრიელდებაო“.

„ღვინოს დაუმეგობრდები და ნამუსს დაემშვიდობებიო“.

„პარკით პურს ნუ მომპარავ და გოგრიტ ღვინოსაო“.

„ღვინოს დავლეე მარგულსა, არც წელს მატკენს, არც გულსა“.

ეროვნული სურათის წარმომჩენი ეთიკურ-ზნეობრივი პარამეტრები, მიუხედავად მასალის სიმწირისა, მაინც საკმაოდ შთამბეჭდავი აღმოჩნდა ვაზთან, ყურძენთან და ღვინოსთან დაკავშირებულ გამოცანებში.

ვფიქრობთ, ანდაზების მსგავსად, გამოცანებსაც გააჩნია როგორც შემეცნებითი, ასევე მხატვრულ-ესთეტიკური ფუნქცია. მათი სხარტი, ლალი ტონი დადებითად განაწყობს დიდებს თუ პატარებს. ზოგადად, ისინი „ძალზე პოპულარული ყოფილა უძველეს დროსაც. მათ არა მარტო გართობითი ფუნქცია ჰქონდა, არამედ, უმთავრესად, იყენებდნენ, როგორც ადამიანის სიბრძნის, გონებამახვილობის შემოწმების ერთ-ერთ ძირითად საშუალებას“ (ბარდაველიძე, 1965). გამოცანებისთვის დამახასიათებელი

ნიშან-თვისებებია: ორმხრივი კომუნიკაცია, მთქმელისა და ამომცნობის არსებობა, იდუმალება, სათქმელის დაფარვა, მეტაფორული ხასიათი, პრესუპოზიციური ცოდნის აუცილებლობა, დიდაქტიკურ-მორალური ფუნქცია, რიტმის და რითმის აუცილებლობა. მხოლოდ იმის დამატება შეიძლება, რომ გამოცანის ფარგლები სავსებით ნათელი და ყველასთვის აშკარაა მასში კონკრეტული საგნის არსებობა (შავლაძე, 2011). „თემატურად გამოცანა უმდიდრესია. გამოცანის თემას შეიძლება წარმოადგენდეს ყველაფერი, რაც ადამიანის ირგვლივ არსებობს. მხოლოდ, აღსანიშნავია ერთი საყურადღებო გარემოება; გამოცანის თემად აღებულია კონკრეტული საგანი და არა საგანთა გვარი“ (ბარდაველიძე, 1965).

ჩვენ მიერ მოძიებული გამოცანები დავაჯგუფეთ შემდეგი სახით:

ა/. პასუხად ამოსაცნობია ღვინო:

1. დედა ისევ ცოცხალი მყავს, მიწაშია წევს ძირსაო, ჩემი დანახვა კაცისთვის მართლა რომ რამედ ღირსაო, მაგრამ ვინც შემებრძოლება, ის ვერა ნახავს ღვინსაო, წაუქცევებს არ გავუშვებ ვაჟკაცად ნაქებ გმირსაო, ჭკუას, გონებას, ავურევ, ჩავაგდებ სადმე თხრილსაო, თუ თავი არ დამანება, გავუჩენ მუდმივ ჭირსაო.
2. ჯერ მწარეა, მერე ტკბილი, ბოლოს კი მატირებელი.
3. „ბაღრაში ფური აბია, ძუძუ ასხია მრავალი, რძე უხვად გამონველილი შორს გზაზე არის მავალი, გემო მყავე აქვს მანანას შეედარება ფერითა, უზომოდ მისი დამლევი, მიწასა დაჰგვის წვერითა“;
4. „ცოტა წამალია და ბევრი – სანამლაჟიო“.

ბ/. პასუხად მოიაზრება თანამიმდევრობა: ვაზი, ყურძენი და ღვინო

1. „კუტი მამა, მარგალიტი დედა და გიჟი შვილი“
2. „მამა დაბრეცილი, დედა მარგალიტი, შვილი გადა-რეული“
3. „მამა კოჭლი, დედა ბრუციანი, შვილი ფეთიანი“
3. „მამა დაგრეხილი, დედა დაჭყლეტილი, შვილი გადა-რეული“
4. „დედასა ვჭამთ, შვილსა კი ვსვამთ, ორივე გემრიე-ლია“
5. „დედა ახალი სჯობია, შვილი – რაც უფრო ძველია“
6. „დედა მყავდა ხელი მრუდი, დაი მყავდა დარი მზისა, ძმა ისეთი მოჭიდავე, წამქცეველი ადამისა“.

გ/. პასუხი მოიცავს ღვინის ჭურჭელს: ქვევრი, ტიკი, ძაბრი

1. „გამოცანას მოგახსენებ ჩვენს გაბერილ თხაზედაო, პირში სული აღარ უდგას, ღვინოს კი სვამს ძალზედაო“.
2. „ცოცხალია – ბალახსა სძოვს, მოკვდება და ღვინოსა სომს“.
3. „მიიწმინდა, მოიწმინდა, მიისკილისკამურაო, ქვევით მელიყური ყარა, ჩაითხელითხამურაო“.

კვლევამ გვიჩვენა, რომ გამოცანებში გამორჩეულად საინტერესოა ღვინის, ვაზისა და ყურძნის დასახასიათებლად გამოყენებულ ეპითეტები, რომელთა დიდი ნაწილი უარყოფითი სემანტიკის შემცველია, თუმცა ყურადღებაში-საქცევია ის, რომ არც ერთი მათგანი არ გამოხატავს მთქმე-ლის უარყოფით დამოკიდებულებას თითოეული მათგანის მიმართ, პირიქით, მხოლოდ დადებითი ემოციური იერისა და განცდის მატარებელია. **აღმოჩნდა, რომ ქართველისათვის ღვინო, ვაზი და ყურძენი მამაა, დედა ან შვილი, რომ-**

ლებიც შეიძლება იყოს განსხვავებული, თუმცა აუცილებლად განსაკუთრებული, ანგარიშგასანევი, მოსაფრთხილებელი:

ღვინო	მოჭიდავე, წამქცეველი ადამისა, გიჟი, ფეთიანი, მწარე, ტკბილი, მჟავე, ძველი, მათირებელი. გემრიელი, გადარეული,
ვაზი	დაგრეხილი, დაბრეცილი, ხელი მრუდი, კუტი, კოჭლი.
ყურძენი	დაჭყლეტილი, დარი მზისა, გემრიელი, მარგალიტი, ბრუციანი

ენაში ასეთი რამ ჩვეულებრივი მოვლენაა, რომელსაც ლევან კვაჭაძე ძალიან კარგად განმარტავს: „სიტყვის მნიშვნელობას შეიძლება ახლდეს ესა თუ ის ემოციური იერი, რითაც მთქმელი გამოხატავს თავის დადებითს ან უარყოფითს დამოკიდებულებას სიტყვით აღნიშნული საგნისა თუ მოვლენისადმი. ასე მაგ., უხეში, უარყოფითი მნიშვნელობის სიტყვით, შეიძლება გამოიხატოს სათუთი გრძნობა, ალერსი, დადებითი შინაარსის სიტყვით კი – დაცინვა, ზიზღი, სიძულვილი, ათვალწუნება“ (კვაჭაძე, 1981).

კონცეპტუალურად, ანდაზების მსგავსად, დიდაქტიკური ელემენტები შეინიშნება გამოცანებშიც – აქაც ეთიკურ-ზნეობრივი პარამეტრია ის, რომ **ღვინო ზომიერად მოსახმარი სასმელია, ბევრი ღვინის დალევა უსიამოვნებებს შეგამთხვევს:**

1. „მაგრამ ვინც შემებრძოლება, ის ვერა ნახავს ლხინსაო, წაუქცეველს არ გაფუშვებ ვაჟკაცად ნაქებ გმირსაო, ჭკუას, გონებას, ავურევ, ჩავაგდებ სადმე თხრილსაო, თუ თავი არ დამანება, გაფუჩენ მუდმივ ჭირსაო“.
2. „უზომოდ მისი დამლევია, მიწასა დაჰგვის წვერითა“.

3. „ჯერ მწარეა, მერე ტკბილი, ბოლოს კი მატირებელი“.

4. „ცოტა წამალია და ბევრი – სანამლაჟიო“.

ამდენად, ანდაზებისა და გამოცანების ლინგვოკულ-ტუროლოგიურმა ძიებებმა ცხადად დაგვანახვა, რომ ისინი, მართლაც, მკაფიოდ წარმოაჩენენ ეროვნული სურათის ეთიკურ-ზნეობრივ პარამეტრებს, რომელთა შორისაც ვაზსა და ღვინოს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ორივე მათგანი, უდავოდ, ეროვნული ნიშნით მარკირებული კონცეპტებია, რომლებშიც ქართული მენტალობის ბრძნული ტრადიციული მახასიათებლებია ასახული და თაობიდან თაობას გადაეცემა, მაგრამ საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ აღნიშნული კონცეპტების განხილვა სავსებით შესაძლებლად მოჩანს უნივერსალური კონცეპტების ჭრილშიც, რამეთუ მათი გამოსატყულება საკმაოდ მრავალფეროვანია (ენობრივი სინონიმები, თემატური ველები, ფოლკლორული და ლიტერატურული სიუჟეტები, ქცევის სტერეოტიპები, მატერიალური კულტურის საგნები და სხვა). საბოლოო აზრის ჩამოყალიბება კი მხოლოდ საკითხის მრავალმხრივი და სიღრმისეული ანალიზით გახდება შესაძლებელი.

თავი III

ფოლკლორული საბანძურის მორალი და დიდაქტიკა

ხალხის სიბრძნე ანუ ფოლკლორი ის ამოუწურავი მადანია, საიდანაც შეგვიძლია ამა თუ იმ ხალხის ნებისმიერი ტრადიციის, წეს-ჩვეულების, მითის, ლეგენდის და რიტუალის შესახებ მოვიძიოთ ინფორმაცია.

ქართული ფოლკლორში ვაზისა და ღვინის კონცეპტი დიდ ადგილს იკავებს და უხვი საილუსტრაციო მასალა შესანიშნავად ასახავს ამ საგანძურიდან მომდინარე ქართველების მორალსა და დიდაქტიკას, რომელიც, უდავოდ, კონცეპტუალურია და თაობიდან თაობებისათვის გადასაცემი. სწორედ ამ თემას ეძღვნება აღნიშნული თავი ნაშრომში.

ლეგენდები, შეიძლება ითქვას, საუკუნეების მანძილზე ქართველების ცხოვრებისა და ჩვენი ქვეყნის ისტორიის თანმდევი იყო. საქართველოს ისტორია უმეტესწილად ლეგენდების ისტორიაა. ალბათ, გასაკვირიც იქნებოდა, ამ ლეგენდებში თავისი განსაკუთრებული ადგილი ვაზსა და ღვინოს არ დაეკავებინა.

ლეგენდას კავკასიონზე მიჯაჭვულ ამირანზე მთელ მსოფლიოში მრავალი ინტერპრეტაცია აქვს, მაგრამ სვანეთში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ინტერპრეტაციას მოვისმენთ:

სვანეთში არსებობს ერთი ძალიან პატარა მთა, რომელიც მეტად უცნაური ფორმისაა და იმერულ მოგრძო ჭურს ჰგავს. სვანური ლეგენდის მიხედვით, ზევსმა ამირანი (პრომეთე) როდესაც დასაჯა, ბოლომდე მაინც არ განირა და სწორედ ამ კლდეზე მიაჯაჭვა. ეს კლდე იყო ღვინით სავსე უზარმაზარი ჭური, რომელიც მუდამუჟამს ღვინით იყო სავსე და ამირანი ასწლეულების მანძილზე ამ უზარმაზარი ქვევრიდან მწვეთავი ღვინის წვეთებით საზრდოობდა/ითქვამდა სულს. თუ

გავითვალისწინებთ, რომ მისი დასჯა მისივე გაბუდაყების (გამამპარტავნების) ცოდვის შედეგია, ღვინით, როგორც ღვთაებრივი სითხით სულის მოთქმა, მკაფიო სიმბოლური მინიშნებაა, რასაც ემატება ძალზე მნიშვნელოვანი ნიუანსი – ღვინის წვეთობით მიწოდება და არა მისი უსაზღვრო რაოდენობა.

ღიას, ხაზგასასმელია, რომ ქართულ ფოლკლორში არსებულ ღვინის ლეგენდებში ყოველთვის არსებობს მისი ლიმიტის განსაზღვრის პრეცედენტი.

მთა-ჭურის სახელწოდების ეს ლეგენდა კიდევ ერთხელ ადასტურებს ღვინის კულტურის რელევანტურობასა და ღვინის დაყენების ტრადიციის სიძველეს საქართველოში...

ერთ-ერთი სხვა ქართული ლეგენდის მიხედვით ღვინის შექმნას ქართველები მამა ღმერთს უკავშირებენ:

ღმერთი დედამიწაზე დაეძებდა ისეთ ადგილს, სადაც ვაზი უნდა გაეშენებინა. მრავალი ადგილი შეარჩია, მაგრამ საბოლოოდ არჩევანი ისეთ ადგილზე გააკეთა, სადაც დამარხული იყო ბუღბულის, ლომისა და ღორის ძვლები, ასეთი ადგილი საქართველო აღმოჩნდა.

როდესაც ღმერთმა ამ მიწაზე ვაზი დარგო, შემდეგ მოსავალი მოიწია, დანურა და ღვინო გააკეთა. ღვინოს იმ სამი სულდგმულის თვისებები გამოჰყვა, რომელთა ძვლებზეც ვაზმა იხარა – როდესაც ადამიანი ცოტა ღვინოს სვამს, მისი საუბარი ხშირად ბუღბულის გალობასავით მოსასმენია, როდესაც ზომამდე ცოტა მეტს სვამს, ლომს ემსგავსება და ყოველგვარი წინააღმდეგობის დაძლევის ილუზია ექმნება, უკიდურესად გადატოვების შემთხვევაში კი ადამიანი ემსგავსება ღორს, თუ რატომ, ამის მიხვედრა ძნელი არ უნდა იყოს.

ვაზისა და ღვინის სამშობლოში, საქართველოში, მეომრებს ოდითგანვე ულამაზესი მეომრული ტრადიცია ჰქონდათ, რომელიც ქართველების სულის გაუტეხელობასა და

მათი კულტურის აღმატებულ სულიერებაზე მეტყველებს. ქართველებს ხშირად უწევდათ საკუთარი ქვეყნის, ტრადიციების, რწმენისა და წესის დაცვა სრულიად უთანასწორო და გამირულ ომებში. ხშირად ქართველი მეომრები სამშობლოს დასაცავად თავგანწირულ ომში წასულნი, ვაზის ლერწიან გუდას იკიდებდნენ ზურგზე, რადგან იცოდნენ, რომ ბრძოლაში დაცემის შემთხვევაში, თუ მათ ძმები ვერ დაასაფლავებდნენ, მაშინ მათი სხეული დედასამშობლოს შეეზრდებოდა და მისით განაყოფიერებულ ნიადაგზე ნაჭრის გუდიდან კეთილი ვაზი გაიზრდებოდა. მეომრებს სწამდათ, რომ მოოხრებულ და უპატრონო ბრძოლის ველზე, მრავალრიცხოვნებისა და არა მათი სიმამაცის გამო, ცოცხლად დარჩენილი მტრის ნაწილი ვერა ხვდებოდა, რომ ზურგს უკან სიკვდილის ველს კი არა ტოვებდა, არამედ მშვენიერ ვენახს, რომელიც ქვრივობლებს სამი წლის მერე ნიშანს მისცემდა და მეომრის ხმით უჩურჩულებდა, აქა ვართო, არსად წავსულვართო, ისევ ვბრუნდებითო. და კიდევ ერთი წლის მერე მოსავალს მისცემდა ვენახი. იმ რთველში, უკვე მომაგრებული ბიჭი, მუშაობისას მამის მარჯვენას გაიხსენებდა, ჩვილობისას პირდაღებული რომ შესცქეროდა ქვემოდან, მისნაირად აღილინდებოდა და გამზრდელ დედას (ვენახს) მადლიერი ეტყოდა:

„შენ ხარ ვენახი, ახლად აყვავებული,
მორჩი კეთილი, ედემში დანერგული,
ალვა სუნნელი, სამოთხით გამოსრული,
ღმერთმან შეგამკონ, ვერვინა გჯობს ქებული
და თავით თვისით მზე ხარ გაბრწყინებული.“

ვენახიც კეთილად და მადლიერებით შეისმენდა თავისი ერთხორცი შვილის ამ გალობას და სიმშვიდეს აჩუქებდა მას, რომელი სიმშვიდითაც თავად შეჰყოლია ბრძოლაში მამამისს ზურგზე აკიდებული, რადგან იცოდა, რომ ლომგულის ზურგს ვერც მტერი ნახავდა და ვერც ჭრილობა და, რომ მისი დაცემის შემთხვევაში, ვაზი უვნებელი დაუბრუნდებოდა მიწას,

რათა მეომრის სიკეთე გაეცოცხლებინა“.

ვკითხულობთ მორაგბე ლევან ვასაძის სტატიაში – „ლეგენდა ვაზის ლერწზე – რას აღნიშნავს სიმბოლოები „ბორჯღალოსნების“ კვართზე“ (მოძიებულია: <https://sportall.ge/regbi/qarthuli-ragbi/erovnuli-nakrebi/84285-legendavazis-lertsze-ras-aghnishnavs-simboloebi-qborjghalosnebi-sq-kvarthze.html>).

ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება ირწმუნება: „რძე მოზარდთა ღვინოა, ხოლო ღვინო მოხუცთა რძეაო“ და ნათლად გამოხატავს ღვინის, როგორც სასმელისა და ღვთაებრივი სითხის, უდიდეს მნიშვნელობას. ღვინის „ღვ“ კომპლექსი გვაქვს ისეთ სიტყვებში, როგორცაა: ღვ-თაება, ღვ-თისმშობელი. უზენაესისა და ღვინის მყარი კავშირი მართლმადიდებლურ ქრისტიანობაში ყველაზე დიდი საიდუმლოს – ზიარების უმთავრეს ატრიბუტში საუკეთესოდ მჟღავნდება: ღვინო, როგორც ქრისტეს სისხლი. ყოველივეს, ვფიქრობთ, ზუსტად მიესადაგება ნათქვამი: **ღვინო ქრისტეს სისხლია დედა-ეკლესიაში... ღვინოში არის ჭემ-მარიტება...** დასტურად მოვიხმობთ კიდევ ერთი ლეგენდას ღვინის წარმოშობის შესახებ:

„...ოდესღაც, ისეთი დროც იყო, ხალხი ვაზს არ იცნობდა და არც ღვინის დაყენება იცოდა, ვაზი მაშინ ტყეში იზრდებოდა და ყურძენს ჩიტები კენკავდნენ.

ერთხელ ერთმა ქართველმა კაცმა ტყეში ვაზის ნერგი ამოთხარა და ეზოში საჩრდილობლად დარგო. ვაზმა, რა თქმა უნდა, ყურძენი დაისხა. კაცმა შეჭამა ყურძენი, მოეწონა და მეორე წელს კიდევ დარგო რამდენიმე ძირი. ვაზმა რქა დაიყარა / ვაზი გამრავლდა კაცის ეზოში და მალე მთელ ეზოს მოედო. კაცი ყოველ შემოდგომაზე რთველს მართავდა, იწვევდა მეზობლებს – ხალხს, ნადირ-ფრინველს და ვაზის იშვიათი უგემრიელესი ნაყოფით უმასპინძლდებოდა.

ერთ წელიწადსაც, როდესაც ვაზი სრულწლოვანებაში შევიდა, ვენახმა დიდძალი ყურძენი დაისხა/ბევრი ნაყოფი მოიწია; კაცმა ჩვეულებრივ მოიწვია მეზობლები, მაგრამ ნახევარიც ვერ შეჭამეს. დარჩენილი მტევნები კაცმა დაწურა და ყურძნის ტკბილი წვენი თიხის ქურჭელში ჩაასხა. გავიდა ცოტა ხანი, კაცმა შენახულ წვენს გემო გაუსინჯა და მოეწონა. გაუკვირდა, ამ მახინჯმა და უსწორმასწორო ლერწმა ასეთი გემრიელი სასმელი როგორ გაიკეთაო და ქაშნიკზე ისევ მოიწვია მეზობლები, ნადირ-ფრინველი.

ყველამ გასინჯა წვენი, მოეწონათ მისი სურნელი და გემო, ცხადია, ღვინომ ადამიანები დაათრო და გამბედაობა და სიმამაცე შეჰმატა/გვარიანადაც გამოთვრნენ. დაიწყეს ბჭობა: რა დავარქვათ ამ სასმელს ან რა თვისება დავანათლოთ?

მოფრინდა ბულბული, შეივსო თიხის ჯამი და თქვა:

- ვინც სამი დალიოს, ჩემსავით ტკბილად ამღერდეს! – გამოცალა ჯამი და დადგა.

მოვიდა ლომი, შეივსო თიხის ჯამი და თქვა:

- ვინც ხუთი ჯამი დალიოს, ჩემსავით ღონიერი და უშიშარი გახდეს!

გამოხტა კალია, შეავსო ჯამი და თქვა:

- ვინც შვიდი ჯამი დალიოს, ჩემსავით მომაბეზრებლად აჭრიჭინდეს!

მოვიდა ძალლი კუდის ქიცინით, შეავსო ჯამი და თქვა:

ვინც ცხრა ჯამი დალიოს, ჩემსავით ღრენა და ყეფა დაიწყოს!

გამოფრატუნდა ბატი, შეავსო ჯამი და თქვა:

ვინც თორმეტი ჯამი დალიოს, ჩემსავით გამოტვინდეს!

ბოლოს გამობრუტუნდა ღორი, შეავსო ჯამი და თქვა:

- ვინც თორმეტ ჯამზე მეტს დალევეს, ჩემსავით ტალახში იგორაოს!

ბოლოს ადგა ლხინის ღმერთი, აავსო ჯამი და თქვა:

**- რაკი ყველამ ჩემი ძალა და უნარი დაანათლეთ, მაშ
სახელიც ჩემი ერქვას! – და სასმელს ღვინო დაარქვა.**

ასე აღმოაჩინა ქართველმა კაცმა ღვინო. მალე სხვა ხალხმაც ისწავლა ღვინის დაყენება და ბოლოს, მთელ დედამიწას მოედო – გვამცნობს ლეგენდა (მოძიებულია: <https://agronews.ge/rogor-gachnda-ghvino-legenda/>).

დროთა განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა. ხალხმა ვაზის ახალი ჯიშები აღმოაჩინა და ამისდა კვალად ღვინოც სხვადასხვაგვარი გაჩნდა, მაგრამ თავდაპირველი ძალა და თვისება კი დღევანდლამდე უცვლელად გამოჰყვა:

**ახალაც, სამ ჯამს რომ დალევს კაცი, ბულბულივით ტკ-
ბილად ამღერდება, ხუთ ჯამზე ლომის ძალა და გამბედაობა
ეძლევა, შვიდჯამდალეული კალიასავით დახტის, ჭრიჭინებს
და ყველას თავს აბეზრებს, მეცხრე ჯამზე ძაღლივით ღრენას
ინყებს, მეთორმეტეზე – ბატივით გამოტვინდება, ხოლო ვინც
თორმეტ ჯამზე მეტს დალევს, ღორივით ტალახში ჩანვება და
ღრუტუნს ინყებს.**

ღვინოსთან დაკავშირებული ლეგენდები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია შემორჩენილი. მათ შორის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც კი, სადაც ღვინის დაყენების კულტურა თითქმის არასოდეს არსებულა. თუმცა, ღვინის ნამდვილ ქართულ ფენომენს ფშაველები თუ ხევსურები ბარის ქართველებზე არანაკლებად აღიქვამდნენ. თიანეთში დღესაც შემორჩენილია გამოთქმა: „ჩვენებურს თუ ღვინო მასწყურდა, ვერა კახელი თამადა ვერ გაუძლებსო“. გიორგი იორამაშვილის გადმოცემით (თიანეთის რაიონის სოფელი ზარიძეები): „ჩვენთან ერთი ძალიან ძველი ლეგენდაა შემორჩენილი, რომელიც დღეს ახალგაზრდებიდან ცოტას თუ ახსოვს: „უხსოვარ დროს, როდესაც ღმერთი დედამიწაზე ცხოვრობდა, გადანყვიტა, საიქიოდან

გამოძევებული და შრომისაგან დაქანცული ადამიანების ცხოვრება უფრო საინტერესო და სასიამოვნო გაეხადა. და-ჯდა, იფიქრა, იფიქრა და ბოლოს გადაწყვიტა, ისეთი სას-მელი შეექმნა, რომელიც კაცს მცირე ხნით, მაგრამ მაინც დააბრუნებდა სამოთხეში. **თანამედროვე ენაზე რომ ვთქვათ, ღმერთმა ღვინო სამოთხის რამდენიმესაათიანი ილუზიის შემქმნელად გააკეთა.** გააკეთა და ღვინის გასასინჯად ანგე-ლოზები და ეშმაკები მიიწვია. ღვინო ყველას მოეწონა. მათ შორის ეშმაკაც. მაგრამ ეშმაკი რისი ეშმაკი იქნებოდა, ღმერთს რომ არ გაჯიბრებოდა, არ უღალატა თავის მავნე ხასიათს – ბევრი იფიქრა და რაკი სხვა ვერაფერი მოიფიქრა, ადგა და ღმერთის მიერ გაკეთებული ღვინის ნარჩენებით, ანუ ჭაჭით, სხვა, უფრო მათრობელა და ძლიერი სასმელი – არაყი გააკეთა. მერე ამ სასმელის გასასინჯად ღმერთი მიიწვია. მივიდა ღმერთი, დალია ერთი ჭიქა, მეორე, მესამე და მეოთხეც რომ შესვა, ეშმაკს უთხრა: **„ვინც არაყი დალი-ოს, სამ ჭიქამდე ჩემსკენ იყოს, სამი ჭიქის მერე კი შენთვის დამითმიაო“.**

თიანეთში მოხუცები ახლა როცა არაყს სვამენ, მეოთხე ჭიქას „საეშმაკოს“ ეძახიან და ცდილობენ, რაც შეიძლება მალე გადავიდნენ მეხუთე ჭიქაზე. ბევრმა არც კი იცის, რა-ტომ ეძახის მეოთხე ჭიქას „საეშმაკოს“. არადა, ეს გამოთქ-მა და საერთოდ, ეს ტრადიცია სწორედ იმ ძველი ლეგენ-დიდან მოდის”.

ახალგაზრდა, გამოუცდელ ადამიანებზე ამბობენ, **„ეს ჯერ დაუღვინებელიაო“.** საქართველოში, კერძოდ კი, იმერეთში, არსებობდა გამოთქმა – **„დამღვინებელი კაცი“.** ახლა ამ გამოთქმას თითქმის აღარავინ ხმარობს და არც მისი მნიშვნელობა იციან. ამ ფენომენტთან დაკავშირებით, ზესტაფონელი გლეხი კობა ტაბატაძე იხსენებს მოხუცები-საგან მოსმენილ ძალზე საინტერესო ამბავს. მისი თქმით, არსებობდა ლეგენდა „დამღვინებელ კაცებზე“. ეს მითიური

ადამიანები თეთრწვერა მოხუცებად აღიქმებოდნენ, რომლებიც გზიდან აცდენილ, არასწორად მცხოვრებ ადამიანებს სიზმარში ეცხადებოდნენ და ასწავლიდნენ (ხშირად მუქარის ხერხსაც მიმართავდნენ), როგორ უნდა ეცხოვრათ: „ჩემს სოფელში, ბავშვობაში ერთხელ ერთი ახალგაზრდა ბიჭი ძალიან დათვრა და ლამის მთელი თავისი ოჯახი გალახა. ჩემმა დიდმა ბაბუამ ეს ამბავი როცა გაიგო, თქვა: მაგისტვის მართლა ალალა დამღვინებლის გამოცხადებო. მე ვერ გავიგე, ვინ იყვნენ „დამღვინებლები“ და მაშინ მიამბო ბაბუამ ეს ლეგენდა: დამღვინებლები ბრძენი, მოხუცი, თეთრწვერა კაცები იყვნენ, რომლებიც ადამიანებს მხოლოდ მაშინ ეცხადებოდნენ, როდესაც ისინი ძალიან ცუდ საქმეს ჩაიდენდნენ და ისე აშინებდნენ, ვისაც დამღვინებელი გამოეცხადებოდა, მეორედ ცუდად მოქცევას ველარ გაბედავდა, ხოლო იგივე უმსგავსობის განმეორებას თუ მაინც გაბედავდა, მისი საქმეები სულ უკან-უკან წავიდოდა და შეიძლება, მომკვდარიყო კიდეც. დამღვინებლის დასიზმრება უკვე იმას ნიშნავდა, რომ ადამიანი ძალიან ცუდად მოიქცა. როგორც ბაბუაჩემი ამბობდა, ვისაც დამღვინებელი კაცი დაესიზმრებოდა, უმეტესად რცხვენოდათ ამის სახალხოდ აღიარება, რადგან ეს ნიშნავდა, რომ ცუდი საქმე ჰქონდათ გაკეთებული. ამ დროს ცდილობდნენ, ყველაფერი ჩუმად გამოესწორებინათ. ხალხი ერთმანეთს თურმე ხუმრობითაც ეუბნებოდა: „დამღვინებლისგან შემინებული ხომ არა ხარო?...“

მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ფოლკლორმა, ხალხურმა სიტყვიერებამ, შემოგვინახა ღვინოსთან დაკავშირებული არაერთი ქართული ტრადიცია/წეს-ჩვეულება, რომელთაგანაც შევეხებით იმ რამდენიმე მათგანს, საიდანაც მკაფიოდ მოჩანს ქართველთა მორალი – ზნეობრივი პარამეტრი.

„სტუმარი ქართველი კაცისათვის არა მარტო სასურველი იყო, არამედ საამაყოც, წმინდად თვლიდნენ მას. „სტუმარი ხეთისააო“ სწამდათ და ისე ექცეოდნენ, როგორც ღვთის მოვლენილს, „ღვთის კაცს“, მისთვის არაფერი დაიშურებოდა. ახლანდელი ენით რომ ვილაპარაკოთ, ლოზუნგი არსებობდა: „ყველაფერი სტუმრისათვის“. ეს ასეც იყო, მაგრამ თუ სტუმარს ღვინოს არ დააღვინებდი, „ყველაფერი“ ამაოდ ჩაივლიდა, – ნერს ნიკო კეცხოველი:

*„კაცსა სტუმარი ეწვიოს,
სტუმარი არ ნახულისა,
დააპოს ურმისა მორგვი
ზაფხულის შენახულისა,
დასწვას ფინალი, ორთითი,
ცეცხლი დაანთოს გულისა,
ოთხკუთხივ ბოლი ავიდეს,
დასვას და ანადიმოსა,
ატლასის კაბა ჩააცვას
და ცხენსაც შესვას პილოსა,
ყველა ტყუილად ჩაუვლის,
თუ კი არ ასმევს ღვინოსა ...“*

(კოტეტიშვილი, 1934.)

საქართველოში საახალწლო ტრადიციები აუცილებლად ღვინოსთან იყო დაკავშირებული. გარდა იმისა, რომ ღვინო ქართული სუფრის, პურ-მარილის/პურ-ღვინოს უცილობელი სასმელია, საკუთრივ საახალწლო რიტუალი, ხშირად, მარნებში, ჭურთან ტარდებოდა (სამწუხაროდ, ქართული ტრადიციული სუფრის აღმნიშვნელი **პურ-ღვინო** მოგვიანებით შეიცვალა რუსულიდან შემოტანილი კალკირებული **პურ-მარილი**).

იმერეთში საახალწლოდ რამდენიმე ჩიჩილაკი მზადდებოდა. ერთ-ერთი მარნისთვის იყო განკუთვნილი. ახალი

ნლის დილას შინაური მეკვლე წყაროდან წყალს მოიტანდა. ოჯახის წევრები პირს დაიბანდნენ და ისევ მეკვლის წინამძღოლობით მარნისკენ წავიდოდნენ. მიჰქონდათ სანოვაგით სავსე გობი, ორშიმო და ჩიჩილაკი. მეკვლე ჩიჩილაკს საახალწლო ჭურის გვერდით დაასობდა. მარანს ახალ წელს მიულოცავდა, შემდეგ საახალწლო ჭურს მოხდიდა, ღვინოს გასინჯავდნენ და დოქებს აავსებდნენ.

კახეთში საახალწლოდ, გარკვეულ რიტუალებთან ერთად, მესტვირული საახალწლო სიმღერაც ისმოდა:

„ხელში ორ ჭიქას ავიღებ, ვილოცებოდე ღვინითა,
ყველა კარგად დაესწარით მრავალ ახალ წელს დილითა,
ნათლიმამა თან მოგდევედეს, თაფლი მოქონდეს ქილითა;
ხურჯინიც სავსე ეკიდოს, ჩურჩხელებით და ხილითა...
თქვენი კოდები ყოფილა სავსე და – წმინდა ფქვილითა;
თქვენი ქვევრები ყოფილა სავსე და – წითელ ღვინითა;
თქვენი ფარეხი ყოფილა სავსე და – ცხვრითა, ბინითა...
თქვენი მტერი ნაქცეულა, ველარა ძღება ძილითა...!“

ლეგენდები ვაზსა და ღვინოზე ცხადყოფს, რომ ქართველი კაცის სააზროვნო სისტემასა და მსოფლხედვაში მათ საკრალური მნიშვნელობა ენიჭება. „მითოლოგიურ ენციკლოპედიაში“ აგუნას შესახებ ვკითხულობთ: „წარმართობის ხანის ვენახის ღვთაება დასავლეთ საქართველოში. მისი სახელი მხოლოდ გადაძახებაშია შემორჩენილი. გურიაში ახალწლის ღამით ანთებული თაფლის სანთლებით ჩამოივლიდნენ მარნებს, თავდაყირავებულ საწნახელზე ნაჯახის ყუით დააკაკუნებდნენ და დასძახებდნენ: „აგუნა, აგუნა, შემოდი ჩვენსას, გადმოიარე ბახვი და ასკანა! ჩვენს მამულში ყურძენი, სხვის მამულში ფურცელი!“ დაიმედებულნი, რომ აგუნა დოვლათით აავსებდა მათ ვენახებს, გამართავდნენ ლხინსა და პურობას“ (კიკნაძე, 2010). ბერძნულ მითოლოგიაში აგუნას შეესაბამება დიონისე – „ღვინის, თრობისა და

სულიერი შვების ღვთაება; მევენახეობისა და მეღვინეობის მფარველი ღმერთი; ზევსისა და სემელეს ძე. რომაულ მითოლოგიაში მას ბახუსს უწოდებენ“ (ზურაბ კიკნაძე). აგუნას სახელზე საახალწლოდ გურიაში ცხვებოდა ვაზის რქის ან მტევნის ფორმის კვერები, რომელსაც „აგუნას პურს“ უწოდებდნენ. კლარჯეთში კი, რთველისას, ვენახებში ღვინი იმართებოდა, რომლის დროსაც შიშველი აკიდოებით შემკული ჭაბუკები ცეკვავდნენ ფერხულს. რაჭა-ლეჩხუმში აგუნას „ანგურას“ უწოდებდნენ, სამეგრელოში კი – „ჯუჯელიას“. ნართების ადიღეულ ეპოსში „აგუნა“ ჭურჭელს ნიშნავდა, რომლითაც საღვთო სასმელს შეექცეოდნენ.

ახალ წელიწადს სამეგრელოში მამლის ყვილზე მთელი ოჯახი ფეხზე დგებოდა მამაკაცები ღორის თავს, ბასილას, საახალწლო გობს სანოვაგით დატვირთულს, მორთულ ჩიჩილას და ცარიელ ჩაფს იღებდნენ და მარნისკენ მიდიოდნენ. მარანში შესვლისას, ოჯახის უფროსი ხმაამოუღებლად საახალწლო გობს მინაზე დგამდა, ჩაფს ღვინით გაავსებდა და დაჩოქილი წმინდა ბასილას ოჯახის ბედნიერებას სთხოვდა. შემდეგ მეკვლე გობიდან კაკალს იღებდა და წმ. ბასილას ეხვეწებოდა, რომ მას ამ კაკალივით ავესო მისი ოჯახი ყოველივე სიკეთით. ამის შემდეგ პროცესია სახლისკენ გაემართებოდა და ოჯახის წევრები ერთმანეთს ახალ წელს ულოცავდნენ.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარში, ქართლში, აცხოვდნენ დიდ პურს, აგრეთვე, პატარა კვერებს, რომლებსაც ბიჭებს მკლავზე ჩამოაცვამდნენ. ეს კვერები ბიჭებს წყალკურთხევამდე უნდა ეტარებინათ და იმ დღეს, ეკლესიიდან მობრუნების შემდეგ, უნდა ეჭამათ. ტაბლაზე დააწყობდნენ მოხარშულ დედალს, ღორის თავს, მოხარშულ კვერცხებს, ჩურჩხელებს, გოზინაყს, სარიტუალო პურებს... იქვე დადგამდნენ ღვინოს, ჯამით წყალს, თაფლს. თაფლში პურის ნატეხებს ჩაყრიდნენ. ამ ტაბლას „აბრამიანი“ ერქვა.

დილით, ტყიდან მოჰქონდათ შეშა და სარიტუალო ხე – სა-
თარი; სათარი მუხის ხის უნდა ყოფილიყო.

აღმოსავლეთ საქართველოს მთის საახალწლო რიტ-
უალებში ღვინოს არაყი და ლუდი ანაცვლებდა.

ღვინო ღვთის შესანიშნავი იყო. როდესაც მეზვრე ვე-
ნახს მოკრეფდა და დაწურავდა, ერთ ქვევრ თავანკარ ღვი-
ნოს ზედაშედ დათქვამდა რომელიმე წმინდანის სახელზე,
უფრო ხშირად წმინდა გიორგის სახელზე. ჩვეულებრივად,
საზედაშე ქვევრს საყდრის ეზოში ჩააგდებდნენ ხოლმე.

ზედაშეს ხელს ვერავინ ახლებდა დრომდე. მხოლოდ ხა-
ტობაში მოიხდებოდა და ამ ღვინით ადიდებდა იმ წმინდანს,
ვის სახელზეც იყო ზედაშე ჩასხმული. ამ ღვინით შესთხ-
ვდნენ წყალობას და „მადლიანი თვალით გადმოხედვას“.

ქართველთა ეთნოგრაფიულ ყოფაში ასახული ტრადიცი-
ები სადღესასწაულო სუფრებითა და რიტუალებით
ფორმირდება. ამ დროს გამოყენებული ღვინო (მთაში –
ლუდი) წმინდა სასმელია და, შესაბამისად, სპეციალურ
– წმინდა ჭურჭელში ინახება. ეს წმინდა ქვევრები ქა-
რთლ-კახეთში ზედაშეს სახელითაა ცნობილი, იმერეთსა
და რაჭაში „სალოცველს“ უწოდებენ, სამეგრელოში კი
„სალოცავი ქვევრი“ ანუ „ოხვამერ ლაგვანი“ ჰქვია (აბა-
კელია, 1997). სულხან საბა ორბელიანი განმარტავს, რომ
ზედაშე შესანიშნავი ღვინოა. ის სადღესასწაულო სასმელად
განისაზღვრებოდა და განსაკუთრებულ – საკრალურ ფუნ-
ქციას ატარებდა. ზედაშე, როგორც ჭურჭელი, ხელშეუხებ-
ელ, წმინდა ადგილად მოიაზრებოდა ხალხში. სალოცავად
წასვლის წინ, ჯერ ზედაშესთან მიდიოდნენ: „ზედაშემ გზა
თუ არ მოგვცა, ისე არ მიგვიღებენო“, „ჯერ შინაურმა ან-
გელოზმა უნდა გაგვისტუმროსო“:

„გაუმარჯოს ცის ნამს,
ხარ-გუთანს,
ქვევრ-მარანს,

რომ ყოველთვის ბარაქიანად
მოგვცეს წლის მოსავალი,
ჩვენ სასარგებლოდ და ღვთის მოსახსენებლად“ (აბაკე-
ლია, 1997).

ზედაშეს თავღვინოს გაყიდვა არ შეიძლებოდა. ადგილი, სადაც წმინდა ჭურჭელი ინახებოდა, ღვთის მადლთან და სიკეთესთან ასოცირდებოდა. აქედან ვასკვნიტ, რომ **ღვინო და ღვინის შესანახი ჭურჭელი ქართველი კაცისთვის იმდენად დიდი მნიშვნელობისაა, რომ ღვთაებრივ ატრიბუტებად ითვლება.**

ღვინო და ყურძნის პროდუქტი (ჩურჩხელა, ტკბილის კვერი, ჩამიჩი, ბადაგი) ყოველი დიდი დღის ატრიბუტი იყო. საახალწლოდ ტაბლა და აბრამიანი ღვინის გარეშე არ შეიძლებოდა. ღვინოსთან ერთად ელაგა ვენახის სხვა პროდუქტიც. მთაშიც კი, ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონის მოწმობით (კოტეტიშვილი, 1941). „ტკბილი“ ბარიდან მოჰქონდათ, ასხამდნენ ქვევრებში და ღვინო დგებოდა „შემრგო, კეთილი, მსუბუქი“. ასე მიჰქონდათ ღვინო თრიალეთში, მთიულეთში და სხვაგან:

„და არს მოზღუდვილი მთიულეთი მთითა; ამის გამო მაგარი და შეუალი არს, უვენახო, უხილო, მცირე მოსავლიანი. არამედ მოიღებენ ბარიდან ტკბილსა, შთაასხამენ აქა და ლომისას, და დადგების ღვინო კეთილი, თეთრი და ტკბილი“.

„თრიალეთი... მოსავლით ვითარცა ტაშირი... ვენახი, ხილნი და მტილოვანნი არარაი არს აქა, და მთის ხილნი მრავალნი. ტკბილს მოიგანენ ბარიდამ, ჩაასხამენ აქა, და დადგების ღვინო კეთილი და გემოიანი“.

ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში დიდ ადგილს იკავებს სანესჩვეულებო პოეზია, რომლის შემადგენლობაში შედის სანესო-კალენდარული პოეზია. უძველესი დროიდან

სჯეროდათ, რომ გარემოზე შეიძლებოდა ადამიანის მიერ ზემოქმედების მოხდენა გარკვეული რიტუალის საფუძველზე. რიტუალები, ძირითადად, საყოველთაო დღესასწაულებზე სრულდებოდა და ცალკეულ შემთხვევებში შესაბამის შინაარსს ატარებდა. საახალწლო ლექსი ამ სტრიქონებით იწყება: „ახალ წელიწადს წლის თავსა/გიკვლევ ვაზისა რქითამცა“ (ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, 1960), საიდანაც დასტურდება, რა დიდი სარიტუალო მნიშვნელობა ჰქონდა ვაზს და რომ ის **საკულტო მცენარეს წარმოადგენდა ქართველებისთვის.**

საინტერესოა საახალწლო მილოცვის ტექსტი, რომელიც ამგვარად იწყება:

„ხელში ორ ჭიქას ავიღებ,
ვილოცებოდე ღვინითა,
ყველა კარგად დაესწარით
მრავალ ახალ წელს დილითა“

(ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, 1960, გვ. 236)

ლექსი გრძელდება სხვა მრავალი საახალწლო ატრიბუტიკის მოხმობით, თუმცა, პირველად მაინც ღვინით – ქართველთათვისამსაკრალურისითხით – დალოცვაზე მახვილდება ყურადღება. სააღდგომო მილოცვის ლექსებში ვკითხულობთ: „დიდსა ქვევრსა ცარიელსა/პატარ სავსე გვირჩვენია“ (ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, 1960), აგრეთვე საინტერესოა ხალხური ლექსი, რომელიც შორეული კუთხიდან სალოცავისაკენ მგზავრობის შესახებ გვიყვება:

„ჩემი ღვინია ხარები
ღვინით არიან მთვრალები,
მიბია კახურ ურემში,
დღეობას მივეჩქარები.
გადამიბრუნდა ურემი
ქვეშ მოიქცია ქალები“

(ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, 1960, გვ. 245)

ქართველის დამოკიდებულება ღვინისადმი, წესი/მორალი, რომ ღვინო უცბად არ უნდა გამოილიო და ოჯახი ღვინის გარეშე არ უნდა დარჩეს, რომ ღვინის სმა ყველას არ შეუძლია, ყველას არა აქვს ღვინის დაღვევის უფლება, ღვინომ მხოლოდ სიყვარული უნდა გაგიძლიეროს... საუკეთესოდ მოჩანს შემდეგ ლექსებში:

„არც არავის ყმა ვყოფილვარ,

არც არავინ ყმად მყოლია,

ძველი პური, ძველი ღვინო

წლით-წლობამდე გამყოლია“

„ღირსეული კაცი“

„პურმა თქვა სახლქებულმა: მე ვარ ყველაზე ქებული, კაცი უჩემოდ არ ვარგა, არც გლეხი, არც დიდებული.

ღვინომ თქვა, სახელქებულმა: მეცა ვარ ყველგან ქებული, მცირედი კაცი არ დამღვეს, თუ არა მირონღებული.

მჭადმა თქვა: მეც ვიხსენები სუფრისა ბოლოს გდებული, მდიდარი კაცი არა მჭამს, თუ არ ყელგადაგდებული“.

„პური, ღვინო და მჭადი“

ყველაზე ძვირფასი ადამიანის სურვილს მიჯნური ღვინოს უკავშირებს და ასე გამოთქვამს:

„ვერცხლისამც თასად მაქცია, რო ღვინით აგვესებოდე, დაფერილი მქნა წითლადა, შამსვამდე, შაგერგებოდი“.

„წითელ ღვინოს მიგამგვანე ჭიქაში მდგომიარესა, სასუფეველი რად უნდა შენს მკლავზე მწოლიარესა“.

გავიხსენებთ ქართულ ხალხურ ზღაპარს „**სამმტევანა ჭაბუკი**“, სადაც მეზღაპრე გვიყვება ერთი ღარიბი ჭაბუკი

მენისქვილის შესახებ. „მის ეზოში მხოლოდ ერთი ძირი ვაზი იდგა, რომელსაც სამად სამი მტევანი ყურძენი ება. მენისქვილემ მტევნების ქვევრში ჩანურვა განიზრახა. ცხადია, ზღაპრული სიმბოლოს არსი – ეს ვაზი უბრალო ვაზი არ არის და მტევნებიც, შესაბამისად, განსაკუთრებულობით გამოირჩევიან“ (ნ.გოგიაშვილი, 2023) ზღაპარში ვაზის სემიოტიკური ნიშანი განფენილობის ფართო სივრცეს გვთავაზობს; ერთ-ერთი მათგანია **სამი მტევანი, სავარაუდოდ, როგორც წმინდა სამების განსხეულება და მის მიერ გაღებული მადლი, საიდანაც ზღაპრის პროტაგონისტმა ღვინო – ღვთიური სითხე უნდა დანუროს.** თუმცა, ის გულკეთილობას და ხელგაშლილობას იჩენს და ხვეწნა-მუდარას აყოლილი, მელიას აძლევს სამივე მტევანს. მადლიერი მელია ვაჟს **ბედს სწევს, სიკეთეს ათმაგი სიკეთით პასუხობს. ჩვენთვის საინტერესო ზღაპარში ისაა, რომ მასში ვაზს განსაკუთრებული თვისებები აქვს მიწერილი, ვაზმა შესაძლებელია ბედნიერება მოგიტანოს, იგი უნდა გასცე, გააჩუქო.** ზღაპრის სახელწოდება და მთავარი გმირის სახელი კი „სამმტევანა ჭაბუკია“, რაც ასევე მრავლისმთქმელი და სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელია (მოდებულება: <https://www.youtube.com/watch?v=cLI377csOME>)

ხალხური სიბრძნის ნიმუშებიდან მოჩანს, რომ ნაზი სიყვარულით უყვარს ჩვენს ხალხს ვაზი, მიუხედავად მისი ზრდის სიმრუდისა, დაგრეხილობისა, იგი კარგი ხეა, ნამდვილი, მარადიული სამოთხის ხეა, ამქვეყნად მოსალხენი, ყველას მასპინძელი, ცხოვრების ხე, ვარდ-მართალი ხეა:

*„ხე მრუდო და ხე მართალო, ხეო მაგრამ კარგო ხეო,
მეფეთა და ხელმწიფეთა მასპინძელო, კარგო ხეო,
ამ სოფლისა სალხინოო, საუკუნოს სამოთხეო,*

*მასპინძელო მხიარულო, გავიხარე რო გნახეო”
(უმეკაშვილი, 1937)*

ამ ლექსის სხვადასხვა ვარიანტი არსებობს, რაც, უთუოდ, ქართველის ვაზისადმი ზემოთქმულის დამოკიდებულების ქეშმარიტებასა და მასშტაბურობაზე მეტყველებს:

1. *„ხე მრუდო და ხე მართალო, ხეო მაგრამ როგორ ხეო, სააქაოს ცხოვრება ხარ, საიქიოს სამოთხეო”.*
2. *„ყოველ ხეში უკეთესო, ვარდ-მართალო, მაგრამ ხეო, ამ სოფლისა სიამოვნე და იმ სოფლის სამოთხეო, მეფეთა და დედოფალთა, ყოვლის სულის შემეძცევო, მასპინძელთა სიამოვნე, გამიკვირდა რო გნახეო”.*

მაგრამ ხალხმა ისიც იცის, რომ მას მოვლა-პატრონობა და წესიერად, სწორად გამოყენება სჭირდება, ავი მეურნე და ავი მუშა აუგად სახსენებელია:

„ხე მრუდო და ხე მართალო, ხეო, როგორ სწორე ხეო, ამხანაგსა შემაძულეზ, საყელოსა დამახეო”

„კარგი ხარ, კარის ვენახო, რომ არ გჭამდეს ქათამიო“.

„...რა ბალია, რა ვენახი, თან არ ახლდეს სალობავიო“.

*„ვაზის მრგველთან ის არ აქო,
ვინც მის ნაცვლად ძეძვი დარგო“.*

ვაზს უბრალოდ არაფერს შეჰკადრებენ, იგი ღირსია წმინდა გიორგის კარზე იყოს ამოსული, წმინდა გიორგის კარზე ამოსულ ალვის ხესაც კი ყურძენი მოასხმევინეს, იგი მისი ღირსიო:

„წმინდის გიორგის კარზედა ხე-ალვა ამოსულაო,
ზედ გამოსხმია ყურძენი, საჭმელათ შემოსულაო,
ჩვენი ბატონის ქალების საკრეფლად წამოსულაო“
(*უმიკაშვილი, 1937*).

მევენახეობა და მეღვინეობა იყო და არის ძირითადი დარგი სოფლის მეურნეობისა. არის ცნობები, რომ ღვინო საქართველოდან სხვა ქვეყნებშიც გაჰქონდათ და საქართველოშიც ხომ უხვად იყო, წყლის ნაცვლად მწყურვალს ღვინოს აწვდიდნენ.

ნასყიდობის წიგნები ადასტურებენ, რომ ვაზი და ღვინო ჩვენი ეკონომიკის ბურჯი იყო: “მოგყიდეთ მარანი... თავის სამოცდაათის ქვევრითა...” (*თაყაიშვილი, 1909, ტ. II*).

ხშირად ოჯახის სიძლიერე/შეძლებულობა ვენახის ქონა-არქონით იზომებოდა/ ისაზღვრებოდა; ქალის ხელის სათხოვნელად მისული სასიძო სწორედ ვენახით იწონებდა თავს. ვენახის ასეთი მნიშვნელობა კარგად გამოსჭვივის სასიძოს მიერ თქმულ ლექსებში:

„სიდედრო შავგვრემანობით
არ დაინუნო სიძია,
სოფელში, მოდი, იკითხე:
გრძელი ვენახი ვისია“.

როგორც ჩანს, შავგვრემანობა ჩვენში მოსაწონი დიდად არ იყო:

„სიძისა შავგვრემანობა: სიდედრს უმძიმდა, ნალვლობდა...
ქალი ცხენს შესვეს, მიჰყავდათ...რალას უშველის,
ნანობდა“.

სწორედ ამიტომ შესძახა ალბათ სასიძომ სიდედრს:
„შავგვრემანი ვარ, მაგრამ, სამაგიეროდ, გრძელი ვენახის პა-

ტრონი ვარო“. როგორც ჩანს, ვენახი ახდენდა კომპენსაციას და სასიძოსაც აღარ სწუნობდნენ.

ამ და სხვა მრავალი მიზეზის გამო ვაზს შვილივით უვლიდა ქართველი. თითოეულ ძირ ვაზთან წელიწადში ასჯერ უნდა მისულიყო, გამოესარა, გადაენიდნა, დაებარა, გაესხლა, შეესარა, შეეყელა, შეეფურჩქნა 10-15-ჯერ, ცა გაეხსნა, მტევანი გამოეჩინა, მოეკრიფა, დაენურა, ყური ეგდო დუღილისათვის, ღვინო გადაელო რამდენიმეჯერ. როცა გადაღების დრო დადგებოდა, მარტო არ გადაიღებდა. **მეზობლებისათვის უნდა მოეხმო, ერთად დაეჭაშნიკებინათ/დაეგემოვნებინათ, ერთმანეთი ედღეგრძელებინათ, ტკბილი სიტყვა ეთქვათ. ეს იყო ცხოვრების ერთ-ერთი უმთავრესი წესი.**

ხალხური პოეზიიდან ნათლად იკვეთება, რომ ხალხმა ზედმინვნით იცის ვაზის ბიოლოგია:

**„ვაზს უთქვამს: ნეტავ მე რომ ყვავილში შევალ
ჩემი პატრონი ავად გახდეს: ვერც თვითონ შემოვიდეს
ვენახში და ვერც სხვა შემოიყვანოს“.**

ამ ლექსის არსი ისაა, რომ ვაზის ყვავილობის დროს ვაზის რქა მეტად მაღალია, ადვილად იმტვრევა, მტევანიც ზიანდება.

არ შეიძლება სრულად არ მოვიყვანოთ ერთი სხვა ხალხური ლექსი, რომელსაც, მართალია, ერთგვარი, ხალხურისათვის ჩვეული ლექსის სურნელება აკლია, მაგრამ, სამაგიეროდ, მასში კარგადაა გამოსახული ნიადაგის დამუშავების აგროტექნიკური ხერხები:

**„დავთოხნოთ ძმებო, ვენახი, ლამაზად შეკაზმულია,
ღრმათაც ჩაუშვათ თოხები, სიმღერები ვთქვათ ძმურია,
ჩქარა ეს სვე გავიტანოთ, ბიჭებო, ღვინო მწყურია,
ტიკით ღვინო მეგულება გრილოში შენახულია,
დავკრათ და მიწა ვაბრუნოთ, როგორც ნანგრევი ციხისა,**

დასხდნენ და ღვინო დაასხეს, მოსდევს
სხვილ-სხვილი ჯამითა,
ერთმანეთს ეუბნებიან: ასე აივსე ჯანიტა,
ადექ, ბიჭებო წავიდეთ, თავში ღვინო შემომიჯდა,
ვენახის სათოხნელადა ძან გული გამიგიჟდა
ერთი ჯამი მეც დამისხი საყველანმინდო გადავკრა.
მაშინ გაჩვენებ სეირსა შენთან თოხი როგორ დავკრა.
**ვენახი კარგი იქნება თოხით ღრმით გათოხნილია,
ყოველთვის დაკრეფის დროსა მას მტევანი
აქვს მსხვილია,
გათოხნილი ვენახისა ღარში გამოდის მსხვილია,
გაუთოხნავ ვენახისა მიძიმედ ჩამოდის წვრილია,
მაგრამ სწორე უნდა გითხრა: ღვინო ის უფრო ტკბილია“.**

მართლადაც, კარგად გათოხნილი ვენახის მტევნის მარცვალი მსხვილია, წვნიანია, ამიტომ შაქარიც შედარებით ნაკლებია, აქედან სიმაგრეც შედარებით მცირეა. მაშინ როდესაც, გაუთოხნავ ვენახში მარცვალი წვრილია, წვენი მცირეა, შაქრის კონცენტრაცია მაღალია, ღვინოც მაგარია. ამავე თვისებას და მოვლენას ეხმაურება გამოთქმა: „პური და ღვინო გვალვისაო“.

პლატონ იოსელიანი, გიორგი XII-ის ცხოვრებაში, მისი სუფრის აღწერისას იყენებს ქობულაშვილის ქვრივის წერილის ადგილებს. აი, ეს ადგილებიც:

„...ისეთ ღვინოს მიირთმევდა, რომ ეხლა სადღა იშოვება იმისთანა ღვინო. იმათი სასმელი ღვინოს ვენახი უნდა აბეჩხარი ყოფილიყო, ესე იგი დაუბარავი და პატივ დაუყრელი ამისათვის, რომ ძალიან ცოტა გამოვიდოდა კარგი“.

„მეფის სასახლის ღვინის ქება რო დავნერე, ის ღვინო იყო ზემო ხოდაშენის ზვრისა“.

ხაზგასასმელია, რომ ეს ორივე დამოწმება სრულად თანხვდება თანამედროვე ცოდნასაც:

„დიდ ვენახში მივდიოდი ბართა და ნიჩბითა,
ზევით ბაგამ დამიძახა, აქ მობრძანდი მე რა გითხრა,
შენ სასუქი მომიმზადე თითო ჯინი თითო ძირსა.

ისეთ მტევანს გავიკეთებ არ ჩავიდეს გოდრისპირსა“.

ვენახის გაშენებისას სასარეს ჩაურიგებდნენ, თუ მოკ-
ლე იყო ხის ტოტი, რომელიც უნდა გაეხარებინათ, მას
„მანა“ ეწოდება:

„ვენახს რომ გააშენებენ
ჩაურიგებენ მანასა,
ვინც ღვინოს დაგვალევენებს
იმას მოუშვით ყანასა“.

„მანა“ დაბალ შტამბს იძლეოდა, რაც ჩრდილს აგდებ-
და, ადვილი მოსავლელი იყო, „მანას“ უმთავრესად პატარა
ვენახს ჩაურიგებდნენ, დიდ ვენახს კი – ორ-სამ მეტრიან
ჭიგოსოდენა ტოტს.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ვენახი და გაპატივება, ვე-
ნახი და მისი მოვლა ყოველთვის ასახულია სიგელ-გუჯრებ-
შიც, როდესაც იგი ვენახის ყიდვა-გაყიდვას ან ქონებას
ასახავს.

**ხალხურ „ხილთა ქებაში“ ხომ ვაზი და ყურძენი განსა-
კუთრებულადაა ნაქები, თუმცა ჩვენთვის საყურადღებოა ამ
ლექსიდან მომდინარე ეროვნული პარადიგმა:**

„ვ ა ზ მ ა უთხრა: რასა ბოდავთ, ვინ არის ჩემი დარია,
უჩემოთ ქორწილს ვინა იქს, ან ვინ დამარხა მკვდარია,
ბევრ კაცს ძაან ავაშენებ, ბევრს კი დავადე ვალია,
კაცი თავის სენით კვდება, ამბობენ ღვინის ბრალია.

ყ უ რ ძ ე ნ მ ა თქვა: მეც ხილი ვარ, ყოველ ხილზე
უკეთესი,

ზამთარ ხე ვარ და ხე ფიჩხი, ზაფხულში გავყმანვილდები,
მოვლენ და ჩამომკრეფავენ, უცეცხლოთ ამოვდულდები,
ბრიყვი დამიწყებს ლევასა, დავანყებინებ ძგერასა,
როდესაც მოვა ცნობასა, მაშინ დამიწყებს ქებასა.

ღ გ ი ნ ო მ თქვა სახელქებულმან: მეცა ვარ ყველას
ქებული,
მცირედი კაცი არ დამლევეს თუ არა მირონცხებული“.

მსგავსი შინაარსისაა შემდეგი ლექსიც:

ყურძენმა თქვა „მეც ხილი ვარ“,
ყველა ხილზე უკეთსი,
ყველა ხილზე გვიან მოვალ,
ესეთია ჩემი წესი.
გაზაფხულს ყვავილს დავიყრი
ზაფხულს ხომ ჩამოვშავდები,
ზამთარში ხილთა გმირი ვარ
შამჭამ და პირში დავდნები.
შემოდგომა რო ჩამოვა,
სულ დავინვი და დავდნები.
დამეხვევიან ქალები,
კალათაში ჩამკრეფამენ,
ვენახიდან ნამიღებენ,
სანნახელში ჩამწნეხამენ,
ჯეელ-ჯეელი ბიჭები
ამსრესამენ, ჩამსრესამენ,
აჰყვებიან, დაჰყვებიან,
ჭურში ჩამაჩუხჩუხებენ,
ჩავალ და ცოტას დავიცდი,
უცეცხლოდ ნამოვდულდები,
ამომიღებენ, დამლევენ,
ცოცხალს და მკვდარსაც ვიხდები,
მეტყვიან მრავალჟამიერს,
ღმერთსაც კი აუხირდები“.

ხალხური სიტყვიერების თვალის ერთი გადავლება იმა-საც ცხადყოფს, რომ ჩვენმა ხალხმა კარგად იცოდა ღვინის გეოგრაფიაც, სად როგორი ღვინო მოდიოდა და როგორი უნდა ყოფილიყო ის:

„ღვინო კი მათრობელა სჯობს, ძალლი თეოზე მყეფარი.
ღმერთმანი ბოდბისხვეური ღვინო დადგება სქელია,
ასეთი ღვინო დადგება წითელი ლალისფერია.
ველისციხის ღვინოები შავი არი და სქელია,
იმით დამთვრალი კაცები ტკბილსა ხმაზედა მღერიან.

ასედაც ნატრობდნენ:

„კახური ღვინო წითელი, მილებით მომედინაო,
მუკუზნის ღვინით დამათრო, ახმეტად დამაძინაო,
ქალ კახეთს გაგათხოვებენ, ქალამან გინდა რკინისა,
მოგაგონდება ახმეტა, სურვილი მოგკლამს ღვინისა,
მარნეულის ღვინო მისვამს, კულით მირაკრაკებია.
კახურო ღვინო წითელო, ყელმოჭედილო კულაო“...

ქართველი ცდილობდა, ვენახი არ დაზიანებულიყო, მაგრამ თუ ეს მაინც მოხდებოდა, დიდ უბედურებად, ოჯახის დაქცევად მიაჩნდა. ისტორიული საბუთები ამტკიცებენ (თაყაიშვილი, 1909), რომ მაის-ივნისში რთვილი გაუგდია და ვენახები გაუნადგურებია:

„უფალმა იესო ქრისტემ ქვეყანას ხელი დარია,
მაისში თოვლი მოვიდა, დასცა იანვრის ძალია,
თიბათვემ რთვილი გააგდო, ვაი ქვეყანას ბრალია.
ვენახები წაგვიხდინა, ლობიო ხომ დამძრალია,
სიმინდი ბევრი მოვიდა ყველას უდგია ძარია,
ამ უცლოლშვილო ბიჭებსა ცეცხლზე დაუსხა წყალია,
„ახლა რილათ ვქნათ ქორნილი, რით გავახილოთ თვალია“.

გაფრთხილება იკითხება ხალხური ლექს-სიმღერაში „**მოდი ვნახოთ ვენახი**“ – წინაპარი გვაფრთხილებს, რომ ვენახი არ უნდა „შეგიჭამოს“ არავინ, რადგან, თუ ასე მოხდა, შემდეგ ყველაფერს „შეგიჭამენ“, ყველაფერი გაგინადგურდება:

„**მოდი ვნახო ვენახი, რამ შეჭამა ვენახი;**
მიველ, ვნახე ვენახი, თხამ შეჭამა ვენახი.
მოდი ვნახო თხაო, რამ შეჭამა თხაო;
მიველ, ვნახე თხაო, მგელმა ჭამა თხაო.
მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი ვნახო მგელი, რამ შეჭამა მგელი;
მიველ, ვნახე მგელი, თოფმა შეჭამა მგელი.
თოფმა მგელი, მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი ვნახო თოფი, რამ შეჭამა თოფი;
მიველ, ვნახე თოფი, ჟანგმა ჭამა თოფი.
ჟანგმა თოფი, თოფმა მგელი,
მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი ვნახო ჟანგი, რამ შეჭამა ჟანგი;
მიველ, ვნახე ჟანგი, მინა შეჭამა ჟანგი,
მინამ ჟანგი, ჟანგმა თოფი,
თოფმა მგელი, მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი ვნახო მინა, რამ შეჭამა მინა;
თაგვმა მინა, მინამ ჟანგი,
ჟანგმა თოფი, თოფმა მგელი,
მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი ვნახო თაგვი, რამ შეჭამა თაგვი;
მიველ ვნახე თაგვი, კატამ ჭამა თაგვი.
კატამ თაგვი, თაგვმა მინა,
მენამ ჟანგი, ჟანგმა თოფი,
თოფმა მგელი, მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა“.

ამგვარად, როგორც მასალიდან ჩანს, ხალხურ ზეპირ-სიტყვიერებაში შესანიშნავადაა ასახული ვაზის სილამაზე, სარგებლობა, მისგან გამოწვეული სიხარული და მისდამი მარადიულად უსაზღვრო სიყვარული...

როგორც ქრიატიანულ, ისე ქრისტიანობამდელ საქართველოში ვაზი და ღვინო ქართველი გლეხის სიყვარულის და თავყვანისცემის ობიექტებს წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება გაჯერებულია ვაზისა და ღვინისადმი მიძღვნილი ლექსებით, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს ღვინის და ვაზის, როგორც მენტალობის გამომხატველი კონცეპტებად მოაზრებისა და განხილვის რალობას.

ყურძენს ოქტომბერში კრეფენ, ამიტომ ამ თვეს ღვინობისთვისაც უწოდებენ. ოქტომბერს სთვლისას ანუ რთვლისასაც უწოდებდნენ. სიტყვა „სთველი“ პირველ ქართულ ტექსტში – იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაშია“ ნახსენები.

ვაზს დიდი მოვლა და შრომა სჭირდება, ამიტომ **„შვილივით ნაზარდს“** ეძახის მას ქართველი კაცი:

„ვაზო, შვილივით ნაზარდო,
ულვაშებ გადგიგრეხია,
ჩაკონებულხარ ჭიგოსა,
შუაზედ გადგიგრეხია“.

ეს შრომის ლექსი იმერეთში ვენახის თოხნის დროს სრულდებოდა:

„ვაზო, შვილივით ნაზარდო,
მოვკვდები მე შენ ძირშია.
შენით ვარ მხნე და გულადი,
იმედით გასაჭირშია“.

სხვა ადგილზე გადაადგილებისას თვალი და გული ვენახ-
ზე რჩებოდა ქართველ გლეხკაცს:

„უნდა ნავიდე ჯავახეთს,
შენ მენანები, ვენახო.
ყველამ გზა დამილოცევით,
ვისაც რომ თვალით ვენახო“.



ათასი ფერის გამჩენო,
ტანაშოლტილო ხეხილო,
ნაკურთხო რქაცრემლიანო,
ვაზო თავგადაგრეხილო,
სულ ასე აყვავებული
და დახუნძლული მეხილო.



გენაცვალე ვაზის ძირო, შე ბრუნდე და შე ლამაზო,
მინამ პირში სული მიდგა, შენი ძირი ვალამაზო,
ცოცხალი შენ შემინახე, მკვდარიც უნდა მალამაზო.



ზოგიერთი ლექს-სიმღერა გარკვეული დანიშნულები-სამებრ გამოიყენებოდა. მაგალითად, „ჰერი ოკა, ჰერი ოკა“ ითქმებოდა ყურძნის დანურვისას; ეს, უბრალოდ, ყურძნის დანურვის პროცესი კი არაა, არამედ გარკვეული რიტუალია, სიმღერის ფონზე, მხიარულების ფონზე მიმდინარე, ბედნიერებით გაჟღენთილი/აღსავსე, მაგალითად:

ჰერი ოკა, ჰერი ოკა!
მართალია, ჩემმა მზემაო...
ჰერი ოკა, ჰერი ოკა!
ქვევრებს პირი გადუხენოთო...
ჰერი ოკა, ჰერი ოკა!
ერთი ქვევრი გადაავსეთო...

ჰერი ოკა, ჰერი ოკა!
ახლა სხვებსა მოხსენთ თავიო...
ჰერი ოკა, ჰერი ოკა!
ქვევრებს პირი გადულესეთ...
ჰერი ოკა, ჰერი ოკა!...
ლექსში თანმიმდევრობითაა ჩამოთვლილი ის საქმიანობები, რომლებიც ერთმანეთს მოსდევს ყურძნის წურვისას.



kakhasblog.ltd.ge

ზოგიერთი სავენახო სიმღერა დამრიგებლურია – ისინი ადამიანის ღვინის სმის წესს ასწავლიან:

ღმერთო, ღმერთო დიდებული,
გამჩენო ყურძნისამაო,
ზედ ხუნძლავ ძვირფვასს მარგალიტს,
თითონ ძირი აქვს ხისაო,
ჭკვიანი კაცი არ დაღვეს
მისგან გამოხდილ ტკბილსაო,
თუ დაღვეს, ფეხებს გაჭიმავს,
ვერ გავა ბენვის ხიდსაო.
როცა ბუტბუტსა დაიწყებს,
თუმცა არ მოგჭრის კბილსაო,
მაინც ბევრის სმას ერიდე,
თორემ გაგიფრთხობს ძილსაო.
როდესაც დავაჟკაცდება,
დაემსგავსება დინჯსაო,
ზომაზე შეეჯეიბრევი,
თორემ აგირევს ტვინსაო!
წყანწყარასავით გახტუნებს,
მთლად დაგამსგავსებს გიჟსაო,
ხან აქეთ გტყორცნის, ხან იქით,
წუმპეში ამოგსვრისაო.

საქართველოს ყველა კუთხის ზეპირსიტყვიერ ნიმუშებში ფიგურირებს ვაზი და ღვინო, რაც მათ პოპულარობასა და ორგანულობაზე მეტყველებს. კლარჯულ ზეპირსიტყვიერებაში ვხვდებით იუმორისტული ლექსის ნიმუშს, სადაც მოყოლილია, თუ როგორ დაუშინა ტლინკები მწყურვალმა ვირმა პატრონს. ხალხური ლექსის სიუჟეტი ვენახთან ვითარდება და, ჩვენი აზრით, მიგვანიშნებს, რომ ვენახთან აუცილებელია, იყოს წყალი, ისე ვენახი ვერ გაიხარებს:

„ვენახისკენ ჩეიარა,
ვერ ნახა წყალი;
წამეიყარა ტრინკები,
დაგანახა ნალი“!

(შიოშვილი, 2017)

კლარჯული სატრფიალო ლექს-სიმღერის სხვა ნიმუშში ვენახის ადგილზეა მინიშნება, თუ სად შეიძლება გაშენდეს იგი:

„ღელე-ღელე გევიარე,
ღელე ვენახიანი;
ერთი ბიჭი დევინახე
კოჭიტალახიანი“

(შიოშვილი, 2017)

არც შელოცვები დარჩენილა ჩვენს ისტორიაში ღვინის გარეშე. კლარჯულ შელოცვაში ნახსენებია ქრისტიანული ატრიბუტიკა – ღვინო და დიდი ხუთშაბათი:

„თვალში – ნაცარი,
გულში – ლახვარი.
შვიდი წლის ღვინო -
დიდ ხუთშაფათ მოწურული,
ლურსმანი მისი თვალი კაკალში“!

(შიოშვილი, 2017)

პროფესორ ფიქრია ზანდუკელს ნაშრომში „ხალხური საბავშვო პოეზიის ძირითადი საკითხები“, წარმოდგენილი აქვს საღალაო ხალხური ლექსის ერთი ნიმუში, რომელიც, როგორც ნაშრომის ავტორი აღნიშნავს, „სააკვნო პოეზიის მსგავსად, ფორმა-შინაარსის არაჩვეულებრივი შეხამებითა და მაღალი მხატვრული ღირებულებით ხასიათდება“ (ქართული ფოლკლორი, მასალები და გამოკვლევები III, გა-

მომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1969, გვ.237):

„დან-დანი, დან შვილო,
ატმისა გულგაჭრილო,
გოგმანით მოფრენილო
დედის კაბისა ღილო;
მამიდის მწვანე ბოსტანო,
მამის ქამარ-ხანჯალო,
**პაპის ჩაყრილი ვენახო,
დაბერებული მენახო“**

(ქართული ფოლკლორი, III, ხალხური, გვ.238)

მცირეწლოვან ბავშვთა თავშექცევისთვის განსაზღვრულ მოცემულ საღალაო ლექსში პატარა, ოჯახის წევრებისთვის უსაყვარლესი არსების მეტაფორათა ჩამონათვალში, ვხვდებით „პაპის ჩაყრილი ვენახის“ მაგალითს, რაც მნიშვნელოვანია ვაზისა და ვენახის რელევანტურობის თვალსაზრისით.

არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილია ჩვენს წელთაღრიცხვამდე დათარიღებული სამეურნეო იარაღები. მევენახეობასა და მეღვინეობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიაც უძველესი და არქაულია. ვენახის ლექს-სიმღერები გავრცელებულია მთელი საქართველოს მასშტაბით და ვენახის მოვლა-დამუშავების ყველა ეტაპს ასახავს, როგორებიცაა: დაბარვა, წამლობა, გასხვლა, კრეფვა, დანურვა, ქვევრის რეცხვა და ა.შ. ამ კატეგორიის ლექს-სიმღერებში აგრეთვე ასახულია მევენახეთა და პროდუქტის მომხმარებელთა სოციალური ურთიერთობები, რაც განსაკუთრებულია ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც. ვენახის ლექს-სიმღერები მეტწილად კოლექტიური შესრულების ტიპს განეკუთვნებოდა, რასაც სამუშაოს შესრულების სპეციფიკაც განსაზღვრავდა. „ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი

ამ სამუშაოებიდან აღნიშნავს შემდეგს: „1. სიმღერა ვენახის მუშაობისა, 2. ქვევრის გარეცხვისა, 3. ყურძნის დანურვისა“ (ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, ნაწილი პირველი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1960, გვ.216).

მაგალითად, ქვემოთ ნიმუშად მოყვანილი ლექსი ბარვის დროს სრულდება და სატრფიალო მოტივისაა, თუმცა მასში მშვენივრად ჩანს, ვაზის მოვლისა და ღვინის ქონის აუცილებლობა ოჯახისათვის:

„გოგოვ, გოგოვ შავთვალაო – ჰეო,
ნეტა რას იმალებიო – ჰეო,
მაჭანკალთან ნუ წამიყვან – ჰეო,
რატო არ გებრალებიო – ჰეო.

გოგოვ, გოგოვ გენაცვალე – ჰეო,
სანთელივით ნუ დამადნე – ჰეო,
თორემ მიწა მომერევა – ჰეო,
**ბელტს ველარ გადავაბრუნებ – ჰეო,
ვაზი ღვინოს აღარ მოგვცემს – ჰეო,**

გუნება წაგვიხდებაო – ჰეო,
**საწნახელი კრუხის ბუდეთ – ჰეო,
გადაიქცევააო და – ჰეო,**

გოგოვ, კიდევ გენაცვალე – ჰეო“

(ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, 217)

როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ყოფილა ე.წ. მაღლარი ვენახი, ანუ ხეზე გაშვებული ვაზი. მას სარზე მიბმული ვაზისგან განსხვავებით, ნაკლები და განსხვავებული მოვლა სჭირდებოდა და, ფაქტობრივად, ველურად იზრდებოდა. „მაღლარს თავისი მოკრეფის წესი ჰქონდა, ყურძნის მკრეფავი ხეზე ადიოდა გიდლით და უკანასკნელის ავსებისას ნიშანს მისცემდა

ქვევით მდგომს, რომელიც ხიდან ჩამოშვებულ გიდელს დას-
ცლიდა. ეს წესია ასახული მთელ რიგ ხალხურ ლექსებში.
აღწერილია აგრეთვე ღვინის დაყენებისა მთელი პროცესი“:

„ხის წვეროში ჩიტი გჭამდა, გიდლით ჩამოგიტანეო,
საწნახელში რომ ჩაგყარე, ფეხით გამოგიყვანეო,
ქვევრები რომ გაგირეცხე, ჩაფით გამოგიტანეო,
ამდენი შრომა გავწიე, მაინც არ გამიტანეო“.

(ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, 218)

ერთ-ერთი ხალხური შრომის ლექს-სიმღერა ეძღვნება
იმ დაწყვეტილ ვენახს, რომელიც ბატონმა წაართვა გლეხს.
ხშირი იყო შემთხვევები, როცა ბატონი არა მხოლოდ მო-
სავლის ნაწილს ითვისებდა, არამედ მთელ ვენახში ეცილე-
ბოდა დაჩაგრულ გლეხს:

„ჰეი, შენ ჩემო ვენახო,
გარს რთვილი შემოგდებოდეს,
ყურძნით მოყელილ საწნახელს,
კარგი დღე არ დასდგომოდეს.

გცემდნენ და გიბაჟუნებდნენ,
ცვარი არ გამოგდენოდეს,
მოგსვლოდეს გულის სტუმარი,
სირცხვილის ოფლი გსდენოდეს“

(ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, 218)

საქართველოს ისტორია იცნობს ისეთ ბევრ შემთხვევას,
როდესაც მომხდური მტერი ვენახებს აოხრებდა და ანად-
გურებდა, როგორც საქართველოს უპირველეს საკულტო
მცენარეს:

„ჩაღმა ჩაყრილო ვენახო,
სად წადი და სად მოგნახო?

ჩემო გაზრდილო ვენახო,
სად წადი და სად მოგნახო“
(ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, 219)

დიახ, ვაზმა საქართველოსთან ერთად გაიარა გრძელი და უმძიმესი გზა. მომხვდურიც, მტერიც, პირველ რიგში, ვაზს ერჩოდა, რადგან მასში ხედავდა საქართველოს ძლიერებასა და სიმდიდრეს, თუმცა, როგორც ჩანს, ქართველი ამას არ და არასოდეს დაუშვებდა, ეს მისი ღირსება იყო და, ალბათ, ამიტომაც შექმნა მშვენიერი ფიცის ფორმულა:

„ვაზი ამომეძირკვოს, თუ გიღალატოვო!“.

ესეც ხომ ერთგვარი მორალია, ზნეობრივი პრინციპი – ერთგულების გამოხატულება ადამიანებისა და ვაზისადმი, მარადიული მონოდება, რომ არც ადამიანის ღალატი შეიძლება და არც ვაზის აღგვა მიწისაგან პირისა...

ჩვენი დაკვირვებით, ფაქტობრივად, თითოეული ფოლკლორული ტექსტიდან, ხალხური სიტყვიერების ამ უნიკალური ნიმუშებიდან, ეს იქნება: ლექსი, ზღაპარი, ლეგენდა, სიმღერა, შელოცვა, ანდაზა თუ გამოცანა, მინიმუმ თითო შეგონება მაინც ისმის, რაც, შესაბამისად, ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის მასშტაბსაც საგრძნობლად ზრდის და დაახლოებით შემდეგ სურათს წარმოგვიდგენს:

- ▶ ვაზის გახარებაზე მუდამ უნდა იფიქრო, რადგან ქართველის არსებობის/მარადიული სიცოცხლის – სიმშვიდის მოპოვების გამოხატულებაა; ვენახის დაზიანება დიდი უბედურებაა;
- ▶ წინაპრის პატივისცემა და გახსენება აუცილებელია ვაზთან ურთიერთობისას;
- ▶ ვაზის ქონა მნიშვნელოვანია, გაცემაც – ბედს სწევს ადამიანს/მას განსაკუთრებული თვისებები აქვს;

- ▶ სიყვარულისა და თაყვანისცემის ობიექტია ვაზი;
- ▶ ვაზი ფიცილის ფორმულა ერთგულების დამტკიცების საშუალებაა-ვაზი ამოეძირკვება მოლალატი ადამიანს და თუ ეს ასე მოხდა, ის უბედური იქნება;
- ▶ ვაზი და ღვინო საკრალური მნიშვნელობის მატარებელია ქართველი კაცის სააზროვნო სისტემაში – უნდა შესთხოვო უფალს/ვენახის ღვთაებას მამულში ვენახის გახარება და შესაბამისად დოვლათით ავსება. ე.ი. რწმენა იმისა, რომ დოვლათით ავსება და ოჯახის სიმდიდრე ვაზზეა დიდნილად დამოკიდებული;
- ▶ ვაზი უნდა უყვარდეთ და მოუფროთხილდენენ, მიუხედავად მისი დაგრეხილობისა – იგი მართალი და კარგი ხეა; ამქვეყნად მოსალხენი, იმქვეყნად-სამოთხის დამამშვენებელი – ყველა ხეზე უკეთესი ვარდ-მართალი ხეა;
- ▶ ვაზი იმდენად მოსაფროთხილებელი რამაა, რომ ღირსია წმინდა გიორგის კარზეც კი ამოვიდეს და აქ ალვის ხემაც კი ყურძენი მოისხას;
- ▶ ვენახს განსაკუთრებული მოვლა სჭირდება „თოხის ღრმად დაკვრა“, იმიტომ რომ კარგი ყურძენი დაიკრიფოს, მოვლა-პატრონობა ეტაპებს მოიცავს, ხანგრძლივი პროცესია – შრომისმოყვარეობა სჭირდება;
- ▶ შვილივით ნაზარდია, შვილთან გატოლებული, ეფიცება, რომ ყოველთვის მოუფლის, მისი იმედი აქვს პატრონს, მასთან დაშორებას განიცდის, უნდა,რომ სულ აყვავილებულს და დახუნძლულს ხედავდეს;
- ▶ გენაცვალე ვაზის ძირო, შე ბრუნდე და შე ლამაზო,/მინამ პირში სული მიდგა, შენი ძირი ვალამაზო,/ცოცხალი შენ შემინახე, მკვდარიც უნდა მალამაზო;
- ▶ სასიძოც კი ვენახის ქონა არქონით ფასობს;
- ▶ ვენახი უწყლოდ ვერ იხარებს/ ვენახს ვერ გაახარებ,იქ აუცილებელია წყალი იყოს.

- ▶ ღმერთმა ღვინო სამოთხის რამდენიმე საათიანი ილუზიის შესაქმნელად გააკეთა (ზომიერად სმაა საჭირო);
- ▶ ღირსეულ კაცს ღვინო არ გამოეღვევა;
- ▶ ღვინო ქრისტეს სისხლია დედა-ეკლესიაში/ღვინოში არის ქემპარიტება/ღვინო ღვთის შესანიშნავია;
- ▶ ზედაშეს/თავღვინოს გაყიდვა არ შეიძლება;
- ▶ ღვინო ძველია უკეთესი;
- ▶ ზომიერად უნდა სვა ღვინო ღორს ან ბატს რომ არ დაემსგავსო; ამხანაგიც კი შეიძლება შეგაძულოს;
- ▶ ღვინო გონიერებასთან, სიბრძნესთანაა დაკავშირებული, კაცობის საზომია – უნდა დაღვინდე, ე.ი. დაჭკვიანდე, ცუდად მოქცევა არ შეგეფერება; დაუღვინებელი არ უნდა დარჩეს კაცი;
- ▶ ღვინო უნდა დალიოს მხოლოდ მირონცხებულმა ადამიანებმა და არა „მცირედმა კაცებმა“;
- ▶ ოჯახი აუცილებლად ღვინით უნდა დაილოცოს;
- ▶ თუ სტუმარს ღვინოს არ დააღვინებ, „ყველაფერი“ ამაოდ ჩავივლის (აუცილებლად უნდა შესთავაზო);
- ▶ ღვინო და ღვინის შესანახი ჭურჭელი ქართველისათვის ღვთაებრივ ატრიბუტებად ითვლება; ის ადგილი, სადაც ეს წმინდა ჭურჭელი ინახება, ღვთის მადლთან და სიკეთესთან ასოცირდება;
- ▶ ღვინო სიყვარულის გამოხატულებაა – მიჯნურის სახესაც კი წააგავს. სიყვარულს აღვივებს ადამიანში;
- ▶ ღვინო უნდა გენატრებოდეს, მისი სურვილი გკლავდეს, კარგი უნდა იყოს, ტკბილ ხმაზე გამღეროს;
- ▶ ღვინო განკურნებაშიც ეხმარება ადამიანს (შელოცვები).

თავი IV

„ვაზისა“ და „ღვინის“ კონცეპტები

ქართულ ლიტერატურაში

(ისტორიული შტრიხები და ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები)

ქართულ ლიტერატურაში ვაზისა და ღვინის კონცეპტების ძიებამ თვალის ერთი გადავლებითაც კი წარმოაჩინა და ცხადი გახდა ქართველი ერის მენტალობასთან მათი სისხლხორცეული კავშირი, ქართველისათვის ვაზისა და ღვინის უნიკალურობის ჭეშმარიტება... ისტორიული შტრიხებისა და ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტების გამოკვეთა გვიდასტურებს, რომ ლიტერატურაში, ფაქტობრივად, სრულადაა აღბეჭდილი ყველა ის გამოძახილი, რაც ხალხური სიტყვიერების ნიმუშებიდან ჩაგვესმის ვაზთან და ღვინოსთან მიმართებით.

ვაზი რომ ძვირფასია, გამორჩეული, ხელიხელსაგომანებელი და მოსაფრთხილებელი, კარგად გამოხატავს ილია ჭავჭავაძის მიერ მის მიმართ გამოყენებული ეპითეტი „ობოლი“. ილიას თქმით, „ვაზი ობოლია“ და არა მიტოვებული/მიუსაფარი, მარტოდ დარჩენილი. არა, ვაზი ობოლი და მიტოვებული ვერ იქნება, უფალი მასთანაა; იგი მოლხენილი და განებივრებული უნდა „სტიროდეს“, მისი ტირილი მხოლოდ სიხარულისა და ბედნიერების ნიშანი უნდა იყოს, მისმა აყვავებამ მამულიც უნდა ააყვავოს...

„ტყემ მოისხა ფოთოლი, აგერ მერცხალი ჭყვივის,
ბალში ვაზი ობოლი, მეტის ლხენითა სტირის,
აყვავებულა მთები, აყვავებულა მდელი,
მამულო საყვარელო, შენ როსლა აყვავდები?!“

განუმეორებელ მწერლისეულ კომპოზიტს ქმნის გიორგი ლეონიძე ბავშვობის მოგონებების ჩანაწერების სათაუ-

რად და „ვაზფურცელას“ არქმევს. ჩვენ ვიტყვით, მასში ვაზის ფურცლებზე ნაწერი ზღაპრულად ტკბილი მოგონებებია. ყველა მოთხრობაში ვაზია, შეგონებებად კი მოისმის მთავარი: ვაზი არ უნდა გატიალდეს!.., ღვინო არ უნდა გამოილიოს! შესანდობარი ღვინით უნდა დაილიოს!: „ომიდან წერილები მოდიოდა სოფელში: „ყანების დარდი გამოგვეყვა! ვაზი არ გამიტილოთო!.. ღვინით მითხარი, ძმაო, შესანდობარი, სიზმრად ვნახე, რომ ვარსკვლავი მოსწყდა მაღლიდან, დაბლა დაენარცხაო, ველარ მოგივალო“ („დეიდა მაიკო“).

შორს მყოფს ვაზი და ყურძენი მუდამ უნდა ენატრებოდეს და დაბრუნებული სიხარულით მიეგებოს! ამიტომაცაა, რომ „ომიდან დაბრუნებული რაჟდენა სულ „აჭრილი ვაზის აკიდოს ჰკოცნიდა („ორი შემოხედვა“), ჭამპურა კი იმას ამტკიცებდა, რომ „წითელ ღვინოში მზის მაღლი ინახება“ („ჩირიკი და ჩიკოტელა“)....“; ვენახი ოჯახის შეძლებულობის განმსაზღვრელი იყო: „სტუმართმოყვარეობით გამოირჩეოდა თაყა. ის იყო ვენახიანი, ბარაქიანი მეკომლე“... („ღვინჯუა“); ვენახი მოვლილი უნდა ყოფილიყო, ღვინო კი – ხარისხიანი და არა წყალწყალა, ზომიერად სმაც უნდა სცოდნოდა ყველას. ღვინჯუა „სიტყვამზიანი“, მაგრამ „დაუთრობელი“ ყოფილა. ზედმეტი სმა არ სცოდნია: „-ღვინო, როგორც ვარდი, ისე უნდა იდგეს მინაში! წყლის დასხმა როგორ შეიძლება ღვინოზე! ჭიქა არ უნდა შეაჭანჭყარო, რომ ღვინო არ გაფუჭდეს!... ღმერთმა ღვინო სალხინოდ მოგვცა, სანადიმოდ, სამეგობროდ, განა ჩხუბისა და თუ კაცის კვლისათვის?...“ ამ პატარა მონკვეთში, ფაქტობრივად, ჩამოყალიბებულია ცხოვრების წესის სრული პარადიგმა – ზნეობა და მორალი.

ქართველისათვის ვაზის/ვენახის დაკარგვა (წართმევა/ჩამორთმევა) სიკვდილის ტოლფასია... თუმცა, ესეც კი ჩვეულებრივი და მარტივია ვაზთნ, რადგან მის გარეშე

ყოფნა წარმოუდგენელია: „...მოხუცი ჩირიკი ვერაფრით მოშორდა ჩამორთმეულ ვენახს... მთლად ვენახში დაიდო ბინა, აღარ გამოდიოდა... ისევ თავს დასტრიალებდა ვაზებს თავისი მოქანცული მარჯვენით... არც აღდგომა დღეს მოშორებია ჩირიკი საყვარელ ვაზებს, ვაზის ძირში სააღდგომო სანთლები დაენტო. სუფრა გაეშალა, ლიტანია შემოევლო ვენახისათვის, მერე მიმჯდარიყო ვაზის ძირში, გულზე ხელები დაეკრიბა და მიცვლილიყო...“

ვაზი საქართველოდან არასოდეს ამოიძირკვება, არ გადაშენდება, ვერანაირი მტერი ვერ მოერევა... და იგი მაინც იყვავილებს. ვაზის აყვავება კი სიცოცხლის აღორძინებას ნიშნავს. ქართველი მას არ დათმობს, ვიდრე პირში სული უდგას; მისთვის ვაზი და სამშობლო ერთია. კონსტანტინე გამსახურდია „ვაზის ყვავილობაში“ წერს: „...ვერც უწყლობამ და ვერც ყიზილბაშების ვერაგობამ ვერ მოსპო ბერძენებში ვაზის გასაგისი. შაჰ-აბასის მიერ ამოძირკვულ ვენახების ნაფესვარებმა კვლავ იფეთქეს მიწიდან და მათმა გავერანებულმა ნაშიერებმა ჩვენს დრომდე მოაღწიეს...“

განსაკუთრებული სიმბოლურ-მისტიკური დატვირთვა აქვს ბიბლიას, სადაც შესანიშნავად მოჩანს ის ლინგვოკულტუროლოგიური სანყისები, რომელიც სწორედაც ჩვენი კვლევის ინტერესს განსაზღვრავს.

ღვინისგან გონებადაბინდული ნოე შვილმა განიკითხა, შვილმა დასცინა... ქამმა, სემისა და იაფეტისაგან განსხვავებით, დაინახა ის, რაც არ უნდა დაენახა და გაახმაურა ის, რაც არ უნდა გაეხმაურებინა. მონაკვეთი ღირებულია არა მხოლოდ ბიბლიური სწავლების თვალსაზრისით, არამედ ღვინოსა და ვენახთან დაკავშირებული ინფორმაციული სიახლითაც.

...ჩანს, რომ წარღვნამდე ვენახი და ღვინო არ ყოფილა, ის პირველად ნოემ გააშენა და ნოეა პირველი, რომელშიც ღვინით თრობის უკეთურება ფიქსირდება. წმინდა წერილ-

ში ყურადღება მახვილდება არა ღვინის ნაკლზე, არამედ მის ურიგო, გადაჭარბებულ გამოყენებაზე. ნოე პირველი ადამიანია, რომელმაც ღვინო იხმია და, ბუნებრივია, ვერ გააცნობიერა მისი ზედღობის მანკიერი მხარე.

ქრისტე გვმოდვრავს:

„1. მე ვარ ვაზი ჭემმარიტი, და მამაჩემი მევენახეა.

2. და ყველა ლერწმს ჩემსას, რომელსაც არ გამოაქვს ნაყოფი, მოჭრის, და ყველას, რომელსაც გამოაქვს ნაყოფი, განმენდს, რათა უფრო მეტი ნაყოფი გამოიღოს.

3. ხოლო თქვენ უკვე განმმენდილნი ხართ ხართ სიტყვით, რომელიც გითხარით თქვენ.

4. დარჩით ჩემში და მე დავრჩები თქვენში. როგორც ლერწმი თავისთავად ვერ გამოიღებს ნაყოფს, თუკი არ შერჩა ვაზს, ასევე თქვენც, თუკი არ დარჩებით ჩემში.

5. მე ვარ ვაზი, ხოლო თქვენ ლერწმები ხართ, ვინც ჩემში რჩება, ხოლო მე მასში, დიდძალი ნაყოფი გამომაქვს, ვინაიდან უჩემოდ არაფრის ქმნა არ შეგიძლიათ“.

ბერი ექვთიმე ზიგაბენის განმარტებით, იესო თავს ვაზს უწოდებს, წმინდა წერილში იგი ღვინოდაც იხსენიება. ვაზის ტოტები ანუ მონაფეები ქრისტეს მოძღვრებით საზრდოობენ, სათნოებით ივსებიან და სხვებსაც აწვდიან „მოძღვრების ღვინოს.“ **„იესო ქრისტე, რომელიც არის ჭემმარიტი ვენახი, ამავედროულად, არის მევენახეც, რადგან ეს საქმე მამასთან ერთად საერთო აქვს, როგორც სხვა მრავალი საქმე. მონაფეებს კი დიდი შიშის შედეგად, რწმენა რომ არ შერყეოდათ და კავშირი არ გაენწყვიტათ ჭემმარიტ ვენახთან, იესო ქრისტე მათ დასუსტებულ სულებს აძლიერებს და თავისთან აკავშირებს“.**

„დიდძალი ნაყოფის“ გამოსაღებად ისევე საჭიროა ქრისტეს ყოფნა ადამიანში, როგორც ადამიანის ყოფნა ქრისტეში.

ღვინო, ვაზი, ვენახი, მტევანი – მაცხოვრის ის მეტაფო-

რული სახეებია, რომლებიც საუკუნეებია მკვიდრობს ქრისტიანულ სამყაროში.

„საქართველოში ღვინისა და ვაზის კულტი ყოველთვის ერთიანობაში მოიაზრებოდა, მაშინაც კი, როცა ერთ-ერთი მათგანია წარმოდგენილი. ეს ეხება როგორც წინაქრისტიანულ, ასევე ქრისტიანულ ხანასაც.

მითოსური წარმოდგენით, ვაზი ღვთაებრივ მცენარედ ითვლება. მას თაყვანს სცემდნენ და „სიცოცხლის ხედ“ მიიჩნევდნენ...

როცა ჩვენში უმთავრესი ღმერთი მზე გახდა, მცენარეთაგან მის ყველაზე ახლობლად ვაზი მიუჩნევიან, რადგან ვაზი ყველაზე მეტად შეინოვდა მზის ძალას, რომელიც შემდეგ ღვინოში გადადიოდა (ვაზი – სიცოცხლის ხე. 2010. კრებული).

ვაზი და ღვინო ძველ ქართულ ლიტერატურაშიც თავიდან ბოლომდე ინარჩუნებს ქრისტიანული რელიგიის სიმბოლოს. ჩვენ ძნელად დავძებნით ნაწარმოებს, სადაც თუნდაც, ორიოდე სიტყვით არ გაკრთება მსჯელობა მათი ღირებულებებისა და სიმბოლური დატვირთვის შესახებ.

„წმინდა ნინოს ცხოვრებაში“ (IV ს.) ყველაზე მნიშვნელოვანი სიმბოლოებია ჯვარი ვაზისა და სამოთხე. ამასთანავე, ფრიად საყურადღებოა, რომ სამოთხეც ვაზითაა წარმოსახული... წმინდა ნინოს მიერ ჩვენებაში ხილული ბალი სამოთხეა. მტევნებიანი ვაზი სამოთხის ცენტრში დგას, ე. ი. ის სიცოცხლის ხეს გამოხატავს. მას სამოთხის ჩიტები ეხვევიან. როგორც ვხედავთ, ქართულ ქრისტიანობაში ვაზმა სიცოცხლის ხის ფუნქცია შეინარჩუნა და სამოთხის ცენტრში მოექცა“ (ვაზი – სიცოცხლის ხე. 2010. კრებული).

ღვთისმშობლისაგან ებოძა **წმინდა ნინოს ვაზის რტოსგან შეკრული ჯვარი, მისი შთაგონებით დაადგა სამოციქულო გზას. ამ ჯვრით შემოიტანა ღვთაებრივი ნათელი საქრთვე-**

ლოში. „ასე იქცა წმ. ნინოს ჯვარი ვაზისა ქართული ეკლესიის უპირველეს სიმბოლოდ, ქართული მართლმადიდებლობის ნიშნად და სასწაულად. მასში გაშინაარსებულია ერთდროულად ძე ღვთისა(ც-იესო ქრისტე და მშობელი მისი(ც-ყოვლადწმინდა მარიამი (ჯვარი, როგორც მაცხოვრის სიმბოლო, ვაზი, როგორც ღვთისმშობლის სიმბოლო). ასე დააკავშირა ვაზის ჯვარმა ხილული და უხილავი ძაფებით წმ. ნინო, ღვთისმშობელი და მისი წილხვდომილი ქვეყანა – ქართლი“ (მახარაშვილი, 2019).

წმინდა ნინოს ხელთ რომ ვაზისგან დამზადებული ჯვარი ეპყრა, სიმბლურია და ვაზის აღმატებულებაზე მიანიშნებს ქართულ რეალობაში. „ხოლო წმიდამან ნინო... პოვა გარეგნით ზღუდეთა ქალაქისათა სახედ ტალავარისა მცირისა მაყუალთა მიერ შემზადებული გამგებითა ღრმთისათა ადგილსა მას, სადაიგი აწ არს საკურთხველი ზემოისა ეკლესიისა სამთავრებისკოპოსოსისა, და ყო იგი საყოფელად და განსასუენებლად თუისად, და აღმართა მუნ შინა ჯუარი, თუით მის მიერ შემზადებული ნასხლევთაგან ვაზთაისა, რომელთა წინაშე განათევენ იგი ღამეთა მარადის მღუიძარებითა, და ეგრეთვე შეაღამებნ დღეთა დაუცხრომლად ლოცვითა, მარხვითა და ვედრებითა ღმრთისათა“ (ლეონტი მროველი, XI ს. ქართლის ცხოვრება).

„შუშანიკის წამება“ ქართულ მარტვილოლოგიაში გამორჩეული ძეგლია. ძნელად დავასახელებთ ისეთ ჰაგიოგრაფიულ თხზულებას, რომლის მიმართაც ამდენი არაერთგვაროვანი შეხედულება გამოთქმულა როგორც ქართულ, ასევე უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში. არაერთი ფაქტი და პასაჟი ქცეულა განსჯის საგნად, სხვადასხვაგვარად წაუკითხავთ შუშანიკის ხასიათი და ქმედება.

თხზულებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „პურობის“ ეპიზოდი. განსხვავებული შეხედულებებია იმას-

თან დაკავშირებით, დაარღვია თუ არა ვარსქენმა „პურობის“ ეტიკეტი, რატომ არ იგემა შუშანიკმა ჯოჯიკის ცოლის მიერ მიწვდილი ღვინო, შუშანიკის ქმედება სიფიცხით იყო გამონვეული, თუ რელიგიური მოტივი ედო საფუძვლად?!

მახარებლები გვაუწყებენ, რომ ქრისტემ თავად განაცხადა: „ესე არს ხორცი ჩემი“ და „ესე არს სისხლი ჩემი. „ჟამისწირვის (ევქარისტის) დროს პური და ღვინო გარდაიქმნება ქრისტეს ხორცად და სისხლად. ამდენად, ზიარება ქრისტეს მატარებლობას გულისხმობს.

ქრისტიანთა ლოცვითი შეკრებებისას ზიარების მომენტები, ქრისტეს ხორცისა და სისხლის მიღება პურისა და ღვინის სახით დასტურდება, როგორც წმინდა მოციქულთა საქმეების ნიგნში, ასევე წმინდა პავლე მოციქულის ეპისტოლეებსა და ქრისტიანული მწერლობის მრავალ ძეგლში.

გამონაკლისი არც „შუშანიკის ნამება“ გახლავთ. არსებობს თვალსაზრისი, რომ „პურობაზე“ შუშანიკის სიფიცხე, ჯოჯიკის ცოლისთვის ჭიქაზე ხელის აკვრა ნიშნავდა უარს გაურჯულოებულ ვარსქენთან ერთად ქრისტეს სისხლთან ზიარებაზე. თუმცა, ისიც ცხადია, რომ შუშანიკის ქმედება არის ვარსქენის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი, პროტესტი მის მიერ უარყოფილ ტრადიციებზე, და, რაც მთავარია, აქ ვლინდება თავისუფალი ნება შუშანიკისა.

ჭეშმარიტად ზიარების ეპიზოდთან გვაქვს საქმე, როდესაც ვარსქენისგან ნაცემ-ნაგვემ შუშანიკს იაკობი სთავაზობს ღვინოში ჩამბალ პურს.

„ხოლო მე მცირედი ვაიძულე მიღებად ჭამადი, რომელი მოეძღვნა სამოელ ეპისკოპოსსა და იოვანეს, რამეთუ ფარულად იღწვიდეს და ნუგესინის სცემდეს. მაშინ მან მრქვა მე წმინდანმან შუშანიკ:

- ხუცეს, ვერ ძალ მიც გემოჲს – ხილვად, რამეთუ ყბანი და ზოგნი კბილნი შთამუსვრილ არიან.

მაშინ მივიღე მცირედ ღვინოჲ და პური დავალბე და

მცირედ გემოე იხილა“ (ქართ. მწერლ. ტ.1.1987:231).

ქართული მწერლობა, დაწყებული მისი უპირველესი ნიმუშებიდან დღემდე, გაჯერებულია ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი საგალობლებით, შესხმა-ენკომიებით, ლირიკული განცდებით გაჯერებული პოეტური თუ პროზაული თქმებით.

ღვთის დედისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებაა გამოხატული მეფე დიმიტრის იამბიკოებსა და დავით გურამიშვილის პოეზიაში.

მეფე დიმიტრიმ ორი იამბიკო უძღვნა ღვთისმშობელს, რომელთა შორის ყველაზე პოპულარულია „შენ ხარ ვენახი“. შემონახვნილი მეფე ქრისტიანული სახისმეტყველების დარად ღვთისმშობელს ახლად აყვავებულ ვენახს ადარებს, ღვთაებისაგან გამორჩეულს, ქებულთა შორის სწორუპოვარს:

„შენ ხარ ვენახი, ახლად აღყვავებული,
მორჩი კეთილი, ედემში დანერგული,
აღვა სულნელი სამოთხით გამოსრული,
ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული,
და თვით თვისით მზე ხარ განბრწყინებული“
(ქართ. მწერლ. 2. 278)

ქართული გალობის სიმბოლოდ ქცეული „შენ ხარ ვენახი“ ლიტურგიკული ჰიმნოგრაფიის განუყოფელი ნაწილი და ქარისტიანული ღვთისმსახურების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. როგორც მკვლევრები ვარაუდობენ, შუა საუკუნეებში დემეტრე-დამიანეს ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ იამბიკოებს ლიტურგიკული ფუნქციაც შეუძენიათ, „მათ გალობდნენ ჯვრისწერის ცერემონიალზე, ნეფედედოფლის ტაძარში შესვლისას. ალბათ, შემთხვევითი არ უნდა იყოს ღვთისმშობლის მფარველობისა და ლხენის სიმბოლოს – ზეციური ვენახის ხსენება ახლადშექმნილი ოჯახ-

ის დალოცვისას“ („შენ ხარ ვენახი“, მეფე დემეტრე I ბაგრატიონის ჰიმნი, 2018:4).

ვენახს უდიდესი სიმბოლური დატვირთვა აქვს **„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“**. ღირსი მამა თავისი მოღვაწეობით მოიაზრება „უდაბნოთა ქალაქმყოფელად“. მას და მის თანამოძმეთ სულიერი წესრიგი შეაქვთ მტრისგან და „ჟამიანობისგან“ გაუკაცრიელებულ მხარეში. მათი აღმშენებლობითი საქმიანობა სიმბოლიზებულია იმ მსხმოიარე ვენახით, რომელიც გრიგოლმა სიცოცხლის ბოლო ჟამს ზენონთან ერთად იხილა. ხანძთა-შატბერდისა და მისი მიდამოების ბერთა მონახულების, მათი დალოცვისა და დამოძღვრის შემდეგ მამა გრიგოლმა „უბრძანა დიდსა ზენონსა: – ძმაო, შთავიდეთ ვენახად, რომელ არს გზასა თანა ოპიზისასა. რამეთუ იყო ჟამი სთვლისაი. და შთავიდეს ორნივე ზოგად ვენახსა მას შენებულსა მისსა, კეთილად ნაყოფიერსა“ (ქართ. მწერლ. ტ. II.).

ასურელ მამათა ცხოვრების წიგნებიდან უნდა გამოვყოთ **„ცხოვრება იოანე ზედაზნელისა“**, სადაც საგულისხმოა ერთი მომენტი, კერძოდ, მისი ქადაგება-მიმართული სულიერი შვილებისადმი, რომელიც ქრისტიანული დამოძღვრის უმნიშვნელოვანეს ღირებულებებს შეიცავს და სიტყვაკაზმულობითაც გამოირჩევა. ეს ღრმად გასააზრებელი რჩევები ჩვენთვის შემდეგი მონაკვეთითაა მნიშვნელოვანი: „ღვინის გამო ბევრს არ გეტყვი, რადგან სრულიად მიუღებელია მონაზონთათვის. მოციქულმა პავლემ სიბილწის ძირად და მქმნელად მიიჩნია და თქვა; **ნუ დათვრებით ღვინით, რომელშიც აღვირახსნილობაა**“. მომაკვდინებელი.... ბოროტ გულისთქმათა დედა და მათი წარმომშობია. საბოლოოდ, მისი ბოროტი თესლისაგან მოსავალიც ბოროტი იქნება. შეიძულე იგი, ერთი წამით ნუ შეიწყნარებ“ (ჰაგიოგრაფია.ტ.3. გვ. 49).

შუა საუკუნეებში უსაზღვროდ დიდი იყო ეკლესია-მონასტრების ფუნქცია. უამრავი კერა იქცა განათლებისა და კულტურის ცენტრად, სამეურნეო ცხოვრების მისაბამ მაგალითად. ცნობილია, რომ ათონის ივერთა მონასტერში ბერები ვენახის მოვლა პატრონობასაც ტვირთულობდნენ. „ვაზების „ასარვა“, ახვევა-„აჯოჯვა“, „ვენახის მოსთვლა“ მათ საქმიანობაში შედიოდა. ექვთიმე მთაწმინდელს მონასტრის ბერებისთვის ღვინის მიღების მკაცრი წესი ჰქონდა.

ვაზზე და ღვინოზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით **სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონსა და ქადაგებებს**. პირველში – დიდი ლექსიკოგრაფი იძლევა საგულისხმო განმარტებებს **ყურძნის, ვაზის, ღვინის** შესახებ, ხოლო მეორეში – მოძღვრების საუკეთესო ნიმუშებს **მემთვრალეობის, ღვინის გადაჭარბებული დოზით მიღების სავალალო შედეგების შესახებ**. სულხან-საბა, დიდი ღვთისმეტყველების მსგავსად, ლოთობას საკვდინებელ ცოდვათა შორის მიიჩნევს, რადგან თრობა ადამიანს ღვთიურ სიკეთეს განაშორებს, კლავს მასში უფლის ხატის მიმსგავსებულობას.

მასალა ცხადყოფს, რომ „ძველ ქართულ მწერლობაში, არათუ საეროში, სასულიეროშიც, ღვინის სმა აკრძალული არსად არაა, თვით ბერთა ტრაპეზზეც. ოღონდ ყველგან დაგმობილია სიმთვრალე. ასეა ჯერ ბიბლიურ ტექსტებში, მერე კი, განსაკუთრებით, სასულიერო ქადაგებებში. იოანე ბონელის (X ს.) ქადაგება „ღვინის მსმელთა და მემთვრალეთათვის“, გვიჩვენებს, თუ როგორ კარგავს კაცი თავის ადამიანურ სახეს და ხდება „უმსგავსო,“ ღვთის მსგავსების დამკარგველი“ (ვაზი – სიცოცხლის ხე. 2010. კრებული).

ვფიქრობთ, საინტერესო იქნება რამდენიმე ნიმუშის მოხმობა თანამედროვე ქართველი პოეტების შემოქ-

მედებიდანაც, რაც, უდავოდ, დაადასტურებს რობერტ ლუი სტივენსონის გენიალურად ნათქვამს: **„ღვინო არის ერთგვარი პოეზია, რომელიც ჩამოსხმულია“** და კიდევ იმასაც, რომ დღევანდელ ქართულ პოეზიაში ვაზი და ღვინო ნაირგვარი სემანტიკური დატვირთვის მქონეა და, სხვადასხვა ჭრილში წარმოდგენილი, მეტად აღმატებულადაა გააზრებული – ისტორიული რეალობიდან მომდინარე პათოსით გაჟღენთილი.

პოეტი-პერფორმერის ზურაბ რთველიაშვილის (მისი გვარის ეტიმოლოგიაზე რომ არაფერი ვთქვათ) ერთ-ერთი ძალიან ცნობილი ლექსი **„მე ვარ ვენახი“**, ვაზის სიმბოლიკაზეა აგებული და საუკეთესოდ მოჩანს ქართველი ერის ლინგვოკულტუროლოგიური მარკერები. შუა საუკუნეების დემეტრე პირველისეული იამბიკოს **„შენ ხარ ვენახის“** ინტერტექსტი პოეტის ახლებურად გადააზრებაა. „ღვთისმშობლისადმი“ აღვლენილი მეტაფორა-საგალობელი, სხვა კონტექსტითა და სიმბოლიკით, მთლიანად ავტორისაკენ ბრუნდება და გვიცხადებს, **რომ სხეულის საწნახელში გამომწყვდეული ღვთაებრივი სულია – „ყურძნის ღმერთია“, „გვირგვინოსანი“, „ცეცხლოვანი სიტყვებით“, გარკვეულნილად, ზეკაცია:**

„ყური დამიგდე, შენ კი არა,
მე ვარ ვენახი!
ფოლადის მტევნებს ვაჩხრიალებ
მჩატე სხეულზე
ენისელი ვარ, რქანითელი და კარდენახი,
ყურძნის ტევრი ვარ,
საწნახელში
გამომწყვდეული.

კარგად შემხედე, შენ კი არა,
მე ვარ ვენახი!

ზვრები გავცურე, რომ
დამედგა თავზე გვირგვინი.
სტროფებს ვაფეთქებ, როგორც
ნალმებს ვისვრი ხელალმა!
არ სცდება მიზანს ცეცხლოვანი ჩემი სიტყვები.
ყური დამიგდე, შენ კი არა,
მე ვარ ვენახი!
ფოლადის მტევნებს ვაჩხრიალებ
მჩატე სხეულზე.
სისხლივით მძიმე საფერავი და კარდენახი -
ყუძნის ღმერთი ვარ,
სანახელში გამომწყვდეული“...

<https://artinfo.ge/2021/10/zura-rthveliashvilis-saotsari-leqsi/>

თანამედროვე ქართველი პოეტი ნუკრი ბერეთელი ლექსში „წმინდა ნინო“ აცხადებს:

„ისე დიდია სინმინდე შენი
რომ დღესაც კრძალვით ვკოცნით ნაფეხურს
ქართულ მიწაზე რომ დაამჩნიე შიშველი ფეხით...
წინ მოგიძღვოდა ჯვარი რამეთუ,
საკუთარ თმისგან შეკრულ ლერწმების –
**მას შემდეგ ვაზიც სინმინდე გახდა ქართველი კაცის;
მტერი კი წახდა, წახდა, წახდა...**
იმძლავრა მაინც,
მობრუნდა გზიდან და
ვერ მივართვით
ვაზისფესვებგადგმული მიწა, –
არამი იყო“.

<https://poetry.ge/poets/nukri-bereteli/poems/zoazo-wminda-nino>

ამავე ავტორის სხვა ლექსში – „მაინც სოფელზე“, ვკითხულობთ:

„მოსძალებია ღობისძირებს ეკალი უხვად,
დგას უხელჯობო მოხუცივით ოცი წლის ვაზი,
ამ ჭურებს სტუმრის მოჭიშკრება სხვაგვარად უყვართ...
მეძუძურ ხბოებს ნამნამები პეპლებად აზით“.

<https://poetry.ge/poets/nukri-bereteli/poems/5844.maints-sophelze.htm>

თანამედროვე პართულ პოეზიაში ვაზისა და ღვინის კონცეპტის უამრავი სახე და მაგალითია, თუმცა ნუკრი ბერეთელის მოცემული შედარება ნამდვილად განსაკუთრებული და ემოციურია.

პოეტი ერეკლე საღლიანი ლექსში „წმინდა ნინო“ წერს:

„ფარვანის წყალს ნისლის ჯართით
ფარავს წმინდა ქალწული,
მოდის, უძღვის წინ ხის ჯვარი,
ვაზის ცრემლით ასხმული“.

პოეტი ცირა ყურაშვილი წმინდა ნინოს სახის დახატვისას სხვა რაკურსით იყენებს ვაზისა და ქვევრის სიმბოლიკას:

„ხედავ – ღმერთად ხადენ რკინას,
გამობერვით განჭედილსა,
ხედავ – ჩვილებს ვითარც თივას,
ვითარც თივას ესრეთ თიბვენ;
და დაუბრდღვენს ძალი შენი
ძუ ლომივით რვალის ქვევრებს,
დაუბრდღვენს და იმავ კერპებს
აქეთ-იქით მიაარეკებს.
დააცხრება სეტყვის ქვებად

წამხდარ ვაზებს, ქვევრის დურდოს,
თუ ვიგლოვოთ, ჩვენვე შევსვათ
იმ კერპების ნაცარტუტო“.

(ქრისტიანული პოეზიის II ფესტივალი, მოძიებულია:
<https://core.ac.uk/download/pdf/15536670.pdf>).

მეუფე თადეოზ იორამაშვილის ლექსში „დედა ნინოს –
ნათელსა საქართველოსასა“, ვკითხულობთ:

„საუკუნეებს აპურებს
სურნელი შენი ვაზისა.
მე ვით შეგამკო, როდესაც
ძალნი გამკობენ ცისანი,
თავსაც რომ კრძალვით გიხრიან
ყვავილნი სამოთხისანი“.

თანამედროვე ქართველი პოეტი ზურაბ გორგილაძე
ლექსში – „ნენემ დამინიშნა ქალი“ – წერს:

„ცაში ვაზი აყვავილდა,
ეზო-კარში ქვიშნა ბალი,
მეც ლერივით შევლერლეტდი,
ნენემ დამინიშნა ქალი“

<https://poetry.ge/poets/zurab-gorgiladze/poems/8194.nen-em-diminishna-qali.htm>

„ცაში აყვავილებული ვაზის“ მეტაფორა განსაკუთრებულ ემოციას ახდენს მკითხველზე და მინიშნებას ტოვებს მის ღვთაებრივ, განსაკუთრებულ არსზე; ლექსის ლირიკული გმირი ბედნიერია და აღტაცებული, რადგან დედამ (აჭარულად – ნენე) ქალი (საცოლე) დანიშნა. წყვილის მომავალი ნაკურთხი კავშირი, რომელიც ოჯახის შექმნით გვირგვინდება, ჯვრისწერის საკრალურ რიტუალთან ასოცირდება და ლექსში ქართველთა მთავარი მცენარის – ვაზის ცაში აყვავილებით ცხადდება.

პოეტი თეა თოფურია სახარებისეული თემის ინტერ-პრეტაციას ახდენს ლექსში – „ვინ იყო ის სტუმარი“, სადაც მოთხრობილია ქორწილში იესოს მიერ წყლის ღვინოდ გადაქცევის მისტერია: „ვინ იყო ის სტუმარი,

ჩვენს ქორწილში რომ მოვიდა
და ღვინო წყლად გადაგვიქცია?

ნაპირები გაიკეთა ამ წყალმა,

ხიდები ჩაიტანა ზღვაში.

შევეჩვიე ზღვაზე სიარულს.

ველოდები, ლოდინის მერეც კი ველოდები,

იქნებ ერთი ხიდი მაინც გამოირიყოს ნაპირზე...

გადმოვიდოდი და იმ ადგილს გიჩვენებდი,

სადაც ამ მდინარეში თევზით ხსნილია“.

<https://poetry.ge/poets/tea-topuria/poems/6036.vin-iko-is-stumari.htm>

რეზო გეთიაშვილი კი ლექსში „მიდის სიცოცხლე, მთვრალი“ გვამცნობს:

„მიდის სიცოცხლე, მთვრალი უნდა შევება სიკვდილს,

გაივლის წლები და დარჩება ჩვენგან მტვერილა,

დაასხით ღვინო, ვიდრე გული იწვის და იწვის,

გაავსეთ ჭიქა, რომ არ ვიქცეთ დარდის ხეიბრად“.

უსასრულოა თეთრი ღამის ლურჯი თალები,

ბიჭებო, ჭიქებს ერთი წვეთიც არ შეარჩინოთ,

ამ წუთისოფლის ციხესაც ხომ აქვს გასაღები,

როცა გულებში ნელა-ნელა იჭრება ღვინო.

ეს გაფრენაა! რა გაქცევა, გამქცევებს ვგავართ?

რად გვინდა თავი, თუ ოცნებაც ოცნებად გვექცა.

დრომ თვითომ იცის, უჩვენოდაც მშვენივრად გავა,

გავა წლები და მტვერი ჩვენი იქცევა ლექსად.

<https://poetry.ge/poets/rezo-getiashvili/poems/h-midis-sicocxlemtvrali>

მოცემული ლექსის პათოსი ნასაზრდოებია აშუღური და ძველი ქალაქური პოეზიით, სადაც ღვინო და მისით მოგერილი სიმთვრალე ცხოვრების უსამართლობითა და მისგან განპირობებული დარდის განეიტრალების საშუალებად გვევლინება.

თავი V

ვაზისა და ღვინის კონცეპტური გამოხატულება

ქართულ ხელოვნებაში

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ საქართველო ღვინისა და ვაზის აკვანია, ამიტომ გასაკვირვი არაა, თუ რატომ ფიგურირებს ღვინო და ვაზი არა მარტო ქართულ მეღვინეობა-მევენახეობის სფეროში, არამედ ყველა დანარჩენ მიმართულებაში, რაც ერთიანობაში ქმნის ქართულ გენსა და იდენტობას. ამაში კი ერთ-ერთი წამყვანი როლი კულტურასა და ხელოვნებას მიუძღვის. ძნელად წარმოსადგენია ნებისმიერი ქართული კულტურული ძეგლი თუ ხელოვნების ნიმუში, რომელსაც, გარკვეულწილად, ღვინის ან ვაზის შტრიხები არ გასდევდეს. ვაზის მეტაფიზიკური და ხილული ბუნება ასახვას პოეზებს ქართულ ხელოვნებაში. ის ჩნდება ტაძრის ფასადებზე; მისმა ორნამენტულობამ თავი იჩინა ქედურობაში, მონუმენტურ მხატვრობაში, ხეზე კვეთაში, საეკლესიო ნაქარგობის სახისმეტყველებაში და სხვა.

ზოგადად, ქართული პოლიფონიური სიმღერა მეტად მრავალფეროვანია ჟანრობრივად; ამ კონტექსტში მეტად საინტერესო და აქტუალურ მსჯელობის საგანს წარმოადგენს ქართული საგალობელი „შენ ხარ ვენახი“, რომელიც, როგორც ვაზისა და მზის ერთიანობის სიმბოლო, XII საუკუნეში მეფე დემეტრე-დამიანემ (1125-1156წ.წ.), რომელიც დავით აღმაშენებლის შვილი გახლდათ, სწორედ ღმერთს უძღვნა:

„შენ ხარ ვენახი, ახლად აღყვავებული,
მორჩი კეთილი, ედემში დანერგული,
ალვა სულნელი, სამოთხით გამოსრული,
ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული,
და თავით თვისით მზე ხარ გაბრწყინებული“.

(„შენ ხარ ვენახი“, მეფე დემეტრე I ბაგრატიონის ჰიმნი, 2018:4).

„შენ ხარ ვენახი“ არის ქართველი კაცის გულიდან ამოფრქვეული ღვთისმშობლის ხოტბა, სადიდებელი, ანუ ღვთისმშობელთან გაიგივებული ვენახის და ვაზის სიმბოლიკით განსხივოსნებული ჰიმნი. „შენ ხარ ვენახის“ პირველი ფრაზა ეხმიანება სახარების სიტყვებს: „მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი და მამაი ჩემი მოქმედ არს“ (იოანე, 15:1), „მორჩი კეთილი“ – ფსალმუნს, „მზე გაბრწყინებული“ კი – სახარებას. იგი იგალობებოდა არა მარტო საეკლესიო რიტუალის დროს, როგორც ღვთისმშობლის ტროპარი, არამედ საერო დღესასწაულებზეც. ბევრი ქართული სიმღერა საეკლესიო წარმოშობისაა, როდესაც ახალი საეკლესიო ჰიმნი იქმნებოდა, ძველი შეცვლილი სახით სუფრაზე ინაცვლებდა (კიკნაძე, 2010; სირაძე, 1992).

სტილისტური თვასლაზრისით, საგალობლის ეს ტექსტი საოცარი ხატოვნებით გამოირჩევა, რასაც, ერთი შეხედვით, უბრალო, მაგრამ კონტექსტუალურად მეტად მაღალმხატვრული ენობრივი შესაძლებლობები ქმნის: „მორჩილი კეთილი.... ედემში დანერგული.... აღვა სულნელი...“. აქვე, მეტაფორის და მხატვრული შედარების საოცარი ნაზავია ვაზის არაამქვეყნიურ მცენარესთან გაიგივება: „სამოთხით გამოსრული“, რომელიც „გაბრწყინებულ მზესთან“ არის შედარებული.

ხატი „შენ ხარ ვენახი“, სადაც ზეციურ ვენახს – ღვთისმშობელს – უპყრია კაცობრიობისათვის შეწირული ძე ტარგი... დედისა და შვილის ეს ყოვლადწმინდა ერთობა გამოუხატავს მტევანს, რომლიდანაც მომდინარე უკვდავებისა და კურნების მირონი, როგორც ჭეშმარიტ ხესთან მიმყვანებელი მადლი, ეფინება საქართველოს (ვაზი-სიცოცხლის ხე (კრებული), 2010).



აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ ქალაქ თელავში დგას ყველასათვის ცნობილი ქანდაკება „შენ ხარ ვენახი“, რომელიც ვაზისა და ყურძნის თემას უკავშირდება.



მეტად საინტერესოა ვაზისა და ღვინის თემატიკა ქართულ ხალხურ სიმღერებში. ამ საკითხის გარშემო არაერთ ხალხურ ნამუშევარს ვხვდებით, როგორც სათაურებში (სანნახლური; სუფრული; სალხინო; ატენის ღვინო ნაქეპო; ახალი მაცრული; ქვევრის რეცხვისა და ა.შ.), ისე, უშუალოდ, სასიმღერო ტექსტებში.

ქართულ ხალხურ სასიმღერო ტექსტებში ყურადღებას იპყრობს სიმღერა „სანნახლური“ თავისი ტექსტობრივი ვარიაციებით, სადაც ყურძნისა და ღვინის სიმბოლიკა საოცარი ხატოვნებით არის წარმოჩენილი:

„ღმერთო, ღმერთო, დიდებულო,
გამჩენო ყურძენისაო;
ზედ ხუნძლავ ძვირფას მარგალიტს,
თითო ძირი აქვს ხისაო.

ჭკვიანი კაცი არ დაღევს
მისგან გამოხდილ ტკბილსაო,
თუ დაღევს, ფეხებს გაჭიმავს,
ვერ გავა ბენვის ხიდსაო.

როცა ბუტბუტსა დაინყებს,
თუმცა არ მოჭრის კბილსაო,
მანც ბევრის სმას ერიდე,
თორემ გაგიფრთხოვს ძილსაო.

როდესაც დავაჟკაცდება,
დაემსგავსება დინჯსაო,
ზომაზე შეეჯიბრევი,
თორემ აგირევს ტვინსაო!

წყნანყარასავით გახტუდენებს,
მთლად დაგამსგავსებს გიჟსაო,
ხან აქეთ გტყორცნის, ხან იქით
წუმპეში ამოგსვრისაო.

აბა, ბიჭებო, მარჯვედა
ხელი ჩასჭიდეთ სარცხსაო;
უთაქეთ ყველა კუთხესა,
თორემ ვიგემებთ მარცხსაო!“

სიმღერის ტექსტი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრის-ით, რომ მას ერთგვარი სადამრიგებლო მისია გააჩნია იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ფრთხილად უნდა მოვექცეთ ყურძენს და მისგან დაწურულ ღვინოს „...**ბევრის სმას ერიდე, თორემ გაგიფრთხობს ძილსაო**“, – ეფემიზმის საშუალებით ისმის ერთგვარი გაფრთხილება, რომ ყურძნისგან დაწურული ტკბილის დაღვევისას ადამიანი „**ფეხებს გაჭიმავს**“ და ჰიპერბოლიზაციით შთააგონებს მსმენელს, რომ „ვერ გავა ბენვის ხიდსა(ო)“.

შინაარსობრივად არანაკლებ საინტერესოა სასიმღერო ტექსტი „**ღვინოვ კახურო**“:

„ღვინოვ, კახურო, ვარ შენი მსმელი,
გინდ თეთრი იყო, გინდა წითელი!
სუფრაზე ვზივარ, შენს ნახვას ველი,
ისე არ ვარგა ოქროს საჭმელი.

ღვინოვ, ყოველ დღეს საგონებელო,
მკვდრისა და ცოცხლის მანათობელო,
სევდიან გულის სამკურნებელო,
სუფრის ლაზათო, დამშვენებელო.

ღვინოვ, დაგლოცა უფალმა ჩვენმა,
ქვეყნის მოარსმა, ზენარ გამჩენმა,
ბევრნი დაათრო მაგ ყურძნის წვენმა,
ცოდვილნი ჰკურნა სრულ ძალმა შენმა.

ღვინოვ, ყოველ კაცს გულს მოუღხინებ,
ცუდ-უბრალო გზებს მაშინ უჩვენებ,
გინდ ბრძენი იყოს, მაინც აცდუნებ,
ზოგსა ძილს მოჰგვრი, ზოგს არ ასვენებ.

ღვინოვ, ლამაზო, მსურს შენი ქება,
გთხოვ, არ წამართო სმაში გონება,
დავით გივიშვილს მომეც შნოება,
ერთგული მსმელი მოგეწონება!“

აღნიშნულ ტექსტში ღვინო საოცარი მხატვრული ეპიტეტებით არის მოხსენიებული: „...ღვინოვ ლამაზო...“, „ღვინოვ, ყოველ დღეს საგონებელო, მკვდრისა და ცოცხლის მანათობელო, სევდიან გულის სამკურნებელო“, „...სუფრის ლაზათო, დამშვენებელო“.


ტექსტში ხაზგასმულია იმის შესახებ, რომ ღვინო საუფლო სასმისია: „...ღვინოვ, დაგლოცა უფალმა ჩვენმა, ქვეყნის მოარსმა, ზენარ გამჩენმა...“.

შესაბამისად, გასაკვირვი არ უნდა იყოს არავისთვის, თუ რაოდენ საინტერესო შტრიხებს ვაწყდებით ქართული ხელოვნების ყველა დარგში, იქნება ეს ხუროთმოძღვრება, ნაქარგობა, მხატვრობა, კინემატოგრაფია თუ სხვა. მეტად საინტერესო ამონარიდად მიგვაჩნია შემდეგი ტექსტი რევაზ სირაძის წიგნში „სახისმტყველება“: „ქართულ ჩუქურთმაში არის ერთი მთავარი ხაზი, რომელიც ვაზის მიმოხვრას გვაგონებს. ასეთი ხაზები ისე ეხვევიან ერთმანეთს, როგორც ვაზის ქიგოს. ის თითქოსდა ჰგავს ასო ზ-ს მოხაზულობას, ანდა ლათინურ შ-ს. ქართული ჩუქურთმის ხვეული ხაზი ვაზის მიმოხვრას ასახავს. ხშირად ქართულ ორნამენტში ვაზის ფოთლები ან მტევნებია ჩახატული. ასეა მოხატული დავით აღმაშებლის სამეფო სამოსი გელათის ფრესკაზე, ვაზის მტევნებია სვეტიცხოვლის დასავლეთ ფასადზე. ის კი არადა, სულ უძველეს ძეგლებზეც ასეთი ხაზი ჩანს. სწორედ ასეთი მოხაზულობაა უძველესი ხანის თრიალეთის თასზე, უძველეს ბალთებზე, სვეტისთავების ორნამენტებზე, ქართულ ნაქარგობაზე, ძველ ხელნაწერებში ჩართულ ნახატებზე, ტრადიციული ქართული ოდის ორნამენტებზე“ (სირაძე, 1982).

ვაზის ორნამენტები სხვადასხვა ეპოქის ქართული ტაძრის რელიეფთა განუყოფელ ნაწილად იქცა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მარტვილი VIII ს. (სამეგრელო), ზარზმა IX ს. (მესხეთი), ოშკი X ს. (ტაო-კლარჯეთი), ბაგრატი X ს. (იმერეთი), სამთავისი X ს. (ქართლი), ნიკორწმინდა X ს. (რაჭა), სვეტიცხოვლი XI ს. (ქართლი), გელათი XII ს. (იმერეთი), იყალთო XII ს. (კახეთი), ანანური XVI ს. (ქართლი), ქაშუეთი XIX ს. (თბილისი), სამება XXI ს. (თბილისი) და სხვ. ამ ტრადიციის გავლენა იმდენად ძლიერი და ღრმა იყო, რომ ვაზის მოტივმა შემდგომ მუსლიმურ საკულტო ნაგებობებზეც გააგრძელა თავისი არსებობა (ყიჟავაძე, 1999).



ფოტოზე გამოსახულია ანანურის ღვთისმშობლის ტაძარის (XVI-XVII საუკუნე) სამხრეთ და დასავლეთ ფასადის ფრაგმენტი, რომელიც გაფორმებულია მსხმოიარე ვაზის რელიეფური გამოსახულებით.



ფოტოზე გამოსახულია ნიკორწმინდის ტაძარი, რომელიც აშენებულია ერთიანი საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ III-ის მიერ 1010-1014 წლებში. ტაძრის სარკმლის ჩუქურთმიანი არშიები გაფორმებულია ვაზის გამოსახულებიანი ორნამენტებით.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ვაზისა და ღვინის თემატიკა მხატვრობაში, რომელზე საუბრისას შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ნიკო ფიროსმანის (1862-1918) შემოქმედებას. როგორც ცნობილია, ფიროსმანი საღებავებად თაფლსა და წითელ ღვინოს იყენებდა. ალბათ, სწორედ ამ ბუნებრივი საშუალებების დამსახურებაა, რომ ფიროსმანის ნახატები ელფერსა და ფერადოვნებას დღესაც არ კარგავენ.

ფიროსმანის მიერ შექმნილ თითოეულ ფერწერულ ნიმუშში: „სამი თავადის ქეიფი მინდორში“, „ოჯახური არიფანა“, „ხუთი თავადის ქეიფი მინდორში“, მრავალფიგურიან ამ კომპოზიციებში ამოიკითხავთ XIX-XX საუკუნის მონადიმეთა შინაგან სამყაროს (მირველაშვილი, მაღრაძე, 2015).



„რთველი“, ნიკო ფიროსმანაშვილი (1862-1918)

მუშამბა, ზეთი. 126x297 სმ. შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის კოლექცია.

სურათში ყურძნის მოსავლის აღების ტრადიცია მთელი მრავალფეროვნებითა და დამაჯერებლობით არის წარმოდგენილი. აქ გაერთიანებულია რთველის უძველესი რიტუალის ყველა შემადგენელი ეპიზოდი: ყურძნის კრეფა, დაწურვა, ქვევრების რეცხვა და ღვინით შევსება, ნადიმისთვის მზადება. მრავალფიგურიანი სურათი არაერთ უაღრესად საინტერესო ტიპაჟს და სცენას გადმოსცემს. მასში კარგად ჩანს მხატვრის მიერ მიკროკომპოზიციების ერთ ორგანულ კომპოზიციურ მთლიანობაში გაერთიანების გენიალური უნარი.



ნიკო ფიროსმანი, „რთველი“

ეს ნახატი ზოგ წყაროში მოხსენიებულია, როგორც „დედ-მამის“ პორტრეტი. ნახატზე გამოსახულია გლეხის კაცი და ქალი, რომლებსაც გოდრები ყურძნით აქვთ ავსებული.

ღვინისა და ვაზის მოტივები კიდევ არაერთი ქართველი

მხატვრის შმოქმედებაში გვხვდება, მაგალითად: დავით კა-
კაბაძე, ლადო გუდიაშვილი, ირაკლი ოჩიაური და სხვ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართველ ოქრომ-
ჭედელთა მიერ შესრულებული ვაზის ორნამენტით დატ-
ვირთული ხელოვნების ნიმუშები: ოქროს სამკაულები თრი-
ალეთის სამარხიდან (ძვ. წ. III ათასწლეული), ვერცხლის
სატევრები, დამბარები, საოჯახო ნივთები, ავეჯი და სხვა
(მირველაშვილი, მაღრაძე, 2015).

**ცალკე განხილვის თემაა ქართული კინემატოგრაფია
და მასში გაშლილი ვაზის, ღვინის, სუფრისა და სტუმარ-
მასპინძლობის თემატიკა სხვადასხვა რაკურსით.**

თითქმის ყველა ჟანრის (კომედია, დრამა) ქართულ
ფილმებში ვხვდებით სუფრის სცენებს, სადაც მთელი თავ-
ისი სისავსით არის გადმოცემული ქართული ღვინის და ამ
სასმისით გამასპინძლების წეს-ჩვეულებები. საინტერესოა
სადღეგრძელოების თემაც, რომელიც დალოცვის, კაცთა
შორის ურთიერთპატივისცემისა და სიყვარულის საუკეთე-
სო გამოხატულებაა.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას გვერდს ვერ ავუ-
ვლით გიორგი შენგელაიას მიერ 1987 წელს გადაღებულ
ყველასათვის ცნობილ ფილმს „ხარება და გოგია“, რომე-
ლიც მთავრი გმირების გაცნობისა და სუფრაზე ერთმანე-
თის დალოცვის ეპიზოდებით იწყება. სუფრასთან მსხდომი
ახლად დაძმობილებული ხარება და გოგია ღვინის სასმისით
ერთმანეთს ერთგულებას შეჰფიცავენ: **„მოდი ამ ჭიქით ჩვენ
გაცნობას გაუმარჯოს. უღალატონი ვყოფილიყავით, გული
არ დაგვდელებოდეს.“**

საინტერესო სცენას ვაწყდებით თავად ანდრონიკაშვი-
ლის მიერ გამართულ წვეულებაზე, სადაც მაღალჩინოსანი

სტუმრის, ვოლხოვსკის თხოვნით, ტყის ძმებს სუფრასთან მიიპატიჟებენ. ეს უკანასკნელნი კაცურ სიტყვას ენდობიან და წვეულებაზე გამოცხადდებიან. ამ სიუჟეტში საინტერესოა წარმოთქმული სადღეგრძელოები, რომლებიც ქვეყნის სიყვარულითა და პატრიოტიზმით არის გამსჭვალული:

„ამ სასმისით ჩვენი ქვეყნის მომავალს გაუმარჯოს, ჩემი კობტა და ლამაზი ქვეყნის ხვალინდელ დღესა, იგრე ყოფილიყოს, როგორც ჩვენ გვინდა. ახალი დროება დამდგარიყოს, ბოროტება ძალადობა გამქრალიყოს, პატისონებას, კაცობას გაუმარჯოს. ჩვენ ჩვენი წილი დაგვედოს კაცური საქმითა.“

სუფრაზე, ბევრ სხვა ამაღელვებელ სადღეგრძელოებთან ერთად, დაიღია თავისუფლების სადღეგრძელო, რომლისთვისაც ქართველი კაცი მუდამ იბრძოდა: **„ამით იმას გაუმარჯოს, რაც ცას მიწას, წყალს, ბალახს, ხეს, ცხოველსა და ფრინველს ყველას ერთნაირად სჭირდება. თავისუფლებას გაუამრჯოს!“**

ამავე სიუჟეტში არანაკლებ საინტერესო და მეტად ღრმა შინაარსობრივი დატვირთვის სადღეგრძელოს წარმოთქვამს თავად სტუმარი ვოლხოვსკი: „ბატონებო და ქალბატონები, ჩვენო სტუმრებო! მე მიდნა შევსვა თქვენი ქვეყნისა და ხალხის სადღეგრძელო. მე ბავშობიდან მხიბლავდა თქვენი ქვეყანა. მე მიდნა შევსვა ქართველი მამაკაცებისა და მანდილოსნების სადღეგრძელო.“ სადღეგრძელოში ნათლად ჩანს, თუ როგორ ხიბლავს მაღალჩინოსან სტუმარს საქართველო და ქართველი ხალხი. იგი განსაკუთრებული ემოციით მიუთითებს **ქალისა და მამაკაცის წმინდა ურთიერთობებზე, რაც ქართველ ხალხს ასე გამოარჩევს.**

არანაკლებ ამაღელვებელია ვაზისა და ყურძნის მოტივებზე აგებული სცენა რეჟისორ რეზო ჩხეიძის მიერ 1964 წელს გადაღებულ ფილმში „ჯარისკაცის მამა“. გერმანიის ტერიტორიაზე შესული საბჭოთა არმიის მიერ მოხდის

კახელი გლეხი გიორგი მახარაშვილი უეცრად გაშენებულ ვენახს გადააწყდება, რომელსაც საოცარი ემოციით უწყებს მოფერებას და იწყებს თავისთვის „შენ ხარ ვენახოს“ ლი-
ლინს:

„...შენ აქ საიდან გაჩნდი, შე ბარაქიანო, შენა...ჰაააა...“

„...რა მარჯვენამ მოგიყვანა აქა, შე ჯიშინო, შენა, ჰააა...“

სცენა შთამბეჭდავია, როგორც ვიზუალურად, ისე სტილისტურად ტექსტის დონეზე, სადაც ვაზი შემკულია საოცარი ეპითეტებით: ...ბარაქიანი..., ჯიშინი... ყურ-
ადღებას იპყრობს მეტონიმის საინტერესო მაგალითი, სადაც ნაცვლად ადამიანისა, მოხსენიებულია „მარჯვენა“. დიახ, სწორედ ქართველი კაცის მარჯვენას შეუძლია ასეთი ბარაქიანი და ჯიშინი ყურძნის მოყვანა დალოცვილ მიწაზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ღვინისა და ვაზის მოტივები თანაბარი სიცხადით არის წარმოდგენილი, როგორც ქართულ დრამაში, ასევე კომედიებში.

განხილვის ღირსია არაჩვეულებრივი სათავგადასავლო კომედიური ჟანრის ფილმი „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, რომელიც რეჟისორმა მიხეილ ჭიაურელმა 1967 გადაიღო.

შინაარსის მიხედვით ბაზარზე გლეხის გოგო ტასია ობოლ ბიჭს გოგიას გაიცნობს, რომელსაც ყარაჩოღელი გიჟუა პატრონობს. მათ ერთმანეთი მოეწონებათ და შეუღლებას გადაწყვეტენ. გოგია მეგობარ ყარაჩოღელებთან ერთად ქალის დასანიშნად ჩავა, სადაც ფაეტონიდან გადმოსული გიჟუა მასპინძლებს მიაძახებს: „მოყვრებო თქვენ იცით! ღვინო ჩვენი, პურ-მარილი თქვენი!“. ამით რეჟისორს სურდა დაენახვებინა, თუ რაოდენ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენდა ქართულ სუფრის კულტურაში ღვინო.

ღვინოსთან მიმართებით საინტერესო გამონათქვამებს ვხვდებით, რაც კიდევ უფრო ახალისებს ფილმის სიუჟეტებს და ამძაფრებს იუმორს, რომელიც ლაიტმოტივად გასდევს

ფილმს. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიშველიოთ სცენა, როდესაც უსტაბაში თავადს სტუმრობს იმ მიზეზით, რომ ქალი გოგიას საპატარძლო დაიხსნას. ქართული ტრადიციისამებრ, ოჯახში მისულ სტუმარს თავადი ღვინით უმასპინძლდება. სწორედ აქ, ჰიპერბოლიზირებულია ღვინო, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ თავადის ღვინოს გლახურ სუფრაზე მოტანილი ღვინო სჯობია: **„ეს რა ღვინოა კნიაზ ჟან, კაჭკაჭს დააჩხავლებს... აი, ჩვენთან უდნა წამოზრძანდეთ, რომა... ისეთი ღვინო დაგალევინოთ, ისეთი ღვინო დაგალევინოთ, როგორც ფაფა“**.

ასევე საინტერესოა, ფილმის ბოლო სიუჟეტი, სადაც შერიგების სცენაა წინ წამოწეული. უსტაბაშისა და „კნიაზ ვახტანგ დიქლომსკის“ შებრძოლების სახუმარო სიუჟეტში, ორივე, დაღლილი, მიწაზე ჩამომჯდარი საუბარს კვლავ ღვინოზე იწყებს. კნიაზის შეკითხვაზე – „რომელი ღვინო სჯობია წითელი ღვინო მუკუზანი თუ ნაფარეული“, უსტაბაში უმალ პასუხობს „გურჯაანიო“ და თავისთან იხმოზს შერიგების ნიშნად, რათა ერთად გააგრძელონ მოლხენა.

არანაკლებ საინტერესოა კიდევ ერთი კომედიური ჟანრის ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ღვინის ქურდები“. ფილმის სათაურიდანვე ნათელი ხდება, რომ ღვინო არის ის მთავარი სამიზნე, რომელზედაც რეჟისორი ვალერიან კვაჭაძე (1975) ამახვილებს ყურადღებას მთელი ფილმის მსვლელობისას.

ფილმის სიუჟეტი შემდეგში მდგომარეობს: მწყემსები შეძლებული გლახის, ელიბოს სანაქებო ღვინოს წყურვილით მის მარანში შეიპარებიან, ჭურის თავზე ქეიფს გამართავენ და შეზარხოშებულები სიმღერასაც დააგუგუნებენ. განრისხებული მასპინძელი თავზე წამოადგებათ, მაგრამ ქართულ სტუმართმოყვარეობას თავისი გააქვს – სტუმარ-მასპინძელი ერთად აგრძელებენ ქეიფს (ქართული კინო. ყველაფერი ქართული კინოს შესახებ. n.d. <https://georgian-cinema.ge/index>).

php/ge/2015-03-27-12-14-46/922-1975-5)

მწყემსების საუბარი ძუნწი ელიბოს გარშემო ისევ ღვინოსთან მიმართებით ტრიალებს:

– ელიბო ზამთარში თოვლს არ გასესხებს, ეგ ღვინის მამაცემია?

– ეგ ღვინოს არავისაც არ მისცემს, ადგება და გაჰყიდის.

– აი დედასა, ღვინოს რომ ჰყიდის, ნეტა ვიცოდე, იმაზე უკეთეს რას ყიდულობს, ნეტა?

იმავე სცენარში მწყემსები ქართული სუფრის ტრადიციებზე თავისებურად საუბრობენ: **„გადამთიელები ხომ არ ხართ ეგრე უთქმელადა სვავთ.** ქართული სუფრის ლაზათი სიტყვა-პასუხშია. ჩვენა ღვინოს იმიტომა ვსვავთ, რომ ერთმანეთს გული გავუთბოთ“.

საინტერესო კავშირი იკვეთება ღვინის ეტიკეტირებასა და ხელოვნებას შორის, რადგან ფერწერული ნამუშევრებით ღვინის ეტიკეტის გაფორმება უძველესი მეთოდია, რომელიც დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს. თანამედროვე ეპოქაში ღვინის ეტიკეტების გაფორმებაზე მუშაობენ როგორც ცნობილი მხატვრები, ისე დიზაინერები.

ამ მხრივ არანაკლებ საინტერესო საქმე კეთდება ქართული ღვინის ეტიკეტირების ხელოვნებაში. ერთ-ერთ მეთად საინტერესო ნიმუშს ვხვდებით სპეციალურად საოჯახო მარანი „ოდას“ ღვინოებისთვის დამზადებულ ეტიკეტზე, სადაც კარგად ჩანს მთავარი კონცეფცია, კერძოდ, რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია.

Tsolikouri-Ojaleshi

K V E V R I W I N E
2 0 1 8




— 20 % of Georgia is Occupied by Russia —

alc. 12.5% vol


0.75 L

აღნიშნულ საოჯახო მარანს, როგორც ჩანს, ვაზის და ყურძნის კონცეფცია სხვა ეტიკეტებზეც აქვთ დატანილი, რითაც როგორც მომხმარებელთა, ისე სხვადასხვა დარგის მოღვაწეთა დიდ ინტერესს იწვევს. კერძოდ, ამერიკული ონლაინ მედიის თასტინგ თაბლე-ის ჟურნალისტს სტატი-აში შეყვანილი აქვს ამ მარნის ერთ-ერთი ეტიკეტი „შიშ-ველი ოჯალეში“ (დიზაინერი ეთო გზირიშვილი; მხატვარი ლევან კვარაცხელია), რომელსაც საპატიო მეორე ადგილი უკავია მსოფლიოში სხვადასხვა რეგიონის რვა საუკეთესო ეტიკეტს შორის.



სტატიიში ვკითხულობთ, რომ ეტიკეტზე გამოსახულია ორი შიშველი ქალი: ერთი ველურ ბუნებაში, სადაც ქალი გარემომორტყმულია ყურძნებით დახუნძლული ვაზით და მეორე – გალიაში გამომწყვდეული ქალი. იდეაში ეტიკეტი გადმოსცემს საზოგადოებაში ქალის სამწუხარო, მაგრამ ჯერ კიდევ გამონვევად არსებულ მდგომარეობას. მიუხედავად იმისა, რომ სადღეგრძელოებში მალაღფარდოვანი სიტყვებით ქალი ხოტბაშესხმულ არსებად გვევლინება, რეალობაში მისი ყოფა მძიმეა. სწორედ ამის დასტურია ეტიკეტის სათაურიც „terroir vs. terror“ (ტერუარი ტერორის წინააღმდეგ), რომელიც ერთგვარი სიმბოლოა თავისუფალი და გალიაში ჩაკეტილი ქალების (Beautiful Custom Wine Labels, n.d. <https://www.tastingtable.com/695270/custom-wine-label-design-art/>).

ვაზის დეტალები ფიგურირებს აგრეთვე ამავე მარნის კიდევ ერთი ღვინის ეტიკეტზე სახელად „ძელშავი“, სადაც ფეხმძიმე ქალის მკერდი სწორედ ვაზის რტოთი არის მორთული.



დიდია ვაზისა და ხელოვნების კავშირი ქართულ რეალობაში, რომელსაც ისტორია ოდითგანვე აღნუსხავდა და უზიარებდა ქართულ საზოგადოებას.

საყურადღებოა ვაზის ელემენტები საფლავების ქვებზე. დიახ, ისინიც, უდავოდ, ხელოვნების ნიმუშებია. მოვი-

პოვეთ თელავის ქართველთა ძველ სასაფლაოზე არსებული საფლავების ქვების ფოტოები, სადაც გამოსახულია ვაზის ატრიბუტიკა, რომელთა დიდი ნაწილიც გასული საუკუნის დასაწყისით თარიღდება.

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ მიცვალებულის საფლავზე გასულ ქართველს, სანთელთან ერთად, მიაქვს ღვინო და წყალი; ნაწილს იქვე შესვამს მიცვალებულის სახელზე, ნაწილს კი საფლავზე მოასხამს.







თავი VI

ქართული გასტრონომიული სივრცის

ეროვნული მენტალოზა

ქართული კერძები, გამორჩეული თავისი ორიგინალური არომატების სიუხვითა და უჩვეულო კომბინაციებით, საპატიო ადგილზეა მსოფლიოს საუკეთესო სამზარეულოებს შორის. ეს, ალბათ, გასაკვირი არც უნდა იყოს, რამეთუ კავკასიის რეგიონი მსოფლიო გასტრონომიულ კულტურაში „კულინარიული ქვაბის“ სახელითაა ცნობილი, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი სწორედ ქართულ სამზარეულოს უკავია.

მაღალი კვებითი ღირებულების გამო საქართველოში ყურძნისაგან ოდითგანვე მრავალი პროდუქტი მზადდებოდა; ეს შესაძლებლობა პოპულარობასა და აქტუალობას არც თანამედროვე ეპოქაში კარგავს, პირიქით: ქიშმიში, ყურძნის წვენი, ღვინო, არაყი, სპირტი და სხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებული თვისებებითა თუ მოხმარების ხასიათით, თანდათან უფრო მოთხოვნადი და პოპულარული ხდება გასტრონომიულ სივრცეში.

ქვემო ქართლის ტერიტორიაზე შულავერ-შომუთეფეს ადრესამინათმოქმედო კულტურის კერებზე აღმოჩენილი კულტურული ვაზის ნიპნები და ქვევრის ტიპის თიხის საღვინე ჭურჭელი, დასტურია იმისა, რომ ვაზი და ღვინო დაახლოებით, 8000 წლიან ისტორიას ითვლის და, ვინაიდან ვაზის გაკულტურება პირველად სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე მოხდა და, სავარაუდოდ, პირველი ღვინოც აქვე დაიწერა, დამაჯერებლად შეიძლება დავასკვნათ, რამდენად გამორჩეული ადგილი უკავია ვაზს, ყურძენსა და ღვინოს უმდიდრეს ქართულ გასტრონომიულ გალერეაში. და, რაც ყველაზე მთავარია, ყველა მათგანი დღეისათვის რამდენად უმნიშვნელოვანეს ინგრედიენტს წარმოადგენს

ქართული კერძებისათვის (და არა მარტო ქართულის)...

თანამედროვე გლობალურ სამყაროში ქართული გასტრონომიული ტურიზმი დღითი დღე უფრო ძლიერდება და განვითარების მაღალ მწვერვალებს იპყრობს. ის პირდაპირ კავშირშია გასტრონომიულ კულტურასთან, ვინაიდან თანამედროვე ტურისტს მხოლოდ დანიშნულების ადგილების მონახულება უკვე აღარ აკმაყოფილებს. ის ცდილობს, რომ ქვეყანა „შეიგრძნოს“, რისთვისაც გასტრონომია (სუფრა) ყველაზე საუკეთესო საშუალებაა. და აქვე დგება ვიზიტორის „გასტრონომიული/კულინარიული ტურისტის რანგში“ წარმოჩინების საკითხი, რადგან „გასტრონომიული ტურისტი არის ტურისტი, ვისი მამოტივირებელი ფაქტორი ქვეყნის გასაცნობად არის საკვები და სასმელი. ეს ის ადამიანია, რომელიც ყოველთვის მიზანმიმართულად ირჩევს ლოკალურ, ადგილობრივ ავთენტურ საკვებს და არასდროს არ შედის მასობრივი კვების ობიექტებში“ (გასტრონომიული ტურიზმი და გასტრონომიული ტურისტი, n.d. მოდ.: <http://culinartmagazine.com/2016/05/03/>).

კულინარიული/გასტრონომიული ტურისტისთვის ამა თუ იმ ქვეყნის გაცნობის მთავარ მამოტივირებელ ფაქტორს წარმოადგენს კონკრეტული ქვეყნის სამზარეულო და სასმელი. ამ მიზნით, ის აუცილებლად ირჩევს ადგილობრივ, ავთენტურ საკვებს დასაგემოვნებლად.

აქედან გამომდინარე, სადავო არაა, რომ ვაზი და მისი პროდუქტები (ყურძენი, ღვინო...) ქართული გასტრონომიული კულტურის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელია და რადგან გასტრონომიული კულტურა მენტალობას, ერის ისტორიას, მის განვითარებას, ახალი ეპოქის გამოძახილებს ეხმაურება და, ისტორიის, ადათ-წესების, ტრადიციების ცოდნის და გამოცდილების საფუძველზე, ახალ ფორმებს იძენს, უპირველესად, გამოიხატება სამზარეულოში, ტრაპეზის წესებში, კულინარიულ ლიტერატურასა თუ სხვა-

დასხვა გასტრონომიულ ღონისძიებაში (გასტრონომიული კულტურა როგორც სისტემა და ქვეყნის საიმიჯო რესურსი, ნ.დ.). ამ რეალობის ფონზე, ღვინის მიმართულებით, საქართველოში გასტრონომიული ტურიზმი მძლავრად იკიდებს ფეხს. ადგილობრივი რესტორნები და ორგანული ღვინის მწარმოებლები ტურისტებს სთავაზობენ კულინარიულ მასტერკლასებსა თუ ღვინის დაგემოვნების სერვისებს ქვეყნის მასშტაბით.

უდავოდ, ქართველი თავს იწონებს, როცა სახლში პურისა და ღვინის მარაგი აქვს – ოჯახის რჩენაც შეუძლია და სტუმრის დახვედრაც; საქართველოში ჭირი და ლხინი, შრომა და ქეიფი ღვინის ზომიერი გამოყენების გარეშე წარმოუდგენელია.

კახეთში ღვინო ოდითგანვე ყველა ოჯახში მზადდებოდა. გლეხური წესით დამზადებული ღვინო არანაკლები არომატული და მდიდარი გემოვნური თვისებებით გამოირჩეოდა და გამოირჩევა, როგორც საფირმო ღვინოები. ტრადიციულად, დაკრეფილი ყურძენი გადასამუშავებლად სპეციალურ ნაგებობაში – მარანში თავსდება, სადაც განთავსებულია საწნახელი ყურძნის დასაწურად. დაწურული წვენი მინაში განთავსებულ თიხის ქვევრში ჩაედინება – იქ ღვინდება და ინახება. ისტორიულად ღვინის ტრანსპორტირებისა და შენახვისათვის მოიხმარდნენ ტყავისაგან დამზადებულ ტომრებს – ტიკებსა და რუმბებს, ხოლო ქართულ სუფრაზე ღვინის სასმისებად ყანწს, თხის ან ჯიხვის რქისაგან დამზადებულ სასმისს და, მასთან ერთად, თიხის ფიალებსაც გამოიყენებდნენ.

გასტრონომიული თვალსაზრისით, ღვინოსთან ერთად საინტერესოა „ჭაჭა“. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ მაღალი ხარისხის „ყურძნის ჭაჭის“ მისაღებად გამოიყენება მხოლოდ რჩეული ყურძნის ჯიშები. შესაბამისად, „ჭაჭა“ (არაყი) ინარმოება ძირითადად კახური ტიპის ღვინისგან,

რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა ტიპის ღვინოებისგან. ქართულ სამზარეულოში მისი მირთმევა რეკომენდებულია ხინკალთან, ცხელ წვნიანებთან და ხილის სალათებთან ერთად.

გამოხდილ **ჭაჭას** კი ფრინველისა და შინაური ცხოველების საკვებად იყენებენ. ჭაჭისაგან კომბინირებული საკვების დამზადების განსაკუთრებული წესი იყო რაჭაში, სადაც გამონახად ჭაჭას რეცხავდნენ, აშრობდნენ, ფქვავდნენ, სიმინდის ფქვილს ურევდნენ და ღორების საკვებად იყენებდნენ (სონლულაშვილი, 1974). არყის გამონახადი მიკროელემენტებით გაჯერებულ სასუქს წარმოადგენს მცენარეებისთვისაც.

რაც შეეხება ყურძნის **ნიჰნას**, რომელიც ქვევრში რჩება, მას საგულდაგულოდ აშრობენ, შემდგომ ხალავენ, ფქვავენ და ინახავენ. დაფქულ მასას ურევენ რკოს ან ქერის ფქვილს. მიღებულ ნაზავს მოიხმარენ ყავის შემცველელადაც, რომელსაც, თურმე, სამკურნალო დანიშნულებაც კი აქვს. უკვე ფართოდ აღიარებულია **ყურძნის ნიჰნისგან მომზადებული ზეთი და საღებავი**.

აღსანიშნავის ერთგვარი სასმელი „ღვინის თბილი“, რომელიც წარმოადგენს ადულებულ წყალგარეულ ღვინოს (უმთავრესად წითელ ღვინოს) შეგემებულს ნიგვზითა და ნივრით. როგორც წყაროებიდან არის ცნობილი, ამ ერთგვარ გასტრონომიულ ნაწარმს მოიხმარდნენ ქონიანი საქმლით გამოწვეული ფალარათის საწინააღმდეგოდ.

ქართულ კულინარიაში დიდი პოპულარობით სარგებლობს ღვინის ძმარი, რომელზე მოთხოვნილებაც ყველა პერიოდში ძალიან მაღალი იყო და არის დღესაც. საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში ძმარს სხვადასხვა წესით იღებდნენ: ზოგჯერ დაძმარებულ ღვინოს ხმარობდნენ, უფრო ხშირად კი ძმარს აყენებდნენ სპეციალურად ძმრის დედაზე. ამისთვის იყენებდნენ ძმრისთვის განკუთვნილ

ჭურჭელს, რომელიც იზოლირებული იყო მარნიდან და ძირითადად სითბოში ინახებოდა ბუხართან (სონლულაშვილი, 1974).

ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი საუკეთესო პროდუქტი – **ბადაგი**. ყურძნის დაწურვის დროს თალარიდან ტკბილს იღებენ და ადულებენ, თან ხის ქაფქირით ან ციცხვით ხდიან თავზე მორთულ ქაფს მანამ, სანამ დუღილში წვენი არ დაინმინდება. მიიღება ძლიერ კონცენტრირებული ყურძნის წვენი. კარგად ნადული ბადაგი წლობით ინახება. ძველად ბადაგს რიტუალური მნიშვნელობაც ჰქონდა: მას ქორწინებისას მეფე-პატარძალს ასმევდნენ და ტკბილად დაბერებას უსურვებდნენ (მირველაშვილი, მალრაძე, 2015).

ამასთანავე, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ქართულ ტრადიციულ კერძებში, მსგავსად მსოფლიოს წამყვანი სხვა გასტრონომიული კერძებისა, მკაფიოდ იკვეთება ალკოჰოლის (ღვინის ან ღვინის ძმარის) გამოყენება კერძებში. ალბათ ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან, საქართველო იმ ქვეყნების სიაშია, სადაც მეღვინეობა განვითარების მწვერვალზეა. სადღეისოდ გასაკვირი უკვე აღარაა იმის ახსნა, თუ რა განსაკუთრებულ არომატს ანიჭებს ღვინო კერძს, აჩქარებს მზადების პროცესს და უცვლის ფაქტურას.

კახეთში, ღვინის რეგიონს რომ ვეძახით, გაზაფხულზე პირველი რა კერძიც შემოდის, ეს არის „ჩაქაფული“, მას წინ მართლმადიდებლური მარხვის პერიოდი უძღვის, მანამდე კი ტარხუნა თავისი განუმეორებელი არომატით უკვე ძალას იკრებს, ალუჩა ნელ-ნელა ივსება, ახალ ნიორს ფოჩები უმუქდება და ეს ყველაფერი ერთად ქინძთან, ყველანაირ სხვა მწვანილთან ერთად უწყობს ხელს ხბოს ან ბატკნის ხორცის მოუქაფავად ჩაფუფქვას. ნამდვილი სიმფონიური ორკესტრია, სადაც ყველანაირი საკრავი თავის პარტიას ასრულებს და არაჩვეულებრივ პოლიფონიურ ჰარმონიას ქმნის (ქართული სამზარეულოს პოლიფონია

n.d. მოძიებულია: <https://kvirispalitra.ge/article/88583-kartuli-samzareulos-poliponia/>

საინტერესოა ტრადიციული კერძი, სოუსი – **ბაჟე**, რომელიც ნიგვზით, ნივრითა და სუნელებით მზადდება, ხშირად, სურვილისამებრ, მომზადებისას უმატებენ ღვინის ძმარს. ბაჟეს მიირთმევენ შემწვარ ქათამთან ან ღომთან ერთად.

საქართველოს სამზარეულოში გვხვდება **ყურძნის სანებელი ისრიმი**. ამ კერძს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელით მოიხსენიებდნენ, მაგალითად, როგორცაა: „ბჟოქი“, „მკვახე“, „ჟოლოქა“, „შემოუსვლელი“ და სხვა. ის წარმოადგენდა სანებლის ერთგვარ სახესხვაობას, რომელიც მზადებოდა დაჭყლეტილ შემოუსვლელ/მკვახე ყურძნის წვენზე სხვადასხვა ინგრედიენტის/სანელებლების დამატებით. ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებით, ისრიმის გამოყენება საკვებად გამოწვეული იყო ზედმეტად მსხმოიარე ვენახის განტვირთვით. იგი ითვლება გემრიელ სანებლად, რომლის გამოყენება შესაძლებელი იყო როგორც მომზადებისთანავე, ისე ხანგრძლივი შენახვისთვის. წყაროებიდან ისიც ირკვევა, რომ იმერეთში მას მაყვლის წვენს უმატებდნენ, რის გამოც „**ისრიმ-მაყვლის**“ სახელით იყო ცნობილი. დასავლეთ საქართველოში მიღებული იყო ისრიმის წვენში ჩანყობილი შემწვარი წიწილის კერძი.

ცალკე იკვთება აღმოსავლეთ საქართველოში საკმაოდ გავრცელებული საჭმელი – **ბოლლონო/ბოლინო**, რომელიც ღვინოში დამბალი პურია. როგორც ირკვევა, მისი მომზადება შესაძლებელია როგორც თეთრი, ისე წითელი ღვინისგან, რომელსაც გაცილებით დიდი მანევრობა ჰქონია. ბოლლონოს დიდი ადგილი უკავია საეკლესიო გასტრონომიაში და მისი მომხმარებლები თავად ბერ-მონაზვნები ყოფილან. ბოლლონოს აჭმევდნენ ასევე ავადმყოფებს, რათა მათ ძალ-ღონე შემატებოდათ. ქართლ-კახეთში დასტურ-

E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98& oq=%E1%83%90%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%90%E1%83 %9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98&aqs=- chrome..69i57j0i30j69i60.6909j0j1&sourceid=- chrome&ie=UTF-8).

საკმაოდ მივიწყებულ კერძს წარმოადგენს **თხლის შეჭა- მადი**, რომლის მომზადებაც ღვინოს უკავშირდება: ღვინის გადაღების შემდეგ ძირზე დალექილ თხლეს იღებენ და პა- ტარა ქოცოში ინახავენ. მარხვის პერიოდში მას განურავენ, შემდეგ მოხარშავენ, ფქვილს მოუკიდებენ, ნივრით და მარილით შეაზავებენ და ისე მიირთმევენ (მირველაშვილი, მალრაძე, 2015).

გარდა სანებლებისა თუ ძირითადი კერძებისა, ყურძნის და მისი შემდგომი გადამუშავებით მიღებულ პროდუქტებს უხვად ვხვდებით ქართული კულინარიის დესერტების ნაწ- ილშიც, რომლის სათავეში დგას **კახური ჩურჩხელა** და რომელსაც არამატერიალური კულტურულის მემკვიდრე-ობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული. კახური ჩურჩხ-ლის მომზადების პროცესი შემდგომში მდგომარეობს: ძაფზე ასხმულ ნიგოზს თათარაში ავლებენ და მზეზე აშ-რობენ ზამთრისთვის. თათარას, რომელიც ცეცხლზე მო-სულ მდგომარეობაში ბადაგში (ყურძნის წვენი) გაზავებულ ფქვილს წარმოადგენს, დასავლეთ საქართველოში **ფელამუ-შის** სახელით იცნობენ. აგრეთვე, დასავლეთ საქართველო-ში ჩურჩხლის სახესხვაობებსაც ვხვდებით: თხილის, ნუშის ან ჩამიჩის ჩურჩხელებს. **ჩურჩხელა** ძლიერ კალორიული პროდუქტია, რის გამოც უნინ მებრძოლთა განუყოფელ ატრიბუტს წარმოადგენდა. ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ დიდი სამამულო ომის დროს ქართველები თანამებრძოლებს ყურძნის ბადაგისგან დამზადებული **ტკ-ბილი კვერებითა და ჩურჩხელებით** ამარაგებდნენ, რათა

მებრძოლებს ბრძოლისუნარიანობა ამალღებოდათ და იმუ-
ნიტეტი გასძლიერებოდათ.

შთამბეჭდავია, რომ დღეისათვის ყველასათვის კარგად
ნაცნობი და საყვარელი ქართული ხალხური გასტრონომი-
ული პროდუქტი „ჩურჩხელა“ არა მხოლოდ როგორც პრო-
დუქტი, არამედ გავრცობადობის თვალსაზრისითაც იქცევეს
ყურადღებას; იგი სუპერსტრატის სახით უკვე მყარად არის
შეჭრილ-დამკვიდრებული არაქართულენოვანი სტუმრების
(ვიზიტორების) ზეპირმეტყველებაში.

ბოლოს, აუცილებლად უდნა ვახსენოთ მარტივი, მა-
გრამ, ამავდროულად, გემრიელი დესერტი „**ყურძნის მურა-
ბა**“, რომელიც სასუფრე ყურძნის ჯიშებისაგან მზადდება
და საოცარი არომატით ხასიათდება; იგი ქართული გას-
ტრონომიული კულინარიის დელიკატესადაც მიიჩნევა.

ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით აღსან-
იშნავია, რომ გასტრონომიული პროდუქტების ორკომპო-
ნენტიან სახელწოდებათა უმრავლესობაში: **ღვინის თბილი,**
ღვინის ძმარი, ყურძნის წვენი, ყურძნის მურაბა, ყურძნის
საწებელი, მსაზღვრელებად შენარჩუნებულია ყურძენი ან
ღვინო, რაც ასევე ქართველი ერის მენტალობას უსვამს
ხაზს – რომ ეს პროდუქტები ქართული ოჯახისა და ქართუ-
ლი ეკონომიკის სიძლიერის ინდიკატორი ყოველთვის იყო,
არის და იქნება... რომ ეს პროდუქტები მოსაფრთხილებე-
ლი, მრავალმხრივ გამოსაყენებელი და გამოსადეგია; მათ
გარეშე ქართველი ერის ყოფა, ფაქტობრივად, წარმოუდ-
გენელია.

სხვაგვარად ასედაც ვიტყვით:

- **ჩაქაფული, სოუსი-ბაჟე, ყურძნის საწებელი ისრიმი, ბოლ-
ლონო, თხლის შეჭამადი, ჩურჩხელა, ყურძნის მურაბა...**
მათ გარეშე ქართული სუფრა კარგი ვერ იქნება!!!

„ქართული სუფრა აკადემიააო“, – უთქვამთ ჩვენს წინაპრებს, რაც ნათლად მიგვანიშნებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ქართველი კაცისათვის ყველა ის ფასეულობა, რომელიც ქართულ სუფრაში იგულისხმება, დაწყებული ქართული სამზარეულოთი, დამთავრებული თამადის ინსტიტუტითა და სადღეგრძელოებით. ქართული სახელმწიფოს ბედი ხშირად წყდებოდა სუფრაზე, ნადიმზე, მრგვალი მაგიდის გარშემო.

„ქართველთა გამაერთიანებელი სუფრაა“ (გრ. რობაქიძე), რაც არაერთხელ დადასტურდა ისტორიული მაგალითებითაც. თამარისა და ლაშას ეპოქაში, როცა მაშინდელი „დარბაზის“ ანუ „პარლამენტის“ წევრები, საკუთარ სიტყვას ფიცით განამტკიცებდნენ, ეს აუცილებლად სუფრასთან, წმინდა სითხის – ჭიქა ღვინის თანხლებით ხდებოდა. არის მოსაზრება, რომ ქართული სუფრის ტრადიცია სწორედ ამ დროიდან მოდის და მისთვის დამახასიათებელი იერარქიულობა, უმცროს-უფროსობა, საუბრის რეგლამენტი და რიგითობა უშუალო კავშირშია ქართული პოლიტიკური კულტურის ფესვებთან.

ჩვენი სუფრის ტრადიციები ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილია და როგორც, ზოგადად, რთული სოციალური მოვლენა, საუკუნეთა წიაღში დაიბადა, ვითარდებოდა, იხვეწებოდა, თაობიდან თაობას გადაეცემოდა და ჩვენამდე გარკვეული „თამაშის წესების“ სახით მოაღწია.

ქართული სუფრა ეს ერთგვარი მისტერიაა, რიტუალია, რომელსაც მკაფიოდ ჩამოყალიბებული სიუჟეტი, დრამატურგია და ვიტყოდით, რეჟისურაც კი გააჩნია, სადაც ასევე მკაფიოდაა განაწილებული როლები და სუფრის სათითაო წევრს – როგორც სტუმარს, ასევე მასპინძელს – საკუთარი, დიდი თუ მცირე, ფუნქცია აკისრია. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უმდიდრესი ქართული ფოლკ-

ლორის მსგავსად, ქართული სუფრის ტრადიციაც დინამიკურია, რაც მის მუდმივ ცვალებადობასა და განვითარების უნარში გამოიხატება. იგი ხალხურია, კოლექტიურია, იმპროვიზაციულია და ყველა ამ თვისებით ძალზე ჩამოჰგავს სათეატრო სახილველს, სადაც არის საფუძველი – ტექსტი, ანუ სცენარი, მისი ხორცშემსხმელი რეჟისორი, იგივე თამადა, რეჟისორის ასისტენტიც კი – თამადის მოადგილის სახით, ტექნიკური პერსონალი: სუფრის ე.წ. მატრიალებლები (ვინც ემსახურება სუფრას), მერიქიფე (ღვინის ჩამომსხმელი) ანუ ტოლუმბაში, მთავარი თუ ეპიზოდური როლის შემსრულებლები: ერთ შემთხვევაში იუბილარი (თუ დღეობაა) ან ნეფე-პატარძალი (საქორწინო ან ნიშნობის სუფრა), გარდაცვლილი (გლოვის სუფრაზე), ნვეულების მიზეზი (ლხინის სუფრები: დღესასწაულები, პრეზენტაციები, ბანკეტები, ახალმოსახლეობა, რთველი) და ა.შ.

ამ მისტერიას სწორედაც ღვინო ქმნის – გიორგი ლეონიძე თავის შემოქმედებაში (ღვინჯუა“) აღწერს რა ქართულ სუფრას, ზედმინევით კარგად მიჯნავს ლხინის ყველა ეტაპს: „...ლხინის დასაწყისში „ცივად დაბრძანდნენ სტუმრები“... ცოტა ხანში გამხიარულდნენ, „გაიშალა საუბარი... სიტყვამ გაინავარდა“. მესამე ეტაპზე – „ღვინო დარუვდა“, მეოთხეზე – ზარხოშობა შეიქმნა...“, მეხუთეზე – ღრეობა გახურდა“; „შეღვინიანდნენ“; შემდეგ - „სიტყვა გაღორდა“: ზღვის რყევა დაიწყო“, შეიქნა ზედახორა, ჯღეხა“; ეს ყოველივე დასრულდა „დაწიოკებული სუფრით“...

მწერლი გვასწავლის: სუფრის არევა მიუღებელია... ასე მხოლოდ „ფიცგანყვეტილი ღარიბები“ (საფიცარიც რომ არაფერი აქვთ) იქცევიან: „ენამთვრალეები, ლიკლიკა როხილები, თავაქარა, ყალღანები“ (ღვინჯუა“).

ქართული სუფრა, თავისი ჭეშმარიტი ბუნებითა და გამოხატულებით, უფრო სულიერებასთან წილნაყარი ფენომენია, ვიდრე ხორცის ზეიმი, სუფრა ეს სკოლაა, სპექტაკლია,

სულის გამამდიდრებელი თავყრილობაა, სადაც ადამიანები იკრიბებიან სულიერი თანაზიარობის სურვილითა და მოთხოვნილებით. ამდენად, ჭეშმარიტი სუფრა არასდროს გადაიზრდება ღრეობასა და წრეგადასულ ნადიმში, სადაც დარღვეულია ჰარმონია სუფრის წევრებს შორის, სადაც ერთმანეთს არავინ უსმენს და აფასებს ურთიერთის ნათქვამ-ნაამბობს, სადაც სიტყვა და განცდა უკან იხევს და ასპარეზს ხორციელ ინსტიქტებს უთმობს.

უპირველესი და უმნიშვნელოვანესი, რაც ნებისმიერი ხასიათის ქართული სუფრის საფუძველთა საფუძველს შეადგენს, არის ურთიერთმიმართება ღმერთთან და მასპინძელთან, რაც უპირობო და უკიდევანო პატივისცემაში გამოიხატება და რამდენიმე ფრაზით შესაძლოა ასე ჩამოვაცალიბოთ: „სტუმარი ღვთისაა“, ანუ ღვთის კაცია, ღმერთისაგან გამოგზავნილი ჯილდოა. ქართველი კაცი მიდის იმ სუფრაზე, სადაც პატივს სცემს მასპინძელს და ოჯახის თავს, აგრეთვე ყველა იმ პერსონას, ვინც მასპინძელთან ერთად ემსახურება სუფრას: ზოგჯერ ეს არის უშუალოდ ოჯახის წევრი ან ახლობელი, მეზობელი ან მეგობარი, მაგრამ უცხოც რომ იყოს, სუფრის ტრადიცია მომლხენტ ავალდებულებს, პატივი მიაგონ იმ ადამიანებს (ქალი იქნება თუ მამაკაცი), ვინც სუფრას აკავშირებს, ერთი მხრივ, სამზარეულოსთან და, მეორე მხრივ – მარანთან, ანუ ქართული კულტურის ორ მდიდარ და მრავალფეროვან კერასთან, რამეთუ ქართული სამზარეულო და “საღვინე სახლი” ანუ მარანი (სულხან-საბა ორბელიანი) ქართველისათვის საკრალური ფენომენებია. ტრადიციულ ქართულ სუფრაზე უნდა იყოს კარგი ღვინო, სუფრას უნდა ჰყავდეს კარგი თამადა, რომელიც, ასევე, იზრუნებს ღვინის მაღალ ხარისხზე – გართობასა და ცეკვა-სიმღერაზე.

ქართული სუფრის უნიკალური და გამორჩეული თავისებურება, რა თქმა უნდა, თამადის ფენომენია: თამადა,

ლხინისა თუ გლოვის გამომხატველი სუფრის ხელმძღვანე-
ლად ინიშნება მასპინძლის მიერ, რაც ადასტურებს მის
განსაკუთრებულ როლსა და მისიას თავყრილობის წარმ-
ართვაში. შესაძლოა, თამადა უშუალოდ მასპინძელიც იყოს,
რაც იმის მანიშნებელია, რომ თავად მასპინძელი იმდენად
დიდ მნიშვნელობასა და პატივს მიაგებს სტუმრებს, რომ
არავის ანდობს თამადის, როგორც სუფრის წინამძღოლის,
ურთულესი და გამორჩეული მოვალეობის აღსრულებას.
თამადა გამოირჩევა არა იმდენად ღვინის სმის ოდენობით
(თუმცა ესეც უნდა შეეძლოს, რადგან ქართული ლხინი სას-
მელის მიღების ერთგვარი ასპარეზობაცაა!) რამდენადაც
მჭერმეტყველებით, იუმორის გრძნობით, ორატორული ნი-
ჭით, სიმღერისა და ცეკვის, პოეზიისა და დეკლამირების
მაღალი ოსტატობით. თამადა ენაწყლიანი, სხარტად მოაზ-
როვნე, კომუნიკაბელური პერსონაა, იგი კარგად უნდა იც-
ნობდეს თავყრილობის მიზეზსა და მონაწილეთა ვინაობას
და სარგებლობდეს ნდობის მაღალი ხარისხით, საყოველ-
თაო საზოგადოებრივი ავტორიტეტით პიროვნული თვისე-
ბებიდან გამომდინარე. კარგი თამადა ალხენს სტუმრებს,
ათრობს მათ, მაგრამ თავად არასდროს თვრება უზომოდ და
სხვათა შორის, ტრადიციულად, როგორც თამადის, ასევე
რიგითი მოქეიფეების ლხინში დათრობა (და მით უფრო გა-
დათრობა), არა თუ დიდ ვაჟკაცობად არ მიაჩნდათ ჩვენს
წინაპრებს, არამედ სამარცხვინო და საძრახის საქციელს
უნოდებდნენ და მკაცრად კიცხავდნენ ბახუსის ზედმეტად
მომხმარებელს. **ამდენად, ეს მენტალური დამოკიდებულება
(ღვინო ზომიერად უნდა მიიღო/მხოლოდ ზომიერად მიღებუ-
ლი ღვინოა სამარგებლო და სიკეთის, სიხარულისა და ბედ-
ნიერების მომტანი) ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგ-
მის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი წახნავია.**

თამადის მთავარი ინსტრუმენტი სუფრის გაძლოლი-
სას სადღეგრძელოები, მათი მრავალფეროვანი შინაარსი,

თანამიმდევრობა და ტემპო-რიტმის ცვალებადობაა. ამავე დროს, პოეტურად წარმოთქმულ სადღეგრძელოებს ამკობს სიმღერებისა და პოეზიის თემატურად შესატყვისი ნიმუშები, რაც ზოგჯერ აგრძელებს სადღეგრძელოს სიუჟეტს, ან ამზადებს მომდევნო სადღეგრძელოსათვის საჭირო თემებს. კარგი თამადა არასდროს წარმოთქვამს დასწავლილ, დაზეპირებულ ტექსტებს. იგი გრძნობს და მიჰყვება სუფრის შინაგან მაჯისცემას და იმპროვიზაციის წყალობით უშუალოდ ბადებს ახალი სადღეგრძელოს შინაარსს. თამადა, ეს სუფრის ერთგვარი თვითდისციპლინისა და ორგანიზებულიობის გარანტია. იგი მაგალითის მიმცემი უნდა იყოს სუფრის წევრთათვის სიტყვა-პასუხის სისხარტეში, ზრდილობაში, სუფრის ეთიკეტისა და ეთიკის დაცვაში, სხვათა მოსმენის კულტურაში, ურთიერთპატივისცემისა და რაინდული თავშეკავების დემონსტრირებაში. ეს განსაკუთრებულად გამოიხატება სუფრის წევრი მანდილოსნების მიმართ დამოკიდებულებაში. ეროვნული ადათ-წესები, თაობებს შორის უფროს-უმცროსობა, ზომიერება, ერისა და მამულისადმი ერთგულება მსჭვლავს თამადის თითოეულ წარმოთქმულ სადღეგრძელოს, რომელიც სუფრაზე რამდენადმე ამალღებულია და აღმატებული. რამეთუ ქართული სუფრა, ეს ადამიანებს შორის კომუნიკაციისა და ურთიერთობის მშვენიერების სადიდებელია: სადღეგრძელოში ხომ ადამიანები არა მხოლოდ იმგვარად წარმოჩინდებიან, როგორებიც არიან ისინი სინამდვილეში, არამედ კიდევ იმგვარად, როგორიც სურს წარმოსახოს იგი სადღეგრძელოს ავტორმა. ამდენად სადღეგრძელოში, როგორც წესი, აუგი არ ითქმება, ყურადღება მხოლოდ სადღეგრძელოს ადრესატის ღირსებებზეა გადატანილი და თუ რაიმე ნაკლს მიუთითებენ, ისიც მხოლოდ კრძალვითა და უკეთესი სურვილების გათვალისწინებით.

ქართული სუფრა დემოკრატიულია, მიუხედავად იმისა,

რომ მისი სტრუქტურა და დინამიკა თამადას, ანუ ერთ-პიროვნულ მმართველობას ემორჩილება. სუფრაზე რიგით წევრებს აქვთ უფლება, თამადას სთხოვონ საავტორო სადღეგრძელოები და ამასთანავე ხშირია შემთხვევები, როცა თავად თამადა გადადის სუფრის სხვადასხვა წევრთან ე.წ. „ალავერდს“, რითაც საშუალებს აძლევს ყველას, გამოთქვან საკუთარი აზრი, დამოკიდებულება და განცდა ამა თუ იმ თემასთან ან პერსონასთან დაკავშირებით. არსებობს გადმოცემა, რომ ძველად თამადას ჰქონდა უფლება, აეკრძალა სუფრის რომელიმე წევრისათვის კონკრეტული სადღეგრძელოს შესმა, როდესაც შეატყობდა, რომ იგი ზედმეტად თრობისაკენ მიდიოდა. ასეთ შემთხვევაში თამადა გასცემდა განკარგულებას, რომ მას ერთი ან მეტი სადღეგრძელო გამოეტოვებინა და მცირედი შესვენების შემდგომ კვლავ განეგრძო სმა და მოლხენა. როდესაც სუფრა და მისი წინამძღოლი თამადა ღირსეულად უძღვება საკუთარ მოვალეობას, მაშინ ჭამა-სმა ჩრდილში მოექცევა და სუფრა ნამდვილ დღესასწაულად, სანახაობად იქცევა ხოლმე, სადაც მუზების ნამდვილი ზეობაა პოეზიის, მუსიკის, ცეკვის, ფოლკლორის სახით. შემთხვევით ხომ არ უთქვამთ ჩვენს წინაპრებს: „ეს თამადა რა ყოფილა, ცოტა ღვინო გვამყოფინაო!“....

თელავის ისტორიული მუზეუმის დირექტორი, ანსამბლ „წინანდლის“ სოლისტი იხსენებს: „ტრადიციებზე კიდევ ერთი რამ გამახსენდა. მამაჩემი მიყვებოდა, ადრე მარანში რომ შევიდოდნენ მამაკაცები და ქვევრს თავს გადახდიდნენ, როგორც ხარი, ისე დაენაფებოდნენ ღვინოს – ღვინის სმაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენო. დევების შეჯიბრებით იყო, რა. ზოგიერთი ერთ მტკაველზე აკლებდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთ დაწაფებაზე სადღაც 5-6 ლიტრს სვამდაო. როგორ ახერხებდნენ ამას, არ ვიცი. ამას ჰქვია დაწაფებით დაღება. კიდევ ერთი რიტუალი ჰქონდათ: მარანი რომ გაიღე-

ბოდა, ვიდრე ღვინის სმას შეუდგებოდნენ, ჯერ სანთელი უნდა აენთოთ და იქაურობა დაელოცათ, მერე აკრეფდნენ ყველაფერს და დიდ სუფრასთან გადაინაცვლებდნენ“ (ირმა ხარშილაძე, 2020. (ნ.დ), მოძიებულია: <https://kvirispalitra.ge/article/69991-erekle-mefis-mecikhovne/>)

ასე რომ, ღვინის სმას ცოდნა სჭირდება, თავისი წესი აქვს, – ესეც მენტალობის გამოვლინებაა, თაობიდან თაობებს გადასაცემი და პარადიგმაშიც მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. თამადის მთავარი იარაღი სუფრის გაძლოლისას სადღეგრძელოებად ჩამოყალიბებული სათქმელის ხატოვნება და სისხარტეა, ხოლო სადღეგრძელოს სათქმელის მთავარ თემას განავრცობს და ამკობს სათანადო იგავი, მითი, ლეგენდა, ლექსი, კაფია, სიმღერა და ცეკვა.

სადღეგრძელო ქართული სუფრის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია; იგი ლოცვის პირდაპირპროპორციულია, რაც სახელწოდებაშიც ჟღერდება: დღეგრძელობისათვის თქმული, სადღეგრძელო.

ქართულ სუფრას ხშირად მისტერიას უწოდებენ, ხოლო სადღეგრძელო ეს ერთგვარი ლოცვა, დალოცვაა, სუფრის თამადისა და წევრთაგან თქმული, რომელნიც, პირობითად, შესაძლოა, რამდენიმე კატეგორიად დავყოთ: ღვთის სადიდებელი, თავყრილობის მიზეზის, თავყრილობის წევრთა, აუცილებელი და თავისუფალი სადღეგრძელოები. თამადა, როგორც წესი, თავად განსაზღვრავს სადღეგრძელოთა თემატიკასა და თანამიმდევრობას, თუმცა არსებობს ტრადიციით ნაკარნახევი სქემა, რომელსაც ერთგულებენ თამადაები.

აკაკი წერეთელი „თორნიკე ერისთავში“ წერს, რომ ტრადიციული ქართული სუფრა მოზომილი, დაბალანსებული და დახვეწილი იყო; არსებობდა სამი აუცილებელი სადღეგრძელო, რომელიც ღვთის დიდებასა და მეფე-დედოფლის ხოტბას მოიაზრებდა და დასძენს: „ჩვენი ღვინი

რომ ენახათ, /სირცხვილითაც დაიწვოდნენო“, ეს მიანიშნებს, რომ ზოგჯერ ირღვევა ტრადიციები, რაც სამარცხვინო და მიუღებელია ქართველისათვის.

დიახ, ქართული სუფრა იწყება და მთავრდება ღვთის სადიდებელითა და წმინდა სალოცავების დალოცვით, ანუ სუფრას იწყებს და ასრულებს უფალი, მისი სახლი, ანუ ტაძარი და წმინდა სახლის ანგელოსი, როგორც მფარველი ოჯახური კერისა, რომელიც ქართველი კაცისათვის მთელ სამყაროს შეადგენს, ანუ ქვეყნის ძლიერების და მისი ამქვეყნად მოვლინების უმთავრესი ქვაკუთხედაა. ასე რომ, ღვინით შეისმება:

- ▶ უფლის სადიდებელი
- ▶ 365 წმინდა გიორგის სადღეგრძელო
- ▶ მშობლების სადღეგრძელო
- ▶ შვილების სადღეგრძელო
- ▶ მიცვალებულების სადღეგრძელო
- ▶ სიცოცხლის სადღეგრძელო
- ▶ მეგობრობის სადღეგრძელო
- ▶ საქართველოს სადღეგრძელო
- ▶ კახეთის სადღეგრძელო
- ▶ მოყვასის სადღეგრძელო
- ▶ სუფრის რიგითი წევრის სადღეგრძელო
- ▶ მასწავლებლის (ოსტატის) სადღეგრძელო
- ▶ სიყვარულის სადღეგრძელო
- ▶ ნეფე-დედოფლის სადღეგრძელო
- ▶ ქალების სადღეგრძელო
- ▶ ცოლების სადღეგრძელო
- ▶ ხელოვნების სადღეგრძელო
- ▶ სიკეთის სადღეგრძელო
- ▶ ვაზისა და ღვინის სადღეგრძელო
- ▶ წლის მოსავლის (ბარაქის) სადღეგრძელო
- ▶ ფუძის ანგელოზის სადღეგრძელო

სადღეგრძელოთა ეს ვრცელი ჩამონათვალი კარგად გამოხატავს ღვინის ფენომენალურობას, მის ფილოსოფიურ არსს – მას მხოლოდ ყველაფერი საუკეთესო, აღმატებული უნდა უკავშირდებოდეს.

ღვინოს მაგიური ძალა აქვს, ალბათ, ამ ასპექტის გამოხატულებაა ქვემოთ მოყვანილი ლექსი-სადღეგრძელოც:

**„გაგიმარჯოს გადღეგრძელოს
პური ღვინო დაგიძველოს
ცხრა უღელი ხარი მოგცეს,
გუთნეული გაგიგრძელოს
შვიდი შვილი ვაჟი მოგცეს
წვერი თეთრად დაგეფეროს
გაგიმარჯოს,
გადღეგრძელოს!“**

ციფრი შვიდი ხომ სამყაროს უნივერსალური იდეით ხასიათდება; 7 მუსიკალური ნოტი, 7 კვირის დღე და მაგიური შვიდეული, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის მეხსიერებას. შვიდიანი უძველესი დროიდან სრულყოფისა და სიმშვიდის რიცხვია. შვიდღიანი კვირა ჯერ კიდევ ძველმა ქალდეველებმა შემოიღეს და მალე დროის განზომილებად იქცა მცირე აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ბიბლიურ სივრცეში...

მათე მახარებელი აღნიშნავს გულმონყალების შვიდ ვალდებულებას: მშვიერთა დაპურება, მწყურვალთა სმევა, შიშველთა შემოსვა, უცხოთა შევრდომა, სნეულთა მიხედვა, პატიმართა მოკითხვა, მიცვალებულთა დამარხვა. ქრისტიანისთვის შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა და მათი წამალი – შვიდი სათნოება არსებობს: ამპარტავნება-სიმდაბლე, ანგარება-მონყალება, სიძვა-უმანკობა, მრისხანება – სიმშვიდე, ნაყროვანება – მარხულობა, შური – სიყვარული, სასონარკვეთილება – სასოება; ახალი აღთქმის მიხედვით

კი შვიდი საიდუმლო არსებობს: ნათლისღება, მირონცხება, ზიარება, სინანული, ზეთის კურთხევა, ქორწინება, მღვდლობა. არსებობს სულიწმიდის შვიდი ნიჭი: შიში ღვთისა, ღვთისმსახურება, ძლიერება, ზრახვა, მეცნიერება, გულისხმიერება, სიბრძნე. შვიდიანს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში: აზიის შვიდი ეკლესია, რისხვის შვიდი თასი შვიდი ბეჭდით დაბეჭდილ წიგნში, კრავი შვიდი რქით და შვიდი თვალით, შვიდი ანგელოზი საყვირებით, წითელი გველეშაპის შვიდი თავი და შვიდი ჯილა. ლუკას სახარებაში ნახსენებია მარიამი, მაგდალინელად წოდებული, რომლისგანაც შვიდი ეშმაკი გავიდა.

რაც შეეხება ციფრს 9, ის, ალბათ, უკავშირდება ცხრა ნეტარებას, რომელსაც ქრისტიანულ საქმიანობაში უდიდესი ადგილი უჭირავს (n.d), მოძიებულია: <https://www.google.com/search?q=%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%93%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98+%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%90+%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98&oq=&aqs=chrome.1.69i59i450l7j46i3i143i362.57999j0j1&sourceid=chrome&ie=UTF-8>).

ამდენად, სწორედაც ღვინო – ღვთისაგან ბოძებული მადლი, ანიჭებს სადღეგრძელოს ღვთიურ ძალას.

თავი VII

მედიცინაში ვაზითა და ღვინით წარმოჩენილი

ეროვნული მენტალოზა

ვაზი და ღვინო მრავალნახნაგოვანია და ამიტომაც სხვადასხვა კუთხით შეიძლება შეხედოს და იკვლიოს ადამიანმა. მაგრამ, ჩვენი აზრით, მთავარი ისაა, რომ ვაზი მზის დაუშრეტელი ენერჯის დამაუნჯებელ ცოცხალ ორგანიზმს წარმოადგენს, ხოლო ღვინო ამ ენერჯის კაცობრიობისათვის გადაცემის ეფექტური საშუალებაა, ვაზი – სიცოცხლის ხეა.

ვაზი მზის შვილია, კარგად რომ დამნიფდეს, იგი მზისთვალთ უნდა აივსოს. ქართველთა წარმართული მზის ღვთაების საკულტო მცენარეა ვაზი, მის არსს, მას განასახიერებს...

ყურძენში მზის ენერჯიები კონცენტრირდება და ადამიანებზე გადმოდის. ვაზი მზის შვილია და ამიტომ გვერდით არაფერი არ უნდა დავურგათ. ყურძნის მტევნისგან დაწურული და დაყენებული ღვინოც საკრალურია, ღვთაებრივი და მისი ზომიერი მოხმარება კულტურის ნაწილია. ერთხელ, სადღესასწაულო წირვის შემდეგ, ტრაპეზისას, ალავერდელმა მიტროპოლიტმა დავითმა ბრძანა, რომ „პატიოსანი ღვინო“, გლეხის პატიოსანი, მუხლჩაუხრელი შრომით მოყვანილი, პატიოსნად და ზომიერად უნდა დაილიოს. მისი დიდი რაოდენობით მოხმარება შეურაცხყოფაა მისივე საკრალური არსის. დოზირებული ღვინო ქართველი კაცის ცხოვრების ნაწილი იყო ოდითგანვე, ლხინისა და ჭირის თანმდევი, მარგებელი, ყოფითობის გამფერადებელი და შემამსუბუქებელი, უფალთან სიახლოვის მედიატორი...

ქართული სუფრაზე ღვინის მიღების ტრადიციული ჭურჭელია ყანწი, რომელიც ჯიხვის ან სხვა რქიანი ცხოველის რქისგან მზადდება, ტრადიციულად, ყანწს სუფრაზე

ჩამოატარებენ და სუფრის ყველა წევრი მცირე ულუფით ღვინოს მიირთმევს. ადვილად შესამჩნევია მსგავსება ზიარების რიტუალთან, სადაც ერთი ჭურჭლიდან ხდება მორწმუნეების ზიარება; ქართული სუფრაც ამგვარ ერთობას ადგენს სუფრის წევრებს შორის და ისინი ერთმანეთის თანაზიარნი ხდებიან.

ღვინოს სვამდნენ ჭირშიც და ლხინშიც, სვამდნენ სამკურნალოდ და მხნეობის მოსამატებლად, სვამდნენ ურთიერთობის დასამყარებლად და მეგობრობის განსამტკიცებლად, ამა თუ იმ საქმის წამოწყების თუ კეთილად დასრულების, დაბადების დღის, ქორნილის თუ ნებისმიერი დღესასწაულის აღსანიშნავად, სვამდნენ დიდ ნადიმებზეც და საოჯახო სადილებზეც (ქართული ღვინო და სამზარეულო, 2015:

[https://www.google.com/search?q=%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98+%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D+%E1%83%93%E1%83%90+%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%9D&oq=&aq=s=chrome.0.69i59i450i8.9825j0j1&sourceid=chrome&ie=UTF-8\).](https://www.google.com/search?q=%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98+%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D+%E1%83%93%E1%83%90+%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%9D&oq=&aq=s=chrome.0.69i59i450i8.9825j0j1&sourceid=chrome&ie=UTF-8))

ღვინოს მრავალმხრავი დანიშნულება თავად ხალხმა მიანიჭა. წითელ ღვინოს ოდითგან ასმევდნენ ჩვილ ბავშვებს ბოლინოს, ანუ ღვინოში ჩამბალი პურს. ამ ბოლო დროს კი მივიდნენ დასკვნამდე, რომ სწორედ წითელი ღვინო (ზომიერად მიღებული) იცავს ადამიანს გულსისხლძარღვთა დაავადებებისაგან და გულის ინფარქტით გამოწვეულ ნაკლებ სიკვდილიანობას განაპირობებს. განსაკუთრებულად ყურძნის მაგარ ნაწილებზე დადულებულმა საფერავმა და კახურმა ღვინომ მიიპყრო მედიკოსების ყურადღება. ღვინის ეს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია მის მრავალმხრივ სამკურნალო-პროფილაქტიკურ თვისებებს უკავშირდება.

მედიცინა ცალკე სახელწოდებასაც კი არქმევს ღვინით მკურნალობას – ენოთერაპია – სიტყვას, რომლის ფორმალურ მხარეშიც კი ჩანს, რომ მისი შინაარსი ასოცირებულია ღვინოსთან და მედიცინასთან (ენო – ბერძნულად ნიშნავს „ღვინო“).

ღვინის მედიცინაში გამოყენებას თუ გადავავლებთ თვალს, აშკარა გახდება, რომ არც ეს სფეროა დარჩენილი ქართული მენტალობის მიღმა და ცალსახად წარმოაჩენს ქართველის დამოკიდებულებას ვაზის/ღვინის მოვლა-პატრონობის, მოფრთხილების აუცილებლობას, რაც ვაზისა და ღვინის ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის ძირითადი შემადგენელია. ამდენად, სხვა სფეროების (გასტრონომია, ხელოვნება...), მსგავსად, მედიცინაც ხაზგასმით გვავალდებულებს, რომ ჩვენი ერისათვის ეს მცენარე უბრალოდ მცენარე კი არა, არამედ ჯანის სიმრთელის, ერის გადარჩენის, მარადიულობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების შესაძლებლობაა, რომ ვაზი (მისი პროდუქტები) ქართველისათვის ღმერთის ტოლფასია, რომ მისი მოფრთხილება და სწორად გამოყენების ცოდნა თაობებისათვის სასწავლია. ამას მონშობს, თუნდაც, ილია ჭავჭავაძის სპეციალურად ვაზისადმი მიძღვნილი წერილებიც: „ჩვენი მევენახეობისა და მეღვინეობის საჭიროებანი“ (1886-1887წწ.); „ვაზის სნეულებანი“ (1889წ.); „ვენახების წამლობის შესახებ“ (1890წ.)...

მედიცინის ისტორიაში რამდენიმე მნიშვნელოვანი პერიოდი გამოიყოფა, რომელთაგან უძველესია ბერძნულ-რომაული ანუ ელინისტური ხანა, შემდეგ ბიზანტიური, რომელსაც მოსდევს ისლამური ხანა და ბოლოს გარდამავალი პერიოდი, რომელიც XIX საუკუნის 60-იან წლებამდე გრძელდება. უძველესი მედიცინის მიღწევები სხვადასხვა წყაროთა საშუალებით საქართველომდეც აღწევდა. ძირითადად კი, „სასულიერო მწერლობის ნიმუშების თარგმანების მეშ-

ვეობით შემოდიოდა. ესენია, უპირველესად, V-XVIII საუკუნეებში გადანერილი ძველი და ახალი აღთქმის ქართული თარგმანები, ქრისტიანულ ფილოსოფიური და სასულიერო ტექსტები“... (სამედიცინო და ვეტერინარული ხელნაწერები საქართველოსა და უცხოეთის სიძველეთასაცავებში, 2022).

უძველესი სამედიცინო ცნობები შემონახულია ქართულ სამედიცინო ენციკლოპედიურ წიგნებსა და კარაბადინებში. უპირველეს სამედიცინო შინაარსის შემცველ წიგნად მიჩნეულია ქანანელის „უსწორო კარაბადინის“ ხელნაწერი Q.26 (XIII ს.), რომელიც დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. „უსწორო კარაბადინი“, სხვა კარაბადინების მსგავსად, კომპილაციური თხზულებაა. შემდგენელს მისთვის „უსწორო“ ანუ სწორუპოვარი მისი უნიკალურობის გამო უწოდებია.

ასევე ენციკლოპედიური ხასიათისაა ხოჯაყოფილის „წიგნი სააქიმოჲ. „კარაბადინებს შორის უნიკალურია ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი“. ავტორი ლიტერატურულ წყაროდ იყენებს ძველ სამედიცინო ძეგლებს, დღემდე უცნობ ქართულ სამედიცინო წიგნებს. მასში თითქმის მთლიანადაა შეტანილი „უსწორო კარაბადინი.“

ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილს უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ძველი ქართული მედიცინის ისტორიაში. „ის ჯერჯერობით ძველი დროის ერთადერთი ქართველი ექიმი-მეცნიერია, რომლის ავტორობა „სამკურნალო წიგნზე“ და ბიოგრაფიული მონაცემები ეჭვს არ იწვევს. იგივე არ შეიძლება ითქვას „უსწორო კარაბადინისა“ და „წიგნი სააქიმოჲს“ ავტორებზე ქანანელსა და ხოჯაყოფილზე“ (ფანასკერტელი-ციციშვილი, 1986).

ქართული სამედიცინო ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს ძეგლადაა მიჩნეული ლუარსაბ პირველის ვაჟის, დავით ბაგრატიონის(XVI ს.), იგივე დაუდხანის მეცნიერულ-პოპულარული ნაშრომი „იადიგარ დაუდი.“

ღვინით მკურნალობის ფართო სპექტრია წარმოდგენილი ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებულ კარაბადინებში, მათში ვხვდებით ღვინოზე დამზადებული სამკურნალო საშუალებების სხვადასხვა ფორმას – **შინაგანი და გარეგანი გამოყენების წამლებს, მალამოებს, საფენებს...**

ქართულ კარაბადინებში ღვინით მკურნალობის ეფექტური, საინტერესო და მარტივი რჩევებია. მაგალითად, **სასუნთქი გზების დაავადებისას** ქანანელი გვირჩევს: „ნისქვილისა ქვა გაახურვე და ღვინოში ჩააგდე და თავი ზედა წაიშვირე და დაიბერე, რომ ბუხარი ცხვირშიგა შევიდეს.“ ზაზა ფანასკერთელი-ციციშვილი იმავე პრობლემის მოსახსნელად ღვინის ნაცვლად ძმარს გთავაზობს: „თუ კაცსა სენი ცხვირშიგა შეექმნას,... მისი წამალი ესე არის რომე ხელსაფქვავი გააცხელოს, ზედა ძმარი დაასხას და ესე იორთქლოს“ (ზაზა ფანასკერთელი-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი კარაბადინი, II, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1988: 361). „სამკურნალო წიგნში“ არერთგზის ვხვდებით ღვინისა და ძმრის მონაცვლეობას. **„სხუა წამალი კბილისა, რომე იძვროდეს და ჯანგი ეკიდებოდეს**,-აიღე: ტენცო და ლუინითა კარგად აადუღე. ისი ლუინო პირშიგა დაიჭიროს და ერგოს“ (ზაზა ფანასკერთელი-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი კარაბადინი, II, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1988:372). სადღეისოდ ენომედიცინაში ღვინოს ხშირად იღენებენ გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალოდ. ეს მეთოდები არერთგზის დასტურდება ქართულ კარაბადინებში და მათ შორის ზაზა ფანასკერთელ-ციციშვილთან. მაგალითად, **გულის ტკივილი, რომე სიგრილისაგან იყოს**,- ცოტა მუშკი და უდი ცოტა-ცოტა, და ცოტა ამბარიცა კარგისა ძლიერსა ღვინოს შიგან გალესონ და შეასონ“(ზაზა ფანასკერთელი-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი კარაბადინი, II, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1988:466).

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში, და არამხოლოდ

საქართველოში, ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ, სამედიცინო საქმე ეკლესიის პრეროგატივას შეადგენდა. ამის დასტურად რამდენიმე ფაქტის დასახელებაც იკმარებდა. V საუკუნეში დიდი ქართველი მოღვაწის, პეტრე იბერიის ხელმძღვანელობით იერუსალიმში აუგიათ საავადმყოფო. ასევე, „სასნეულო“ არსებულა ათონზე „ივერთა“, მონასტერშიც. მემატეანეთა ცნობით, დავით აღმაშენებლის ინიციატივით „სასნეულო“ გელათშიც გახსნილა.

ყოველივე ამის შემდეგ გასაკვირი არ უნდა იყოს ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში დაფიქსირებული სამედიცინო ცნობები. „შეიძლება ითქვას, რომ ყველა ქართველი წმინდანი: წმინდა ნინო, წმ. შუშანიკი, ცამეტი ასურელი მამა, მსოფლიოში სახელგანთქმული ილარიონ ქართველი, გრიგოლ ხანძთელი, ათონელი მამები-მკურნალებიც არიან. მათ მიერ მოხდა საქართველოს ეკლესიაში სამედიცინო ტრადიციების დაფუძნება“ (ეგეტაშვილი, 2017).

იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“ საინტერესო სამედიცინო ინფორმაციას იტევს. თხზულებიდან ჩანს, თუ რაოდენ კარგად ერკვევა ავტორი დაავადებათა სიმპტომებსა და სამკურნალო საშუალებებში. მაგალითად, „სალბუნი“ (მაღამო); კეთრი, რომელიც „განბორებად“ იხსენიება. შუშანიკმა განკურნა სპარსი დედაკაცი, „რომელსა განბორებისა სალმობაჲ აქუნდა“.

საგულისხმოა, რომ ქრისტესთვის წამებულები ფლობენ სნეულთა განკურნების ღმრთისგან ბოძებულ უნარს. ეს უნარი უპირველესად ლოცვით დასტურდება. ქრისტეს „ტარიგები“ სნეულებს ლოცვით კურნავდნენ, რაც გარკვეულწილად უფლისგან დაშვებულ სასწაულად აღიქმებოდა და მათ წმინდანად აღიარებასაც უწყობდა ხელს.

ხაზგასასმელია, რომ ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში ღვინით მკურნალობის ტრადიციას წმინდანები არ მიმართავენ. თუმცა, თხზულების ავტორები ფლობენ ცოდნას

ღვინის მაგიური ძალის შესახებ. ეს ჩანს, თუნდაც, „შუშანიკის წამებაში“. დაუძღვრებულ, დასუსტებულ შუშანიკს იაკობი მოსალონიერებლად ღვინოში ჩანობილ პურს სთავაზობს. ამ ეპიზოდს ამგვარი დატვირთვაც უთუოდ აქვს. სასულიერო პირთა მიერ წყალგარეული ღვინის მიღების დასტურიც ამ მოტივით უნდა იყოს განპირობებული.

ანტიკური დროიდან მოყოლოებული ტრადიციული მედიცინის ყველაზე **პოპულარულ სამკურნალო საშუალებად ღვინო და ყურძნის პროდუქტები ითვლებოდა**. საგულისხმოა, რომ ოდითგანვე უპირატესობა ენიჭებოდა **წითელ ღვინოს**. ბუნებრივია, ამას განაპირობებდა მისი გემური და სამარგებლო თვისებები. ისიც უნდა გავისხენოთ, რომ „წითელ ღვინოს სვამდნენ მაცხოვარი და მოციქულები სერობაზე. საეკლესიო მსახურებაზეც ბარძიმში წითელი ღვინო ისხმება. საზოგადოდ, ანტიკურ ქვეყანაშიც, ძველი აღთქმის ისრაელის ქვეყანაშიც სასამელადაც წითელი ღვინო იყო მიღებული. იმხანად თეთრ ღვინოს საერთოდ არ იყენებდნენ. სხვათა შორის, ძველ საბერძნეთსა და რომში არც სუფთა ღვინოს სვამდნენ – მას უთუოდ წყლით აზავებდნენ. გალილეის კანაში უფალმა წყალი წითელ ღვინოდ აქცია“. ალბათ, ამიტომაც აღარაა სადავო, თუ რა განაპირობებს წითელი ღვინის უპირატესობას ხალხურ და ტრადიციულ მედიცინაში.

უძველესი სამედიცინო წიგნები მონიშნავენ, რომ საქართველოშიც ოდითგანვე არსებობდა წითელი ღვინით მკურნალობის ტრადიცია. მაგალითად, ქართველი კაცისთვისაც **წითელი ღვინო იყო „სისხლი ჭიქაში“**, რომლის ზომიერი მიღება იყო საწინდარი ანემიისგან თავის დაღწევის, გულს-სისხლძარღვთა დაავადებებისაგან გათავისუფლების, ფილტვების, კუჭ-ნაწლავისა და სისტემური დაავადებებისგან განკურნების და ა.შ.

„ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად, წითელი ღვინო ამ-

ცირებს ონკოლოგიურ დაავადებათა განვითარების რისკს...
ნითელ ღვინოში შემავალი ნივთიერებები სიმსივნურ უჯრედებს ანადგურებენ, მათივე ზემოქმედებით ფერხდება სიმსივნურ წარმონაქმნში სისხლძარღვების განვითარება-ჩაზრდის პროცესი, რის გამოც სიმსივნური წარმონაქმნი კვდება... ნითელი ღვინო, როგორც სამკურნალო საშუალება, განსაკუთრებულ ეფექტს ავლენს სისხლის, კანისა და სარძევე ჯირკვლის კიბოს დროს.

<https://mkurnali.ge/skhvadaskhva/mkurnalobis-methodebi/14548-enotherapia-anu-ghvinith-mkurnaloba.html>

მეტად საინტერესო ფაქტებსა და მოვლენებს გვანვდის უამრავი არაქართული წყარო და არაერთი ქვეყნის კულტურა. „ღვინის თერაპიის მარგებლობის შესახებ წარწერები შემონახულია ეგვიპტეში პლა-ხოტეპის (ძვ.წ. IV ათასწლეული) საფლავის ქვაზე. მსგავსი წარწერაა ნაპოვნი ქ. ნიპურის გათხრებისას, რომელიც ძვ. წ. III ათასწლეულით თარიღდება. ჩვენი შორეული წინაპრის, მედიცინის მატრიარქის-მედეას (ძვ.წ. XIV ს.) სამკურნალო 40-მცენარიან ნუსხაში ვაზიც მოიხსენიება. ჰიპოკრატე (ძვ.წ.372-287 წწ.) ღვინოს კომპრესების სახით იყენებს ჭრილობათა და რევმატული ტკივილების მოსაშუშებლად და ა.შ. ღვინოს სამკურნალო დანიშნულებით ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე რომ იყენებდნენ ამას ბევრი ისტორიული წყარო მოწმობს“ (ღვინით მკურნალობა, ანუ როგორ ვიცოცხლოთ დიდხანს. მოძიებულია:

<https://agrokavkaz.ge/agroplus/ghvinith-mkurnaloba-anu-rogor-vitsotskhloth-didkhans.html>

ყურძნით ან მისი წვენიტ მკურნალობის მეთოდს **ამპელოთერაპია** ეწოდება [ბერძნ. ampelos-ყურძენი (ვაზი), therapeia – მკურნალობა). ამპელოთერაპია **დიეტოთერაპიის** ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მეთოდს წარმოადგენს.

„ყურძენი შეიცავს ფლავონოიდებს, შაქარს – გლუკოზას, ღვინისა და სხვა ორგანულ მჟავებს, მინერალურ ნივთიერებებს: ფოსფორს, კალციუმს, კალიუმს, რკინას, ცილოვან ნაერთებს, პექტინს, A, B1, B2, B6, C და P ვიტამინებს. **ყურძენი აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას, აღადგენს ძალღონეს, არის შარდმდენი და საფალარათო საშუალება, იყენებენ ანგინის, პირის ღრუს წყლულისა და ხველების სამკურნალოდ, ხელს უშლის ათეროსკლეროზის განვითარებას და ქოლესტერინის დაგროვებას.**

ფენოლის წყალობით ყურძენი საუკეთესო ანტიოქსიდანტია. მისი წვენი ხელს უშლის **თრომბის წარმოქმნას** (1℔ჭ ყურძენის წვენი 75%-ით ამცირებს თრომბოციდების დონეს). კალიუმი, რომელსაც ყურძენი შეიცავს, **გულის კუნთებს მატებს ტონუსს**, ხელს უწყობს სისხლში ქოლესტერინის დონის შემცირებას, ამიტომ ის რეკომენდებულია გულით დაავადებულთათვის, ყურძენი ხელს უწყობს ერთოციტების წარმოქმნას, ამადლებს ჰემოგლობინის დონეს, ანტიმჟანგავების წყალობით აუმჯობესებს სახის ფერს, აფერხებს ნაოჭების გაჩენას“

ენოთერაპია, ანუ ღვინით მკურნალობა, უძველეს და უნიკალურ ნატურალურ სამკურნალო საშუალებად ითვლება არა მხოლოდ საქართველოში, ეს სფერო სწრაფი ტემპით ვითარდება მსოფლიოში. ტერმინი „ენოთერალია“ 1994 წელს ფრანგმა ექიმებმა შექმნეს. საფრანგეთში, ბორდოს პროვინციაში, XX საუკუნეში გაიხსნა **მსოფლიოში პირველი ენოთერაპიული ცენტრი, სადაც პაციენტებს მკურნალობენ ღვინის და ვაზის აბაზანებით, ღვინის ნიღბებითა და დაფქული ნიჰნებით...**

ენოთერაპია სადღეისოდ საფრანგეთის გარდა დიდი პოპულარობით სარგებლობს მევენახეობა-მეღვინეობის ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: საფრანგეთი, იტალია, საბერძნეთი... ენომედიცინა აღიარებული დარგია ამერიკაში,

აფრიკასა და აზიაში.

1999 წელს ლონდონში გაიხსნა უდიდესი და მუდმივმოქმედი გამოფენა, რომელსაც „ვინოპოლისი“ (ღვინის ქალაქი) ეწოდება, ქართული პავილიონით იწყება სახელწოდებით – „ღვინის აკვანი“.

ქართული პავილიონის ეს სახელწოდება – „ღვინის აკვანი“ – საჯარო აღიარებაა იმისა, რომ საქართველოში, უძველესი ვაზის კულტურის, მევენახეობა-მეღვინეობის 8000 წლიანი ისტორიის მქონე ქვეყანაში, სადაც ვაზი იყო ეკონომიკური სიძლიერის წყარო, ენოთერაპიულ მკურნალობას ძველითგანვე სხვადასხვა ფორმა და სახე ჰქონდა.

ეთნოგრაფიული მასალითაც დასტურდება, რომ ერთ-ერთი უძველეს ნატურალურ სამკურნალო საშუალებად საქართველოში ღვინო ითვლებოდა. ღვინით მკურნალობის განსხვავებული მეთოდები არსებობდა. მაგალითად, სამკურნალოდ გამოიყენებოდა როგორც სუფთა, ასევე „წყალგარეული ღვინო“, „დადაღული“ (გავარგარებულ ნახშირს აგდებდნენ ღვინოში) ან „მოხარშული“; ცნობილია, რომ ასეთი ღვინო მხოლოდ ალკოჰოლს კარგავს, სხვა ღირებულებებს კი ინარჩუნებს.

ანგარიშგასაწევია სამკურნალო მიზნით ღვინის მიღების ფორმებიც. ექსპერტები სხვადასხვა დაავადების პრევენციისა და მკურნალობისათვის სხვადასხვა სახის ღვინოებს განსხვავებული მიღების წესებით გვთავაზობენ:

„1) პილონეფრიტებს უხდება თეთრი სუფრის ღვინოები, რომელთაც შარდმდენი თვისებები აქვთ;

2) მშრალ წითელ ღვინოებს ორგანიზმიდან რადიონუკლიდები გამოაქვს;

3) ძალ-ღონის განლევასა და დეპრესიას შამპანურითა და მაღალკალორიული ღვინოებით მკურნალობენ;

4) უძილობისას კარგია ერთ ჭიქა ბორჯომში გარეული ერთი მეოთხედი (1/4) ჭიქა მშრალი ღვინო ან კიდევ ერთი

სირჩა კონიაკისა და მინერალური წყლის ნარევი;

5) ათეროსკლეროზის დროს შესანიშნავია დღეში 2 ჭიქა თეთრი ნატურალური ღვინის დაღვევა;

6) გრიპის, პნევმონიის დროს ძილის წინ თითო – თითო ჭიქა შაქრით დამტკბარი წითელი ღვინო უნდა მივირთვათ.“

<https://mkurnali.ge/skhvadaskhva/mkurnalobis-methodebi/14548-enotherapia-anu-ghvinith-mkurnaloba.html>

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ ენოთერაპიაში ჭარბობს წითელი ღვინის რეკლამა, თეთრიც არანაკლებ მნიშვნელოვანია.

„ღვინის მოყვარულები, უფრო სწორად, სისტემატურად მსმელები, თავიანთი მავნე ჩვევისა თუ ქცევითი დამოკიდებულების გასამართლებლად ხშირად ღვინის მარგებლობას ასახელებენ და ოთარ რამიშვილის ნამღერსაც არ ივინწყებენ:

„ღვინო... ღვინო...

ეს ბახუსის სითხე,

სამკურნალოაო,

ექიმებმა მითხრეს!“

ეს ღიმილით, სასიმღეროდ, მაგრამ არა მენტალურად!..

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ერთადერთი სწორი პასუხი კითხვაზე

– მავნებელია თუ არა სმა?

– არა! ოღონდ, თუ ზომას არ გადახვალთ!

<https://mkurnali.ge/skhvadaskhva/mkurnalobis-methodebi/14548-enotherapia-anu-ghvinith-mkurnaloba.html>

მრავლისმთქმელია ქართული ანდაზა – **„ღვინით გალახულს ჯოხით გალახული სჯობიაო.“** დიახ, „ჯოხით გალახულს“ გადარჩენის მეტი შესაძლებლობა აქვს, ვიდრე „ღვინით გალახულს“. ზედოზირება ადამიანში კლავს ყოვე-

ლივე ადამიანურს და სერიოზულ საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ალკოჰოლის ხშირი და გადაჭარბებული მიღება ინვეეს და განსაზღვრავს ფსიქიკურ და სომატურ გამოვლინებას. ალკოჰოლიზმის საფუძველზე შესაძლებელია, განვითარდეს ფსიქოზი. ამ დროს ირღვევა ძილი, იწყება კომპარები. შესაძლოა, აღმოცენდეს ალქმის ხანმოკლე ილუზიები: ნახატები „გაცოცხლდნენ“, გაჩნდეს სმენითი და მხედველობითი ილუზიები, არარსებული საგნები და მოვლენები. ალკოჰოლური ჰალუცინაცია ალკოჰოლოური ფსიქოზის ყველაზე ხშირი ფორმაა თეთრი ცხელების შემდეგ.

ალკოჰოლიზმს ასევე ახასიათებს ალკოჰოლური პარანოია და ალკოჰოლური ბოდვითი ეჭვიანობა (მედიცინის დიდი ცნობარი, 2016).

ძველბერძენი მოაზროვნე პლატონი ამტკიცებდა – ღვინო მოხუცებულთათვის რძეაო! მეცნიერებამ დაადასტურა ამ აზრის ჭეშმარიტება!

კვლევებით დადგინდა, რომ ყოველდღიურად 100-200 მლ. სუფრის ან მშრალი ღვინის დალევა 70%-ით ამცირებს ინსულტის განვითარებისა და ინსულტის წინა მდგომარეობის ჩამოყალიბების რისკს.

ღვინის მარგებლობა-მავნებლობა დამოკიდებულია როგორც მის ხარისხზე, ასევე – ულუფაზე!

<https://mkurnali.ge/skhvadaskhva/mkurnalobis-methodebi/14548-enotherapia-anu-ghvinith-mkurnaloba.html>

ყოველივე ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმ დიდაქტიკაზე, რომ ღვინის მოხმარებას ცოდნა და ზომიერება სჭირდება...

პოლოტიკა

გარკვეულ კონცეპტუალურ მინიშნებად გვესახება ის ფაქტი, რომ ქართველმა ერმა თავად „ვაზისა“ და „ღვინის“ სადღეგრძელოები შექმნა, რომელთა შინაარსი, უდავოდ, აგვირგვინებს მათი მარადიულობის, ეროვნული მენტალობის, ქართველ ერთან ვაზისა და ღვინის ერთსულხბორცობის ჭეშმარიტების არსს...

დღეგრძელობას თავდაპირველად „ლოცვა“ ერქვა, შემდეგ „სადღეგრძელო“ ეწოდა. დღემდე ცოცხლობს რწმენა, რომ ღვინით დალოცვას დიდი ძალა აქვს და იგი წარმოადგენს ეკლესიაში წარმოთქმული კვერექსების (მოკლე ლოცვების) შეცვლილ სახეს, საერო სუფრაზე სადღეგრძელოებად გადმოსულს (ლეკიაშვილი ა. 1972; კიკნაძე, ზ. 2010).

სიტყვა „სადღეგრძელო“ ნიშნავს: **„ამქვეყნად დიდხანს საარსებოდ, დიდხანს დასარჩენად“** (სადღეგრძელოდ/სადღეგრძელოთ). ძველ ქართულ ტექსტებში ვკითხულობთ: „ამ წყალობას ვითხოვ თქვენ სადღეგრძელოთ“...; „თქვენს გასამარჯვებლად, მეფის ერეკლეს სადღეგრძელოთ სამართალი მალირსეთ“...

ღვინისა და სადღეგრძელოს ერთმთლიანობას კი მკაფიოდ უსვამს ხაზს ეკატერინე პირველის მიერ ვახტანგ მეექვსის დალოცვის (XVIII ს.) ტექსტი:

**„მეფევ, ეს არს სადღეგრძელო, რომელსა ვსვამ შენთვის
სურით,
ღმერთმან მოგცეს აქ სიმართლე, იქ გამყოფოს ნათლად
სულით...“**

(ბრეგაძე ლ, 2010).

საკამათო აღარაფერია, ყველა ვრწმუნდებით, რომ ადამიანებმა მომავალშიც სწორედ ღვინით, ამ ღვთიური სითხით, უნდა ვადღეგრძელოთ ერთმანეთი, ვუსურვოთ ერთმანეთს გამარჯვებით ყოფნა, დიდხანს სიცოცხლე, ჯანის

სიმრთელე, ხვაკი და ბარაქა, კეთილდღეობა..., ყოველივე ამით კი კიდევ ერთხელ ცხადდება ღვინისა და ვაზის გარეშე ქართველი ერის ყოფნის შეუძლებლობა..., **ალბათ, ამიტომაც შევექმენით მათ სადღეგრძელოდ სადღეგრძელოები:**

„ქართველი კაცისათვის ვენახი და ღვინო მისი განუყოფელი საარსებო საშუალება, სარჩო და საბადებელია. ქართველ კაცს ვენახისა და ღვინის გარეშე არც უცხოვრია და ვერც იცხოვრებს. ოჯახში ბავშვის გაჩენას ღვინით აღნიშნავენ, ქრისტიანულ რწმულზე მონათვლაც ღვინის გარეშე არ მოხდება. ჯვრისწერას და ქორწილსაც ქართული ღვინო ამშვენებს! რომელი ქართველი გაითენებს უღვინოდ შობას, ახალ წელს, გინდა აღდგომას! ჭირისუფალმა მიცვალებული საიქიოს აუცილებლად ღვინით უნდა გააცილოს და სული უხსენოს! მოკლედ, ყოველივე ამის თავის დამდგმელი, აზრის მიმცემი არის სასწაულმოქმედი ქართული ღვინო – ჩვენი მოსაფერებელი და ჩვენი მარჩენალი, ცოცხლისა და მკვდრის მიმხედავი.

ამიტომ უნდა ვადღეგრძელოთ ქართული ღვინო:

ღმერთმა შეარგოს იგი სრულიად საქართველოს! ქება და დიდება არ მოჰკლებოდეს მას! გამარჯვებული, ჯანმრთელი და ტანძლიერი ჰყოლოდეს მას მისი მომვლელი – ქართველი ერი. ამინ!“

(დ. ცინცაძის სადღეგრძელო (ციტ. ი. კვესელავა და სხვ. 2008).

„როდესაც წმინდა ნინომ შემოიტანა ქრისტიანობა საქართველოში, მას მოჰქონდა ვაზისაგან გაკეთებული ჯვარი, ორი ტოტი, დამაგრებული თავისი თმით. როდესაც გვიპყრობდნენ, პირველი, რასაც აკეთებდნენ, ჩეხავდნენ ვენახებს, რადგან ღვინო განასახიერებს ქართულ სულს. ღვინო დაგვეხმარა, შეგვენარჩუნებინა ქართული ფსიქოლოგია მუდმივი დაპყრობების პირობებში. ის ჩვენი ცხოვრების

განუყოფელი ნაწილია... ოქტომბერს ჩვენ ღვინობისთვის ვეძახით. ჩვენ ღვინით ვემშვიდობებით გარდაცვალებულს და ვესალმებით ახალშობილს. ჩვენ ღვინით ვუხსნით სიყვარულს. **გაუმარჯოს ღვინოს!**" (ჩოლოყაშვილი, 1995).

მონოგრაფიას დავასრულებთ ყველსათვის საყვარელი მწერლის გიორგი ლეონიძის მიმართვა-სადღეგრძელოთი. მისი, როგორც რიგითი ქართველის, სადღეგრძელო ასე უღერს:

„ნახეთ, იგემეთ ჩვენი ისტორიული მიწის წვენი, ჩვენი სისხლითა და ოფლით მონაპოვარი ქართული ღვინო, ჯანში შეგერგოთ, ტკბილი სიტყვა გათქმევინოთ ძმობისა და მშვიდობისათვის! დაე, ჩვენი ღვინის მადლით დალოცვილიყოს ხალხთა ძმობა, ბედნიერება და მზეგრძელობა!

დაე, მშვიდობიანი ცის ქვეშ ჰყვაოდეს მუდამ ქართული ვაზი!

<http://vinoge.com/istoria/qarTuli-vazi-qarTuli-Rvino>



ლიტერატურა:

1. ამირეჯიბი, რ. (2005). კონცეპტი და მეტაფორული აზროვნება (შიშის ველის მაგალითზე): ფილოლოგიის ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, თსუ, თბილისი.
2. ასათიანი, ლ. (1978). ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა ქართულში. თბილისი. გამომც. „მეცნიერება“.
3. ბაგრატიონი, ვახუშტი. (1941). აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი.
4. ბარდაველიძე, ვ. (1951). ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. ტ. 5. თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. გამომც. „მეცნიერება“.
5. ბერიაშვილი, თ. (2016). ლინგვოკულტუროლოგიურ კონცეპტ „ღვინის“ ლექსიკურ-სემანტიკური ასპექტები ქართულ და ფრანგულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში. დისერტაცია ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.
6. ბრეგაძე, ლ. (2010). სიტყვა „სადღეგრძელო“ ძველ ქართულ წერილობით წყაროებში: გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი. თბილისი. გამომცემლობა „ინტელექტი“.
7. გაბუნია, ლ. (2010). „ვაზო შვილივით ნაზარდო“. თბილისი
8. გელდიაშვილი, ნ. (2023) ეროვნული სურათის წარმომჩენი ეთიკურ-ზნეობრივი პარამეტრები ქართულში // „ენა და კულტურა“, VIII, სამეცნიერო შრომების კრებული; ISSN 1987-7323; E-ISSN 2720-7900; გამომცემლობა: „მერიდიანი“. <https://doi.org/1052340/lac>

9. გელდიაშვილი, ნ. ღვინის შეფასების პარამეტრები და მათში გამოხატული ქართული ეროვნული მენტალობა. „კულტურათაშორისი დიალოგები“ VII. შრომები. E-ISSN 2667-999X. ISSN:2233-3401. თბილისი, გამომც. „მერიდიანი“. <https://doi.org/10.52340/idw>
10. გოგიაშვილი, ნ. (2023), ანდაზის „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“ რეცეფცია ზოგიერთქართულ ხალხურ ზღაპარში. „კულტურათაშორისი დიალოგები“ VII. შრომები. E-ISSN2667-999X.ISSN:2233-3401.თბ. გამომც. „მერიდიანი“. <https://doi.org/10.52340/idw>
11. ეგეტაშვილი, ნ. (2017). მედიცინა ძველ სამყაროში (სალექციო კურსი), თბილისი.
12. ვაზი – სიცოცხლის ხე. (2010) კრებული. რედაქტორი თ. შარაბიძე. თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
13. თაყაიშვილი, ე.(1909). საქართველოს სიძველენი, ტ.II.
14. იმნაიშვილი, ივ. (1957). სახელთა ბრუნება და ბრუნვის ფუნქციები ძველ ქართულში. თბილისი. თსუ-ს გამომცემლობა.
15. კეცხოველი, ნ., რამიშვილი, მ., ტაბიძე, დ. (1960). საქართველოს ამპელოგრაფია. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.
16. კვაჭაძე, ლ. (1981). ნაწილი I, თბილისი. გამომცემლობა „განათლება“
17. კვესელავა ი., შარაშენიძე ა., დავითაძე ა. (2008). ქართული სუფრა, სადღეგრძელოები, თამადები, კოლორიტები. თბილისი.
18. კიკნაძე, ზ. (2010). ვაზი და ღვინო ხალხურ სიტყვიერებაში. ვაზი – სიცოცხლის ხე. თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
19. კოტეტიშვილი, ვ. (1934). ხალხური პოეზია. თბილისი.

20. კოტეტიშვილი, ვ. (1941). აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით.
21. კოშორიძე ე. (2005). მწერლის ენისა და სტილის საკითხები. თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“.
22. ლეჟავა, ლ., ცანავა, ა., ბარდაველიძე, ჯ. (1965). ხალხური სიბრძნე. (ტ. IV.,V). თბილისი. გამომცემლობა. „ნაკადული“.
23. ლომსიანიძე, ზ. (2013). ვენახი – გზა ადამიანიდან ღმერთამდე. ხელნაწერი საჯარო ლექციისა წაკითხული აგრარულ უნივერსიტეტში. თბილისი.
24. ლეკიაშვილი, ა. (1972). შენ ხარ ვენახი. თბილისი. გამომც. „საბჭოთა საქართველო“.
25. მაჭავარიანი, ნ. (2015). „ღვინო“ ლექსემის ეტიმოლოგიის ცდა. ენათმეცნიერული ეტიუდები“. თბილისი. გამომცემლობა „ინტელექტი“.
26. მახარაშვილი, ს. (2019). წმ. ნინოს ცხოვრება“. გზამკვლევი. თბილისი
27. მედიცინის დიდი ცნობარი, (2016). სამედიცინო ტერმინოლოგიისა და დავადებათა ენციკლოპედია, ტ.1, თბილისი, , გამომც.პალიტრა გ.
28. მეტრეველი, ლ. (1941). ანდაზები. თბილისი.საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტგამომცემლობა „საბლიტგამი“.
29. მირველაშვილი მაია., მალრაძე დავით. (2015). ვაზისა და ღვინის კულტურა საქართველოში. რედ. ლიანა ბერიაშვილი. თბილისი. ღვინის ეროვნული სააგენტო.
30. მროველი, ლეონტი (1955). ქართლის ცხოვრება (XI ს.). ტ. 1. სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბილისი.
31. ნანობაშვილი, ი. (1960). ვაზის ძველი კულტურა ქიზიყში ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით. თბილისი.
32. ომიაძე, ს. (2009). ქართული დისკურსის კულტურ-

ოლოგიური პარადიგმა. თბილისი.

33. ჟიჟავაძე, ა. (1999). საქართველო ვაზის სამშობლოა. ბათუმი.
34. რამიშვილი, მ. (1968). მევენახეობა კახეთში. ჟურნალი „ძეგლის მეგობარი“, №16.
35. სამედიცინო და ვეტერინარული ხელნაწერები საქართველოსა და უცხოეთის სიძველეთსაცავებში (2022). თამარ აბულაძისა და ლიანა სამყურაშვილის რედაქციით. თბილისი.
36. სირაძე, რ. (1992). ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა. თბილისი. უნივერსიტეტის გამომცემლობა.
37. სირაძე, რ. (1982). სახისმეტყველება. საუბარი ქართულ ესთეტიკაზე, თბილისი. გამომცემლობა „ნაკადული“.
38. სიჭინავა, ვ. (1960). მასალები მევენახეობისა და მეღვინეობის ისტორიისათვის საქართველოში. თბილისი. გამომცემლობა „განათლება“.
39. სონღულაშვილი, ჯ. (1974). საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიისათვის. თბილისი.
40. უმიკაშვილი, პ.(1937). ხალხური სიტყვიერება. თბილისი.
41. ფანასკერტელი-ციციშვილი, ზ. (1986). სამკურნალო წიგნი-უსწორო კარაბადინი, I. თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“.
42. ფანასკერტელი-ციციშვილი, ზ. (1988). სამკურნალო წიგნი-უსწორო კარაბადინი, II. თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“.
43. ფრუიძე, ლ. (1968). ღვინის დაჭამნიკება საქართველოში. „ძეგლის მეგობარი“, N16
44. ქანთარია, ვ., რამიშვილი, მ. (1948). „მევენახეობის სახელმძღვანელო“. თბილისი.

45. ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება. (1960) ნან-ილი პირველი, თბილისი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
46. ქართული ანდაზა (2013). შემდგენელი მ.მიქაძე. თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“.
47. ქართული ფოლკლორი, (1969). მასალები და გამოკვლევები III, თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“.
48. „ღვინის კანონმდებლობა/საქართველოს კანონი ვაზისა და ღვინის შესახებ“ (2008). თბილისი.
49. ღლონტი, ალ. (1988). ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბილისი. გამომცემლობა „განათლება“.
50. შავლაძე, თ. (2011). „არის თუ არა პოლინდრომი გამოცანა?“. კულტურათაშორისი კომუნიკაციები. №16. თბილისი
51. „შენ ხარ ვენახი“(2018) მეფე დემეტრე I ბაგრატიონის ჰიმნი, 2018:4.
52. შიოშვილი, თ. (2017). კლარჯული ფოლკლორი, თბილისი. გამომცემლობა „სეზანი“.
53. ჩიტაია, გ. (1968). ძველი ლეგენდები ვაზის კულტურის წარმოშობის შესახებ. ჟურნალი „ძეგლის მეგობარი“, №16, გვ. 9-11. თბილისი.
54. ჩოლოყაშვილი, კ. (1995). სადღეგრძელო. ჟურნალი „ვაზი და ღვინო“. №1-2. თბილისი.
55. ძიძიგური, შ. (1954). ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან. თბილისი. ენიმკის მოამბე.
56. წერეთელი, გ. (1947). სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია. მოხსენებათა კრებული №1. გვ. 46-48.
57. ჭავჭავაძე, ი. (1887). ღვინის ქართულად დაყენება. გა-

- მოყენებულია: რჩეული ნაწარმოებები. (1956), თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტომი VII. თბილისი. გამომც. „საბჭოთა საქართველო“.
58. ჭუმბურიძე, ზ. (1965). ქართული ანდაზები. თბილისი. გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“.
59. ჭყონია, ლ. (1985). გარეული ვაზი საქართველოში. ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები. თბილისი. გამომც. „მეცნიერება“.
60. ხორნაული, ვ. (1984). ქართული ანდაზები. თბილისი. გამომცემლობა. „ნაკადული“.
61. ჯავახიშვილი, ივ. (1934). საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი II. თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“.
62. ჯავახიშვილი, ივ. (1982). თხზულებანი. ტომი VI. თბილისი. გამომცემლობა. „მეცნიერება“.
63. ჯორბენაძე, ბ. (1997). ენა და კულტურა. ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება. თბილისი. გამომცემლობა „ქართული ენა“.

ინტერნეტ-რესურსი:

<https://www.storyjumper.com/book/read/83717635/%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%96%E1%83%96%E1%83%94#page/1>

<http://vinoge.com/istoria/qarTuli-vazi-qarTuli-Rvino>

<http://vinoge.com/Rvinis-atributebi/Zveli-qarTuli-saRvine-WurWeli>

<http://aladasturi.blogspot.com/2008/12/blog-post.ht>

<http://www.ice.ge/liv/liv/kartlur.php>

<http://vinoge.com/mevenaxeoba/>

<http://vinoge.com/Rvinis-kanonmdebloba/saqarTve-los-kanoni-vazisa-da-Rvinis-Sesaxeб>

<http://www.ena.ge/explanatory-online>

<https://www.youtube.com/watch?v=cLI377csOME>

<http://marani2.blogspot.com/2008/01>

<https://agronews.ge/rogor-gachnda-ghvino-legenda/>

<https://sportall.ge/regbi/qarthuli-ragbi/erovnuli-nakre-bi/84285-legenda-vazis-lertsze-ras-aghnishnavs-simboloe-bi-qborjghalosnebisq-kvarthze.html>

<https://artinfo.ge/2021/10/zura-rthveliashvilis-saotsari-leqsi/>

<https://poetry.ge/poets/nukri-bereteli/poems/zoazo-wmin-da-nino>

<https://core.ac.uk/download/pdf/15536670.pdf>

<https://poetry.ge/poets/zurab-gorgiladze/poems/8194.nen-em-diminishna-qali.htm>

<https://poetry.ge/poets/tea-topuria/poems/6036.vin-iko-is-stu-mari.htm>

<https://poetry.ge/poets/rezo-getiashvili/poems/h-midis-sicocx-lemtvrali>

<https://kvispalitra.ge/article/69991-erekle-mefis-mecikhovne/>

<https://www.google.com/search?q=%E1%83%90%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98&oq=%E1%83%90%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98&aqs=-chrome..69i57j0i30j69i60.6909j0j1&sourceid=chrome&ie=UTF-8>

<https://www.tastingtable.com/695270/custom-wine-label-design-art/>

<https://www.google.com/search?q=%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%93%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98+%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%90+%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98&oq=&aqs=chrome.1.69i59i450l7j46i3i143i362.57999j0j1&sourceid=chrome&ie=UTF-8>

<https://georgian-cinema.ge/index.php/ge/2015-03-27-12-14-46/922-1975-5>

<http://culinartmagazine.com/2016/05/03/>

<https://www.google.com/search?q=%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98+%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%98%E1%83>

3%9C%E1%83%9D+%E1%83%93%E1%83%90+%E1%83%-
A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%96%E1%83%90%E1%83%
A0%E1%83%94%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%9D&oq=&aqs
=chrome.0.69i59i450l8.9825j0j1&sourceid=chrome&ie=UTF-8

<https://kvirispalitra.ge/article/88583-kartuli-samzareulos-poli-ponia/>

<https://agrokavkaz.ge/agroplus/ghvinith-mkurnaloba-anu-rogor-vitsotskhloth-didkhans.html>

<https://mkurnali.ge/skhvadaskhva/mkurnalobis-methodebi/14548-enotherapia-anu-ghvinith-mkurnaloba.html>

ლექსიკონები:

1. ლექსიკონი, ქართული ლექსიკონები – www.nplg.gov.ge.
2. ნეიმანი, ალ. (1951.,1978). ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი.
3. ონიანი, ალ. (1966). ქართული იდიომები. თბილისი, გამომცემლობა „ნაკადული“.
4. ორბელიანი, (1993). სულხან-საბა ორბელიანი. სიტყვის კონა. თბილისი. გამომცემლობა „მერანი“. ტ. I., II)
5. ორბელიანი, (1949). სულხან-საბა ორბელიანი. „სიტყვის კონა“. თბილისი.
6. სახოკია, თ. (1979). თედო სახოკია. „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“. თბილისი. გამომცემლობა „მერანი“.
7. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (1990). ორტომეული, I -II ტომი.თბილისი

VINE AND WINE: EXPRESSIVE CONCEPTS IN GEORGIAN MENTALITY

(LINGUISTIC AND CULTURAL RESEARCH)

SUMMARY

The project aimed to explore grapes and wine as expressive concepts in Georgian mentality through linguistic and cultural research. It sought to define their role and function in the development of the Georgian language and culture by examining the relationship between Georgian philology and agrarian fields. The project specifically aimed to detect and classify Georgian linguistic traits, explore national-specific components of Georgian discourse concerning vines and wine, conduct structural-semantic analysis, and study their function from both synchronic and diachronic perspectives. It also sought to characterize the Georgian linguistic and cultural space, emphasizing its reflection and operation as the language of a distinct national-linguistic-cultural unity.

While numerous studies focus on the history, structure, and semantics of the Georgian language, we believe its examination from a linguistic and cultural perspective—specifically, the exploration of how language reflects cultural concepts and national mentality—is largely unexplored and overdue. This monographic study aims to partially bridge this gap by delving into these aspects.

In general, exploring concepts that express the national mentality, elucidating their distinctive artistic and linguistic features, demands specialized research. Particularly crucial, in our view, is the interdisciplinary and complex nature inherent in studying these concepts. By integrating humanities with agrarian sciences, this research will enable specialists to develop a comprehensive understanding of the interconnected factors that make it unique

and compelling. This interdisciplinary approach will highlight the connections between different fields and contribute to the advancement and development of both philology and agrarian sciences.

The approach to the issue is somewhat innovative and, we believe, will generate considerable interest. This interest is expected to substantially influence the planning and execution of future interdisciplinary research, especially those exploring linguistic and cultural dimensions.

The range of tasks has proven to be quite broad. However, at this stage, our research has focused on the following key topics of interest:

- ▶ The phenomenon of vine and wine in Georgia (vine and wine as a fundamental component and cornerstone of Georgian national identity);
- ▶ Vocabulary and phraseology related to vine and wine, including the presentation and definition of ethical and moral parameters based on these terms (formation of a linguistic-cultural paradigm);
- ▶ Morality and didactics of folklore treasures (national mentality expressed through grapes and wine; formation of a linguocultural paradigm);
- ▶ Concepts of “vine” and “wine” in Georgian literature (historical hallmarks and linguistic and cultural aspects);
- ▶ Conceptual expression of vines and wine in Georgian art;
- ▶ National mentality within the Georgian gastronomic space (linguistic and cultural perspectives);
- ▶ The national mentality reflected in the use of grapes and wine in medicine.

The research strategy primarily involved: diachronic and synchronic analysis of the material; source processing; review of scientific literature; reasoned argumentation and analysis and con-

sideration of existing studies.

To achieve the final goal and address the set tasks, we employed several research methods and principles. Primarily, we used the **descriptive** and **historical-comparative method** to classify samples, describe, compare, and determine the patterns in their development. Additionally, **qualitative analysis**, along with **analysis and synthesis methods**, facilitated the discussion and formulation of valid conclusions.

The project's results for the staff of the Agrarian Sciences Department will provide new theoretical insights into how the Georgian language expresses concepts related to national mentality and the national characteristics it conveys. Meanwhile, for the philology department, the analytical material will be enriched and expanded to reflect how modern cultural interactions, driven by globalization, are becoming integral to Georgian identity and culture.

The research results will be valuable for the fields of the history of Georgian literature, linguistics, lexicology, linguistic culture and agricultural studies. They will serve as important educational and scientific resources and will support further in-depth exploration of related issues.

We believe that the project, with its potential for applying the research results, will be significantly important due to its fundamental nature and its contributions to social and cultural progress.

Through this monographic research, we have made a modest attempt to take the interested reader on a journey into the enchanting depths of language and culture. We explore the captivating world created by the conceptual sphere of vines and wine, including its vocabulary and phraseology, within the linguistic and cultural paradigm that most vividly expresses the Georgian mentality. In our case, the understanding of the linguistic and cultural concept diverges from the classical (traditional) definition,

